

114
1938/2



მნათობი

5

ს უ ი ლ ი ს ი
1938



გეორგიული
მუშაკლასობა

მნათობი

სრულიად საქართველოს საშრომლო მწერლობის
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკვლავი ციკლი
ქრისტე

წელიწადი მეთხუთმეტი


5



მ ა ი ს ი

ს ა ხ ე ლ ვ ა მ ი

1 9 3 8



რედაქცია:

თბილისი, მინაშლის, 13
მწერალთა სახლზე
ტ. 3-71-84

ქანტორა:

თბილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მზ. რედაქტორი — ალიო მახარაძე

პ/მზ. მდივანი — ლ. ანათიანი

გად. წარმ. 17/V 38 წ.; ხელმ. დანაბ. 3/VI 38 წ.;
შეტ. № 1085 მთავლ. რეგ. 866 ტრ. 8500

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ერატის ქ. № 5.



ქართველი
წიგნითათა

აგხანავ ლ. პ. ბერიას სიგყვა თბილისის მშრომელთა საგანათასიან მიზინვზე

ამხანაგებო!

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, — მძიმე გასაქირსა და უბედურებასთან ერთად, როდესაც საქართველო ხანძრის აღში იყო გახვეული, განადგურებული და დამონაგებული მრავალრიცხოვან მტერთა უამრავი ურდოების მიერ, — იცის აგრეთვე საკმაოდ ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე თავის მტრებს, როდესაც ძველი ქალაქი თბილისი — საქართველოს დედაქალაქი და გული — კვლავ აღორძინდებოდა ფერფლიდან და საყოველთაო სახალხო ზეიმი მჩქეფარედ მოედებოდა საქართველოს მიწა-წყლის ხეობებსა და ქალებს.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარსულის რომელი სასიხარულო დღე შეიძლება ოდნავ მაინც შეეძაროს დღევანდელ დღეს?

არა, არ ყოფილა ასეთი დღეები!

თბილისის მშრომელები, ენტუზიაზმით გამსჭვალულნი, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში, გამოვიდნენ დღეს, რათა ცხადპყონ თავიანთი სიხარული, ერთგულება და სიყვარული დიდი სტალინისადმი (მქუხარე ტაში. საქართველოს ხალხთა ყველა ენაზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“ „ურა!“ „ვაშა!“ „გაუმარჯოს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების დიდ შემომქმედს!“ მქუხარე ოვატია).

ისტორიული მოვლენა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საქართველოს ისტორიაში შეევა, როგორც ყველაზე სასიხარულო ბრწყინვალე ფურცელი ქართველი ხალხის ცხოვრებისა.

უდიდესი გენიოსი, მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის იმედი და სიამაყე, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენი მესაქე — დიდი სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ქალ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში.

უდიდესი, განსაკუთრებით მაღალი პატივი ხვდა ქართველ ხალხს. თითქმის ორმოცი წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარეირაეზე ახალგაზრდა სტალინმა პირველმა ააფრიალა საქართველოსა და კავკასიაში მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშა, კომუნისმისათვის პრძოლის დროშა! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ურა“, „ვაშა!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!“).

დიდ ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აჯანყებდა მეტონ ქოფილი რუსეთის ხალხებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის, კარტულიზმთან ბრძოლისათვის. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიქციონერული ხალხი მიდიოდა ცარიზმზე იერიშის მისატანად, მიდიოდა ბრძოლაში თავისი მხაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ — ქართველ თავადთა, აზნაურთა, მემამულეთა და კულაკთა წინააღმდეგ.

თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ქიათურაში, კავკასიის ყველა უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში ამხანაგი სტალინი რაზმადედა მუშებს და ზრდიდა მათ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით მხაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელთა ყველა მტრის წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა აქ, თბილისში დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა. (ტაშის გრიალი. მქუხარე ოვაცია. მოისმის შეძახილება: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“).

მაშინ თბილისში არ ყოფილა არცერთი ქარხანა და ფაბრიკა, რომელთა მუშებსაც არ სცნობოდეთ ამხანაგი სტალინი, არ სცოდნოდეთ მისი საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობა, არ ეგრძნოთ მისი ნებისყოფა ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილებაზე გამარჯვებისადმი.

თბილისის ქუჩებში 1901 წელს ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას, გამოვიდა რა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციით.

და აქ დღეს ამ მიტინგს ცოტანი როდი ესწრებიან ის ძველი მუშება, რომელნიც სტალინის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მუშათა კლასის პირველ რევოლუციურ შეტაკებებში ცარიზმსა და ბურჟუაზიასთან.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამზო შეფის თვითმპყრობელობა და პირველმა ააფრიალა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, ქართველმა ხალხმა მიიღო თავისუფლება და გამოვიდა ნაციონალური აღორძინებისა, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

სტალინის დროშით საქართველოს მშრომელებმა ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მიადწიეს ბრწყინვალე, ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას.

დღითი-დღე იზრდება მუშათა მატერიალური კეთილდღეობა, შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ სწრაფად მიდიან კოლმეურნე მასები, ჰყვავის კულტურა, ფართოდ იფურჩქნება ხალხის შემოქმედებითი ნიჭი, განთავისუფლებული მეცნიერული აზრი, ეუფლება რა ცოდნის მკვლევარებს, წარმატებით სწვდება ბუნების საიდუმლოს და აყენებს მას მშრომელი კაცობრიობის სამსახურში.

ღიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა ჩვენი ქვეყნის ეს უდადეგი მიღწევები.

კომუნისტთა და უპარტიოთა განუყრელმა სტალინურმა პარტიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უჩვენა მთელს მოსოფლიოს, თუ რა დიდი და ურღვევია ჩვენი სამშობლოს ხალხთა პარტიული და მორალური ერთიანობა.

არაფერს არ შეუძლიან გასწყვეტოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის კავშირი.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელი განხორციელებით გაიანდგურა ხალხის მოსისხლე მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, მენშევიკები და საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა აგენტები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალნათ ჩვენი ქვეყნის ძლევა-მოსილი შოპრაობა კომუნისმისაყენ.

თავისი უძლურებით გააფთრებული ბოროტება ფაშისტური ბურჟუაზიისა, რომელიც ამზადებდა სოციალიზმის ქვეყანაზე თავდასხმას, იმსხვრევა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შეურყვეველ ძლიერებაზე.

სამხედრო საშიშროებისა და აგრესიული ფაშისტური ძალების წინაშე, ჩვენი დიდი სამშობლო თავისი ძლიერების შეგნებით განაგრძობს თავისი ცხოვრების მშვიდობიან შენებას მშრომელთა ინტერესებისათვის და ემზადება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

მოზეიმე ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ მან მიიღო დიდი სტალინის თანხმობა კენჭის ყრაზე, იგი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი დეპუტატი იქნება ის, ვინც პირველმა აღმართა საქართველოში თავისუფალი და სამური ცხოვრებისათვის ბრძოლის დროშა (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ოვაცია. მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას და მასწავლებელს!“, „ვაშა!“, „ურა!“).

ქართველი ხალხი სიხარულის გრძნობას განიცდის კიდევ იმიტომ, რომ დიდი სტალინის უახლოესმა და ერთგულმა თანამებრძოლმა, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა — ვიჩესლავ მიხეილისძე მოლოტოვმა თანხმობა გამოუცხადა აგრეთვე კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალ. თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. (მქუხარე ტაში. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხ. მოლოტოვს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს — დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, დიდი რუსი ხალხის ერთგულ შვილს!“).

ეს გვაძლავს ჩვენ ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, ვამრავლოთ ისინი ბოლშევიკური ენერგიული, ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობით ყველგან და ყოველთვის, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე — ფაბრიკასა და ქარხანაში, ტრანსპორტზე, კოოპერაცია-სა და ეაქრობაში, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, მარცვლეულის, მევენახეობის, მეცხოველეობისა და სხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მე-

ურნეობებში, სასკოლო სწავლებასა და ლაბორატორიულ დაწესებულებასა და საწარმოში.

ეს გვავალებს ჩვენ დავიცვათ ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ განვამტკიცოთ ხალხთა სტალინური შეგობრობა, განვამტკიცოთ კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკი უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. (მქუხარე ტაში).

ეს გვავალებს ჩვენ ჩავატაროთ არჩევნები მაღალ დონეზე, მივალწიოთ იმას, რომ უკლებლივ გამოცხადდეს ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან 12 ივნისს და ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგებო! გავაყეთოთ ყველაფერი იმისათვის, რათა სახელოვნად გავამართლოთ ის დიდი ნდობა, რომელიც გამოგვიცხადა ჩვენ, მთელ ქართველ ხალხს მშრომელთა დიდმა ბელადმა — საყვარელმა და მშობლიურმა სტალინმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულით გამსჭვალული, საყვარელი სტალინის გარშემო დარაზმული საქართველოს მშრომელები მზად არიან ყოველ მომენტში გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ მტერს, რომელიც ვაჰბედავს ხელი აღმართოს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდა საზღვრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიჩესლავ მიხეილისძე მოლოტოვს! (ოვაცია, მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს — დიდ სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე ისმის განუწყვეტელი მიხალმებანი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!“, „გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს!“, „ურა!“, „ვაშა!“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!“

ოვაცია დიდხანს არ სწყდება. მოედნის კედის-კედემდე გაიხმის მისახალმებელი შეძახილები დიდი სტალინის პატივხაცემად!)



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებსა
და გლეხ-ქალებს, წითელ არმიას, საბჭოთა ინტე-
ლიგენციას

ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოში ყველაზე
დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, აირჩია თავი-
სი უმაღლესი ორგანო ხელისუფლებისა — სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭო.

საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველთა 97 პროცენტმა მონაწილეო-
ბა მიიღო არჩევნებში და ამით მკაფიოდ უჩვენა ყველას საბჭოთა ხალ-
ხის პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელე-
ბის მიერ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე თა-
ვისი მოქალაქობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ მიმართვა-
ში ყველა ამომრჩევლისადმი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ბოლშევიკე-
ბის პარტია არჩევნებზე გამოდის ბლოკში, კავშირში უპარტიო მუშებ-
თან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან“, რომ „ბოლ-
შევიკების პარტია კი არ ემიჯნება უპარტიოებს, არამედ, პირიქით, მა-
დის არჩევნებზე ბლოკში, კავშირში უპარტიოებთან, მიდის ბლოკში მუ-
შათა და მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან /და
უპარტიოთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან“.

საბჭოთა ხალხის ურღვევმა მორალურმა და პოლიტიკურმა ერთიან-
ობამ, მისმა უსაზღვრო ნდობამ კომუნისტური პარტიისადმი (ბოლშევი-

კებისა) და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებში.

90 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მისცა სტალინს და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას.

მთელმა საბჭოთა ხალხმა გამოხატა გრძნობა უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულისა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისადმი — დიდი სტალინისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ეს ბრწყინვალე შედეგები მოულოდნელი როდი იყო ჩვენი პარტიისათვის.

მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიამ დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი პარტია, რომელიც ნამდვილად და თანამიმდევრულად იცავს მშრომელთა ინტერესებს ექსპლოატატორებისა და შიგვრელების წინააღმდეგ, ერთადერთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი შეამკიდროვოს თავის ირგვლივ ხალხის უფართოესი მასები, დარაზმოს და წაიყვანოს ისინი ექსპლოატატორული წყობილების დამოზობისა და უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ სოციალიზმის თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებმაც გადააქციეს ჩვენი სამშობლო „ჩამორჩენილობისა და შეასაუკუნებრივობის, სიბნელისა და უკულტურობის, მშრომელთა სიღატაკის, უფულებობისა და ჩაგვრის ქვეყნიდან, როგორც იყო ძველი რუსეთი, ...მოწინავე, კულტურულ, მშაიარ სოციალისტურ სახელმწიფოდ“ (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევისადმი), იგი უნდა უმაღლოდეს ბოლშევიკთა პარტიას, პარტიისა და ხალხის ბელადის — დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას.

საბჭოების ქვეყნის მშრომელებმა კარგად იციან, რომ თავის ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას, შრომის, განათლების, დასვენების, უზრუნველყოფილი მოხუცებულობის თავის დიად განუყრელ და გარანტირებულ უფლებებს ისინი უნდა უმაღლოდნენ დიდ სტალინს.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა კარგად იციან, რომ მეფის თვითმპყრობელობის — ხალხთა ამ საპყრობილის დანგრევას, წარსული ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური დამონების მოსპობას, თავის ნაციონალურ აღორძინებას და სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავებას ისინი უნდა უმაღლოდნენ ბოლშევიკთა პარტიის ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ხალხთა სტალინურ მფლობრობას.

აი ამიტომ ჰქონდა ბოლშევიკების პარტიას იმედი ხალხის ნდობისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, აი ამიტომ მას უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ ამომრჩეველები ერთსულოვნად მისცემენ ხმას

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს“ (საქ. კ. პ. (ზ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დედაქვეყნის ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და დაამყარა ალმართა ძღვევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, წინათ ჩაგრულმა ხალხებმა მეფის რუსეთისამ მიიღეს თავისუფლება და გამოვიდნენ ნაციონალური აღორძინების, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

თავისი კონსტიტუციების საფუძველზე, რომლებიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, დიადი საწკოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკა ემზადება თავისი უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

1938 წლის 12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელნი აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საქ. კ. პ. (ზ) ერთგულ, მებრძოლ რაზმს, მალა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა, მიდის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში.

უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობენ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებიც უკვე ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. თავის პირველ კანდიდატად საქართველოს მშრომელებმა წამოაყენეს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ბედნიერი, სასიზარულო ცხოვრების შემომქმედი დიდი სტალინი.

ის განსაკუთრებული ერთსულოვნება, რომლითაც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კრებები ასახელებენ კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, ცხადყოფს, თუ რამდენად ღრმად და მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის შეგნებაში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის იდეა, რამდენად ღრმად შეითვისეს მშრომელებმა, რომ „თვითეული უპარტიო დეპუტატი იქნება აგრეთვე დეპუტატად კომუნისტებისაგან, ისე როგორც თვითეული კომუნისტი დეპუტატი იქნება დეპუტატად უპარტიოებისაგან“ (საქ. კ. პ. (ზ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) იმედოვნებს, რომ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ორგანიზაციები და საზოგადოებები მშრომელებისა მომავალშიაც ასევე ერთსულოვნად წამოაყენებენ საერთო კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს უპარტიო ამომრჩე-

ლები ისევე ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტ-კანდიდატებს, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

უკრაინული

შეუძლიან თუ არა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა, მისი მხარდაჭერისა მომავალ არჩევნებში?

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) უკრ. კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიყრაეზე საფუძველი ჩაუყარა დიდა ლენინის ერთგულმა მოწაფემ და უახლოესმა თანამებრძოლმა — ანხანა-მა სტალინმა.

სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები საბრძოლველად რაზმადნენ მუშებსა და გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ქართველი თავადების, მემამულეების, კულაკებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის ნაციონალური ჩაგვრისაგან და კოლონიური დამონებისაგან, ექსპლოატაციისა და სილატაციისაგან.

სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე აწარმოებდნენ შეურიგებელ ბრძოლას მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ და მშრომელთა სხვა დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ, უნერგავდნენ რა ხალხის მასებს ცარიზმის, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების რევოლუციური ვზით დამხობის აუცილებლობის შეგნებას.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები მენშევიკური ბატონობის პერიოდში სათავეში ჩაუდგნენ. მუშათა და გლეხთა ბრძოლას მენშევიკური უღლის დამხობისათვის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) ლენინ-სტალინის დროის ქვეშ გააჩაღა ბრძოლა ქართველი ხალხის ყველა მტერთა განადგურებისა და მოსპობისათვის, საქართველოს გადაქცევისათვის აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

რას წარმოადგენდა საქართველო წარსულში?

იგი იყო რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი, ნახევრადმათხოვრული კოლონია, სადაც მეფის ჩინოვნიკები ქართველ თავადებთან, მემამულეებთან, კულაკებთან და კაპიტალისტებთან კავშირში უღმობელად ეწეოდნენ ხალხის ექსპლოატაციას. უხეშად პქელავდნენ ფეხქვეშ მუშებისა და გლეხების უაღრესად ელემენტარულ უფლებებს, აბურჩად იგდებდნენ მათს ადამიანურ ღირსებას.

ქართველმა მენშევიკებმა თავისი ბატონობის წლებში მთლად გააპარტახეს ქვეყანა, გადააქციეს იგი მტაცებლური ექსპლოატაციის ობიექტად დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისათვის.

საქართველოს მშრომელნი ჰგმინავენ კოლონიური ურთიერთობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ეკსპლოატაციის ორმაგი უღლი ქვეშ.

ახლა კი საბჭოთა საქართველო წარმოადგენს აყვავებულ უღლი უღლი ქვეშ. ახლა კი საბჭოთა საქართველო წარმოადგენს აყვავებულ უღლი უღლი ქვეშ. განვითარებული სოციალისტური მრეწველობის სარგებლობა სასოფლო მეურნეობით. მარტო პირველი და მეორე ხუთწლეულების წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 3 მილიარდ მანეთზე მეტი.

მრეწველობის წინათ არსებული დარგების (მარგანეცი, ქვანახშირი) ძირფესვიან რეკონსტრუქციასთან და გაფართოვებასთან ერთად, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობისა (კერძოდ, ჩაის და მელენეობის მოწყობილობისა), ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრისა, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანა, მოლიბდენი) და არამადნეული წიაღისეულის (ბარიტი, გუმბრინი და სხვ.) მოპოვებისა.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის 20-ჯერ გაიზარდა.

რევოლუციამდე ელექტროგანათება წარმოადგენდა ფუფუნებას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის. ახლა კი ილიჩის ნათურამ საქართველოს ყველაზე შორეულ რაიონებსა და სოფლებს შიალწია. ამჟამად ელექტროენერჯის გამომუშავებამ საქართველოში 24-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), განუზრუნვლად ასრულებდა რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად იმხანაგ ხტალინის მითითებებს, სწორად განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობების შესაბამისად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართო განვითარება ჰპოვეს უძვირფასესმა სუბტროპიკულმა და ტექნიკურმა კულტურებმა — ჩაიმ, ციტრუსებმა, ტუნჯომ, ვაშმა, თამბაქომ, ევკალიპტმა, კეთილშობილმა დაფნამ, ეთეროვნებმა და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველს.

სწარმოებს უდიდესი მუშაობა კოლხიდის ამოსაშრობად. ახლო მომავალში კოლხიდის დაბლობი, რომელიც წარსულში მალარიის ბუდეც წარმოადგენდა, გადაქცეული იქნება აყვავებულ სუბტროპიკულ ბაღად.

საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ყველა გლეხურ მეურნეობათა 77 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია სოციალისტურ მეურნეობებში — კოლმეურნეობებში, რომლებიც წარმოადგენენ შეძლებული და კულტურული ცხოვრების მკვიდრ ბაზას.

ორ მილიონნახევარ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წარსულში თავადებს, მემამულეებს, კულაკებსა და სამღვდლოებს ეკუთვნოდა, გადაეცა გლეხობას უსასყიდლო სარგებლობაში.

საქართველოში სოციალისტური წყობილების გამყარების მიზნით განმტკიცებას შედეგად მოჰყვა მშრომელთა მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესება.

უმუშევრობა—მშრომელთა ეს საშინელი უბედურება ბურჟუაზიული წყობილების პირობებში — წარსულში ქართველი გლეხობის საკმაოდ დიდი ნაწილის ხვედრი იყო. ანხორციელებდა რა თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას, ცარიზმი ერეკებოდა ადგილობრივს მცხოვრებლებს საუკუნოებით მიჩვეული ადგილებიდან და მათს მიწებზე ასახლებდა კოლონისტებს. მკაცრი ექსპლოატაცია თავადაზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მხრივ იძულებდა გლეხებს დიდი ხნით დაეტოვებინათ თავიანთი უბადრუკი მეურნეობები და ქალაქებში წასულიყვნენ. ამჟებდროს, იმის გამო, რომ არ იყო რაოდენადმე მნიშვნელოვანი მრეწველობა, რომლის განვითარებაც ხელოვნურად ბრკოლდებოდა, ქართველი გლეხების ძლიერ დიდი რაოდენობა ვერ პოულობდა თავისი შრომის გამოყენებას საქართველოს ქალაქებში და იძულებული იყო სამუშაოდ წასულიყო შორს, თავისი სამშობლოს ფარგლებს იქით.

ახლა უმუშევრობის კვალიც აღარ დარჩენილა. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძაფრმა აყვავებამ უზრუნველყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა.

განუხრებლად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. წლითიწლივით მატულობს კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება. საქართველოს ათეული კოლმეურნეობები მილიონერები გახდნენ. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულნი და განაგრძობენ თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ზანმტკიცებას.

ამჟამად მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციაში არავის არ შეიძლება გააჩნდეს ნასახიცი კი ზვალინდელი დღის რწმენის უჭონლობისა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წინაშე გადაშლილია თავისი შრომის, თავისი შემოქმედებითი ძალების გამოყენების ფართო შესაძლებლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ სარბიელზე.

შეძლებულად და საამურად ცხოვრობენ ახლა საბჭოთა საქართველოს ხალხები.

წარსულში კერძო მესაკუთრეთა ინტერესებისათვის ხდებოდა საქართველოს იშვიათ საკურორტო სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლოატაცია, ან მათ სრულებითაც არ იყენებდნენ.

ახლა საქართველო დამსახურებულად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიად-საკავშირო კერის სახელით. საქართველოს მრავალრიცხოვანი

ულამაზესი კურორტები კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლებითა და სანატორიუმებით წარმოადგენენ საქართველოს და მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყვარელ სამკურნალო და დასასვენებელ სახლებს.

საქართველოში

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებულია უდიდესი წარმატებანი კულტურის დარგში.

ქართულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მკოდნეობისა და მოწინავე კულტურის ქვეყანაა. მთელ რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში — არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში.

საქართველოს მრავალრიცხოვან დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს 700 ათასამდე ბავშვი — მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შვილები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს გახსნილი 20 უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოშვებულია 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, პედაგოგი, არქიტექტორი, მეცნიერი მუშაკი.

აყვავდა ქართული ხელოვნება და ლიტერატურა. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც იჩენენ მუდმივს ყურადღებასა და მზრუნველობას მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, რეჟისორების, აქტიორების, ხელოვნების ყველა მუშაკთა მიმართ, უზრუნველყოფს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა.

ამენებულია თეატრების, კინოების, კლუბების, სამკითხველოებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიდი რაოდენობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, ისევე როგორც მეფის მთელ რუსეთში, ქალი იყო მონა, ისევე როგორც აქამდე იგი წარმოადგენს მონას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ქალი, გახადა იგი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. სტალინურმა კონსტიტუციამ საშუალოდ განამტკიცა საბჭოთა ქალის დიდი უფლებანი.

საქართველოში ქალების დიდი რაოდენობა დაწინაურებულია პასუხსაგებ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ სამუშაოზე. ქართველი ქალი მამაკაცთან ხელხელაჩაიდებული მიდის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საქართველოს ბოლშევიკები განუხრელად ანხორციელებენ სტალინურ მზრუნველობას ქალზე — დედაზე, ბავშვთა ჯანმრთელობაზე, მკვნიან ყველა პირობას უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობისათვის.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი მრავალსუფთო ენის ისტორიის მანძილზე გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვივად თავისუფალი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის თანასწორუფლებიანად.

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური, არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (სტალინი).

ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ხალხებმა — აზერბაიჯანელებმა, სომეხებმა, ქართველებმა ხალხებმა — ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიადი პრინციპების განუხრებლად განხორციელებით აღმოფხვრეს ნაციონალური შუღლი, რომელსაც წარსულში ცარიზმი, მენშევიკები, მუსავატელები და დამნაყები ალევებდნენ. ზრდიდნენ რა მასებს ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა შექქნეს და განამტკიცეს ნაციონალური მშვიდობიანობა, „არნახული ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წყობილებაში“ (ლენინი).

მხოლოდ სოციალისტური წყობილება, მხოლოდ კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თანაბრად უზრუნველყოფს როგორც დიდ, ისე პატარა ხალხთა ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რომლებიც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიან.

თავისუფალი ქართველი ხალხი ბოლომდე ერთგულია სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისა. საბჭოთა საქართველო საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს მშრომელები, მტკიცედ შემჭიდროვებულნი დიდი სტალინის გარშემო, გამსჭვალულნი საბჭოთა პარტიოტიზმის სულით, მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ გათავხედებულ მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელის შეხებას.

ქართველი ხალხის დიადი გამარჯვებანი წარმოადგენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიერ ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განუხრებლად განხორციელების შედეგს.

საქართველოს ბოლშევიკებმაც, რომლებიც აღზრდილნი არიან სოციალიზმის ყველა მტრისადმი შეუჩივებლობის ლენინურ-სტალინურ ტრადიციებზე, უზრუნველყოფენ განადგურება და მოსპობა მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვა ანტი საბჭოთა პარ-

ტიების ნაწილებისა, ჯამშუშთა, დივერსანტთა და მანეგერთა ბიზნის-ლიანი ფაშიზმის აგენტთა, — ტროცკისტ-ბუხარინული მანძილი რომელთაც განზრახვა ჰქონდათ წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარი, ხელახლა დაედგათ მისთვის მისთვის აღნიშნულ-მემამულური ექსპლოატაციის უღელი, გადაექციათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), რომელსაც საქ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი და დიდი სტალინი ხელმძღვანელობენ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი თავდადებით იბრძვის ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის, რომ მას შესწევს უნარი თანამიმდევრობით და ბოლომდე დაიცვას ხალხის საქმე.

აი რატომ აქვს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) უფლება იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოპაველ არჩევნებში, იქონიოს იმედი, რომ ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არ უნდა იყოს არცერთი მოქალაქე, რომელიც თავის მოქალაქობრივ მოვალეობად არ ჩასთვლის ხელი შეუწყოს უკლებლივ ყველა ამომრჩეველის მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ვინც ისწრაფის იქით, რომ საბჭოთა საქართველო მიდიოდეს წინ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ, რომ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან ოჯახში განაგრძობდეს განვითარებას კომუნისმის გზით; ვინც ისწრაფის იქით, რომ საქართველოს ხალხები სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში მიდიოდნენ თავისი მატერიალური და კულტურული დონის ახალი აღმავლობისაკენ, იგი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტსა და თანამგრძობებს ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა უპარტიო კანდიდატებს, როგორადაც მათ უნდა მისცენ ხმა კომუნისტ-კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა უპარტიო ამომრჩეველს — ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტ კანდიდატებს, როგორადაც ისინი ხმას მისცემენ უპარტიო კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებს) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ ყველანაირად უარყოფენ ერთი კაცი, მივიდნენ 1938 წლის 12 ივნისს საარჩევნო უფრთხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აჭარისა და აფხაზეთის საბჭოთა კავშირის საბჭოების დეპუტატთა ასარჩევად.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირს — მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მძლავრ დასაყრდენს!

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

ხალხთა ბედებს დირ სჯადინს

თბილისის ყველა შრომელთა კრება,
დედა ქალაქის გულში მისული,
ერთხმად გუგუნებს როგორც ქვეყნისთვის
ორას ათასი თავშეფიცული.

ერთხმად გუგუნებს და ერთის გრძნობით
მოგესალმება საყვარელ ბელადს,
ვისი სახელიც ქვეყნად ანათებს
და გამარჯვებულ დროშებზე ელავს.

დღეს გაზაფხული საქართველოში
შზითა და შენი ხელით სწერია,
ბედნიერია დღეს საბჭოეთი
და საქართველოც ბედნიერია.

ჰყვავის სოფელი, ჰყვავის ქალაქი,
ხალხის დოვლათი დადგა მთებურად,
შენი სიბრძნით და შენი მარჯვენით
ჩვენი სამშობლო განათებულია.

შენ მოგვიტანე — რაც გვინატრია,
რაც სხვას არავის არ მოუცია:
გამარჯვებული ქვეყნის და ხალხის
უღიადესი კონსტიტუცია.

და თავის პირველ უმაღლეს საბჭოს
არჩევნებს ერი დიდებით ხვდება,
მოდის დუნია და ქართველ ხალხის
სიმღერა კრემლის ვარსკვლავებს სწვდება.

აშლილა ხალხი და როგორც თავის
ბედნიერების გამომსახველი,
მოაქვს უწმინდეს ფიცად და დროშად,
დიდო ბელადო, შენი სახელი!



მოაქვს მას გულით ვინც დღეს ახარებს,
ვინც მასთან იყო ძველად ქირშიაც —
მან საკავშირო უმალღეს საბჭოს
პირველ რჩეულად შენ ავირჩია.

დღეს საქართველოც შენ გასახელებს, —
შენი მშობელი, შენი აკვანი,
რადგან მის ყველა გაზრდილთა შორის
შენა ხარ ვმირი პირველთაგანი.

და ერთხმად გფიცავს ქართველი ხალხი
ბოლშევიკური საქმით და ფიცით,
დავიცვათ ჩვენი დიდი სამშობლო
ბრძოლით, რომელიც ჩვენ შენგან ვიცით.

დავიცვათ ყველა მონაპოვარი,
და როგორც წინათ — მომავალ დროშიც,
გაეწიოთ ახალ გამარჯვებებით
ლენინ-სტალინის უძლეველ დროშით!

მაშ გაუმარჯოს — ვინც ხალხის გულში
ცოცხლობს და გვაძლევს სიცოცხლის ხალისს, —
ჩვენს მასწავლებელს, მამას და ბელადს,
ქვეყნის დიდებას — საყვარელ **სტალინს!**

ლექსად თქმული ილო მისაშვილის მიერ.

დამწერალი

შ ე ლ ც ი

მოთხრობა

შავი ტყე შთას გულის ჯავრით შემოებურა. რამდენიმე წიფელას თავი ჯოგის ხარივით დაეწინაურებინა და წელგამოზნექილი სვამდა ლურჯად აზიზინებულ სივრცეებს. ზემოთ იალადები იწყებოდა.

ბერდია შედგა.

აგერ, იქ, ძირს, წყლის პირას. ყორესავით ჩახერგილი ქოხმახები რომ მოსჩანს, ქიპი იქ მოუწყვეტია, ამ ქოხმახებს რომ ერთი სახლიც თავს დასცქერის, მისი მზახლის, ბობოლა ციმიკაურისაა, — მის მოჯამგირუბაში ახალგაზრდული დღეები სალეს ქვასავით დაუღვევია, ბეხრეკ ქედზე რკინის უღელი შემოუდგამს და ახლა ბებერ მუხასავით, ტოტნი კი არა, ორბი ვოვი წელში დოინჯად შემოუყრია.

ორი ვაფი ჰყავს ბერდია ნაზლაიძეს, ორივე ვაჟაკი, მაგრამ რაი მერე, თუ ყვევარს ორნივე ერთურთის შურით ერთ მხარეს არ გასწვევენ? თუ ერთი ალთას გაიტანს გუთანსა და მეორე ბალთას? თუ ერთი სათემოსა-კენ გასწვეს და მეორე თავის სალაღავისაკენ?

სოფელი რომ ორად გაიყო, უფროსი იქით დარჩა, ბობოლევისკენ, უმცროსი აქეთ. უფროსი ციმიკაურს ზედსიძედ შეუდგა და ერთიან ვადუდგა ტაბარუკ მწყემსის რჯულსა და ჯილაგს, სულ ვადიბირა იმ ბაითალმანმა სიმამრმა.

— ხირჩლაუ! — ემუდარებოდა ბერდია ბიქას. — ერთი ვერა ხედავ, რო ჩარბი წალმა ატრიალდა? სათემო საქშეს საით ელაღატების? მამის ჯივარს წიხლს ნუ დაადგამ...

მაგრამ აღარ სკრის არც რჩევა, აღარც მუჭარა.

აჩრდილ შეძენილმა ქონებამ და დოვლათმა ვაფუჟა ვაჟაკი, ნამუსა შეურცხვინა.

* ამ მოთხრობის ნაწილები დაბეჭდილი იყო მასალის სახით, ახლა იგი პირველად იბეჭდება სრულად.

ის ცოლი ხაზუაიკ პირში გველად ჩაუძვრა და ენის მაგიერ ის არის რომ სისინებს.

ის მიწის მგელი სიმამრიც მის სიღარიბეს შეეფარა, ვეფინა დარბების მთავრობას მოატყუებდა, მაგრამ სად გაგონილა, — შვიდ კაპიტანად და კაცი უჩრდილოდ დადიოდა:

ერთი აჯამი რამ გამოვიდა ეს ბიჭა და რჯულზე ხელაღებული! რაკ ერთი გაიწივის, თვალში ჩინი აღარ უდგას და გულში დანდობა. მოდის მოდიდებულ წყალივით, მოდის აჩემებული და, თუ ეს წყალი, მტრის წისქვილს ამრუნებს, ბერდიას უჩვენავ სათავეშივე დაგმანოს მისი სადინელი, ჩაახშოს იგი, რომ დუშმანის გასახარად კოდში აღარ შუოდეს.

მეორე ბიჭაც აგრევე გოროზია, კუშტი და გაუცინარი.

ის რომ გაიცინებს ცას გული ეხსნება. სიმღერას რომ დასკექს, მთანი ბანს ეუბნებიან...

ძმა რომ ძმობაში აღარ გაერია, შეიჭმუნხნა, ვატეხილი გული ისევ მათია ჯილიკაურს მიანდო, ღვიძლი ძმის მაგიერ მხარში ღარიბი მეზობლები ამოუღვნენ, და ერთაი დაკარგულის მაგიერ ამდენი შეიძინა.

და ახლა ეს ორი ძმა ერთურთს რომ კლდეებივით ეჯახებიან, თემი გუგუნებს და ნაპერწყლები ჩინჩხლებად სცვივა.

2.

ლომისის ხატის დღეობაში ღარიბები არყით ვალეშილ ბობოლებს რომ წაეკიდნენ, ძიძგილში, გაშველებასი უეცრად ხირიში აგრილდა და საწყალი მათია ჯილიკაური სულგავარდნილი მიწაზე გაიშხლართა.

ეს თოფი ღარიბი შწყემსის ძალღია ნაბუურისა იყო.

აყალ-მაყალში, გაწევე-გამოწევაში უცაბედად გაუვარდა და უცაბედადვე მოკვდა ვაქცაცი ჯილიკაური. მერმე რაი, რომ ანახლად დატრი-აღდა ეს უბედურება? სისხლი მაინც სისხლია და ჯილიკაურების სისხლი ვალად დაედოთ ნაბუურებსა.

ძალღია თავს იკლავდა, ჰფიცავდა, მაგრამ ზოგზოგებს მაინც არა სჯეროდათ მისი ალაღმართლობა.

— სისხლი! — ჰვოდებდა დალუპული მათიას ოხერი დედა სანდუაი.

— დალაი!.. დალაი!.. — მოსტქვამდნენ მეზარენი.

— სისხლი!.. — ჰლაღადებდნენ ადათის ერთგული ბობოლები, ღარიბებში სასისხლო შულლის ჩასაგდებად.

— დალაი!.. დალაი!.. — მოთქვამდნენ მეზარენი.

— სისხლი! — ღმუოდა ციმიკაურიანთ ერთგული დეკანოზი ლომისის დროშათა ამაზრეზენ ეღარუნში.

— დალაი!.. — დალაი!.. — მოსთქვამდნენ მეზარენი.

მათია დედის ერთა იყო, ეული და უგვარისკაცო. სისხლის ამლები რომ არავენ იყო, იგი მის ძმადნაფიც ალუდას უნდა ეყუდებოდა.

— სისხლიო!.. — რომ ჩაესმა, ცხედარს თავი მიანცხებდა. წამოდგება შუა ხალხში დაღვა და თვალები უსაგნოდ ააცეცა. ლობდადგმულ ციმიკაურსა და მის გვერდით გამომწვევად მდგომ საკუთარ ძმას თვალი რომ გაუსწორა, უეცრად გონება გაეხსნა, მიხვდა რაც სწადათ.

ხალხი გაჩქურდა.

არსაიდან ჩამი არ ისმოდა.

სადღაც შოლოდ ცხენმა დაიჭიხვინა უადგილოდ.

ალუდა ნელა და უბრად წამოვიდა, შემოჭურულ ხალხს ჩამოუარა და ყველას სათითაოდ აჩერდებოდა თვალეზში, თითქოს ყოველს მათგანის სინდისამდე უნდოდა ჩაეხედა.

ვილაცამ ვერ მოითმინა და ამოხდა:

— რას მიტყერ, ჩე? — მაგრამ ახალგაზრდა ნაზლაიძემ ხმა არ გასცა, თითქოს ცეკვას აპირებდნო, უეცრად შუაში გაეღდა და გულში რატომღაც ორივე ხელეზი მიიყრდნო.

— ხალხნო!.. ჯამაათნო!.. სანამ თევზს დაიჭერდნენ, წყალს აამღერევენ. ჩვენ ხო თევზნი არა ვართ? მაშ სისხლს რაისთვი გვიმღერევენ, სისხლს სახეზე რათ გვაფარებენ და თოლებს გვიბრმავებენ? თოლ გამაახილეთ, ბეჩავნო, თოლ გამაახილეთ!..

ხალხი უტყეროდა და გაოგნებულს ვერ გაეგო რა ბედენა წაეკიდა ვაეკაცს რკინის მკვნეტელს.

— ხალხნო!.. გულის საყორელნო!.. ფიცი რა ვაეკაცის საქმეა!.. თქვენც კარგად იცით, რომ ეს საწყალი ბიჭი ღვიძლ ძმას მერჩივნა, მაგრამ ზრმად გავარდნილ ტყვიას რა დაიჭირავს, ან რა სამართალი მოეთხოვება? უცაბედად მოკლულს ცოდო არ მოეკითხება და უცაბედ მკვლელსაც სისხლი!.. რა ექნა, მათიაუ, მალლით ცაა მოწამე და ძირს დედამიწა, რომ თავს მერჩიენე... რომ ძმა იყავ ჩემი და შგნს ჭირს მიწაზე უბრალოდ არ დაევადავდი...

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა დეკანოზმა არ ახანა, ზიზლით შეუტია:

— მოკლედ მასტერ, ბიჭაუ, მოკლედია!.. რაია, ჭარტალ დიაცივით როსულ ენად გაიკრიფე!..

ალუდამ თავი აიღო.

ხალხს თვალი გაუსწორა.

— სისხლს არ ავიღავ!.. — დაიძახა და ხელი თავის ნათქვამად ჩაიჭნია.

ცა რომ ჩამონგრეულიყო, ეგრე არავენ გაკვირდებოდა.

— ლაჩარო!.. ადათის მოლაღატე! — აღრიალდა დეკანოზი და საკლავის სისხლში მოსვრილი შვილი მუქარით მოიქნია, მაგრამ მახმატა ჩობანმა სიტყვა მაშინვე პირში შეაქრა და თავისი დამტყუარული ქონხული, კომბალივით ტლუდ მოუქნია.

— ლაჩარს, ნუ იტყვი!.. ვაეკაცს ხმალთან გონებაც უჭრის და ლაჩარს მარტო ხმალი! — მეტი რომ ვერ მოახერხა, ლეკურზე გადავიდა.

ბევრი არც ალუდამ დააყოვნა და ახლა ის მიეტივა:

— ჰალუ, ონოფრე! შენი ღალატი წიგნში მაღლად გვიწერია და ჩამოგვეცალე თოლს ნუ გვიბრმავენ!..

დეკანოზი სულმთლად აენტო!

ხალხს რისხვით მოუბრუნდა და, კი არ დაიძახა, დასტყვილა გამწარებულმა.

— ხალხნო!.. ადამიანს რომ ფეხის გულზე ხორცმეტი გამოებმის, თუ არ მოიჭრა, ვერ გაივლის... ალუდაც ვერე არის და მოვიკვეთოთ!..

— შევრისხოთ!.. შევრისხოთ!.. — დაიძახა რამდენიმე კაცმა. დეკანოზმა ხალხს გადახედა და მიხვდა: გატყდა სალაფავი გეჯა და მის კეთილ ცხოვრებას დიდი ხანი არ უწერია. ებტიბარი მაინც არ გაიტეხა, სამღვთოს სისხლით მოსვრილი ხამის თავსაკრავი შუბლზე აიწია და იმათ, ვინც ალუდას შერისხვა არ უნდოდა, გოროზად გადახედა. შერეცალი ხელით დროშა ააგლარუნა, მეორე ხელში კონად შეკრულა ერთი მუჭა სანთელი ერთად აბღლილებული ცად აღაპყრო და ასე შეპლალადა:

— დიდება და უძლეველობა მაღალსა ღმერთსა!

— ომენ ღეთის მაღლსა!.. — ამოიოხრეს მის ირგვლივ მჭიდროდ შემოქრულთ.

— დიდება ღღეისა ღღესა!..

— ომენ ღეთის მაღლსა!..

— დიდება ქრისტიანობასა!..

— ომენ ღეთის მაღლსა!..

— დიდება პირიმზესა და მის თანამგზავრ ანგელოზებსა!.. დიდება და გამარჯვება შენ, ღეთის გმირო კოპალევ... ისმინეთ ლოცვა ჩვენი!.. შემოსწყერით ალუდასა, — მან დაადგა ფეხი თემის ადათსა და გარყვნა იგი! არა მისცეთ არცა ვოჟი და არცა ბარაქა მის ოჯახსა, არცა აკვანში შეილნი და არცა ცხო შემწეობაი!.. უჭირდეს, დააბრმავეთ, მოდიდებულ წყალში გასვლა უნდოდეს, ფონი არ აჩვენოთ. მოუვლინეთ ისაჟული თქვენი და სიცოცხლე გაუმწარეთ!.. არა ჰფარვიდეთ მას არცა გზაში და არცა ომში. გაუწყვიტეთ საქონელი... საჭმელს ხელი გაუწოდოს. შხამად ექცეს, წყალსა სომდეს, ჯამი გაუტყდეს, უყვარდეს, ქვეყანას მოსძულდეს!..

— აჰაი, ონოფრე!.. — ვერ მოითმინა აბღია არაბულმა. ხანჯალს ხელი იტაცა, მაგრამ ალუდამ ხელი ჩაავლო და ისე შეუტია:

— იყურე, ბიჭო!..

აბღია გაჩერდა. წყველის უკანასკნელი სიტყვები მეხივით გაისმა:

— ღვთის გმირო კობალევი, თქვენც ლომისისა, ლეკვეთა და ჯუღანისა, წვერის სპარს ანგელოზისა და ცხო სამასსამოცდა სამი წმინტისა! გაჩერდი, ეს ამოდენა ხალხი გეხვეწებით, ნუ გაუმართავთ ხელს ალუდას!..

გაჩუმდა.

ხმას არავინ იღებდა.

იდგნენ თავდახრილნი.

გამწარებულმა დედამ ლეკვებს მიუგდო ღვიძლი შვილის მოღალატე ძმობილის კბილდანადგამი ძუძუები. ბოძოლებმა დაღეწეს მისი ნახვრები ჯამჭურჭელი, მათმა ფეხის ამყოლებმა შერისხეს თემის მურღალი შვილი.

ცეცხლი რომ გულს შემონთებოდა, წყალს არ შეასხამდნენ, ძალი რომ მისტევებოდა, კიდევე უფრო მიუტევედნენ და კაცი ხომ კაცით არის. ვინც კაცობაში არ გაირია, არც თვითონ გაერია.

გული ტაბარუკ მწყემსებს მიანდო.

— ლარიბი ღვთის გაჩენილია და შიგ კაცის ხელი არ გაირევაო!.. ამბობდნენ უხუცესნი.

— მდიდარი, კაცით კი არა, ღვთის შაღლით არისო! — კვერს უკრავდნენ ბოძოლები.

მაშინ ადგა ალუდა და ეს ღვთისა და კაცისაგან გავერანებული ლატაკები ერთად შეაქურჩა, ბარში ჩასატან ჯაურასავით შეჰკრა და მათია ჯილიკაურის სახელის არტელი გააჩინა.

ყოველი ახალი საქმის გასაჭირი ფეხის ადგმაა.

არტელიც თოხლივით ახლად იმაგრებდა მუხლებს და უჭირდა. ამიტომ მის სარქალსაც ბებერ ბერდიას ზრუნვა ბევრი ჰქონდა და დარდი კიდევე მეტი.

3.

მათაში ნადირი ხომ ბევრია? მტერი კიდევე მეტი.

ბერდიას ლულის პირში ტყვიამიციემულმა ბერდანამ სიარული რომ გაუჭირა, მხარზე მარჯვედ მოიგდო და გზა ისე განაგრძო.

— აჰაი, თიბვის თავიც მოაწია და ჯერ ცელიც არ აგვილეხავს!..

დაბჯღალულ კლდეს რომ აუარა, ბილიკი დასტოვა და გზა პირდაპირ საძოვარზე დაიღო. მუხლებში ბალახი წყალივით ესხმებოდა და რძინი შეუპყა და დიყა შრიალით ეტლასუნებოდა.

ნიავეც რომ გრილად შემოეფოფინა, შედგა, ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი მიუშვირა.

მთის ფერდს არტელის* ცხვარი შეჰფენოდა და მოხუცს გრძელმა იქით გასწია.

ეს დალოცვილი მზეც ამ მაღალში სულ დატკმა და ბერდიას რომ მი-
სი ამოსვლა სხვისა მოჯამაგრობაში ეჯავრებოდა, ^{მზლქ მუღლქ ულ-}
ხენს და რამდენს არ ცდილობს ეს მანათობელი ცხსა, ის მანსც. უმა-
დურია. ბუზღუნებს, რომ ასე გვიან ამოდის და ცაში მუდამ არა დგას.
სამი ფარა ჰყავდა ამხ. ჯილიკაურის სახელობის მეცხვარეთა არ-
ტელს, სამი ფარა და ორი მათგანის საქმე შაბზე მიდის. ბადალაანთ ალექ-
სისა და ძაღლია ნამუღურის ფარებში ცხვარი უღვთოდ წყდება და ბერ-
დიამ არ იცის რა იღონოს.

მანმატა ჩობანის ფარაშიც რომ საქმე ეგრე ცუდად მოდიოდეს, მაშინ
კაცს არ დააბრალებდა...

— შავრცხვით!.. უღვაში შავვირცხვია!.. — ამოიოხრა მოხუცმა.

ახლა აქა-იქ უკმაყოფილონიც გაჩნდნენ!

— ძმას ძმა არ გაუტანავ და მამას შვილი!.. ეგეთ არტელში ხეირო
საით იქნების?..

— არ გვინდა არტელი!.. ღარიბი ღარიბს შევემატეთ და სულ გავლა-
რიბდით!..

— სხვისა საზიარო ყანა კურდღელმა შექამა და ერთად დარეული
ცხორი ტურამა!..

ამბობდნენ წუხელ თათბირზე ზოგიერთები.

აღუდა მარტო რას ვახდება? მარტო კაცი პურის ჭამაშიც ცოდოა და
მით უფრო ამგვარ საქმეში.

რამდენი ბრძოლა, რამდენი ჭაპანწყვეტა გარდახდათ ორივე მამა-
შვილს, რომ ეს არტელი ვაეჩინათ. მარტო გაჩენა რა ბედუნაა! გაჩენით
ბატკანიც ჩნდება, საქმე მისი ვაზრდაა და დავაეკაცება.

ხევის ბერობის საფურო კაცი იყო იგი, პირველი სარქალი და ახლა
საქმე რომ ნამუსზე მიდგა, ეს ამდროული კაცი პირს ხომ არ შეირც-
ხვენს?

ბევრის ბევრი ბატკანი მიუღავ ხელში განთქმულ მცნობს ბერდიასა.
გაუზრდია, თვალის ჩინივით გაფრთხილებია, ულოლიავებია, იალაიდან
იალაღზე უტარებია, უბალახნია მათთან ერთად: ცხორის საძოვარი, მეცხ-
ვარეს ცა, მაგრამ ეს ერთი რომ გამოზარდა მისი ბადალი მთელ დუნია-
ზე არ დადის.

უეცრად ძაღლების ყეფა მოესმა.

ფიქრებში გართული ფარას ისე წასდგომოდა, რომ ვერაფერი გაეგო.

— ძაღლიაუ, ჰაი, ძაღლიაუ! — გასძახა მეცხვარეს.

ძაბილზე ძაღლები კიდევ უფრო ვახელდნენ, მაგრამ რომ მიუხალჩედ-
ნენ, იცნეს სარქალი. კუდის ქიციინითა და თვალის სკურვით წამოვიდნენ
ხელა და მუცლით ახოხებულნი წკმუტუნებდნენ ალერსიანად.

ძალლებს ძაღლიაც მოჰყვა.

— ბიჭაუ, ცხორი ამ სიტყეში დაბლა ჩოო გაგიშვია, ბატარაი ხემოთ არეკდე, მზემ არ მოხალოს!.. — და მერე სიტყვა უეცრად მოუბრუნა: — ცხორი როგორა გყავს?

— ეხლა არა უჭირს რა, შენაი ჭირიმე!.. ოღონდ ეს სატიალე სოვები ჩამომეჩვიენენ და თოლი ვერ მომიშორებია!

— ბეჯითად იყავ, ძაღლიაუ, ბეჯითად! საქმეს ერთგულება უყორს! ცხორი პირუტყვია, უენოა და მისი ღალატი ღმერთსაც ეწყინების და კაცსაც!..

— ჰაუუ, ცხორს საით ეღალატების! — ითაკილა მწყემსმა.

— ჰაი-ჰაი, რო ვერვია! — მოუწონა პასუხი სარქალმა, მერე გამოცდილი თვალით ფარას გახედა და შიგ შეერია. ყოველი მათგანი სათითაოდ ჩამოიარა, დუმები გაუსინჯა. ყოველ მათგანს მამასავით ევლებოდა, ილიმებოდა სიყვარულით. უხაროდა თუ როგორის ერთგულებით სძოვდნენ ბარაქიან საძოვარს.

მათმა ზალისიანმა ძოვამ გული იმასაც გაუხალისა და რამდენიმე წუთის წინ ჩახუფული გული გაეხსნა. სიცილით ეალერსებოდა დაჩემებულ ყოჩებს. ამაყი რქამალალი ქეჩები თავების ჯიუტი ქნევით უახლოვდებოდნენ სარქალს დაღერებული ჯიხვებივით და მის ხელზე, მუხლებზე აქავებულ რქებს ალერსიანად იხრეშდნენ.

ალურსით გული რომ იძლო, ისევე თეოზე გამოვიდა.

— ბინაჩი, რაი ამბოვია? — შეეკითხა ძაღლია.

— რაი ამბოვი იქნების, — შშვილობა! — მიუგო სარქალმა დაგვიანებით და, ქალამნის თასმა რომ ვაისწორა, დაიწყო:

— ძაღლიაუ, ჰაი, ძაღლიაუ, ცხორს არა დაუშავდეს რა, თორო სირცხვილში ჩავცვივით! ნამუსი შეგვირცხვა, ბიჭაუ, ნამუსი და უნამუსო სიკოცხლეს ერთ დღეს სიკვდილი გვირჩვენავ!.. სტალინს უთქვამს პირუტყვს კარგად მოუარეთო!.. შენც იცი, საერთო საქმეს მოვკიდებივართ და ეგეთ საქმეს საით ეღალატების? საშვილიშვილო საქმეს ჩავეჭიდეთ, ძაღლიაუ, დიდ საქმეს და, რომ ვაეწყდეთ, უნდა გავაკეთოთ! ცხო გზა არა გვაქვენ!.. ცხორი მონდობილ ბაღლივითაა და ბაღლს პატრონობა უნდის!.. ის საწყალი მათია რომ უცაბედად შემოგაკვდა, იმის სისხლის მაგიერ ოფლსა გთხოვთ. იმისი სისხლი ერთგული შრომით უნდა ჩამოირეცხო.

ძაღლიამ თავი ჩაღუნა.

მხარზე ვადებული კომბალი ძირს დაუშვა და, მიწა რომ აჩიქნა დაიწყო:

— რაც კაცის ძალაშია ჩავდივარ და... დანარჩენი ღეთის განგებისა!..

— არა, ძაღლიაუ, სტუფი, ყველაფერი ჩვენის განგებობისა! ხეთისაკე ბეჩაესა და წყალწაღებულს უჭირავს თოლი! ჩვენ ხომ არც ერთი ვართ და არც მეორე?..

ძაღლიამ სარჭალს შეხედა და კაცი ვერ გაიგებდა... რა შეხება? მოხედვაში დაფარული: უმწეობა? ზიზღი? თუ შური?

მოხუცს არ იამა ეს თვალეზი, უეცრად კილო შეიცვალა და მკაცრად ბრძანა:

— ცხორი ძალზე გაიფანტა!.. შეაჭურე!..

მეცხვარემ ფარის შექუჩება იწყო. ბერდია ბალახზე მიწვა.

გარიტრაყიდან ერთი არ ჩაუშუხლებია. მახმატას ფარა, მერე ბადალანთ ალექსასი და ახლა ეს. დღე მოსვენება არა აქვს და ღამე ძილი დაიღალა.

წუხელაც თათბირი ჰქონდათ, მთელი ღამე არ უძინია. აღუდა ფიცხია და გამოუტყდელი. თუ მამამ ხელი არ გაუშართა, მარტო რას გახდებოდა? ღარიბებმა დაადგინეს: მის ბოზოლა მძახალს ციმიკაურს ცხორი ჩამართვან და თემიდან გააძეონ. ხვალისა თიბვა უნდა დაიწყონ, შირაქშიც კაცია გასაგზავნი, საზამთრო ბინების სამზადისი აქედანვე თუ არ დაიწყეს, მერე გვიან იქნება, ქისტეთიდან მისტელ კოლმეურნეთა ნაჩუქარ სებარაატორსაც გამართვა უნდა, შატყელი, სატან-საპოხი დამზადებაში გასაყიდად უნდა ჩაიტანონ, ინსტრუქტორიც უნდა ამოიყვანონ, არც კასრები აქვთ საკმაო და ვინ იცის კიდევ რამდენი წერილმანია, აქედან არა სჩანს და საქმეში კი გამოჩნდება!

— ცხორი წყდება, ბერდიაუ, ცხორი გაჩანაგდა! რაც დარჩა, ისიც ჯანდაგია და სად არის შენი გამჭირიხი თოლი და განთქმული გამოცდილება? იქნებ არტელში მტერია ჩამოთესლებული და ვერა სცნობ? სირცხვილი, ბერდიაუ, სირცხვილი! ათას ბატკანსა სცნობ, დედას აძლევ და ამდენ ბატკანში ერთი მგელი რით ვერ გამოიცან?

— იქნებ ძაღლიაა? მოსყიდულია და თოლ არ უჭირავს? — გაისისინა ეჭვის გველმა, მაგრამ შავი ფიქრი კვლავ აიშორა: — რაისთვი უნდა სჩადიოდეს?

ეგრე რომ ფიქრობს, აგერ იქ... რა არის ეს?.. ჭიუხზე, ცისიერზე ოციოდ ბოზოლა ბაყბაყ მდევებივით გამოჩნდნენ. სახეს წამითწამს იცვლიან და დგანან თულებივით ზვიადნი, კუშტანი და გაუცინარნი.

შავი ნაბღები ყურებამდე წამოუსხამთ... დგანან და ელიან, ვის?

დგანან და ბედიდათ, ყრანტალებენ, ყრანტალებენ და ხმა არ ისმის, ჩხავიან და ვაგონებამდე არ აღწევს. ხრჭიალებენ და მაინც დუმილია. დუმილი სულთქმის შემტაცებელი.

თვალეზი სისხლითა აქვთ ვატენილი და საზარლად ჰკარკლავენ.

ერთ მათგანს, დაწინაურებრით რომ მოდის, სახე ანგელოსისა აქვს, პირი სისხლიანი და ფეხებზე თითო მტკაველა თუჯის ბგლილი დაულრქე-

ნია... ბჯღალები სიბ ქვაზე ჯღარუნობენ, და არც იმისი ალწევს-
ყურთა სმენამდე.

ერთი ციმიკაური უნდა იყოს, მეოჯრე დეკანოზი აფშინაი, მესამე ხირნ-
ლაი, მეოთხე, მეხუთე, მეათე...

— სისხლი!.. — ისმის. არა, არ ისმის, იქ, შიგნით, გულში რეცხ
რაღაც.

— დალაი!.. დალაი!..

ისინი, როგორც ცის ღრუბლები, ისე იცვლიან სახეს. ხან ერთერთს
ემსგავსებიან და ხან რაღაც საშინელ პირსისხლიან ფრინველებსა.

რომ მოდიან, ალბათ, თუჯის ბჯღალები თუ ამძიმებთ, ან ფეხები თუ
სტკივათ, ან სიარული არ ეხერხებათ, ფორზილობენ და გაშლილი ფრთე-
ბით თავს ძლივს იჭერენ. მერე ნელი ფარფატით წამოვიდნენ და მათმა
გაშლილმა ნაბდებმა მზე დააბნელეს. ციკაბოს რომ მიუახლოვდნენ, ვად-
მოეშვნენ, ოდნავ ძირს დაიწვივნენ და გამოქანებულებმა ტანი რომ აი-
ტანეს ლალი ყრანტალით წამოვიდნენ. და რამდენი უახლოვდებიან, იმ-
დენად კაცის სახეს ჰკარგავენ, რაღაც ხაზარელ ფრინველებს ემსგავსე-
ბიან.

— არწივებია?

— არა!

— სეავებია?

— არა!

— იქნება ფასკუნჯებია, ზღაპარში განაგონი?

გამოელევიძა.

ზედავს.

რა არის ეს?

თვალეები მოიშმუნა, — ისევ ის არის. თითქოს სიზმარი ცხადში
გრძელდებოდეს.

ოციოდე კაცისოდენა სევას ცხვარისათვის ირგვლივ წამოუვლია და
მოდინ ფრთაგაშლილნი, ტიტველი ყელი სისხლის წყურვილით დაღურ-
ჯებიათ. მოდიან დახუთულ კაცებივით, მოყვიან ამაზრუნად და თეთ-
რად გაპენტილ ფარას მრუმეთიდან ამოსული ბნელი სულებივით უახ-
ლოვდებიან.

წუთით ძაღლიას ნათქვამი გაახსენდა:

— ეს სატიალე სოვები ჩამომეჩვივნენ!..

იმასაც უნახავს ამ რამდენიმე წლის წინათ ლეკის მთაში, მაგრამ ამ-
დენი არა.

ცხვარი აიშალა, აირია და ერთ ადგილას შეჩოჩოლდა, მერე დაფრ-
თბა და გაქანდა:

სეავებმა ალყა უფსკრულისაკენ გაუხსნეს და მისდევენ გულის შემზა-
რავ ყრანტალით, მიერეკებიან ფრთათარბევით და მათგან მოქნეული ნია-
ვი ჰბერს ოდნავი ლამუნით.

ბერდია უფსკრულთან დგას და ზარდაცემული ცხვარი მოკბის მისკენ თვალარეული. ისმის თქრიალი და ტაშის ცემა. ეს — დემები ტყაპუნობენ მათ გაეაზე. ტყაცუნი კიდევ უფრო რევს პირუტყვის გამაგებს.

— ძაღლია სადაა, ან ძაღლები საითაა? — გაუფრთხილდა; მეცხვარე დგას არხენინად, ძაღლები ხელით გაუკავებია და უცქერის, თუ როგორ უნდა გადაყარონ ეს ამოდენა დოვლათი სეავებმა უფსკრულში.

ახლა კი მიხვდა ბერდია, თუ რა სჭირს ცხვარსა, იმასაც მიხვდა, თუ როგორ უტაბედად დაიღუპა საწყალი მათია ჯილიკაური.

ბრაზი ყელში მოეზგინა.

თოფი გადმოიღო და რომ გამოუმოხნა, ძაღლიამ მხოლოდ ახლა ჰკიდა თვალი, ეგონა სარქალს ეძინა და ხელები უმწეოდ აიჭნია, ძაღლებმა თავი აიშვეს და სეავებისაკენ რომ გაქანდნენ, — ღმერთო მაპატიე!.. — ამოხდა მოხუცს და სროლაც გაისმა.

სეავები დაფრთხნენ, ჯერ ნელა, ნიავისაგან ატანილ ქალაღდის ფერფლივით, პაერში ზანტად აიწონნენ და მძიმე ტანი ძლივს აითრიეს, კარგად რომ გაქანდნენ, ფრთები ღონივრად დაარხიეს, სივრცე უხვად მოხაპეს და თავისივე ფრთებით მოქნეულ ნიავს ტორტმანით აპყვენენ.

ძაღლია მიწაზე ეგდო.

სიკვდილს ებრძოდა.

4.

— აპაი, ბეჩავო!.. — ამოიოხრა ბერდიამ — შენივე სისხლი შენზედვე გამზდარა, შენივე ბაღლია მოსისხლედ მოგკიდებია, რად ღირს შენი სიცოცხლე? — და როცა ფიქრებით სისხლის გზას ვაპყვა, თითონაც ფიქრს აედევნა.

— აბაიძე!.. — ამოიოხრა გულის სიღრმიდან.

ეს — ძაღლია გაახსენდა, შუბლის ძვალი რომ ტყვიით შეუნგრია და მის სახლში გაერია. მაგრამ მოღალატის მურდალი სისხლი რა ბედენაა? შედგა.

ბიჭები ჩამორჩენილან.

— რაი დაყოვნების დროა? დღესვე თუ ბინაჩი არ აღსწრეს, მაცნემ ამბოვი მოიტანა, ამაღამ საჩაჩროში გაიპარებინ და შერე წა და სდიე ქორს ქიუხებში.

კაჭზე მოუთმენლად ჩამოჯდა.

შეიცადა.

რომ წამოეწიენენ, თავი საყვედურისაგან ვერ შეიკავა:

— ვიაროთ, ვოყებო, მგლის ფეხი გამავეიბათ და ისე ვიაროთ, თორო მზე გადიხარა და ვერ აღსწრებთ!.. ბინაჩიც უნდა ავიდეთ! რაია ჯანდაგ ცხორივით რომ მოხვალთ?.. ხატობაში ხომ არ მიედივართ, ან სახუმაროდ?

— ხუმრობა საით იქნების!.. — ითაკილა აბღია არაბულმა და ფეხს აფრქვარა: — რაი სახუმრო საქმეა? მასხარა არც ჩვენა ვართ და არც ის შენი ბაღლია.

— ჩემი ბაღია! — ამოვიგინა ბერდიამ სიმწარით. — ჩემი ბაღია! ნუ უბნობ, ჩე! რაი მან სათემო საქმეს უღალატა, მამის უფროს ფეხი დაადგა. — არაა ჩემი ბაღია! მისი სისხლი მე არ მეკითხებო, მისი ტყვილი მე არ მტკივა! მე ის გულითგან ხორცმეტკივით მომიკლევია და, ხალხნო, მეზობლებო, ამ მოგლეჯილ მურდალ ხორცს ნუ შიარავთ ისეც პირში. გველის წიწილი მიშობია და გველი გამომიზარდია, ამიტომ ნუ მაიღიხართ ეგრე გულდანდობით! თქვენც იცით ხირჩლა ჯაბანი არაა. კაცია და გამწარებულ კაცს გონება უბნელდების. ვინც ასეთ კაცს გულდანდობით შახედება, ნახევარი ბრალი იმისია.

— არც ჩვენ ვართ დიაცნი! — მოუჭრა სიტყვა აბდია არაბულმა.

— ჰაი-ჰაი, რომ არა ვართ! — ხმა დააწიეს დანარჩენებმაც. — შავგხდება — შავგდებით! მანდილით არც ჩვენ დავიბურავთ თავსა! კლდე კლდეს ეჯახების და კაცთა ჯახი რაი ბედენა!

ახალგაზრდა ნაზლიძე ხმას არ იღებდა.

ყად აწოწილი მახმატა ჩობანი ყურს უგდებდა მით, მაგრამ ენა არ ემარჯვებოდა და ყაყანში ჩარევას ვერა ბედავდა. არა და მოსწყინდა დუმილი.

უკან მოიხედა, — ალუდა დაღონებული მოდიოდა.

ძმაკაცი ამ დღეში რომ დიანახა გულს მგელივით შემოეჭირა რაღაც-მერე რა, ტანად რომ დიდი იყო და ტლანჭი, შეხედულეზაც საშინელი და ტლუ? გული არაეწივით ჩვილი ჰქონდა და უხეშად ალერსიანი. ბიჭებს ჩამორჩა. ალუდა რომ წამოეწია მხარი უსწორა.

— ზნელია, ალუდი, ზალიან ზნელი!.. — ჩამოუგდო სიტყვა.

ალუდამ ლეკს ალერსიან თვალეზში შეხედა და უნებურად გაუღიმა.

— ვიცი, ალუდი, ვიცი!.. — და მეტის თქმა რომ ვერ მოახერხა, ამოიხრა. თავი სიმწარით გაიჭნია და ბომბორა ქუდის გრძელი ბეწვებისა-ხეზე რომ ჩამოეშალა, თავის გაქნევითვე უკანვე გადიყარა და ისე განაგრძო: — კიზილ საქმე, ალუდი, უუ, ზალიან დიდი საქმე!.. კიზილ საქმე უსისხლოდ არ გაკეთდების!..

ალუდამ ხმა არ გასცა.

თვალი თვალში გაუყარა და მით უთხრეს ერთი მეორეს ყველაფერი: დარდი, ზრუნვა, თანავრძნობა, საქმის სიძნელე და გაჭირვება.

— ალუდი!.. — დაიწყო ისევ მახმატამ — ზმამ გიღალატა? აი მე შენი ზმა... შენი დუშმანი, — ჩემი დუშმანი!.. ჭოყანა რომ მოვიდას, მეც მივალ!.. ზმისთვის... ამხანაგისთვის!.. ვალლაპ!.. — მეტი რომ ვერ მოახერხა, სიტყვას კომბალი მიაშველა და წინდის ჩხირივით ჰაერში მოიჭნია.

ალუდა მზეზე დადგმულ კარაქივით დაღნა მშობილის ამ სიტყვებზე. მახმატამ თავი უხერხულად იგრძნო და სიარული აქლემის ძუნძულად გადაეჭკა. ძუნძულში გზად დაგდებულ ქაქს ფეხი წამოსდო და წაფორზილდა. დახედა, რატომღაც ხელში აიტაცა, ბატკანივით გულში ჩაი-

კრა. მერე ძმობილსიაკენ შემობრუნდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ არა სთქვა. უენობითა და საესე გრძნობათა გამო უმწეო მდგომარეობაში ჩა-
ვარდნილი შეწუხდა. ოთხად მოიკეცა, მაგრამ გულში სულელურად
ჩაკრულმა ლოდმა შეღავათი რომ არ მისცა, დახედეს მტყუნი კვატინა
რომ ეს ამოდენა ლოდი გულში ჩატკრავს. უცნაური თინით მოიქნია და
ხევში გადაუშვა. ჭაჭი ჯერ ნელა და სწორად გაგორდა, მერე გაქანდა
და აგერ იქ დაწოლილი კამეჩის ოდენა კლდის ქიმი რომ იყო, იმას ზედ
გადაახტა და წავიდა ღრანტეებში გრუხუნით, თან ჩაშვავებული ღორღიც
წაიყოლა. გრუხუნი იგი წავიდა ორწოხებში დამფრთხალმა სვაემა დაიჩ-
ხავლა და წავიდა ტორტმანით. მალე ტანი გაიმართა და იქ, მალლა, ტიტ-
ველ კლდეს რომ მუხლი საძოვარში ლეგად გამოეყო, იმაზე ჩამოჯდა.

5.

წინ წასულებს რომ წამოეწივნენ, ბილიკი ვიწრო იყო და აბდიამ
გვერდზე მიწვეით აღუდას გზა დაუთმო. მერე უკანიდან მხარში ხელი
დაჭკრა და ისე მიმართა:

— მაი, ბიჭაუ, შინ წა! საქმეს უშენოდაც მოვაგვარებთ. მამაიც თან
წაიყვა. ცხო რა იყოს რა, ძმა ხარ და ძმის უბედობაში ძმისავე ხელი არ
გაირევის.

— პაუუ!.. — შორს დაიჭირა აღუდამ და ხელი ჯიუტად ჩაიქნია.

— ბაღლი ხარ, ბიჭაუ, ცოდო ხარ, დამიჯერე! ერთის სისხლისან
ხართ, ერთის დედის შობილი!.. — წამოეშველა აბდია არაბულს გივარ-
გი გაგაიძეც.

— სისხლი! სისხლი!.. — ჩაიციხა თუ ჩაიგმინა ნაზღაიძემ, კაცი ვერ
გაიგებდა. — სისხლი! წურბელაის რომ იარაზე მიიყრი და სისხლით გააძ-
ლებ, იმასაც შენი სისხლი უდგას მაშინ, მაგრამ ის ჯერ კაცს არ დაუნდ-
ვია და შე საით დავინდო?

— მაინც ძნელია!.. კაცნი ვართ!.. — სცადა ერთხელ კიდევ აბდიამ
დათათბირება.

— ჩამომეხსენით, ჩამომეხსენით!.. კაცნი ხართ, თქვენ ურჯულოე-
ბო, ქვა ხომ არა ხართ? — და ხელები ისე დასავსავა, თითქოს მანენს
იგერიებდო. ფეხის აჭარებით ჯერ იმათ გადაასწრო, მერე მამაც ჩამოი-
ტოვა უკან და წინ დაწინაურებით წავიდა.

სხვა რა გზა ჰქონდათ? ისინიც ჩამოესხნენ. მაგრამ ბაღლაანთ აღეჭა
წერამა და უჭკუობამ ერთად აიტანა, გაცეცხლებულ კაცს მაინც არ მო-
შორდა და ენა წაიგრძელა:

— რათა ხარ, ბიჭაუ, ეგეთი კერაბი და გაუგონარი? მაი, მაპტყდი,
ძმას სასისხლოდ ნუ გადაეკიდები. ჯერ მალლიას სისხლიც ვალადა
გდევთ და ეხლა ლეიძლი ძმის სისხლშიც ნუ ერევი.

აღუდა ბრაზით გაფითრდა. სახე ჯერ კალმანივით აუფოროვდა, მე-
რე სიმწარით ქვემო ტუზი მიიკენიტა და თვალეზი რისხვით შეანათა.

უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ბოღმა და ლოშქრი ყელში ერთად მოგბჯინა და, სული რომ ოდნავ მოიბრუნა, შეუტია:

— შენ, პაი, ბიჭაუ, თოლ მტრისაკე ნუ გიჭირაეს!.. ცხორი რო უხეთოდ გიწყდება, გირჩევენაჲ იმას მიხედო, თორო გულს გეჭმენა — რამ შემპარეია და... თუ მართლა ეგრეა, სული წმინდა გიეარგის შეხედრე!.. გირჩევენაჲ ძალლიასებ თოლ არ დაგიბრმას, თორო არც შენ გაგიტანთ!

ბადალანთ აღექსას ხმა ჩაუწყდა.

თავი მხრებში ჩაიწია და ეს თავი, უკანიდან რომ შეხედაელი პირდაპირ რუსულ მაზარაზე იყო დადგმული.

ის ბაითალმანი ნაზლაიძის ბოკვერი ისედაც ავი ძალლიევით იყო აღრენილი და ახლა ესეც რაღას ჩაეჩარა!

ერთხანს მიძუნძულებდნენ ჩუმიდ მგლის ნაბიჯით მთის ბილიკზე.

გზაზე გადმოწოლილ საჯიხვე კლდეს რომ შემოუხვიეს, ზედ შემოქდარი სვაევი, წელან რომ მახმატამ დააფრთხო, აფრინდა და იქით წაეიდა, სადაც ხირჩლას ცხორი მთის კალთას ნისლივით შეჰფენოდა.

ბერდიამ ცხორს გახედა.

ფარა ერთგულად სძოვდა რძესავით ბალახს და მხარზე კომბალგადებული მეცხვარეც წინ უდგა. მწყემსმა რომ სტუმრები დაინახა, შებლზე მზე მოიფარა და ისე გამოხედა. რომ იცნო, ერთ ადგილას უშნოდ დატრიალდა, არ იცოდა რასა სწყეოდა. ერთი დაუსტენა და რატომღაც ფარა აქეთ იქით გაჰვანტა, მაგრამ მერე ისევე სასწრაფოდ შეაქუჩა და გაჩერდა.

იღვა და უცდიდა.

მაგრამ ამ სამგლე დოლის თავმა არ მოუსვენა! აქაგებულ რქებს პატრონის მუხლის თავზე რომ იხრეშდა, გარინდებული ხირჩლა დარყეულ კბილივით ირზეოდა.

— იქით, შე სამგლევ შენა!.. — შეუტია ხირჩლამ, მაგრამ ცხვარმა რომ მაინც არ მოუსვენა, წიხლის კვრით იქით მიაგდო და საცემ მანძილზე რომ მოიმარჯვა, ახლა კომბალი წამოუტიალა.

ცხვარმა კომბალი არად ჩააგდო, ერთი დაიფრუტუნა და შეკუნტრუშებული დუმის მძიმე რწევით დოლებს შეერია.

ხირჩლა ისევე ისე იღვა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

ძალლებმა უცხო ხალხი დაინახეს თუ არა, იქით გაქანდნენ და თეოს მოახლოვებულებს ზედ მიეტივნენ.

— ასგამ!.. — შეუტია ბერდიამ. ძალლებმა სარჭალი იცნეს. ბოდიშიანი წკმუტუნით გამოჰყენენ სტუმრებს პატრონისაკენ.

— გამარჯობა!.. — მიესალმა მისვლისთანავე ბადალანთ აღექსა.

— გაგიმარჯოს! — აღრიალდა ხირჩლას ხმა ქვაზე დაკრულ ტავანასავით. ცოტაც შეეყოყმანდა და: — მოზრძანდითო!.. სტუმარი ზეთისაა!..

— რაი სტუმრობისაა!.. — მიუგო უკმეხად აბღია არაბულმა. ალუდას გულმა არ მოუთმინა, არაბული უკან დასწია და ისე სთქვა კუშტად:

— კარგად იცი, ხირჩლაუ, რომ არ გვესტუმრების და რატომ ფუქად რად იბეჩავენ? — განრისხებულმა მეტრ ვერ მოახერხა და ცხელით ანთებული თვალი თვალში გაუყარა.

— აბაიშე, ბედშაო შენ ჩემო თავო, თავს რაისტუმრებენავენბდე? — იწყინა ხირჩლამ. — აღათი ასეთია და აღათს საით გავაქცევით? თუ სტუმრობა არ გინდათ, რაი შემრე, მაი, მიმტრეთ!..

— ბევრი ლაპარაკი დიაცის საქმეა! — ჩამოვრია დავაში ბერდიაცა. — დიაცნი არც ჩვენა ვართ, არც შენა და არც ის შენი სიმამრი! ენის ძალლის კუდივით ქნევა რა ვოვის საქმეა? საქმეს დაყოვნება არ უყორს, პირდაპირ დავიწყით!

— ბრძანე, მამაისი! მიბრძანე და, როგორც შენი ნება იყოს, სამართალიც მამიჭერ!..

— პაი-პაი, რო გიბრძანებ. სანამ ძალა შენკენ გეგონა, სამართალს მე მიჭრიდი და ეხლა ჩემკენ რო არის მე მაჭრევენებ, არა? მაშ ჩემი სამართალი ეგრე სჭრის: ცხორი უნდა ჩამოგართოთ! გეყო, ბიჭაუ, გეყო, რაც ილაღე, ეხლა ჩვენც გვინდის, რომ ჩვენის ჯაღვით გავლადდეთ! ხალხნო, რას უდგებართ? მაი, ცხორი დათვალეთ, თორო დავეციანდით!..

ბიჭებმაც ბევრი არ დაყოვნეს, ცხორს შეერივნენ.

თელა რომ დაიწყეს, ბერდია შეიღს შეეკითხა:

— ჯალაფნ საით გყავნ?

ხირჩლამ მთის გადასავალს უსიტყვოდ გახედა. მთის ბილიკით ყულანა აკეცილი ცოლი ძირს ეშვებოდა.

ჭალმა ხალხს თვალი მოჰკრა. შეჩერდა... მიხედა ვინც იყვნენ. უცრად შებრუნდა და ბინისაკენ დამფრთხალი შიშაქივით გაიქცა.

— ბიჭაუ, რაია უწნოდ რომ გარეტებულხარ? — შეუტია ბერდიამ მტირალ შეიღსა. — იქით გაეცალე, თვლას ნუ უშლი!

ხირჩლა იქით მიიწია, კომბალს ორივე ხელით დაეკიდა და უცქეროდა როგორ თელიდნენ მის ცხორს, და თვლითვე იბარებდნენ. მახმატა ყოველ ცხვარს სათითაოდ ამოწმებდა, ღუმელში სიმსუქნეს უსინჯავდა და უხაროდა, რომ არტელი თავის დანაკარგვით კვლავ მდიდრდებოდა.

ხირჩლა იდგა და უცქეროდა ხმისამოუღებლად. არ უნდოდა მტერს მოტეხვა შეემწნია, მათ შესაბრალისად მოქცეული და თან იქ, შიგნით, გულს სისხლი მდღულარესავეთ ევლებოდა.

მიდიოდა ხელიდან, მიდიოდა ეს ხელის გულზე ნალოლიაეები და ნაიალაღარი ცხორი. მიდიოდა სოფლის ღარიბების ოფლითა და ცრემლით მონაგარი დოვლათი ხელიდან. მიდიოდა მისი ძალა. ამ ცხორით იყო იგი ვოვი და კაცი და ახლა მტერს მიჰყავდა იგი, ღუშმანს მიჰქონდა. დღეს დილით ჯერ კიდევ ძალაში იყო, აი საღამოც არ დამდგარა და დარჩა გლოვილ თითივით, დარჩა გავერანებული. აპაი დედასა, არ დასცალდა, თორო ეს ერთი დღეც და საჩაჩნოს რომ გადავიდოდა, ვინ იქნებოდა შემრე მისი დამჩაგრაი?

დათვლას რომ მოჩინენ, სარქალი შეიღოს შეეკითხა:

— ბიჭო, ცხორს აკლია... ხო არ დახკალი?

— რაი ვიცი, შენაი ჭირაიმი! რაც მყავდა ეგ არის... და ბატარაი მაშინ დამაკლდა...

— გარეკეთ! — ბრძანა მოხუცმა ხელის ჩაქნევით და, მწყემსებმა ცხვარს გასარეკად რომ წამოუარეს, ხირჩლამ მეტი ველარ შესძლო, ხანჯარს ხელი შეაელო და გაქანდა. უნდოდა თავისი ცხვრები თვითონვე დაეზოცა, მაგრამ ჭაქსა და ჭაქს შუა უმწეოდ გაჭედელი ბატკანი რომ დაინახა, შეჩერდა... ბატკანი გაანთავისუფლა და მიწაზე ნელა დასვა.

ნახევრად ამოღებული ხანჯალი ჭარქაშში ჩააგო და ნელი ნაბიჯით ფარას შეერია. მერე ერთი ლალად დაუსტენა, დაუსტენა ისე, თითქოს უკანასკნელად სტვენდა და, შუა ფარაში რომ მოექცა, გაჩერდა.

ცხვარი სათიბივით ბიბინებდა, თეთრი ნისლივით ბოეირებდა მის ირგვლივ და, მწყემსებმა რომ შემოუტრეს, ნიაგწამობერილი თეთრი ნისლი დაიძრა ადგილიდან, დაეშვა ძირს, ბილიკისაკენ.

ხირჩლა დგას და ეს თეთრი ნისლი ელამუნება მის ფეხებს. ზოგი ბალახს ჰკორტნის, ზოგი ბლავის და ამხანავს ეძებს, ზოგნი ერთი მეორეს აჯღებთან და მიდიან, მიდიან ქვექვეით, მძიმე ღუმებს გულის გასახარად მიარწევენ, და აი, როცა დოლის თავმაც ჩაუარა ისე, თითქოს ის პატრონი კი არა, ვილაც უცხო ვინმე ყოფილიყოს, თავი ველარ დაიჭირა და აბლავლებული ზედ დაეცა. ყოჩმა ვერ გაუძლო მის სიმძიმეს, ტორებ ქვეშ გამოუძვრა და, თავი ლალად რომ დაიგულა, გაქანდა წინ წასულ ფარისაკენ.

— ვაიმე, ცოლო და შეილო!.. — ბლაოდა იგი. — ვაი შენ, ჩემო ბედ-შავო თავო! მშვიდობით ჩემის ხელთ მარილნალოკო ცხორო და ერთ-გულად ნაგროვებო დოვლათო! მშვიდობით, ჩემო იალაღებო, ჩემო შირაქო, ლეეის მთავ და თრიალეთის ზეგნებო! მოსთქვამდა იგი, მაგრამ ბერდია ნაზღაიძე არც ისე გულნედლი იყო, რომ მოლაღატე შეილი შეპბრალებოდა.

— სუ, ჩე!.. — შეუტია, მაგრამ ბიჭამ რომ არ გაუგონა, ტარავალში ხელი ჩაპბლუჯა და, ფეხზე რომ დააყენა, უბრძანა:

— გაგვიძელ. ბიჭაუ! ბინაჩი გაგვიძელ, სატან-საპობიც უნდა ჩამოგართოთ!..

ხირჩლა გაყუჩდა, აიბუზა და ასე მოჩილი და მხრებ აჩეჩილი გაუძლვა წინ მამასა და ძმას.

მაგრამ ბებერ მგელს რა გამოეპარებოდა, გუმანი უცებ აიღო. გააბსენდა თუ როგორი ფუსფუსით გაიქცა ბინისაკენ მათ დანახვაზე წელან მისი რძალი ხაზუაი.

ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არ ასტკივა და არტელის მწყემსებს მოუბრუნდა:

— ცხორს ბატარაი ძირს ჩარეკდეთ... და შალე თქვენც იქ ამიდიოთ!..



ხირბლა გზად შედგა. ქალამნის თასმა მკიდროდ უჭერდა და
ბერდიამ შეიღს მოხედა და მოუთმენლად დაუბრალებდა:

— ბიჭაუ, ჰაი, ბიჭაუ, მაი ბატარაი ფეხს უჭარებდე!

— მოვდივარ, მამაისი, მოვდივარ!.. — და მგლური ძუნძულით მამასა
და ძმას კვლავ წამოეწია.

ბერდიამ უფროს შეიღს ყურადღება არ მიაქცია, უმცროსს საყვედუ-
რიანი კილოთი მიმართა:

— ბაღდაუ, ერთი შემომხედე, — დავბერებულვარ, ჰაღარა მომკი-
დებია, ამდროულ კაცს სიცრუეც დაეჯერების. ჭეა არ მიკენებია, რკინა
არ მიღეკია, თორო ცხო არა დამკლებია რა. მტერი რო მტერია, შენს
კაცობას ის დაინდობს, დუშმანი ნამუსს შეგინახავს და ჯილაგის მოლა-
ლატი კი არ დაგზოგავს. რჯულის გამტეხი მუხთალია და გაუტანელი,
ჭვიდან ჭვამდე უნდა მიჰყვე, რო არ აიტაცოს და უკანიდან თავი არ
გთხლიშოს.

— რაისთვი უბნობ, ჩე? — გაითცა ალუდამ. — თუ, არ მენდობი?

— არა, ბიჭაუ, უნდობლობას რას გემართლები! — მიუგო მამამ და-
მამშვიდებელი კილოთი. — იმ ჩენი ხაზუაის უნდილ ჭეცეაზე გულს გუ-
მანი რამ შამეპარა და ჯიგარს ციკასავით მბრწყალავს. ქეფად ნუ მაი-
ღიხარ, იარალი მზად გქონდეს. ერთი წყალსაც წასთვლემს, ძალსაც
წაეძინების თეოზე და მტერმა ლული არ იცის. შენც იცი, ჩემი თქმა არ გინ-
დის, ის ბაითალა ჩემი მძახალი არც ეგრე ადვილად მოჰტყდების. ბრიყვს
რო ჭკუა არ გაიტანს, ჯაბნობას ფათერაკს დააბრალებს.

— მემრე რაი, ჩენ ხო ბრიყვნი არა ვართ?

— არა, ბიჭაუ, ბრიყვნი საით ვიქნებით, მაგრამ გაუფრთხილებელი
კაცი, მტერს კი არა, მოყვარესაც ვადამიტერებებს, მუხანათობას აფიქრე-
ბინებს.

— ვიცი, მამაისი, ვიცი! — მიუგო ალუდამ თავილით და უკან და-
ცურებული ნაგანი წინ წამოსწია, სარტყელზე ხელმარჯვედ მოიგდო.

— ეგრე ნუ უბნობ, ბიჭაუ! ჭიას რო ვაამწარებ, ჭუსლს დააქურ, ისიც
კბენას ვაგვიბირებს. კაცი რო დოვლათით არის და დოვლათს გამააცილი,
ისიც შემოგიტევს.

— აბაიძე, ბედშავო, შენ ჩემო თავო! მაშ მე კაცობაი აოა ვრევი-
ვარ! — ამოიოხრა ხირბლამ. — ალუდაუ, ჰაი, ალუდაუ, მტრად რად გა-
მიხდი, ჩვენ ხომ ერთაი დედის მუცლით ვშობილვართ? მამაისი, ჰაი, მა-
მაისი, სასისხლოდ რად ჩამამეკიდე, შენს ნაშობს მტრად რად ჩამამიდგე?
რაი ვიცი, რაი ვიცი, მე ბედშავმა, მეგონა მამაი იყავ, მშობელი და თურ-
მე მტერი ყოფილხარ!

— ჩემი შობილი რო ხარ, გულს ეგ მიკლავს, ჩემი ბაღდაი რო ხარ,
სიბერეს ეგ მიმწარებს, თორო რას ვინაღვლიდი!.. — ამოხდა მოხუცს სი-
ნანულით. მერე კისერი რისხვით მოიღერა და შეიღს ისე შემოუტვია:

— შემრე რაი რო გშობე?.. შობასაც მამუნათებ? შენ შობას, ქვა შეშობა, არად ჩავაგდვდი. შენ შობას, გველის წიწილი რო შეშობა, ის მერჩივა. საკბენად რო მოიმართებოდი თავს ქუსლზე, ივესუტედი და შენი ცოდო კაცის ცოდოთ არ დამედებოდა. გ. ბ. ჯ. ი. მ. მ. მ.

— ალუდაუ, ჰაი, ალუდაუ, — დაიძახა მუდარით ხირჩლამ. — ერთაი სიტყვა მტერსაც დაეჯერების და ეს ერთაი მეც გამიგონეთ! ერთის სისხლისანი ვართ, ერთის ჯილაგისა და მტრის გულის გასახარად ნუ მომაქცევთ!.. რაია, სოფლის ენის საბრუნავს რო აპყოლიხართ!..

— შენ ეი, ბიჭაუ!.. — შემოუტია ალუდამ. — ენა საბუღიოთ ნუ წავიგვდავ, თორო... გირჩენავ უბრად იარო და ის ჩენი ოფლით მონავარი დოვლათი, სახლი რო ყელამდე აგვისია, ნებით ჩავვებარო. რაც ჩვენთვის ძალით წავიგლეჯია და შინ მიგიტანია, ძალითვე ვაგიტანთ! გულში ნიავად არ გაივლო, რო ძმობით ვაგიტანოთ. ჩარჩი და მაწაუკი ძმაც და გადამთიელიც ერთია. რაი შენ ლატაკი მწყემსისა და მოჯამაგირის ჯილაგს ფეხი დაადგი, ღარიბის ჯამს წიხლი დახკარ და სახვრები წაპმურდღე, ჩვენობა არ გეთქმის. იმ დღის შემდეგ, რაც შენ იმ შენ ბობოლა სიმამრს ბურჯად შეუღდე და შენც ვაბობოლაედი, შენი მტერი, ჩენი მოყვასია, ღვიძლი ძმაა და, აბაიმე, ბედშავო შენ, ჩემო თავო, ღვიძლ ძმას საით ელაღატების!

— ჰაი, ალუდაუ, ჰაი, მამაისი! — სცადა ერთხელ კიდევ გაკერბებული მამისა და ძმის დათათბირება ხირჩლამ! — ყური მიგდეთ, ერთაი სიტყვა ჩემიც შეისმინეთ! კაცნი ხართ, ქვა ხო არა ხართ! ჩემ ცოდოში ნუ დგებით, კაცობაში ნუ გამომწყვეტთ!.. — მაგრამ არაფერი რო არ ვაუვიდა, ხელი უსასოოდ ჩაიქნია, და თავდახრილი, წინ წავიდა, მაგრამ მამამ მხარში ხელი ღონივრად დაჰკრა და ისე შემოაბრუნა.

— ჩენა ეცოდავთ? — დაიღმუვლა გაცეცხლებულმა ბერიკაცმა და მოლაღატე შვილს რისხვით აგიზგიზებული თვალები სახეში მუგუნულებივით შეუფიცხა! — მაშ ჩენა ეცოდავთ? ჰაი ჰაი, რდ ღმერთი მართლაც არ ყოფილა ამ დღნიაზე!.. ჩენი ჯიქნებივით პოხიერი და შალდაყინი იალადები რო ძალით მიგქონდათ და ჩვენ ცარიელაზე გეტოვებდით, საით იყო მაშინ ეგ შენაი ცოდო-მადლი? სათიბს რო ქრთამითა და უსაპართლობით გვართმევდით, საით იყო მაშინ ეგ შენაი ცოდო-მადლი? ჩვენს სარჩო-საბადებელს, მატყლსა და სატან-საპოხს რო ჩარჩობითა და თამასუქებით ხელში მუქთად იგდაედით, საით იყო მაშინ ეგ ცოდო-მადლი? ა-არა, ბაღლაუ, ა-არა, შენ მართლაც არა ხარ ჩემი შობილი. კაცს რომ გველი ეშობოს არ გავონილა და შენ გველი ხარ, ხეთის მადლმა, ნამდვილი გველი. ა-არა, შვილოსან, ჩემი შობილი ბოკვერი მაგვარის ენით არა ჰყბუდავს, მტრის ენით არ იგესლების!.. — დაუძახა მოხუცმა გულის გამემირავი დადადისით და, სული რომ მოითქვა, სიტყვა ისევ შემოუბრუნა:

— ბიჭაუ, ჰაი, ბიჭაუ! გეყოთ, რაც შენა და იმ შენმა მწერებმა სინამრამე წურბელაივით სისხლი გვსუტეთ. შაბაშ, ვათავდა! რქვენ დროებს დედა მოუყვდა! არ იფიქრო, რო ნათესავობით ჰყვარებოდნენ მტრულად დახვედრა ჩვენც ვიცი, მოყვასსაც მოყვარულად მყვარებდით! ჩვენც კაცნი ვართ, ჯიგარი ჩვენც გვეწვის! ბებერი რო ვარ, რჯულიანი რო ვარ, ნამუსში იმით ვერ ჩამავდავ! მეც ერთი ტაბარუჯი ვარ და, მართალ უთქომთ, ბერდიაი დაჰბერდა, მაგრამ ჯერ კიდევ იგრე არ დაჩაჩანაკებულა, რო ბჯღალები დალეული ჰქონდეს ან აზრმა არ გაუქრაა და ანგარიშში შასცდეს! მდიდარი მე საით გამიტანს, როცა ჩემივე ბოკვერი დღე-მუდამ ვასაკრეკე ცხორივით მიცქერის? რო მოგტებთ, ჩვენი წუთისოფელი მაშინ დაამდების, იგრე კაცური სიცოცხლე არ გვიწერია!.. — უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, ხელი წამოიშველა, ჰაერში უცნაურად აიქნია და, რომ ვერ მისწვდა რას, თვითონაც არ იცოდა, თვალეზი მომაკვდავივით მიელულა. მოხაპული ჰაერი არ ეყო და გულს ხელშეტაცებული დატორტმანდა, მაგრამ ალუდა შეეშველა. სული რომ მოიბრუნა, შეიღს ხელი უხიაგად ჰკრა და ისე მოიგერია. წელში გაიმართა და ხიჩლას გოროზად შეუტია:

— იარე, ბიჭაუ, იარე!.. გირჩევენაე ყუჩად იარო, თორო თავი სისხლი ამვარდნია და თოლ არ დაგიბრმას. ცოდოს არ გადამკილო!

ხიჩლას მამის შიში და მორიდება ბაღლობითგანვე გულში ჩაზრდოდა და მშობლის რისხვით წელგაწყვეტილმა ფეხები ჯერ უნიათოდ წაითრია და მერე ძუნძულით გაიქცა.

მოხუცი ოღნავ დაშოშმინდა.

— მამაი, ჰაი, მამაისი! — დაიძახა ალუდამ მორიდებულად.

— რაი გინდის? — შეჰღრინა ბერდიაი. ახლა მეორე შეიღსა.

— ისა, რომა სისხლს ფუქად რაისთვი იმღვრევ? შენც იცი, ჩემგან რჩევა საით გეკადრების, — მტერთან თათბირი არ იქნების!

მოხუცს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია. მხოლოდ — აბაიმეო!.. — ამოხდა.

ერთ ხანს უბრად მილიოდნენ.

ორწოხეზში საღამოს ბინდი ჩამოწვა, მაგრამ, აღმართი რომ მოლიც და სერს თავზე მოექცნენ, ისევ ინათა.

აქ, ცაში, ჯერ კიდევ დღე იყო და მზეს დაბრძანება ვერ მოესწრო.

მსუყედ გადალურჯებული საძოვრები საამოდ ბიბინებდა და მთის თვალის მომქრელი ყვავილები ბრუალა სურნელებით ათრობდნენ იჭაურობას.

ცაც ამ საძოვარივით გალურჯებულაიყო და ეს თეთრი კავკასიონიც ზედახორად მიყრილ ყველის უზარმაზარ ბარქაშებივით გაჩრილიყო ცისა და მიწის შუა.

მთის ფერდებზე განრთხმული ნისლი ქუფრად ბოჭირებდა.

ალუდა მობრუნდა.

თვალი ბილიკებსა და მოკლე გზებს ამოაყოლა, მაგრამ მოტეხილის ბიჭები მაინც ვერ გაარჩია. სჩანს, — დაყოვნდნენ. აღბათ, ცხელი/ხეთას ანაბარად ვერ დასტოვეს. არა და... გული ეთანაღრებდა, ვინ იცის, ის ბაითალომანი ძმის სიმაჰრი რა ხიმანს უწყობს, მაგრამ მტკბულა-ტე ძაღლიას სისხლი მაინც არ ედოსთ ვალად... მყინვარებიდან მობერილმა ნიავმა იალალის მათრობელი სურნელება რომ შემოაყარა, სახე აღტაცებით მიუშვირა.

ეს სიხარული მთის ლალი კაცის შავდლიან ცხოვრებას ახალმოხდილ არაყანივით ასალბუნებდა და გულს აჩუყებდა.

იქვე, ნაპრალთან ყორანთა გუნდი მჯდარიყო. კლუდას გრძლად წასულმა ჩრდილმა რომ გადაუარა, დაფრთხნენ და გაფრინდნენ.

სიზმარში ქალს ზორანი
სიყვარულს ეფიცებოდა.
თოლებს ჰკარკლავდა წითელსა,
კლანჭით უბეში სწედებოდა.
დაწვანთებული გოგოი
ენებით მიწაზე წვებოდა.

— ჰაუუ, ისმენდე, ქალაუ!
ჩრდილში რა გინდის იაო?
გამაახილე თოლები,
მკერდიც გვიქვნიე ლაო!
ვაეკაცის მოუხმარები
ყორანსაც წაუღიო.

მოაგონდა მამის სიმღერა და, თითქოს პასუხად, ორწოხებში გუგუნნი გაისმა. ეს, — შვაფი მოსკდა და გრიალით, გუგუნით წავიდა ყიამეთში.

ცოტაც რომ აიარეს ციმიკაურიანთ ბინაც გამოჩნდა.

იქით, მთის გადაღმა, ქისტეთი იყო, აქეთ დიდო.

ოცნებად წასული აღუდა ყეფამ გამოარკვია.

მუხლამდე შემორტყმულ ბალახში ძაღლები ყეფით მოჰქროდნენ, მაგრამ მოტევებამდე იცნეს პატრონი, ყეფა მსიარულ წაწკანად გადაეჭათ და სტუმრებსა და პატრონს ლაციციოთა და კუდის ქნევით წინ გაუძღვნენ.

ხაზუამ ბინაზე მომდგარ ხალხს გამოხედა და ისე აირია, რომ ტაგანა ძირს დადგა, მერე ისევ აიტაცა, როგორღაც გულში ჩაიკრა და თვითონ კი არა თავისით დაიკივლა:

— მოდიან!.. — მაგრამ გარეთ მაინც არავის გამოტხედაეს.

— მოდიან!.. — დაიკივლა კიდევ ერთხელ ხაზუამ.

— ჩუ, ქალაუ, იყურე! — შეუტია მამამთილმა, მაგრამ რძალმა არ გაუგონა.

ოდნავე ამოსუნთქვა, ოდნავე განძრევა და ეს დღემდე ატეხილებოდა გრიალით, აფეთქდებოდა ისე, რომ ცა ძირს ჩამოვარდებოდა და ვან იცის მერე ვისი დედის, ცოლის ან ობლის თვალნი ატირდებოდა შავი ცრემლით.

ბებერი ბუჭურაული ისედაც ავი ძალღიებით იყრბოდა, ლეთის წყალობა ლეთის რისხვად ეჩვენებოდა და სად ჰქონდა ამ განსაცდელის ვასაძლისი!

სადაც თავგმა კასრისა თუ სხვა რაღაც სატიალის ხერა დაიწყოდა, ვეელას გულისყური იქით რომ მიიქცა, უეცრად რაღაცამ დაივრიანა, ხაზუას შიშით ტაგანა ხელში გავარდნოდა და ის ვახშაურდა.

ისევე დღემდე რომ ჩამოვარდა, ბერდიას ილაჯი გაუწყდა და გავროზებულმა დაიძახა:

— აპაი, დედას მტრისასა! — და ნაგანი იშვილა, მაგრამ სროლა არ გამხდარა. სჩანს, მოთმინება ჯერ კიდევ შესწევდათ, არა ჩქარობდნენ. ხაზუას ძალამ უმტყუნა, მუხლთ მოეკეცა.

დედაკაცს რომ ყური არაეინ ათხოვა, დრო არც იმან დაჰკარგა, მიწაზე ვეელივით უჩუმრად გაცურდა და მამამთილს ფეხებში ეცა. წაქცევა რომ ვერ მოუხერხა, კბილები წვივში ძვლებამდე გაუყარა.

მოხუცმა ფლიდი რძალი წიხლის კვრით იქით მიაგდო და გულის გამგვირავე ხმით დასკყივლა:

— ბიჭაუ, დავიწყოთ!.. — და ნაგანიც გავარდა...

რა არის ეს, ასე ჩვილი და საღბუნიათი თავზე რომ ესხმის? ეს, — თაროზე შემოდგმული კასრი ტყვიას გაუხერცია და რძე შადრევანივით ასხამს. რძით მოდღურული სახე მოიწმინდა და ხელი სისხლში და რძეში დაესვარა.

მიწაზე თეთრად გაცურებული რძის ნაკადი შავად დატბორილ სისხლს შეერთვოდა და ვარდისფრად ლეზავდა.

კარავში ჯერ ისევე იდგა ბოლი და კორიანტელი.

ვილაც კენესოდა და მიწაზე ისე ფათქუნობდა, თითქოს ფარდაგსა, ჰბერტყდნენ.

— ალუდაუ, ბიჭაუ. ცოცხალი ხარა?.. — პასუხი არაეინ ვასცა.

არტელის ბიჭები აღმართში ლალად მიდიოდნენ.

ცხორი დაბინავებული ჰყავდათ და გული საგულეს ჰქონდათ, მაგრამ ეს სატიალე მახმატა ჩოპანი მაინც არ სცხრებოდა. რაკი ერთი დაიჭონა, ველარ დააწყნარეს.

— ამხანაგებო!.. იოლდაშლა-არ!.. ყარდაშლა-არ!.. გული!.. გული ტყივა მახმატას! ჩქარა წაეიდეთ, ზმებო, ჩქარა!.. — ხელი ჩაიჭნია, ამხანაგებს თაჯს გადაუსწრო და წინ ჩქარი ნაბიჯით წაიარა, მერე შედგა და, მწყემსები ისევე ლალად მომავალნი რომ დაინახა, კომბალი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიწას დაარტყა.

ეს სატიალე ბიჭი წერბატანილივით იყო და ისედაც გულგაწყალე ბულმა აბდიამ შეუტია:

— ბიჭუ! რაია რო გული სულ გააწვრილე! იყუნე!.. უნდოდა დამუჭრებოდა, მაგრამ ცად აყუდებულმა მწყემსმა ბავშვით ალალი თვალეზი ზემოდან მონდობილად რომ ჩამოანათა, არაბუნებურად და, სიტყვა ყელში ძვალივით გაეხირა და ენა საწყენად დაეჭრა.

— უუ!.. უუ!.. საზღალი მახმატა!.. მაშ რა გააკეთოს მახმატამ!.. მახმატას ამხანაგები, იოლდაშები უყორს... მახმატას გული კივა... ზალიან კივა!.. ერთბაშად ენა მუცელში ჩაუვარდა.

წიკლაურიანთ ბინიდან, სროლის ხმა მოესმათ.

ყური მიუგდეს, სროლა ისევ განმეორდა.

— აბაიმე, დავიღუბეთ!.. — დაიღრიალა არაბულმა და წინ გაქცეულს, სხვებიც თან მიჰყვნენ.

კრიჭაშეკრულნი, გულამოვარდნილნი მირბიან და გულზე სისბლი ევლებათ. ნანობენ რომ ნაზლაიძენი მარტო გაუშვეს მტრის ბანაკში, ათასი ფიქრი, აზრი ბორიოსავით ირევა თავში და არაფერ იცის რა დახვდებათ იქ, ეს ტიელი გზაც ისე გაგრძელდა, რომ თუ ოდესმე მოლევენ, არა ჰგონათ.

სერი რომ ალახეს, ციმიკაურიანთ ბინაც გამოჩნდა. მის ირგვლივ ამოვირებული ნისლი თუ კვამლი ისევ ირეოდა. არც გაუგიათ, როგორ ავიდნენ ბინაში, არც ის ესმოდათ როგორ შედგნენ. ვერცერთი ფეხს წინ ვერა სდგამდა.

— ვალლაპ!.. — დაიბღავლა მოგუდული ხმით მახმატამ და წინ გაქანდა, მაგრამ შედრკა, ბინიდან მარტო ბერდია რომ გამოვიდა, მიხვდა მის ძმაკაცს. ფარსავი არ სჭირდა.

— ალუდაუ!.. ყარდაში!.. იოლდაში!.. — დაიბღავლა და თანახიანი მუშტები ააფათურა.

არაბული სარქალთან, მიიჭრა და ისე შეეკითხა:

— ისინი?..

— გაქცეულან. ბიჭას მიხედეთ!.. ერთი ღრმად ამოისუნთქა და ხელი რძითა და სიმწრის ოფლით დასველებულ შუბლზე გადაისვა.

— ძმებო!.. ამოხდა. — გულის საყორელნო!.. — მეტი ვერ შესძლო.

თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა და შუბლქვემოდან გამომზიარალი თვალეზი ჯერ ერთს გაუყარა თვალში გახურებულ შანთივით, მერე მეორეს და ასე. ყველას სათითაოდ მოუფათურა სული. მერე ირგვლივ რაღაც მოიძებნა და, რომ ვერ იპოვა, დაიღმევლა:

— ყალივანი მამეციო!..

ბიჭები ვერ მიხედნენ რა უნდოდა მოხუცს.

ყალიონი თავის დღეში არ მოუწევია და ყურებს არ დაუჯერეს.

ისევ რომ ვაიმეორა:

— ყალივანიო!..

აბდიამ ჭიხას ხელი გაიჭრა და ყალიონი მიაწოდა, მაგრამ მოხუცმა ხელი უბრის ნიშნად აუკრა. მიწაზე პირქვე დაემხო.

ბინის ირგვლივ ციმიკაურის ძროხა-ცხენები ბალახსა სძოვდნენ.

კონსტანტინე ზიზინაძე

დიდი ლიტერატურული ძეგლი

საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლი, ძველი რუსული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ პირველად მხოლოდ მე-18 საუკუნის მიწურულში გახდა ცნობილი. ეს ნაწარმოები აღმოაჩინა 1795 წელს სიძველეთა ცნობილმა შემკრებმა, მხატვრობათა აკადემიის პრეზიდენტმა მუსინ-პუშკინმა. ძეგლის ტექსტი და მისი თარგმანი ახალ რუსულ ენაზე კომენტარიებითურთ გამოიცა მოსკოვში 1800 წელს. დედანი ძეგლისა, ერთად-ერთი აღმოჩენილი ხელნაწერი, რომელიც ქალაქის თვისებისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მკვლევარებმა XIV — XV საუკუნეების მიჯნას მიაკუთვნეს, შთანთქა მოსკოვის ცნობილმა ხანძარმა 1812 წელს, ნაპოლეონის შემოსევის დროს.

„იგორის ლაშქრობის ამბავმა“ გამოქვეყნებისთანავე დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ და სამეცნიერო წრეებში. მალე იგი საერთაშორისო ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ობიექტად გადაიქცა და მრავალ უცხო ენაზედაც ითარგმნა. ბევრმა რუსმა პოეტმა, მათ შორის ეფუკოსკიმაც, ეს შესანიშნავი ნაწარმოები ლექსად გადაიღო ახალ რუსულ ენაზე. ზოგიერთი მკვლევარის მხრით იყო ცდები ძეგლის ყალბად მიჩნევისა, მაგრამ უნაყოფოდ. პუშკინმა, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა „ამბავისადმი“, შეისწავლა და მალა-პოეტურ ქმნილებად გამოაცხადა იგი, ბრწყინვალე მოსაზრებანი გამოთქვა მისი სინამდვილის დასაცავად.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ შექმნილია მე-12 საუკუნის დამლევსკიევის რუსეთში. ამას ადასტურებს უმთავრესად ის გარემოება, რომ ძეგლის უცნობი ავტორი ასახავს იმდროინდელ ისტორიულ მოღვაწეებს როგორც მათი თანამედროვე. ნაწარმოების ქარგადაც აღებულია მაშინდელი კარგად ცნობილი ისტორიული ფაქტი — ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორისა და მისი ძმის ვსევოლოდის საბედისწერო გალაშქრება ყივჩაყეთზე, რაც მოხდა 1185 წლის 23 აპრილს.

მაშინ უკვე მრავალსამთავროიანი ძლიერი კიევის რუსეთი თავის დაცემის პერიოდში იყო შესული. სამხრეთ რუსეთის ველებზე დამკვიდრებული ბარბაროსული მომთაბარე ტომების მუდმივი თავდასხმებით დასუსტებული და შინაური დაუსრულებელი შფოთით ილაგავაწყვეტი-

ლი კიევის სახელმწიფო თანდათან ჰკარგავდა პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც გაძლიერებული ჩრდილო-აღმოსავლეთის სამთავროების ხელში გადადიოდა. მაგრამ ის თვალსაჩინო კულტურულ და გეოგრაფიულად რომელიც აღმოცენდა და განვითარდა ფეოდალურ, მთავრობისთან მისი მჭიდრო საუკუნოებრივი ურთიერთობის ნიადაგზე, ჯერჯერობით თავის კერას არა სტოვებდა. დიდად განვითარებულმა საეკლესიო და საისტორიო მწიგნობრობამ შეჰქმნა კიევეში ნიადავი მილახარისხოვანი მხატვრული ლიტერატურის წარმოშობისათვის ჯერ კდევე მე-11 საუკუნეში, როდესაც ლეგენდარული ბოიანი, გენიალობის გამო ჯადოსნად მიჩნეული პოეტი, აღფრთოვანებულ ზოტბას ასხამდა ძლივამოსილ მთავრებს.

აი ეს საეკლესიო და ისტორიული მწიგნობრობა, ერთის მხრით, და ბოიანისა და ბოიანისებური პოეტური შემოქმედება, მეორეს მხრით, უნდა მივიჩნიოთ იმ აუცილებელ ნიადაგად, რომელზედაც შესაძლებელი გახდა უკვდავი „ამბავის“ აღმოცენება. ავტორი გვაუწყებს ნაწარმოების შესავალში, რომ ის ამჯობინებს ნამდვილი ამბის რეალისტურ აღწერას; იგი შეგნებულად თანაუგრძნობს მართალსა და დამაჯერებელ თხრობას, მაშინდელი უამთაღმწერლების მიერ გამომუშავებული სტილის მიხედვით, და უარჰყოფს ბოიანის მხატვრულ მეტყველებას, რომელიც საგნებსა და მოვლენებს რთული ალეგორიული ფორმით ანსახიერებს და ამით თითქოს ამორებს მათ ცხოვრების სინამდვილეს. მაგრამ ფიზიკური ისტორიოგრაფის შეგნებულ ტენდენციას ავტორში ბრძოლას უცხადებს ძლიერი პოეტური სული, შეუგნებელი მისწრაფება სახეებით აზროვნებისადმი, ინტუიცია დიდი მხატვრისა. ეს გაორება მკაფიოდ ემჩნევა მისი შემოქმედების ნაყოფს, მაგრამ არა საზიანოდ, არამედ, პირიქით, როგორც ავტორის მრავალმხრივობისა და გონებრივი სიმდიდრის გამოსახულება, წმინდა პოეტური ნიჭისა და გარკვეული კულტურული გარემოების პირობებში აღმოცენებულ იდეურ მისწრაფებათა შეთავსება.

როგორც საისტორიო მწიგნობრობის მოტრფიალედ და რეალისტურად მოაზროვნედ მწერალი, იგი თავდაპირველად თვით იგორის ვალაშკრების ამბავს აგვიწერს დაუმახინჯებლად. ამასთან ის ნათლად გვისახავს მაშინდელი ფეოდალური რუსეთის ყოფა-ცხოვრებას, განსაკუთრებით კი მთავრისა და მისი დრუჟინის ურთიერთობას, მათ ვაჟაკობას, რაინდულ ზრახვებს, სახელისა და პატივის მოხევეკას, გატაცებას და მშობლიური მიწა-წყლისათვის თავდადებულ ბრძოლას. ცნობიერებაში იჭრება იმდროინდელი მეომრების არა მარტო ჩაცმულობა, საბრძოლველი იარაღი, ფიზიკური და სულიერი ძალღონე, არამედ ის უაღრესად მილიტარისტული ატმოსფერაც, რომელშიაც ისინი იზრდებოდნენ ბავშვობიდან. „ამბავის“ ავტორი უმღერის მხედრებს:

„საყვირის ხმაზე არტაბ-შეკრულებს,
მუხარადების ქვეშ გამოზრდილებს,
გამოკვებულებს შუბის წვერითა“.



საქართველოს
წერაწერის
კავშირის
კავშირის
კავშირის

იგი იძლევა ხელჩართული ბრძოლების, რბევისა, და აწიოკების მოკლე, მაგრამ ცოცხლად გამოკვეთილ სურათებს. მრავალი დიდი და მცირე მთავარი, ზოგი შექმნილი, ზოგიც დაგმობილი მათის მოღვაწეობის მიხედვით, ასახულია ამ ნაწარმოებში ისტორიულ წყაროებთან სრული შეთანხმებით.

მაგრამ ყოველივე ამის გვერდით დიდია წმინდა პოეტური, ასე ეთქვათ, ბოიანური საწყისი „ამბავის“ ავტორის შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით ნაწარმოებს ახასიათებს დიდი ლირიკული პათოსი, ფიგურალური მეტყველება, უსულო საგნების ფანტასტიური გაცოცხლება და ბუნების მოვლენათა სიმბოლიური დაკავშირება ადამიანთა მოქმედებასთან. უბედურება, რომელიც მოელის იგორსა და მის ლაშქარს, მზის დაბნელებით აღინიშნება. ამ უბედურების წინასწარი შეგრძნობა სიხარულსა პვერის მხეცებსა და მტაცებელ ფრინველებს, სამავიეროდ იგორის მარჯვე და მოხერხებული გაქცევა ტყვეობიდან ბუნების კეთილი ძალების ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს. კოდალები თავიანთი კაცუნით გზას ასწავლიან იგორს ტყეში; წყალზე იხვეები და ჭაროები სდარაჯობენ მის უშიშროებას; მდინარე დონეცი ენას აიდგამს და ადამიანით მიესალმება გადარჩენილ იგორს. თავის მხრით, ადამიანებსაც ბუნების ძალები ცოცხალი სახით წარმოუდგენიათ და ისე მიმართავენ მათ, როგორც თავიანთ მოყვრებს ან მტრებს: იგორი ვრცელი სიტყვით უბასუბებს მდინარე დონეცს და აღნიშნავს, თუ რამდენად დავალებულია იგი მისგან; გუგულად განსახიერებელი მტრიალი იაროსლავნა, იგორის აბალგაზრდა მეუღლე, თხოვნით და საყვედურით მიმართავს არა თავის ნათესავ-მეგობრებს, არა იგორის მტრებს, არამედ ქარსა და მზეს, რომელთაც ხელი შეუწყვიათ იგორის დამარცხებისათვის, და მდინარე დონეცს, რომელსაც შეუძლიან ტალღებით მიაცუროს მასთან ტყვეობაში მყოფი მისი ძვირფასი ქმარი. აშკარად ჩანს, რომ „ამბავის“ უცნობი ავტორი, როგორც პოეტი, ხალხური პოეზიის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამით აიხსნება აგრეთვე მითოლოგიური ელემენტებისა და წარმართული სარწმუნოების კვალის არსებობა ამ ქრისტიანული ეპოქის ლიტერატურულ ძეგლში.

მეტად მაღალ საფეხურზე სდგას ავტორის პოლიტიკური იდეოლოგია იმდროინდელი თვალსაზრისით. მთელი ნაწარმოები გაკვლენითილია უღრმესი სიყვარულით სამშობლოსადმი, დაქუცმაცებული ფეოდალურა რუსეთის გაერთიანებაზე ოცნებით და ეროვნული განმტკიცებისათვის დიდი მზრუნველობით. მუდამ იარალში ჩამსხდარმა მაშინდელმა რუსეთმა სამგვარი ომი იკოდა: ომი, გამოწვეული შინაური შფოთით, მოგე-

რიებითი ომი გარეშე მტერთან და ომი თავდასხმით. „ამბავეის“ ავტორი დიდ გულისტკივილს ამჟღავნებს შინაური ომიანობის გამო იგი მომხრეა გარეშე მტერზე შეტევითი ომის წარმოებისა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ მთავართა შორის დამყარებული იქნება საღიერო ურთიერთობა და მოხდება გაერთიანება. ამიტომ იგი კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავისა და უცხო ეროვნებათა წარმომადგენლების პირით ჰგმობს იგორისა და მისი ძმის ვსევოლოდის სეპარატიულ ვალაშქრებას ყივჩაყებზე. მან კარგად იცის, რომ ყივჩაყებთან შეტევითი ომის წარმოება აუცილებელია რუსეთის გაძლიერებისათვის ეკონომიურად და პოლიტიკურად. ყივჩაყებმა თითქმის მთლიანად მოსწყვიტეს იმ ხანად რუსეთი აზოვისა და შავი ზღვის ნაპირებს, რასაც შედეგად მოჰყვა ბიზანტიასა და სხვა სამხრეთ ქვეყნებთან რუსული სამთავროების ურთიერთობის შეფერხება. ამ გზების გადაჭრა უმთავრესად კიევის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამთაგორებისათვის იყო სამძიმო, ვინაიდან დნებრის ბასეინით მათ მიმოსვლას აბრკოლებდა, საერთო გარეშე მტრის გარდა, კიევის ძლიერი სახელმწიფოც. ამის გამო დონის ბასეინის გაწმენდა ყივჩაყთა ურდოებისაგან სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა აღნიშნული სამთავროებისათვის, კერძოდ, იგორისა და ვსევოლოდის სამფლობელოთათვის. ყოველივე ეს კარგად აქვს შეგნებული „ამბავეის“ ავტორს. იგი ხშირად იხსენიებს ცისფერ დონს და არა ერთხელ მოანატრებს იგორს შისი წყლის დაღვევას მუზარადით. ცხადია, დონის წყალი იგორს და ვსევოლოდს იზიდავს არა თავისი განსაკუთრებული გემოთი და ფერით, არამედ როგორც დიდი საგზაო მიმართულება ზღვის იქით მდებარე მდიდარ სამხრეთ ქვეყნებისაკენ.

კიევის რუსეთი და მაშინდელი საქართველო კულტურულად ერთი და იმავე ქვეყნის, ბიზანტიის, ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რადგან ბიზანტია ქრისტიანული საეკლესიო მწერლობისა და განათლების მთავარი გამავრცელებელი იყო საერთოდ აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ქვეყნის, კიევის რუსეთისა და საქართველოს, კულტურული განვითარების დონემ თავის მაღალ საფეხურს მიაღწია ერთსა და იმავე პერიოდში — მე-11 — 12 საუკუნეებში. შემდეგ ამ კულტურების სრული დაცემა და განადგურება შედეგად მოჰყვა აგრეთვე ერთსა და იმავე მოვლენას — მონღოლთა შემოსევას მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში.

გაძლიერებულ საქართველოსა და კიევის რუსეთს შუა მკვიდრო ურთიერთობის დამყარებას მე-11-12 საუკუნეში ხელს უშლიდა ყივჩაყების დამკვიდრება ჩრდილოეთ კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში. როგორც ზოგიერთი რუსი მთავარი, ისე საქართველოს მეფეები, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, არ ერიდებოდნენ მეტად გამძლავრებულ ყივჩაყთა ზანებთან დამოყვრებას. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებელმა ცოლად მოიყვანა „სანატრელი და განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დე-

ლი. იგორი იქნებოდა დაახლოებით ათი-თხუთმეტი წლის უკანასკნელი გიორგიზე. ყივჩაყების მიერ იგორის დამარცხებისა და ტყვეობის შესახებ ვახუშტის დროს (1185 წლის ზაფხულში) ვსევდილოდისაგან გავეუფლებით. გიორგი ყივჩაყეთში იმყოფებოდა. შესაძლებელია ისინი ამ დროს იქ ერთმანეთს. იმავე წლის შემოდგომაზე თუ მომავალ წელს გიორგი რუსი საქართველოში მიიწვიეს თამარ მეფის საქმროდ. უპიკველია, ამა-ლაზე საინტერესო და ახალი ამბავი, რომელსაც ის ჩამოიტანდა საქართველოში ყივჩაყეთიდან, იქნებოდა იგორის ლაშქრობის, მისი დამარცხების, ტყვეობისა და ტყვეობიდან გაქცევის ამბავი.

შვიდას ორმოცდაათი წლის წინათ დაიწერა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ რუსეთში და „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში. მაშინდელ რუსეთსა და საქართველოს შუა ჩამდგარი იყვნენ ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ ველური ყივჩაყთა ურდოები. მათი ხსოვნა მხოლოდ მათივე კულტურული მემკვიდრეობის მწერლობამ შეუნარჩუნა კაცობრიობის ისტორიას.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ისეთი ლიტერატურული ძეგლია, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს იდეური და ემოციური ზეგავლენის ძალა მკითხველზე. მასში მალალ-შნატკრულის ოსტატობით ასახულია დიდი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებები: ვაჟკაცობა, მსნეობა, უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი და თავგანწირული ბრძოლის უნარი მტერთან, — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა იმისათვის, რომ ამ ხალხს მთლიანად შეენარჩუნებინა უხსოვარი დროიდან მემკვიდრეობით მიღებული უზარმაზარი მოცულობის მიწა-წყალი, რომელიც მთელი საუკუნეების მანძილზე უსასტიკეს შემოტევას განიცდიდა როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოსეულ მომთაბარე ტომთა ურდოებისაგან, ისე დასავლეთელი მოჭიშვე მემკვიდრეობის მხრივ.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ დაწერილია, როგორც ფიქრობენ, პროზით, მაგრამ არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ ამ ნაწარმოებს უნდა ჰქონოდა რაღაც რიტმიული წყობა, რომლის აღდგენა ამჟამად აღარ ხერხდება. ახალ რუსულ ენაზე ის ჩვეულებრივ ურითმო ლექსით ითარგმნება, ამიტომ ჩვენც ურითმო ლექსით ვთარგმნეთ იგი. რუსული ხალხური ლექსების რიტმიული წყობის შესატყვისად ქართულ ათმარცვლოვან ლექსს ყველგან დაქტილური (სამ-მარცვლოვანი) დაბოლოება გავუკეთეთ.

ე მ ბ ა ვ ი

იგორის ლაშქრობისა, იგორ სვიატოსლავის ძისა, ოლეგის შვილის-შვილისა

კარგი იქნება, ძმანო, დაეიწყოთ
 ძველი სიტყვებით მძიმე ამბავი,
 თუ ვით ამხედრდა შტერზე იგორი,
 გმირი იგორი სვიატოსლავიჩი!
 ლექსი კი ესე სჯობს იწყებოდეს
 ამადროინდელ ამბის მიხედვით
 და არა მსგავსად ბოიანისა.
 ოდეს ჯადოჭარს და ბრძენს ბოიანს ¹⁾
 სურდა ვინმესთვის ლექსთა შეწყობა,
 იგი ფიქრებით ტყეს ვაეკვროდა,
 რუსი მგელივით რბოდა მიწაზე,
 ლეგა არწივად ღრუბელს არღვევდა.
 მოიგონებდა ძველს თქმულებებსა
 შინაურ შფოთზე და გაუშვებდა
 ათსა შავარდენს გედის გუნდზედა:
 და ის გედიცა, რომელს პირველად
 ერთი მათგანი წაეწეოდა,
 შყისვე უმღერდა — იაროსლავსა,
 ან გმირ მსტისლავსა, ვინც რედელია
 დაკლა კოსოგის ჯარის წინაშე,
 ან ლამაზ რომან სვიატოსლავიჩისა. ²⁾
 პო, ძმანო ჩემნო, ეს ბოიანი

¹. ბოიანი — მე-11 საუკუნის რუსი მგოსანი, რომლის შემოქმედების ნიმუშს ჩვენამდის არ მოუღწევია.

². ძმები იაროსლავი და მსტისლავი და რომან სვიატოსლავის-მე მე-11 ს. რუსი მთავრებია.

განა თუ ათსა ფრთამალ შეეარდენს
გამოუშვებდა გულის გუნდზედა:
იგი ჯადოსნურს თავის თითებსა
ცოცხალ სიმებზე წამოაწყობდა,
და სიმებიცა მყის მთავართადმი
ქება-დიდებით აგვრგვინდებოდნენ.



აბა, დავიწყით ჩვენი ამბავი,
ძმანო, წინანდელ ვლადიმირთან³⁾
თანამედროვე იგორამდისინ,
ვინც გამოჰკვერა ზრახვა ძლიერი,
ვალესა იგი გულის მხნეობით,
ბრძოლის წყურვილით სული აღივსო
და მიუსია მტკიცე ლაშქარი
შემდეგ ყივჩაყთა ვრცელს მიწაწყალსა
რუსთა მიწაწყლის დასაცავად.

მაშინ იგორმა თვალი მიაპყრა
მზეს ბრწყინვალესა და დაინახა:
დაბნელდა იგი, გადაეფარა
ბინდი ლაშქარსა თავით ბოლომდე.
და ეუბნება იგი მეომრებს:
„ჩემო ძმანო და თანამებრძოლნო!
უმჯობესია მტერმა აგვჩხოს,
ვიდრე წაგვასხას წარტყვენილები.
მაშ, ძმანო, შეესხდეთ ფეხმალ ცხენებზე
და მყის ცისფერი დონი ვიხილოთ!“
მთავარს ჩაუჯდა გულში სურვილი
გემო გასინჯოს დიდის დონისა,
და ნატვრამ სძლია ზეცის ნიშანი.
ამბობს: „მწყურვიან შუბი გავტეხო
მურტალ ყივჩაყთა ველის ბოლოსა
მე თქვენთან ერთად, ჩემო რუსებო!
მინდა შევაკვდე ან მუზარადით
მდინარე დონის წყალი დავლიო!“
ეპა, ბოიან! ენაწყლიანო,
ტკბილო ბულბულო ძველის დროისავ!
შენ რომ შეგეჭო ესე ლაშქარი,

³⁾ დიდი მთავარი ვლადიმირ მონომახი, გარდაიცვალა 1125 წ.

ბულბულს, ოცნების ხეზე ფრთხილთ
 ღრუბელთა შორის ფიქრით მფრინავსა.
 ამა ეამისთვის ხოტბის მგალობელს
 და ტროიანეს გზით და ბილიკით *)
 ველსა და მთებზე მოხეტიალეს!..
 შენ შეგშვენოდა გექო იგორი,
 ძე გულმაგარი ძის ოლეგისა:
 „არა შევარდნის გუნდი ქარტეხილს
 გადმოუყრია ფართო ველებით,
 არცა ჭილყვაფი აურაცხელი
 მისტანებია დონის მდინარეს!“
 ან ამნაირად უნდა გემღერნა,
 ბოიან, ძეო ძის ველესისა: *)
 „აჰა, გაისმის ცხენთა ჭიხვინი
 მდინარე სულას გაღმა მხარესა, *)
 რეკენ დიდების ზარნი კიევეში,
 არყევს ნოვგოროდს ხმა საყვირისა!“ *)



სდგას პუტიელოში დროშა მრავალი,
 ვლის იგორი ძვირფას ვსევოლოდს. *)
 და ეუბნება ასე იგორსა
 ძმა ვსევოლოდი — ხარი ფიცხელი:
 „მყევხარ ერთი ძმა, ერთი ნათელი,
 შენ, ჩემო იგორ, უბრწყინვალესო!
 ჩვენ ხომ ძენი ვართ სვიატოსლავისა!
 აბა შეჰკაზმე, ძმაო ძვირფასო,
 შენი მუხლადი ბედაურები,
 ჩემი კი უკვე ყველა მზადაა
 კურსკის მახლობლად დარახტულები!
 შენ კარგად იცნობ ჩემს კურსკელებსა:
 საყვირის ხმაზე არტახ-შეკრულებს.
 მუზარადების ქვეშ გამოზრდილებს,
 გამოკვებულებს შუბის წვერითა;

*. გამორკვეული არაა ჯერჯერობით, თუ ვინ არის აქ და ქვემოთ მოხსენებულ ტროიანე.

*. ველესი საქონლის ღმერთია, რაც სიმდიდრისა და დოვლათის ღვთაებას უფროს.

*. სულა დნებრის შენაკადია.

*. იგორის სამთავროს დედა-ქალაქი ნოვგოროდ-სევერსკი.

*. მთავარი ვსევოლოდ სვიატოსლავის-ძე — იგორის ძმა.

იმით იციან გზა ამ კუთხისა
და ოღრო-ჩოღრო თითოეული.
მშვილდ-მოზიდულნი, კაპარკ-გახსნილნი
ხმალ-მონალესნი ვლიან ისინი.
რუხი მგლებივით ველს მოსდებიან.
რომ მოიხვეჭონ თავად პატივი
და მოუპოვონ მთავარს დიდება“.



მაშინ იგორმა ოქროს უხანგში
შესდგა ფეხი და ველად გაიჭრა.
მზემან წყვდიადით გზა გატულობა,
ლამემ ქარიშხლით შემოუღრინა, —
წამოასია ფრინველთ გუნდები,
სტევენით მხეცები შემოაბროვა.
დიემა მალლითგან გადმოიყვილა,⁹⁾
სმენად მოიხმო უცხო ქვეყნები —
ვოლგა, ზღვის პირი, პოსულ, სუროვი,
ყორსუნ და იგიც, თმუთარაყანის
კერპი... და მაშინ მყის ყივჩაყებმა¹⁰⁾
დონს მოაშურეს უგზო-უკვლოდა.
ააქრიალეს ლამით ურმები,
თითქოს გედები წამოიშალნენ.
მიჰყავს დონისკენ იგორს ლაშქარი.
და ბედი მისი შეეპირიანი
უკვე მუხებზე შემსხდარ ფრინველებს
შეპირებია გამოძლომასა;
იწყეს ხევებში მგლებმა წრიალი
უბედურების მომასწავებლად,
სვაენი, არწიენი თავის ყივილით
მხეცებს ძვლებისკენ მოუწოდებდნენ
და მელიებიც მოსუნსულენი
შორით უყეფდნენ წითელ ფარებსა.
ეჰა, შენ უკვე რუსთა ქვეყანავ,
გორაკთა უკან ხარ დარჩენილი!..

⁹. დიე უბედურების მომასწავებელი ზღაპრული ფრინველია.

¹⁰. პოსული — მდინარე სვლას ნაპირზე მდებარე შარე, სუროვი — აზოვის ზღვა, ყორსუნი — ხერსონესი, თმუთარაყანის კერპი — ყივჩაყების მიერ დაპყრობილი აზოვისა და შავი ზღვის ნაპირებზე აღმართული რიადე კერპი.

ლამე ფითრდება ჰკრთის განთიადი.
 გადაეფინა ნისლი ველებსა.
 მიწყდა ბულბულთ ხმა და ქილყვივებმაც
 გამოიღვიძეს ჟრიაშულითა.
 გულმხნე რუსებმა ფართო ველები
 წინ გადამესრეს წითელ ფარებით,
 რათა მოიმკან თავად პატივი
 და მოუხვექონ მთავარს დიდება.



დილითგანავე პარასკევ დღესა
 სთელეს ყივჩაყთა ურდო მურტალი.
 ველზე ისრებად გაფანტულებმა
 გამოიტაცეს მალე მრავალი
 ტურფა ასული ყივჩაყებისა,
 თანაც ოქრო და დარჩა-ოქსინო.
 მათის ჯუბებით, მოსასხამებით
 და მონატულის ქსოვილებითა
 ქაობთა ზედან ხიდნი გააგეს.
 ხოლო ალამი ფერმეწამული,
 დროშა სპეტაკი, ჯილა წითელი
 და მოწკრიალე შუბი ვერცხლისა
 თავად აიღო სვიატოსლავიჩმა.
 სთელემდა ოლეგის გულმხნე ბუდობი ¹¹⁾
 ფართო ველზედა. შორს გადაფრინდა...
 იგი არ იყო გამოჩეკილი
 არც შავარდნისთვის, არცა ქორისთვის
 და არცა შენთვის, შავო ყორანო,
 უწმინდურო და ბილწო ყივჩაყო!
 გამორბის გზაყი რუხი მგელივით,
 ხოლო ყონჩაყი, წინ წამოსული, ¹²⁾
 მას გზას უკაფავს დიდის ღონისკენ!

მეორე დღესა აღრითგანავე,
 ზეცამ ინათა პირსისხლიანად.
 ზღვითგან მოვიდნენ შავი ღრუბლები, —
 უნდათ, ოთხი მზე რომ გადაყლაპონ; ¹³⁾

^{11.} მთავრის ოლეგ სვიატოსლავის-ძის შთამომავალი.

^{12.} გზაყი და ყონჩაყი — ხანებია ყივჩაყთა.

^{13.} ოთხ მზედ იგულისხმებიან ივორი, ესევილოდი, ივორის შვილი ვლადიმირი და მათი ნათესავე სვიატოსლავ ოლეგის-ძე.



ქართული
ნიუსპიუსი

თრთიან მათშიგან ლურჯი ელვები,
დადი იქნება მეხთა კვეთება!
დონით წამოვა წვიმა ისართა!
შეილეწებათ ბექორებს შუბები,
ხმლებს მუზარადნი დააბლაგვებენ —
მურტალ ყივჩაყთა მუზარადები,
დონთან, მდინარე კაილაზე! ¹⁴⁾
ეჰა, შენ უკვე, რუსთა ქვეყანავ,
გორაკთა უკან ხარ დარჩენილი!..

აჰა, იგორის გმირულს ლაშქარსა
ქარნი, სტრიბოვის შეილთა შეილები, ¹⁵⁾
უკვე აყრიან ისრებს ზღვითგანა;
ჰქუხს დედამიწა, წყალნი აიშღერნენ,
გადაეფარა მტვერი ველებსა.
თრთიან დროშები... მოდგნენ ყივჩაყნი
ზღვითგან, დონითგან, და შემოერტყნენ
ყოველის კიდით რუსთა ლაშქარსა.
ყივილ-ყივინით ველნი გალობეს
მყის ეშმაკების ნაშიერებმა,
ხოლო მხნეობით სავსე რუსებმა
წითელ ფარებით გადააკავეს.
ეჰა, ვსევოლოდ, ხარო ფიცხელო!
სდგებარ ომში და ისრებს ასხურებ
მტერთა მეომრებს; ხმლებს ფოლადოვანს
ზედ უჩახუნებ მათსა ზურგებსა.
იჰ, სადაც ხარმან გადაირბინე
ოქროს ზარადის ელვარებითა,
ჰყრია ყივჩაყთა ბილწი თავები
და აჩებილი ხმლით ფზიანითა
ავარიელთა მუზარადები — ¹⁶⁾
შენგან, ვსევოლოდ, ხარო ფიცხელო!
ვით შეიმჩნიოს იმან ჭრილობა,
ძმანო, რომელიც აღარ იგონებს
პატივს, ცხოვრებას, ქალაქ ჩერნიგოვს,
თავის ოქროს ტახტს მამისეულსა,

^{14.} კაილა დონის ერთერთი შენაკადია, გამოურკვეველია თუ რომელი.

^{15.} სტრიბოვი ტარების ღმერთია.

^{16.} ავარიელები — ტომი, რომელიც ამჟამად კავკასიის შიგნით ბინადრობს.

ვინც დაივიწყა უსაყვარლესის
ტურფა გლებოვნას ზნე და ალერსი!¹⁷⁾



იყო დრო-ვამი ტროიანესი,
იაროსლავის წლები გავიდა.¹⁸⁾
იყო ოლეგის დიდი ომები.
იგი ოლეგი სვიატოსლავიჩი
შფოთსა სკედავდა ხმლით ნალესითა
და მიწაზედან სთესდა ისართა.
შესდგამს ფეხს იგი ოქროს უზანგში,
თმუთარაყანის ქალაქსა შინა, —
და იმა ელარუნს ყურსა უპყრობდა
დიდი ვსევოლოდ იაროსლავიჩი.
ელადიმირი კი ყოველ დილითა
ყურებს იხზობდა ჩერნიგოვშიგან.
ხოლო ბორისი ვიანესლავიჩი
სახელის გამო სიკვდილს ეწია:
დასდვა ნალელიანს მწვანე მინდორზე
იგი მთავარი, გულმხნე კაბუკი,
მთავარ ოლეგის განაწყენებამ.
იმავე ნალელიან მწვანე მინდვრითგან
სვიატოპოლქმა ბრძანა წაღება
უგრულ ცხენებით მამის ცხედრისა
წმინდა სოფიოს ტაძრად, კიევეში.
მაშინ, ოლეგის გორისლავიჩის¹⁹⁾
დროს, დიდი შფოთი ითესებოდა:
ილუპებოდა ავლადიდება
სრულად დაებოგის შვილთა შვილების;²⁰⁾
მთავართა შორის შუღლი, ამბოხი
აღამიანებს დღეს უმოკლებდა.

17. ოლეგა გლების ასული — ვსევოლოდის მეუღლე.

18. აქ გახსენებულია შფოთი ოლეგსა და ვსევოლოდს შუა. პირველი იყო იგორის პაპა, მეორე — ელადიმირ შონოშახის მამა. ოლეგი თმუთარაყანს წავიდა და იჭიდან ყოჩაყთა დახმარებით ებრძოდა რუს მთავრებს. ოლეგს თან ახლდა მისი ბიძა-შვილი ბორის ვიანესლავის-ძე, რომლის მოკვლის ამბავი მოთხრობილია აქვე ქვემოთ.

19. ოლეგი სვიატოსლავის-ძე აქ წოდებულია „გორისლავიჩად“ (წარმოებულია რუსული სიტყვიდან „гоп“); ვინაიდან თავისი შფოთით მან დიდი მწუხარება და უბედურება მიაყენა რუსთა ქვეყანას.

20. რუსები მოხსენებული არიან აქ დაებოგის, ე. ი. მზის ღმერთის შვილის-შვილებად.



ქართული
ნიგელიტიკა

მაშინ რუსების მიწაწყალზედა
ძვირად მხენელები თუ ხშიანობდნენ;
სამაგიეროდ ხშირად ისმოდა
ლევზე მოქიშპე ყორანთ ჩხავილი
და ჟრიაშული კილყვაეებისა.
ეს იმ შფოთის და ომიანობის
დროსა ხდებოდა, ხოლო ამგვარი
ომი აქამდის არ გავონილა...
სისხამ დილითგან სალამომდისინ
და სალამოთგან დილამდისავე
პფრენენ ისარნი, ხმალნი ხუვიან
ჩაფხუტ-ზუჩებზე ჩახა-ჩუხითა,
ტყდებიან შუბნი ფოლადისანი
ყიჩაყთა ქვეყნის უცხო ველზედა.
მიწა შავებირი, ტორით ნათქერი,
ძვლებით ითვისა, სისხლით მოირწყო,
და აღმოცენდა სევდა-ნალველი
სრულად რუსების მიწაწყალზედა.

ეს რა ხმაურობს, რა წკრიალია,
აქ ასე აღრე, განთიადის წინ?
გმირი იგორი ჯარსა აბრუნვებს:
გულით ებრაღვის ძმა ვსევოლოდი.
დღე ერთ იბრძოლეს, დღე მეორეცა,
ხოლო მესამეთ რომ იშუადლა,
წამოექცივნენ იგორს დროშები.
მუნ, კაილას წყალთა კიდეზე,
მოსწყდა ორი ძმა ერთი მეორეს.
არც კი იკმარა სისხლის ღვინომან,
რსე დასრულდა რუსთა ნადიმი:
დაათერეს ყველა სტუმრად მოსული,
თაენი თვისნი კი მამულს შესწირეს.
სიბრალულისგან დადრკა ბალახი,
ზე ილუნება დანალველებული.
დადგა, ჰე, ძმანო, წელი მწუხარე!
ჩენი ძალღონე შთანთქა უდაბნომ.
მაშინ დაეზოგის შვილთა შვილების
შეურაცყოფა ზე აღიმართა,
და ქალწულივით გადაიარა
მან ტროიანეს მიწაწყალზედა;



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

გადაარხია ფრთები გედისა²¹⁾
ციხფერ ზღვასა და დონის მდინარეს
და გააძევა დრო ბედნიერი.
შაგრამ ჩაუქრათ მურტალთა მიმართ
მტრობა მთავრებსა. ძმა ძმას ეტყოდა:

„ჩემია ესე, იგიც ჩემია!“
მთავრებმა მცირე დიდად აქციეს,
თავს დაიტეხეს შფოთი, ამბოხი.

ხოლო მურტალნი ყოველს მხრითგანა
რუსებს ეხმოდნენ გამარჯვებულნი.
ეპ, შორს შეიჭრა მხნე შავარდენი
და ფრინველები ზღვას მიიყარა!

ხოლო იგორის გმირულს მხედრობას
აწ სამართიგან ვინლა აღადგენს!
მაშინ კარინამ იწყო ვოდება,
მყის ეელიამაც შემოირბინა²²⁾

რუსთა ქვეყანა და მიმოჰფანტა
საფლავის ფერფლი რქით მგზნებარითა.
მოთქმა დაიწყეს რუსთა ცოლებმა:

„აწ მეგობრები ჩვენი ძვირფასი
ველარც ფიქრითა, ველარც ოცნებით
და ვერცა თვალით ველარ ვიხილოთ;
ხოლო მით უფრო ის ოქრო-ვერცხლი
ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაწკრიოლოთ!“

სევდით აკენესდა, ძმანო, კიევი
და ჩერნიგოვიც ხიფათის გამო.
ნაღვლით აღიესო რუსთა ქვეყანა;
ღელედ მოედო ღრმა მწუხარება.
ხოლო მთავრები შფოთსა სთესადენენ.
გამარჯვებულნი ბილწნი ყივჩაყნი
რუსთ მიწაწყალზე ხარკს აგროვებდნენ —
თვითეულ კომლზე თითო ბელასა.²³⁾
ორმა ვულადმა სვიატოსლავიჩმა,
ძმებმა იგორმა და ესევილოდმა,

²¹. შურაცხყოფა განსახიერებელია აქ გედისფრთიან მითოლოგიურ ქალწულად.

²². ეელია და კარინა მწუხარების გამოშახველი მითოლოგიური არსებანია.

²³. „ბელა“ ანუ „ბელკა“ — წერილი ფული, რომელიც, შესაძლოა, შეადგენდა ციფვის (белка) ტყავის ღირებულებას.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

კვლავ გააღვიძეს უბედურება,
რომელიც ერთხელ ძლიეს მიაძინა
მათმა მშობელმა სვიატოსლავმა,
კიევის მკაცრმა დიდმა მთავარმა.
ის იყო მსგავსი ქარიშხალისა:
ძღწერის ლაშქრით, ხმალთა ფოლადით
მტერი მოსრისა; მისწვდა ყივჩაყეთს,
მითელ-მოთელა ბორცვნი, ტაფობნი;
გადააქოთა ტბა და მდინარე;
გააშრო ხევნი და ქაობები.
ხოლო მურტალი მან ყობიაცი²⁴)
ზღვის შემოშვილდულ სანაპიროთგან
ყივჩაყთა ლაშქარს, რკალზე მტკიცესა,
ქარიშხალივით გამოაგლიჯა...
და ყობიაცი ქალაქ კიევში
სვიატოსლავის კარზე მოიკლა.

აქეთ გერმანელ-ვენეტიკელნი,
იქით ბერძენნი და მორაველნი
ქებას ასხამენ სვიატოსლავსა, —
იგორს ჰკიცხავენ სამაგიეროდ,
ყივჩაყთა წყალში, კაიალაში,
ვინცა ჩასძირა სრული სიმდიდრე, —
რუსების ოქრო რომ გადაჰყარა.
გადაჯდა იგორ ოქრონაჰედის
უნაგირითგან ტყვის უნაგირზე.
კმუნვდ მოედო მაშინ ქალაქებს
და აღმოიფხვრა მხიარულება.

სვიატოსლავმა ნახა სიხმარი
კიევის მთებზე. „ლამით, წუხელის,
მწუხრითგანავე, — უთხრა ბოიართ —
საწოლსა ზედან ურთხმელისასა
ტანს მახურავდნენ შავსა საბურველს,
ასხამდნენ ჩემთვის ლურჯსა ღვინოსა,
შეზავებულსა შხამ-სამშალითა.
მაყრიდნენ მკერდზე მსხვილს მარგალიტსა
მურტალ ყივჩაყთა კაპარკებითა,

²⁴. ყივჩაყთა ხანი, რომელიც დაამარცხა და ტყვედ წაიყვანა სვიატოსლავმა 1184 წელს.



და ასერივად მასათუთებდნენ.
 ჰერი კი ჰქონდა კოკამოხსნილი
 ოქროთავიანს ჩემსა დარბაზსა.
 ღამე უწყვეტლივ ყურს აყრუებდა
 რუხი ყორნების ავი ყრანტალი
 პლენსკის მინდორთან, — ეშურებოდნენ
 კისანის ტევრით ცისფერ ზღვისაყენ.“²⁵⁾
 ბოიარებმა უთხრეს მთავარსა:

— „მთავარო, სევდამ აზრი შეხუთა...
 მოსწყდა ორივე ის შავარდენი²⁶⁾
 მამის ოქროს ტახტს, რათა ეძებნათ
 თმუთარაყანი ანდა ზუჩითა
 წყალი შეესვათ ფართო დონისა.
 და უკვე ხმლებით იმა მურტალთა
 ჩამოაკვეთეს ფრთები შავარდნებს,
 თვით ისინი კი რკინით შეჰბორკეს:
 იშვა სიბნელე დღესა მესამეს:
 იგი ორი მზე შთანთქა წყვლიადმა,
 ჩაჰქრა ორივე სვეტი წითელი,
 და ორი ნორჩი მთვარეც მათთანვე —²⁷⁾
 სვიატოსლავიც და ოლეგია —
 გადაისუდრნენ ღამის ჩრდილითა.
 უკვე ისინი ზღვაში ჩაიხრჩვენენ
 და გათაეხედდა ხანი უმეტეს.
 მუნ, კაიალას წყალთა კიდესა,
 გადაეღობა ნათელს წყვლიადი;
 რუსთა მიწაწყალს მყის ყივყაჩები
 წამოესიენენ ჯიქთა ბუდობად.
 გმობამ ჩაახრჩო ქებათ ღალადი
 და ძალადობამ თავისუფლება.
 უკვე დაეცა დივი მიწასა.
 აჰა, ცისფერის ზღვისა ნაპირსა

^{25.} ეს ადგილი, დაწვებული სიტყვიდან „რუხი“ და გათაეხებული სიტყვი „ზღვისა-
 კენ“, დედანში დამახინჯებულია; არცერთი მისი წაკითხვა, რომელიც დღემდე შეკლ-
 ვარებს მოუციათ, დამაკმაყოფილებელი არ არის.

^{26.} იგორი და ესეველოდი.

^{27.} ორი მზე იგივე იგორი და ესეველოდია, ორი მთვარე იგორის, შვილი ვლადი-
 მირი და მათი ბიძაშვილი სვიატოსლავი. მომდევნო სტრიქონში ოლეგია შეცდომით
 არის დასახელებული ვლადიმირის მავიერ.

ამდერდნენ გუთთა ქალნი ტურფანი, ²⁰⁾
 რუსთა ოქროს რომ აწკრიალებენ;
 ქებას ასხამენ ბუსოს დროებას
 და შარალანის შურისგებასა... ²¹⁾
 ჩვენ კი, ერთგული შენი დრუენა, ²²⁾
 ლხინსა და შვებას გამოვეთხოვეთ!



მაშინ დიადმა სვიატოსლავმა
 გადმოისროლა სიტყვა ოქროსი,
 ცრემლით ნამული, და ეს წარმოსთქვა:
 „ო, ჩემნო ძენო, იგორ, ვსევოლოდ!
 აღრე დაიწყეთ მკვეთრის ხმლებითა
 ყივჩაყეთისთვის მუსრის გავლება
 და მოპოება მუნ სახელისა...
 ვერ ეომენით მათ ღირსეულად
 და ღირსეულად ვერ დაათხიეთ
 სისხლი მურტალთა! თქვენი გულები
 რვალთ არიან შექედილები
 და გმირობაში გამოწრობილნი;
 მაგრამ, მითხარით, ეს რა დაჰმართეთ
 ჩემსა ქალარას ვერცხლისებურსა!
 უკვე ვერ ვხედავ მორკმულს, შეძლებულს
 ძმას იაროსლავს დიდის ლაშქრითა,
 მის ჩერნიგოველს მტკიცე მეომრებს —
 თათრან-მოღუტებს, შელბრინ-თოფჩაყებს,
 მათთან რეულებს და ოლბერებსა... ²³⁾
 ხშირად ისინი, უფარონიც კი,
 მხოლოდ დანებით და ყვირილითა
 მტერთა მხედრობას ანადგურებენ
 თვისთა წინაპართ სასახელოდა.
 თქვენ კი იფიქრეთ: ვიყვნეთ მარტონი!
 სახელს მოვიხვევტო ჩვენ მარტონივე,
 პატივს მარტონი გავინაწილებთ!

²⁰. გუთები შავი ზღვის ნაპირებზე, თმუთარაყანში ცხოვრობდნენ. მე-11 ს. ნახევარს გუთები ყივჩაყებმა დაიმორჩილეს.

²¹. ბუსო და შარალანი ყივჩაყთა ხანებია.

²². დრუენა საშუალო საუკუნეების რუსეთში ეწოდებოდა შთავრის უახლოეს ყმებს — მეომრებს. დრუენა იყო ლაშქრის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

²³. ჩამოთვლილია ტომები, რომლებიც შედიოდნენ სვიატოსლავის ძმის იაროსლავ ჩერნიგოველის ლაშქარში.

ძმანო, არ არის გასაკვირალი,
 მოხუცებულნიც რომ გაყმაწვილდეს.
 როს შავარდენი ბუმბულს შეიცვლის
 იგი ფრინველებს მალლა აპფანტავს,
 ჩაგვრას აშორებს თავის ბუდესა.
 გამიხდა იგი სავალალოდა,
 რომ აღარ მაქვს მთავართ შეწვენა;
 ეამი აწ ესე რას დაემსგავსა!..
 აჰა, რიმოვში ხალხს აყვირებენ²²⁾
 ხმალნი ყიფჩაყთა, ხოლო ვლადიმირს,
 დიდსა მთავარსა, მძიმე წყლულები;
 ურვა და წყენა ძესა გლებისას.²³⁾



ეჰა, ვსევოლოდ, დიდო მთავარო!²⁴⁾
 არ ვაგიზრახავს შორით მოფრენა,
 მამის ოქროს ტახტს რომ ეპატრონო?
 შესძლებ ზოფებით ვოლგის ამოღვრას,
 დონის დაშრობას მუზარადებით!
 შენ რომ აქ იყო, ეღირებოდა
 მაშინ ტყვე-ქალი ერთი ნოვატი,
 ხოლო ტყვე-კაცი ერთი რეზანი...²⁵⁾
 შენ შეგიძლიან, ხმელეთზედაცა
 ისართა სროლა ცოცხალ მშვილდებით —
 გლების გულმაგარ, მხნე შვილებითა.²⁶⁾

შენ, მხნე რიურიკ, შენაც, დავითო!²⁷⁾
 თქვენ არ იყავით, სისხლში ცურავდით
 მოოქროვილის მუზარადებით?
 ეს ხომ გულადი თქვენი დრუეჩინა
 მიმოდრიალეებს ხარისებურად
 უცხო ველზედა ხმლით დაჩეხილი?..

22. რიმოვი რუსთა ქალაქის სახელია.

23. ვლადიმირ გლების-მე — პერიასლავის მთავარი, ვსევოლოდის ცოლის ძმა, მძიმედ დაკრეს ყიფჩაყებმა იგორის ტყვეობის დროს (გარდაიცვალა 1187 წ.).

24. ვსევოლოდ იურის-ძე სუზდალელი, წოდებული „დიდ ბუღობად“ (Большое Гнездо) გარდაიცვ. 1212 წ.

25. ნოვატი და რეზანი წერილი ფუღია.

26. დიდ მთავარს ვსევოლოდს ომში ახლდნენ ხოლმე მთავრის გლებ როსტისლავის-ძის შვილები — ვსევოლოდი და ვლადიმირი.

27. როსტისლავ მსტილავის-ძის შვილები.

ალიმართენით, ჰე, ხელმწიფენო,
სცვითეთ ფერხითა ოქროს უზანგნი
ამაჟამინდელ შერცხვენის გამო,
რუსთა მიწაწყლის დასაცავადა,
გულად იგორის ჭრილობათათვის!



მეფევ გალიჩთა, იაროსლავო,
სახელდებულო ოსმომისლადა! ³⁸⁾
შენ მაღლად ზიხარ ოქროს ტახტზედან;
შეჰყუდებიხარ მთებს უგორისას ³⁹⁾
რკინისებურის მტკიცე ლაშქრითა,
კოროლისათვის გზა მოგიჭრია, ⁴⁰⁾
დაგიკეტნია ბჰე დუნაისთვის,
ლოდნი ღრუბლებში გაგიტყორცნია
და დუნაიმდის დაგიდგენია
შენი წესრიგი და სამართალი...
ქვეყნებს წაპლგრიან შენნი რისხვანი;
კართა გამლები ხარ კიევისა;
მშობელი შამის ოქროს ტახტთაგან
სულთნებს შორეულს უშენ ისრებსა...
მაშ, ხელმწიფეო, ყონჩაყს ესროლე,
მონას შურტალსა, — ამას გაეალებს
რუსთ მიწაწყალი და ჭრილობანი
სვიატოსლავის ძის — მხნე იგორისა!

თქვენცა გულკაენო რომან, მსტისლავო!
ზრუნავთ მარადის გმირულ საქმისთვის.
მაღლა დაფრინავთ გულით მტკიცენი,
შავარდენივით ქარებს დაჰყეებით,
გააფთრებულნი ებრძვით ფრინველსა...
გაქვსთ სამკერდულნი ფოლადისანი
ქვემო ლათინურ ჩაფხუტებისა.

³⁸. იგორის სიმამრი იაროსლავი, რომელსაც შერქმეული ჰქონდა სახელად, დიდი ჭკუის გამო, ოსმომისლი (რეიაზროვიანი).

³⁹. ჰუნგრეთის მთებს, კარპატებს.

⁴⁰. იგულისხმება ჰუნგრეთის კოროლი.

⁴¹. რომან მსტისლავის-ძე ვოლინელი (გარდაიცვ. 1205 წ.), წარმატებით იბრძოდა ყივჩაყთა წინააღმდეგ. მსტისლავ იაროსლავის-ძე — ინგვარისა და ესევილოდის ძმა — 1184 წ. პირველი დაესხა თავს ყივჩაყებს და მრავალი მათგანი ტყვედ წაასხა.

მათ გამო უკვე მიწა შეირყა
და ბევრმა მხარემ: ხანთა ქვეყნებმა,
ლიტვამ, იატვამ, დერემელამან
და ყივჩაყებმა შუბნი დაჰყარეს
და მოიდრიკეს თავნი თავისნი
თქვენს პირმოლესილ ხმალთა წინაშე.



მაგრამ, ჰე, უკვე, ჩემო მთავარო,
შუქი უქრება მზეს იგორისთვის,
და ჩამოსცვივდა ხეებს ფოთოლი
უბედურების აღსანიშნავად!
როსის და სულას წყალთა კიდეზე⁴²⁾
მტრებმა ქალაქნი გაინაწილეს.
ხოლო იგორის გულმხნე ლაშქარი
აწ ვერასოდეს ველარ წამოდგეს!..
შენ მოგიწოდებს დონი, მთავარო,
და ყველა მთავრებს — გამარჯვებისთვის.

გმირნი მთავარნი ოლგოვიჩები
ომში შესულან!.. ინგვარ, ვსევოლოდ,
თქვენ, სამთავენო მსტისლაეიჩებო!⁴³⁾
არ ცუდის ბუდით გადმოფრენილხო
შავარდენებო ექვსფრთიანებო!
თქვენ ხომ უფლებით შეიმოსენით
გამარჯვებების მეოხებითა?
სად არის თქვენნი ოქროს ჩაფხუტნი,
შუბები მკვეთრი, ფარნი წითელნი?
გადაულობეთ ველსა ისრებით
კარნი რუსების მიწაწყლის გამო,
გულმხნე იგორის ჭრილობათათვის!

აწ უკვე სულა ვერცხლის ქაველებით
არ ეტანება პერეიასლავს,
და უკვე დვინა მდორე ჭაობად
მკაცრ პოლოცკელთა მიმართ მდინარებს,

⁴²⁾ როსი და სულა დნებრის შენაკადებია.

⁴³⁾ ინგვარ და ვსევოლოდ — იაროსლავ ლუცკელის ძენი, ვლადიმირ მონომახის შთამომავალნი. აქ ისინი დასახლებულნი არიან მსტისლაეიჩებად მათის პაპის მსტისლავ დიდის მიხედვით. მესამე მსტისლაეიჩად იგულისხმება მათი ძმა, ზემოთ მოხსენებული მსტისლაეი. თითო მათგანი აქ წარმოდგენილია შავარდნად, ამიტომ სამივე სახელებულია ექვსფრთიანებად.



ქართული
ბიბლიოთეკა

ბილწთა ყვირილით განაყრუვები.
მხოლოდ მან ერთმან, იზიასლაემა, ⁴⁴)
ვასილკოს ძემან, ააწკრიალა
ლიტველთ ზუჩებზე ხმალნი ლესულნი;
პაპას წაართვა იმან სახელი,
ესესლავს, თავად კი წითელ ფართა ქვეშ,
სისხლით შეღებილ ბალახთა ზედან
დაწვა ლიტველთა ხმლებით ნაჩეხი.
ხელი წაავლო მან იმ სახელსა
სიკვდილის წინა და ეს წარმოსთქვა:
„ვაგლახ, მთავარო, შენს დრუჟინასა
გადაეფარა ფრთანი ფრინველთა
და სისხლი მისი მხეცთა ალოკეს!“
აქ იზიასლავს ძმები არ ჰყვანდა —
ბრიაჩესლავი, არც ვსევოლოდი:
მარტოს აღმოხდა მხნე სხეულითგან
სული ნათელის მარგალიტისა,
ოქროს ფარღულით განტევებული.
ჩაკედა სიმღერა; შეწყდა შექცევა;
ჰქუხან საყვირნი გოროდენისა. ⁴⁵)

ჰე, იაროსლავ, და თქვენ, ყოველნო
შვილთა შვილებო მხნე ესესლავისა!
დაბლა დაჰხარეთ თქვენი დროშები;
ხმალნი ვნებულნი მყის ჩააგენით!
სტეხავთ სახელსა მამა-პაპეულს!
თქვენ ბილწი მტერი თქვენის შფოთითა
წამოასიეთ რუსთა მიწაწყალს,
ესესლავის ვრცელსა საპატრონოსა.
მთავართა შორის არევედარევაჲ
შვა ყიფჩაყების ძალადობაცა.

ტროიანესგან მას მეშვიდესა
საუკუნესა ჰყარა ესესლავმან
წილი სასურველ ქალწულისათვის.

⁴⁴. იზიასლავ ვასილკოს-ძე პოლოცკელი, ესესლავის ჩამომავალი, მოკლეს ლიტველებმა 1183 წელს.

⁴⁵. ქალაქი გოროდნო, სადაც იზიასლავი მთავრობდა, მინსკის ოლქში მდებარეობს.

ცბენსა დაეყრდნო წელმოღუნული,
მკვირცხლად მიჭენდა კიევაძლისინ
და მის ოქროს ტახტს შუბით შეეხო
გაიჭრა მუნით, ბელოგრაღითგან,
ვითა ნადირი, — შუღამისას;
ჩამოეკიდა ლურჯ სიბნელეში...⁴⁶⁾
დილით ადგა და ნაჯახებითა
ბქენი განახვნა ნოვეგოროდისა.
სთელა სახელი იაროსლავის
და გაირბინა მგლისებურადა
დუღუტოკითგან ნემიგამდისინ.⁴⁷⁾



ნემიგას წყლისა კიდე-ნაპირზე
ძნებსა კი არა — ჰყრიან თავებსა;
სცეხვავენ რკინის საცეხვლებითა;
სდებენ სიცოცხლეს ფართო კალოზე
და სულს ტანითგან გამობერტყავენ.⁴⁸⁾
ნემიგას წყლისა კიდე-ნაპირი
გადაითესა არა მარცვლითა, —
რუსთა შეიღების ძეღებით ითესა.

მთავარი ვსესლავ ხალხსა განსჯიდა,
უწესრიგებდა მთავრებს ქალაქთა;
თვით კი მგელივით ღამე დაძრწოდა;
ის კიევიტგან მამლის ყივილზე
მიაწყდებოდა თმუთარაყანსა;
ხორსსა ღიადსა წინ წაუსწრებდა.⁴⁹⁾
მას ცისკრისათვის ზარს დაურეკდა
წმინდა სოფიო პოლოცკითგანა,
ხოლო კიევში ზარი ესმოდა!
თუმც ჯადო სული ედგა სხეულში,⁵⁰⁾
აინც ხიფათსა ხშირად სწევია.
სწორედ ამიტომ ბრძენსა ბოიანს

⁴⁶⁾ ეს სტრიქონები ტექსტის ერთერთ ბნელ ადგილად ითვლება.

⁴⁷⁾ კარამზინის აზრით, დუღუტოკი ნოვეგოროდის ახლო მდებარე დაბა უნდა იყოს.

⁴⁸⁾ აქ იგულისხმება ბრძოლა მდინარე ნემიგაზე ვსესლავის მიერ ნოვეგოროდის დაჭერის გამო. ბრძოლა შედარებულია კალოზასთან.

⁴⁹⁾ ზორსი მზის ერთერთი სახელია, როგორც წარმართული დეოებისა.

⁵⁰⁾ ვსესლავს მიეწერება აქ ჯადოსნური თვისებები.

უთქვამს ანდაზა მისთვის ადრევე:
 „ვერც მოხერხებით, ვერცა სიმარლით,
 თუნდ უსწრაფესიც იყო ფრინველზე,
 ღვთისა სამართალს ვერ გაეჭყვევი!“



ჰმართებს იკვნესოს რუსთა ქვეყანამ
 ეამსა წინანდელს რომ გაიხსენებს
 და მოიგონებს ძველსა მთავრებსა!
 რად არ მოხერხდა ვლადიმირისა
 ჭალაქ კიევის მთებზე მიჰედვა!
 მისნი დროშანი შეხვდნენ წილადა
 ზოგნი რიურიკს, ზოგნიც დავითსა,
 მაგრამ ამჟამად იგი დროშები
 დაფრიალებენ გათიშულადა,
 ხოლო დუნაის კიდე-ნაპირზე
 მკვეთრი შუბები დაიმღერიან.

და ხმას იმაღლებს იაროსლავნა,⁶¹⁾
 როგორც გუგული, დილითგანავე.⁶²⁾
 ამბობს: „დუნაის კიდე-ნაპირსა“⁶³⁾
 გადაეფრინდები მე გუგულადა!
 ამოვასველებ კაილაში
 კაბის სახელოს წაე-ბეწვიანსა,
 სისხლით მოსერილსა მოვბან კრილობებს
 ძვირფასის მთავრის ტანსა ძლიერსა“.
 დილითგანავე იაროსლავნა
 ტირის პუტიელოს ვალავანზედა:⁶⁴⁾
 „ქარო, ჰე, ქარო! ჩემო ბატონო,
 რისთვის უბერავ ასე მძლავრადა?
 მსუბუქფრთიანო, ხანთა ისრებით
 რისთვის მილახვრავ სატრფოს ლაშქარსა?“

⁶¹ იგორის მეორე ცოლი (შეირთო 1184 წ.) ეფროსინე იაროსლავის ასული.

⁶² რუსულ ხალხურ პოეზიაში მწუხარე ჭალი გუგულად არის ხოლმე განსახიერებული.

⁶³ მდინარე დუნაი ზოგიერთი რუსული ხალხური სიმღერების მიხედვით კიევის ახლოს გადის. ზოგიერთ შემთხვევაში, ეტყობა, დუნაი მდინარის საზოგადო სახელად უოფილა მონიწეული; ალბათ ამიტომ იაროსლავნა დონს დუნაის უწოდებს.

⁶⁴ პუტიელო ვლადიმირ იგორის-ძის სამთავრო ჭალაქი იყო.

⁶⁵ ტყვედ მოხვედრილ იგორს ყონსაყი დაუდგა თავიდან, როგორც დაჭრილს აქ აწერილი იგორის გაჭყვევის ამბავი ეთანხმება ეამთა-აღმწერლის ცნობებს.



ნუთუ არ გეყო ცაში ფარფატი,
 ნავთა ქანავი ცისფერ ზღვაზედა?
 ჩემო ბატონო, რად გამიფანტე
 მინდორთა ზედან ლხენა ვულისა?“
 დილითგანავე იაროსლავენა
 ტირის პუტიველოს გალაგანზედა:
 „დნებრო ძლიერო! შენ ყივჩაყეთში
 გაგირღვევია მთანი კლდისანი;
 გიტარებია ფართო მკერდითა,
 თვით ყობიაციის ჯართა ბინამდის,
 ნავი მრავალი სვიატოსლავისა.
 მაშ მომიყვანე, ჩემო ბატონო,
 სატრფო ძვირფასი, რათა ზღვის პირას
 ცრემლს არ ვაწუდიდე მას დილითგანე!“
 დილითგანავე იაროსლავენა
 ტირის პუტიველოს გალაგანზედა:
 „მზეო ნათელო და უნათლესო!
 თბილი და ტურფა ხარ ყველასათვის!
 ჩემო ბატონო, რად მიაფინე
 სხივი მხურვალე სატრფოს ლაშქარსა?...
 უწყალო ველზე წყურვილისაგან
 მთლად დაიკრუნჩხა მათი მშვილდები.
 კაპარქები კი სევდით დაიხშო!“

წამოენთხია ზღვა შუალამეს;
 მოეფინება სვეტი ღრუბლისა;
 გზას მოასწავლის იგორს უფალი
 ყივჩაყეთიდან რუსთ ქვეყანაში,
 მშობელი მამის ოქროს ტახტისკენ.⁵⁵⁾
 ჩაჰქრა სალამოს ცა ფერ-წითელი.
 სძინავს იგორსა.. იგორს არ სძინავს;
 იგორი ფიქრით ზომავს ველეებსა.
 დიდის დონითგან დონეცამდისინ.
 ცხენი მზადაა შუალამითგან.
 მდინარის გაღმა უსტვენს ოვლური,⁵⁶⁾
 მთავარს აუწყებს დათქმულ ნიშანსა...
 აჰა, იგორიც გაჰქრა უეცრად!

⁵⁵ ოვლური, ანუ ლავორი, — ყივჩაყთი, რომელმაც მოაწყო იგორის გაქცევა ოვლური თან გაქცევა იგორს; დედით ოვლური რუსი იყო.

მიწა აცენესდა და აგუგუნდა;
 ველზე ბალახმა წაიშრიალა;
 აფორიაქდნენ ყივჩაყთ კარგები...
 მთავარი იგორ მყის გაეჭანა
 ფეხმალ ყარყუმად ლერწმებისაკენ,
 წყალზე გასცურა თეთრ კოკონადა.
 მკვირცხლად მოახტა ცხენსა ფიცხელსა,
 კვლავ გადმოიჭრა — მგელი ფეხშიშველ,
 დონეცის მინდორს მსწრაფლ მიაშურა
 და შავარდენად ღრუბელს გაეკრა,
 გედებისა და იხვთა მელეტავი
 საუზმეთა და სადილ-ვახშმადა.
 ოდეს შავარდენად ჰფრენდა იგორი,
 მაშინ ოვლური მგლად გამორბოდა
 ცივის ცვარნამის მიმობერტყვითა.
 დაჰქანცეს იმათ ცხენნი ფიცხელნი.



ქართული
 ენციკლოპედია

ეტყოდა მაშინ წყალი-დონეცი:
 „მთავარო იგორ! უხვად მოგეზლოთ:
 სახელი შენა, ზიზლი ყონჩაყსა
 და სიხარული რუსთა ქვეყანას“.
 ეტყვის იგორი: „ჰეი, დონეცო!
 ახლა თავი ხომ შენც ისახელე:
 ზიდე მთავარი ჩქარ ტალღებითა,
 შენს ვერცხლოვანსა კიდე-ნაპირზე
 მწვანე ბალახი დაბლა უფინე;
 ტანს უბურავდი თბილის ნისლეებით
 მას, ამწვანებულ ხის ქვეშ მჯდომარეს;
 უდარაჯებდი წყალზე კოკონად,
 ტალღებში ქაროდ, ქარში იხვადა...
 თურმე სულ სხვაა სტუგნა-მდინარე.“²⁷
 გაბოროტებულ თავის ქავლითა,
 სხვათა ნაკადთა გადამყლაპაყო,
 შიგ შესძრომია ბუჩქნარს რუებად;
 მან ახალგაზრდა მთავარს როსტისლაეს
 დაუხშო დნეპრის ბნელი ნაპირი.

²⁷. სტუგნა დნეპრის შენაკადია. აქ აწერილია სტუგნის აღიდეგა 1093 წელს, როდესაც მასში დაიბრძო პერეიასლაველი მთავარი როსტისლავ ესევილოდის-ძე. მონომახის უმცროსი ძმა.

და ჰგლოვობს დედა როსტილავისა
თავის როსტისლავს, ნორჩსა მთავარსა.
დასჭკნენ ყვავილნი სიბრაღულითა,
ნალვლით ხეები ძირს დაიხარნენ.



ეს კაჟკაჟები კი არ ჩხავიან:
იგორს მისდევენ გზაყი, ყონჩაყი.
მაშინ ყორნები არ ყრანტალეზდნენ,
სღუმდნენ ჭილყვავნი და კაჟკაჟები,
მხოლოდ ხეებზე მოფრთხილენი.
მათ კოდალანი თავის კაკუნით
მდინარისაკენ გზას ასწავლიდნენ.
იუწყებოდა სტვენა ბულბულთა,
რომ განთიადი ახლოედებოდა.
და უთხრა მაშინ გზაყმა ყონჩაყსა:
„თუ შევარდენი მიჰფრენს ბუღისკენ,
დაეცხრილავთ ბარტყსა ოჭროს ისრებით!“⁴⁹)
ეტყვის ყონჩაყი გზაყსა პასუხად:
„თუ შევარდენი მიჰფრენს ბუღისკენ,
ბარტყსა შევებოჟავთ ტურფა ქალითა“.
და უთხრა კიდევ გზაყმა ყონჩაყსა:
„მას თუ შევებოჟავთ ტურფა ქალითა,
მაშინ არც ბარტყი შევარდენისა,
არც ტურფა ქალი არ გვეყოლება,
და დაგვიწყებენ ცემა-კორტანასა
ყიეჩაყთა ველზე ჩვენ ფრინველები!“

განა არ იყო, რომ ბოიანი
სეიატოსლავის დროსაც უმღერდა,
თუმც იყო იგი ძველთა მოლექსე —
ოლეგისა და იაროსლავისა:
იგი ამბობდა: „თუმცა თავისთვის
სამძიმო არის მხრებს თუ მოშორდა,
მაგრამ არ ვარგა მხრებიც უთავოდ!“

⁴⁹. შევარდნად აქ იგულისხმება იგორი, შევარდნის ბარტყად — მისი შვილი ელა-დიშარი, რომელიც მასთან ერთად იყო ტყვეობაში. ტურფა ქალი ყონჩაყის ასულია; იგი შერთეს ელადიშარს, მაგრამ ელადიშარი ყიეჩაყელი ეპოლითურთ შემდეგ სამ-შობლოს დაუბრუნდა. ამგვარად გამართლდა გზაყის ნათქვამი: „მაშინ არც ბარტყი შევარდენისა, არც ტურფა ქალი არ გვეყოლება“.

ამნაირადვე რუსთა ქვეყანაც
 არ ივარგებდა უიგოროდა.
 ცაზე ანათებს მზე სხივოსანი,
 მთავარი იგორ — რუსთა მხარეში.
 დუნაის პირას მღერენ ასულნი;
 აღწევს სიმღერა ზღვით კიევამდის.
 მიდის იგორი ბოროვიჩის გზით
 პიროგოშჩეის ღვთისმშობლისაკენ.⁸⁹)
 მხიარულობენ ყველა ქვეყნები
 შვება მიეცა ყოველ ქალაქსა.



ჯერ მოვიგონეთ ძველნი მთავარნი,
 შემდეგ ვუმღერებთ ახალგაზრდებსა:
 დიდება იგორ სვიატოსლავიჩისა,
 მასთან ვსევოლოდს, ხარსა ფიცხელსა,
 და ვლადიმირსა — ძეს იგორისას!
 დღეთა გრძელობა მთავრებს, დრუჟინას,
 ურწმუნოებზე ამხედრებულებს
 ქრისტიანების დასაცავადა!
 დიდება მთავრებს და დრუჟინასა!
 ამინ.⁹⁰)

თარგმანი კონსტანტინე კიკინაძისა

⁸⁹. პიროგოშჩეის ღვთისმშობლის ტაძარი კიევი აშენებულია 1131 წ. მსტისლავ დიდის მიერ.

⁹⁰. ნაწარმოები დასრულებულია სიტყვით „ამინ“ სასულიერო მწერლობის ნიმუშთა მიხედვით.

იაკინთო ლისაზვილი.

კ ე რ ვ ი

1

— არ მინდა, ძამიავ, არ მინდა, ძამიავ! — იძახდა ივანე სოფლის ყველა საზოგადო კრებაზე, თემშარაზე და თითქმის ყველგან, სადაც საამისო შემთხვევა მიეცემოდა.

ყველაფერზე „არ მინდა“-ს იძახდა წითური, შვილდივით წელში მოხრილი ივანე და ამ მისთვის საყვარელ „არ მინდა“-ს ბოლოს აუცილებლად „ძამია“-ს მოაყოლებდა.

ყვიროდა ივანე, ყვიროდა დაუსრულებლივ და მისი დამშვიდება არავის არ შეეძლო.

მას არ უნდოდა შეეტანა ფული სკოლის ასაგებად, გასულიყო გზის სამუშაოზე, ათი შაური გადაეხადა სოფლის სამკითხველოს მოწყობისათვის და არაფერი საერთო არ უნდოდა, არ უყვარდა ივანეს.

აღბათ, ამიტომაც ასე ძლიერ შეიყვარა მან სიტყვები: „არ მინდა“, რაც ბოლოს ჩვეულებად გადაექცა და უნებლიედ. ზოგჯერ მაშინაც კი წამოსცდებოდა, როცა მის სასარგებლო ამბავს უთხრობდნენ.

ივანეს არ უყვარდა სტუმარი, დროს ვატარება არც თავის სახლში, არც მეზობლებთან, ვინაიდან იცოდა, რომ მეზობლებთან ქეიფს, დროს ვატარებას სამაგიეროს გადახდაც დასჭირდებოდა. ამავე მიზეზით მეზობლებიც თავს არიდებდნენ ივანესთან სტუმრობას და ივანესაც არ ვპატივებდნენ.

ივანე სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი „ოხოხოია-ჩახოხოიას“ ანუ ქეიფის წინააღმდეგ.

როცა მეზობლები რაიმე დღესასწაულზე ან სხვა შემთხვევის დროს სიმღერას იწყებდნენ, ივანე ნაჯახით ხელში გავიდოდა ეზოში, რამეს ჩეხავდა, თლიდა ან ბეღლის ლაფაროში მოფარებულ საწნახელს ნაჯახის ყუას უბრაზუნებდა, რომ მით ქეიფის გუნებაზე მოსულ ცოლშვილისათვის მაღა წაერთმია და „მოქეიფე“ მეზობლებისათვის სამაგიერო პასუხიც გაეცა.

— რას აკეთებს, ბიჭო, მამაშენი იმ ბედლის ლანძღვრით, აღარ მიხედავ? — ეტყოდა ხოლმე ივანეს მეუღლე კესარია, უკვე მისწორებულ უფროს ვაჟს ბესარიონს, როცა რახუნის ან ჩეხის ხმის აღიქმავდა.

— დღსწყველოს ღმერთმა! არ იცი თუ?! — გაჯავრებით მიუგებდა ბესარიონი და ხელს ჩაიქნევდა. — იმ ხალხს მაინც შეარგოს ლუქმა, ყურისძირში ნაჯახს რომ ურახუნებს!

თუ ასეთი საქმიანობა ივანეს საღამოხანს ან შუალამისას აუტყდებოდა, კესარია მოზრდილ ოდიდან აივანზე გამოვიდოდა, დიდხანს ემუდარებოდა, სახლში შესულიყო და საქმეები მეორე დღისათვის შემოენახა. მაგრამ ივანე მაინც ურჩობდა.

— რა გინდა, დედაკაცო?! — გაჯავრებული მიუგებდა ივანე, — იმათი „ოხოხოია-ჩახოხოია“ მეყოფა თუ!

და როცა შეწყდებოდა სიმღერები და მზიარული შეძახილები, ივანეც მშვიდდებოდა, მყისვე ნაჯახს მზარზე გაიდებდა და სახლში ბრუნდებოდა.

აივანზე ამოსვლისთანავე, იმის შიშით, რომ ეს წყეული ხმები არავეს გაეგონა მის ოჯახში, ხმამალა დაიძახებდა:

— დაწეკით ახლა, დაიძინეთ! აღარ გეძინებათ?!

და მართლაც, ნადრევედ, ძალით ჩაყრიდა ცოლშვილს ლოგინში და თითონაც ნადრევედ წვებოდა.

მხოლოდ სატირალში რატომღაც ყოველთვის დადიოდა ივანე და მზარეულად, უფრო კი მერიჭიფედ დგებოდა.

— დალიე, ძამიავ, მიცვალეზულის საცხონებელი! რას უცდი ძამიავ! — აძალებდა ივანე ღვინოს, შესაძლოა იმიტომ, რომ სხვის ხარჯზე მეზობლების გული მოეგო.

ხუთი შვილი ჰყავდა ივანეს: ოთხი ვაჟი და ერთი ქალი. სკოლაში მხოლოდ ვაჟები შიაბარა, მაგრამ როცა ცოლმა ქალიშვილის გაგზავნა მოსთხოვა, მის ლანძღვა-გინებას ბოლო არ ჰქონდა:

— რათ უნდა დედაკაცს სწავლა, დედაკაცის სწავლა რას მიქვიან, ძამიავ! არ მინდა, ძამიავ!

სხვა რა გზა იყო — კესარიამაც თავი მიანება ურწმუნო ქმრის დარწმუნებას და ძალაუნებურად შეურიგდა ივანეს მოთხოვნას.

— გამიშვით სკოლაში! შუშანა თუ წავიდა, მე არ მინდა? — იძახდა თინა, ტირიდა. მასაც უნდოდა თავის მეზობელ შუშანასთან ერთად სკოლაში წასვლა, მაგრამ ამოდ — ივანეზე ცრემლი არასოდეს არ მოქმედებდა.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე თაგვის კყლინტო! — უყვიროდა ივანე თინას და ეზოში შოლტით მისდევდა: — როგორ მიბედავს! გაწყებალავ მაგას! მოკვდეს, ძამიავ!

რამდენიმე დღეს კიდევ წრიალებდა, ტიროდა პატარა თინა, როცა ხედავდა, რომ ყოველა მისი ტოლი სკოლაში წავიდა, ხოლო მას ბატება ჩააბარეს მოსამწყემსავად.

ბოლოს ისიც შეურიგდა თავის ბედს ანუ უბედურებას, დასდებოდა წყლის პირას ჩაფიქრებული და უსშენდა ბატების უदारდელ ყიყინს.

ივანემ უფროსი ვაჟი, ბესარიონი სოფლის სკოლის მეოთხე განყოფილებიდან გამოიყვანა და ყანისაკენ გაიგდო წინ.

— გეყოფა ახლა! — უთხრა ივანემ. — სკოლა რომ იხსნება, მაშინ ყანების თესვა მოთავეებულია. მარტო სამარგელში რაღად მინდიხარ! არ მინდა, ძამიავ, მაშინ გვიანლა!

ერთი წლის შემდეგ ივანემ შემდეგი ორი ვაჟიშვილიც გამოიყვანა სკოლიდან, როცა ერთი მეორე განყოფილებაში, ხოლო მისი მომდევნო მესამე განყოფილებაში იყო. ერთად დასვა ისინი სამზარეულოში სამფეხა სკამზე და მისთვის უჩვეულო სიძინჯით უთხრა:

— მშვენიერი აზრი მომივიდა, შეილებო, ფილოსოფოსებათ თქვენ ვერ გამოდგებით. გეყოფათ სწავლა. ახლა რაიმე ხელობა უნდა შეისწავლოთ.

მართლაც, ორიოდღე დღის შემდეგ დედამ ცრემლით მიაცილა ორი საშუალო ვაჟიშვილი ჭიშკართან და გრძნობით დაკოცნა:

— შენ იცი, გრიგოლ, თუ არ დამივიწყებ! შენც, ჩემო გერვასი, ჩემო პატარა. თავს მოუარეთ, მალე მინახულეთ, შეილებო.

გრიგოლი და გერვასი უდიდესი სიყვარულის გრძნობით გამოეთხოვნენ დედას, თუმცა გულში უხაროდათ, რომ მამის სუსხს თავს არიდებდნენ.

ივანე, რომელიც მათ წელში წახრილი, ხელში გრძელ ჯოხის ბორილით წინ მიუძღვოდა, ხშირად უკან მიიხედავდა და თავის კრელ, ლურსმანივით წამახვილ თვალებს ჩამორჩენილ შეილებს დაუმიზნებდა.

— იჩქარეთ, ჰო, გამოადგით ნაბიჯი, ღმერთმა კი შეგარცხვინათ ამისთვის, ახლა დაკუნტდით?

ივანემ კმავე დღეს მახლობელ დაბა უნაგერაში მოაწყო ვაჟები: გრიგოლი ხარაზს მიაბარა, ხოლო გერვასი შეძლებულ ვაჭარს.

იმის ნიშნად, რომ დღეს ივანე კმაყოფილია, ორი შაურის პურიც იყიდა, ცხვირსახოცში მაგრა გამოსკვნა და შინისაკენ გზას გაუდგა.

წითურ ივანეს მეზობლები ხედებოდნენ გზაში, მიესალმებოდნენ, გაშორდებოდნენ და შემდეგ უჩუმრად წააფურთხებდნენ, ვინაიდან ივანეს ხმა ჰქონდა გავარდნილი, თითქო მის კრელ, მზაკვრულ თვალებს უღელში ზარიც კი წაუქცევია, სიმინდით საესე ნალები დაუნგრევია და უსაზღვრო სიხარბის გამო ზღვის პირად მეზობლების ყანებში გრიგალი მოუყვანია, რომ მთელი ყანა წაექცია. ამიტომ დიდი სიფრთხილით და უსიამოვნო გრძნობით ხედებოდნენ მას, ყველას ეშინოდა ცუდი თვალით არ შეეხედა ივანეს და რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა.

II.



რაც დრო მიდიოდა, ივანე უფრო და უფრო უმარტობდა. ამიტომ მოჯამაგირეც დიდხანს არ უჩერდებოდა.

ივანე მიხვდა, რომ მოჯამაგირის ყოლა სასარგებლო საქმეა: უფრო მეტ ყანას დაამუშავებს, მეტ სიმინდს გაჰყიდოს, ტყეში შეშას მოაჭრე-ვინებს და აქედანაც ფულს აიღებს, მაგრამ ვერ იჭნა და ვერ მოახერხა ისეთი მოჯამაგირის შოვნა, რომელსაც ჭამა და ძილი არ მონდომებოდა.

ეს ორი რამ მეტად აღელვებდა ივანეს და მოსვენებას არ აძლევდა. ადგილი ჰქონდა გაუთავებელ დავას, აურ-ზაურს, ამ ნიადაგზე ივანე ზოგჯერ ჯოხის მოქნევაზედაც კი გადადიოდა.

— არ მინდა, ძამიავ, ასეთი მოჯამაგირე! — ყვიროდა ივანე, მაგრამ სანამ ამ ყვირილს დაასრულებდა, მისგან გაქცეული მოჯამაგირე უკვე სოფლის თემშარაზე იყო გასული.

როდესაც ივანეს ხასიათი ახლო-მახლო სოფლებში ყველამ გაიგო, და მოჯამაგირედ აღარაფერ უდგებოდა, ივანე მაინც ფარხმალს არა ჰყრიდა და ხალხის გასაგონად თავს ასე ინუგეშებდა:.

— რათ მინდა ძამიავ, მოჯამაგირე? მე ჩემი ვერ გამიზრდია და სხვის კოტრებს რა გამაზრდევენებს!

ივანემ მაინც მოახერხა ცოტაოდენი თანხის შეგროვება, და მახლობელ პატარა მდინარეზე წისქვილი მოაწყო.

მეზობლები ხშირად ჯავრობდნენ, ივანე მინდს ბლომად იღებს და, რაც მთავარია, ნაფქვავს გულს აცლის და ქატოს გვიტოვებსო. მიუხედავად ამისა, ზოგს მაინც მიჰქონდა საფქვავე, რადგან სხვა წისქვილები შორს იყო.

თითონ ივანეც საუცხოოდ იცოდა ეს და მეზობლებისადმი დათმობაზე არ მიდიოდა.

— რა გინდათ, ძამიავ! ჩემი არ მოგწონთ, მიბრძანდით სხვაგან. ხუთი ვერსტი რა დიდი საქმეა! უცბათ მიიტანთ.

გულში კი უხაროდა, რომ მართლაც ხუთ ვერსზე საფქვავეს ზიდვა არც თუ ისე ადვილი საქმეა.

მართალია, ბევრი გაურბოდა ივანეს, მაგრამ მისი წისქვილი იმდენად პატარა იყო, რომ ცოტა საფქვავეც რომ მიეტანათ, იმის დაფქვასაც ვერ უთავებდებოდა.

მით უფრო, მხოლოდ წვიმის დროს რაკრავებდა ივანეს წისქვილი გაბედულად, შემდეგ კი სულთმობრძავსავით იწყებდა ზრიალს და ძლიერს სუნთქავდა.

ამიტომაც ივანე ხშირად მხიარული დადიოდა წისქვილში (თუ შინ იყო, სხვას არ ენდობოდა) და მიმსვლელებთან თავისი პატარა წისქვილივით იღრინებოდა.

კესარიამ ხელი ჩამოართვა ახალგაზრდა უცნობ ბიჭს, რომელიც ელამ თვალს ისიც დაემატა, რომ მისალმების დროს სიტყვა ძლიერ დასძრა:

— ვამარჯობა! — როგორც იყო, აღმოხდა და ეგვიპტეში ბოძივით დაესო.

— სიძეა, სიძე! — დაიძახა ივანემ და უმცროსი ვაჟის სერაფიმონას მიერ მოტანილი სკამი სტუმარს მიუდგა.

სტუმარი მოსხლეტილად დაეცა სკამზე და ელამი თვალათ სადღაც შორს, ერთ წერტილს მიაჩერდა.

— რას ამბობ, კაცო? — გაოცებით იკითხა კესარიამ. — ვის ათხოვებ, შე შეჩვენებულო? — თითქოს ხუმრობით, ნამდვილად კი დაფარული აღშფოთებით იკითხა კესარიამ და ქმარს მიაჩერდა.

— ჰკუაზე მოდი, დედაკაცო! — ხმაამაღლებით შეუღრინა ივანემ. — ვის ვათხოვ, არ იცი? იმ ობლებს პატრონობა არ უნდა, იმათ ქონებას კაცი არ უნდა? ვის ვათხოვ და გულქანას ვათხოვ!

— ვაიმე! — იკივლა მოთმინებასაგან გამოსულმა კესარიამ, — ვაგივდი, შე განწირულო! ის ხომ ბავშვია, რას შერეები, კაძახო? ჰკუაზე მოდი, ჰკუა მთლად დაჰკარგე? ეს რა გიფიქრია, შე განწირულო!

ახლა ივანე მთლად გამოვიდა მოთმინებიდან: გრძელა: კორხლებიანი ჯოხი ჰაერში აათამაშა და მძლავრად დაკვესა:

— დაჩუმიდი, დედაკაცო! ქალის ჰკუას ფასი რომ ჰქონდეს, თბა ბარდზე მიაკმქედა?! რამდენჯერ მითქვამს, ჩემს საქმეში ნუ ჩაერევი! მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

სხვა რა გზა იყო: კესარიამაც გაკმანდა ხმა და ლოყებზე ხელების ტყაპუნით სამზარეულოსაკენ წავიდა.

— დიდუია, დიდუია! — თავისთვის ჩუმად იძახოდა ელდანაცემი კესარია.

მაგრამ ივანემ მიაძახა:

— სად მიხვალ, დედაკაცო? ვააგზაენეთ ახლავე ბიჭი გულქანასთან. აცნობეთ: დღეს ქორწილია. სიძე მოუყვანე და ჯვარსაც დღესვე დაიფსკენის!

კესარიას თითქო არაფერი გაუგონიაო, უკანმიუხედავად წუწუნით სამზარეულოში შევიდა.

ივანე მიხვდა, რომ კესარია ამ საქმისათვის არ გამოდგებოდა. ამიტომ გულქანასთან უფროსი ვაჟი ბესარიონი გაგზავნა, თან ჯოხი მოუღირა.

— წადი ახლავე! ასე უთხარი: ქორწილია და ქათმები დაკალი-თქო! ბესარიონი ძუნძულით წავიდა, რომ უკანიდან ივანეს ჯოხი არ დასწეოდა.

ცოტა ხნის შემდეგ თვათონ ივანეც ესტუმრა ძმისწულებს და ორი დღის ნაოფლარი სიძეც თან მოუყვანა.

— გაიციანით! — მიაძახა ივანემ დაფეთებულ ბავშვებს და სასიძო ილარიონ ალაქე წინ დაუყვანა.

ტანზე მთლიანად ჩამოხეულმა გოგონამ ხელი შიშით გაუქრდა ილარიონს და თავი დახარა.

ილარიონმა ხელი ჩამოართვა, მაგრამ გაშვება ვერ მოუხერხებინა. სამზარეულოს გამკვერტლულ სახურავს ელაში თვალთვლით მისჩერებოდა. ილარიონთან თავგიდელა ბიჭუნიაც მივიდა, გვერდში გაუჩერდა და მის თავისუფალ ხელს მოსაფერებლად თავი მიუშვირა.

ილარიონ ამყად იდგა ორ ობოლს შორის და რატომღაც ისევ სამზარეულოს გამკვერტლულ სახურავს მისჩერებოდა, შესაძლოა იმიტომ, რომ გაეგო, თუ რამდენ ხანს გასძლებდა ისლი, რომელზედაც ხავსი ამოსულაყო.

ბოლოს ისევ თავჩაქინდრულმა გულქანამ გაბედა სიჩუმის დარღვევა: — ეინ არის ბიძია? — დარცხვენილად იკითხა თმა-გაჩეჩილმა გოგონამ და ილარიონისაგან განთავისუფლებული ხელის საჩვენებელი თათი ტუჩზე მიიტანა.

— რა შენი საქმეა! ეინ არის და შენი პატრონი. სიძე, გოგო სიძე! — მიუგო ივანემ და მორზე ჩამოჯდა.

— ვისი სიძე, ბიძია? — ისე გულუბრყვილოდ შეეკითხა გულქანა. ივანე გაცხარდა:

— დამეკარგე აქედან! ვისი სიძე იქნება, გოგო! ბესარიონას არ უთქვამს თუ? ქათმები დაკალით-მეთქი და ახლა შეკითხები, ვისი სიძეა? ვისი და შენი!

გულქანამ ვერაფერი გაიგო, თუ რა ქორწილი უნდა მოემზადებინა ბავშვს, რომელმაც ლობიოს მოხარშვაეც კი არ იცოდა, მაგრამ ივანეს შიშით სამზარეულოსაკენ მაინც უხმოდ გაიქცა.

მას უკან აედევნა თავგიდელა ბიჭუნია, ტატველი ფეხების ტყაპატყუნით, და სამზარეულოშიცერთად შევიდნენ.

ილარიონ მორზე ჩამოჯდა. ოდნავ ჩაფიქრდა. შემდეგ ძლივს წარმოსთქვა:

— როგორ არის, ბატონო ივანე, დედოფალმა არ იცის თუ?

ივანეს პასუხი არ გაუცია. ადგა, ჯოხა მიაგდო, ჩოხა-ახალუხი გადიკაპიწა და სამზარეულოში ბაჯბაჯით შევიდა.

კარგა ხანს ისმოდა სამზარეულოდან ივანეს ყვირილი და ხმაური. სჩანდა; ივანე თვით ჩაერთა ქორწილის სამზადისში და ობოლ ბავშვებს არ ასვენებდა.

თითქმის ყველაფერი მზად იყო.

ივანემ ბესარიონის პირით ულტიმატიურად აცნობა კესარიას, რათა ყველანი დაუყოვნებლივ წამოსულაყვენენ და ქორწილის სამზადისში მონაწილეობა მიეღოთ.

ივანეს გარდღვეალს ვერაინ გაბედავდა ოჯახში და კესარიაც შევიღბითურთ ჩქარა მოვიდა.

რალაცაზე ჩუმად საყვედურობდა, იწყველებოდა კესარიას. მერამ ურჩობას ვეღარ ჰხედავდა.

ილარიონს მოსწყინდა მარტოდ ყოფნა. ადგა, გაიარა, ექუთუფელით ისევ გაზომა ეზო, ბელელი, სასიმიინდე და ბოლოს ხაჩუჭუჭისა და ხაქს-მოდებულ სახურავს ახედა.

უკვე ეკლესიაში უნდა წასულიყვნენ ჯვარის დასაწერად. ივანე გულქანასთან მივიდა და მკვახეთ უთხრა:

— ჩაიცი ახლა, უკვე დრო არის!

— მერე სად უნდა წავიდე, ბაძია? — გულუმბრიცვილოდ შეეკითხა გულქანა, რომელსაც ვერ კიდევ ვერ გაეგო ივანეს განზრახვა.

— დაგეტყეს თავპირი! — გაიკვირვა ივანემ, — შენ ეშმაკის გასაგლეჯო, მაინც არ გესმის? დედოფალი ხარ, ჩაიცი, გოგო, ფეხზე წულეები!

როგორც იყო კესარიას დახმარებით ჩააგონეს საცოდავ გულქანას, რომ დედოფალი ფვათონ ის არის და სიძეც უკვე სახლშია.

— მიშველე, ბიცოლა! რას მიშვებით, ბიცოლა! — ტირილ-ყვირით კაბის კალთაზე ეხვევოდა გულქანა კესარიას.

— დაწყნარდი, შვილო, ნუ სტირი, კაცია, მხეცი, ხომ არ არას. დაწყნარდი, შვილო!

რადგან მაინც არაფერი გამოვიდოდა, ისევ ივანე ჩაერია საქმეში: მივიდა, ცეცხლიდან ვეება მუგუზალი აიღო და გულქანას მიუღირა.

— მოგსობ, იცოდე, გაგანადგურებ! — დაიღრიალა ივანემ, და გულქანამაც ხმა ჩაიკვიდა.

პირდაბანილი და ფეხზე წულეებ-ჩაცმული გულქანა გარეთ გამოიყვანეს და ილარიონს წინ დაუყენეს.

— მოგწონს? — შეეკითხა ივანე სასაძოს.

— ვაი! — დაიძახა ილარიონმა და ამით ყველაფერი გამოსთქვა.

მოათავეს ჯვარის წერა და სახლში დაბრუნდნენ. ივანე მეტად კმაყოფილი იყო. აწუხებდა მხოლოდ ის, რომ მღვდელმა მკირეწლოვანის ჯვარის დაწერისათვის ხუთი მანეთი ქრთამი გამოსცანცლა.

ქორწილი დაიწყო.

მხოლოდ შინაურები ესტდნენ მაგიდას, მაგრამ თითქოს ივანეს გასაჯავრებლად, ესტუმრათ მეზობელი—ოხუნჯი ვასილა, რომელიც დაუპატრებლად დადიოდა ყველასთან, სადაც ქორწილი ან სხვა რაიმე შემთხვევის გამო ქეიფი გაიმართებოდა.

„ჩაგვესიძა ილარიონ, არეინ იცის, ვინ არიო! — მღეროდა ვასილა და მართლაც არეინ იცოდა, საიდან მოიყვანა ივანემ ეს ილარიონ, რომელიც მაგიდასთან იჯდა გაშეშებული და ხმას არ იღებდა. მხოლოდ ზოგჯერ ელაში თვალით ქერს თუ ახედავდა.

— ვინ არიო, ძამიავ და, მაგის პოვნას ორი დღე მოუწდი! — გაამხილა ივანემ ბოლოს. — ძლივს მიმასწავლეს. იჯდა ერთ დამპალ ბელელში და მოთქმისებურ სიმღერას ამბობდა.

ამის თქმა და ვასილას გაუთავებელი ხარხარი ერთი იყო, ერთაც მეტად გააბრაზა ივანე. თვით ილარიონი კი ოდნავადაც არ კარგავდა მოთმინებას.

— ქორწილია, ქორწილი! — დაიძახა ვასილამ და სწრაფად წავიდა. — ტაში, ტაში! ნეფე-დედოფალი უნდა ვაცეკვოს! ჰა, გამოდი ილარიონ, რას იფიქრებ! აბა, გულქანა! არ შეიძლება, უნდა იცეკვოს!

ვასილამ ილარიონი კი ააყენა, მაგრამ გულქანას მაგიდიდან ფეხი ვერ მოაცვლევინა. მაშინ ივანე მიეშველა ვასილას და გაგულისებულმა მკვახედ შიამბა გულქანას.

— იცეკვა, გოგო, რას წიწმატლები!

ამის შემდეგ საცოდავი გულქანაც წამოვარდა გამწარებული და საბუდრიდან პირველად გადმოფრენილ წიწილასავით იწყო სრბილი ილარიონის ირგვლივ!

კუნძივით დაყუდებული ილარიონი იდგა ერთ ადგილას და ხანგამოშვებით ფეხებს საცეხველივით ურტყამდა მიწაზე.

გულქანამ მოათავა სირბილი, მაგრამ ახარტში მოსული ილარიონის შესაჩერებლად ივანეს ჩარევა გახდა საჭირო. იგი შივარდა ილარიონს, ხელი მოხვია და სკამზე დასვა.

— გეყოფა, ძმავე! — თავშეკავებული მღელვარებით უთხრა ივანემ და გადახედა ვასილას, რომელიც ხარხარისაგან მოსულ ცრემლებს სახელოთი იწმენდა.

დასრულდა ქორწილი.

ილარიონი სამუდამოდ დასტოვეს ახალ ოჯახში და შინისაკენ მუგუზლებით წავიდნენ.

— თქვენ იცით აბა! — დაიძახა ივანემ კარებზე გასვლისას და სამუდამოდ დაასრულა ობოლ ძმისწულებზე მეურვეობა.

III.

ივანეს შეპირება ჰქონდა მიცემული უმცროს ვაჟის სერაფიონისათვის — ნასწავლ კაცად გამოგიყვანო. ამიტომ კარგა ხანს ითმენდა ივანე და სერაფიონი სკოლიდან არ გამოჰყავდა. მაგრამ როცა სერაფიონმა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დაასრულა, ივანე სიხარულისაგან ჩუმ-ჩუმად ილიმებოდა:

— ერთი შეილი ხომ მყავს მაინც კარგად ნასწავლი. ორკლასიანი არც თუ ისე პატარა საქმეა. ახლა თოხსაც უფრო კარგად მოაქნევს, ძამიავ!

ცოლი აქაც აუხირდა ოჯანეს.

— შე განწირულო! — ედავებოდა კესარიი, — ორკლასიანი რა ნასწავლია! ადროვე სულის მოთქმა, ექვსკლასიანი მაინც დაამთავროს.

— რამდენჯერ მითქვამს, დედაკაცო, ჩემს საქმეში ნუ ერევი! ექვსი კლასი რომ დაამთავროს, უჩატელი ან თმებ-წაგრძელებული ჩინოლისტი გამოვა და ჭადავად გადაიქცევა. რათ მინდა შეილი ექვსი კლასი არ ჯობია, არ მინდა, ძამიაე!

გინჯლიჩოთხეა

და მართლაც ივანემ ერთად-ერთი სახლში დარჩენილი ვაჟიშვილი სერაფიონი (უფროსი, ბესარიონი, ჯარში გაიწვიეს) თოხით ხელში გაიგდლო წინ ყანისაკენ, და ამის შემდეგ სერაფიონი დიდხანს თოხს აღარ მოშორებია.

ყველაფერს იტანდა სერაფიონი. ბევრი შრომა და ცოტა ძილი არ აშინებდა, მაგრამ მეტად აბრაზებდა მამის გადაქარბებული სიძუნწე. ამატომ სიძუნწის საკითხებში სერაფიონი ყოველთვის ზუსტად არ ასრულებდა მამის ბრძანებას, თუმცა ასეთი სიჯიუტე ძვირად უჯდებოდა.

ერთხელ, შუადღისას, შავი ზღვის პირად ყანაში მარტოდ დარჩენილ სერაფიონს მამა ეწვია. ივანემ ხურჯინით სადილი ჩამოუტანა, მაგრამ სანამ სადილს შეუღებოდნენ, გულმა არ მოუთმინა, თოხი აიღო და სერაფიონთან მუშაობას შეუღდა.

— ბიჭო, სერაფიონა, თუ გშია, წადი ნალაას ქვეშ, ხურჯინიდან მჭადი ამოიღე, ტარანას თავი მოაცალე და ჭამე.

სერაფიონს ძალიან შიოდა. მეორე დღე იყო, რაც მისაქმელი შემოეღია, ხოლო ხმელ მჭადს ვერ ეგუებოდა. მან იმავე წუთს მიაგდო თოხი და უხმოდ წავიდა სასიმიანდისაკენ. თანახმად მამის ნებართვისა, ხურჯინიდან მჭადის ნატეხი ამოიღო, ტარანას თავი მოაცალა და ჭამას შეუღდა.

დიდხანს ატრიალა სერაფიონმა ხელში ტარანას თავი ნამცეც-ნამცეცად აკლიდა ხორცს, სწუწნიდა ძვლებს, მაგრამ შიმშილი მაინც ვერ მოიკლა.

ბოლოს გული მოუვიდა, ველარ მოითმინა და ნახევარი ტარანი შეჭამა.

მზე გადაიხარა და ივანეშვიც იგრძნო შიმშილი. სასიმიანდესთან მავიდა და როცა ხურჯინიდან ნახევარი ტარანი ამოიღო, მეტად აღშფოთდა.

— სად არის, ბიჭო, ტარანას ნახევარი? — დაუყვირა შორიდან სერაფიონს. — ვაგიწყრა ღმერთა? გაფუქდი ხომ, დაგეკარგა სინდის-ნამუსი!

სერაფიონმა კარგა ხანს წაუყრუა, მაგრამ როცა ივანემ სადილი მოათავა და შეილთან დაბრუნდა, შეილს შეუბღვირა.

გაჯავრებულმა სერაფიონმა თოხი მიაგდლო და მგლისებრი ძუნძულით სიმინდებში დაეშვა.

— სად მირბახარ, შე უნამუსოვ?! — გასძახა ივანემ და ცოტახანს მისდია. მაგრამ როცა ვაჭკეული სხვის ყანაში შევარდა, ივანემ უხერხულოა და იგრძნო და ტონი იცვალა.

— სად მიხვალ, ბიჭო? ეს სხვისი სამარგელი ყანა შენი საჯიკნელი ზომ არ გგონია? დაბრუნდი ახლაც, ეშმაკის ფეხო!

სერაფიონი ერთმა თავისუფალმა გაქცევამ თითქოს ხსენებდა მოიყვანაო, შეჩერებას აღარ ფიქრობდა, მალე მახლობელ ტყეში წაიხვეწა თავი და თვალთავან მიეფარა.

ტყეში სერაფიონი პირაღმა გაწვა ქარისავან წაქცეულ ვეება კობიტის ხეზე და ცას მიაჩერდა.

გრილ ტყეში მართალია კოლოები ბლომად დაესია, მაგრამ სიომ რომ დააბერა, იმდენი სიამე იგრძნო, რომ კოლოების კბენა აღარ უგრძენია. ფეხებს და ხელებს არხეინად ატოკებდა და ზანტად ამთქნარებდა.

ამავე დროს ისედაც გულ-გასიებულ ივანეს ძალზე აბრაზებდნენ მოთალრეები:

— გაგექცა ზომ? შე კაცო, ის ხმელი ტარანაი მთლად შეეჭმა და ტყეში არ გაგექცია, ის არ აჯობებდა? — მიამახეს აქეთ-იქიდან ივანეს და სიცილ-ზარზარი დააყარეს.

კარგა ხანს იღრინა ივანემ. რაკი სერაფიონი არ გამოჩნდა, ბოლოს შიში იგრძნო და ხმა გაკმინდა. ვაი თუ დაშეკარგოს ეგ „გამონალიეცო“, ვაიფიქრა და მთელ ბრახს თოხზე იყრიდა — გააფთრებით ურტყამდა ნიდავს.

როცა შეღამდა, სერაფიონი ფეხაკრეფით მივიდა სასიმიდეს ბოძთან და აიტუზა.

ივანემ მალე შენიშნა, მაგრამ იმ შიშით, რომ კიდევ არ გამექცესო, მისკენ არც კი მიუხედნია, ისე უთხრა:

— დაწეჭი ახლა, ეშმაკის ფეხო! გაყოფა ტყე-ტყე სირბილი!

სერაფიონსაც ეს უნდოდა: ფეხაკრეფითვე აცოცდა სასიმიდესზე, ძველი ნაბადის ნაგლეჯი თავზე წაიხურა და ჩაიძინა.

ამას შემდეგ ივანე ძალიან ცდილობდა თავი შეეკავებინა, რადგან მიხვდა, რომ ჩხუბით უფრო მეტს აგებდა. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მაინც სული წასძლევდა და გაქცეულ სერაფიონს ჯოხს ან თოხის ტარს მიაყოლებდა.

წისქვილის შემოსავალმა და ობლები ქონებიდან აღებულმა თანხამ პატარა მეფავზე წარმოშვა, ამ ახალ ხელობაში ივანე უდიდეს სიფრთხილეს იჩენდა: ფულს მხოლოდ იმას ასესხებდა, ვინც სხვა მხრივდაც მის ხელში იყო, ამასთან სესხს აბრუნებდა უმოკლეს ვადაში და დიდის მოგებით.

იყო შემთხვევები, როცა მეზობელს მცირე თანხა აკლდა მეწველ ძროხის შესაძენად ან მეორე ხარის სასყიდლად, მაგრამ ივანე ყველას არ ენდობოდა.

— წადი ახლა, ძამიავ, და ასე უთხარი, — ეტყოდა ივანე გამოგზავნილს: — მუდამ ოზოხოია-ჩახოხოიას რომ იძახდით დ ცხელ-ცხელ ხაქაპურებს ბლომად აცხობთ, შეაბით ახლა უღელში ეს ცხელ-ცხელი ხაქაპურები, ასე აჯობებს-თქო.

ამ გზით საკმაო თანხა შეაგროვა ივანემ. ვაქართან ნიქრის დაყენებული შვილის დახმარებით საკუთარ სავაჭროს გახსნასაც დაეჭობდა, მაგრამ მისთვის მოულოდნელად სწორედ ამ დროს დაიწყო 1914 წლის მსოფლიო ომა, ივანეს სამი ვაჟიშვილი ზედმიყოლებით დასუსტდნენ. სულ უფროსი წინად წაყვანილი ბესარიონიც იქ დაიღუპეს. მალე ივანეს შიერ მოგროვილ ცოტაოდენ თანხასაც წყალი შეუღდა და ჩალის ფასი გახდა.

როცა მსოფლიო ომიდან მხოლოდ ორი შვილი დაბრუნდა და სამათვანაც ერთი დაკოტლებული, ივანემ ბევრი იღარდა, იწრილა, თუმცა უფრო ხანგრძლივად დაკარგულ ფულს ნანობდა.

ამიტომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციას ივანე, თითქოს დიდაკმაყოფილებით მიეგება და შეფის მთავრობას ბევრს ავინებდა:

— დასწყევლოს! ძამიავ, ღმერთმა ნიკლოზაის სახსენებელი! შვილები მან დამიღუბა და თუ რამე ტყავი გამაჩნდა, ასიც გამაძრო! რათ მინდა, ძამიავ, ნიკლოზაი!

ამ მოსაზრებით სცადა ივანემ შეგუებოდა მენშევიკების მთავრობას. საზოგადო კრებებზე სიარულს უმატა, რომ ქვეყანაში იმასაც თავი გამოეჩინა, მაგრამ როცა შენშევიკურმა მთავრობამ მოუხშირა გადასახადებს, ხოლო თითონ ვერაფრის მიცემა ვერ მოახერხა, ივანეს ეს არ მოეწონა და ზოგჯერ ხმაამაღლებითაც დაიძახებდა:

— დასწყევლოს, ძამიავ, ღმერთმა ასეთი ერთობა, რად მინდა ძამიავ, ასეთი ერთობა! მთავრობას თუ მჭადი შია და კუჭი ეწვის, მე რას წამადგება. არ მინდა, ძამიავ!

მიუხედავად ასეთი საყვედურებისა, ივანე მაინც შეურაგდა მენშევიკებს და სოფლად თავაკაცობასაც კი ჩემულობდა.

— რას იზამ, ძამიავ, სწა რა გზა არის! მშიერიც თუ მაძლარია, მაინც ხომ მთავრობაა და უნდა ვემსაწუროთ.

სწორედ ამიტომ ივანეს ზოგჯერ ერობიდან რაღაც კომისიებშიც კი ნაშნავდნენ. ბოლოს ის ისე შეეჩვია კვირაობით ამგვარ საქმიანობას, რომ როცა ხალხი რაიმე კომისიაში სხვას აირჩევდა, ივანეს „კრიტიკას“ ბოლო არ ჰქონდა. ყვიროდა ივანე, მას არ მოსწონდა არც ერთი კომისიის ნამუშევარი.

ერთმა კომისიამ კოოპერატივში ფულის გაფლანგვა აღმოაჩინა და საზოგადო კრებას მოახსენა.

როცა კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ თავაძემ დაასრულა მოხსენება, ივანე მყისვე შეეკითხა:

— კი, მარამ, როცა ფულები შექამეს, მაშინ რომ გვიკეთებ მოხსენებას, სად იყო, ძამიავ, კომისია მაშინ, როცა ფულებს სკამდნენ? ასეთი კომისია რა კომისიაა, ძამიავ?

კომისიის თავმჯდომარემ, მძიმედ ჩაახველა და უპასუხა:

— ბოდიშს ვიხდი, ხალხნო, თქვენს წინაშე, მაგრამ ასეთი რამ ვაგონილა? როცა ფულს პირში იღებდნენ, კომისია არ არსებობდა, ხოლო როცა მოინელეს, ივანემაც გაიგო. რა შეაშია აქ კონსტანტინე!

ხალხში სიცილი ატყდა. ივანემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, გრძელი ჯოხი ხელში შეათამაშა და შანისაყენ ვაუდგა გზას.

— არ მინდა, ძამიავ! ჯანდაბას იქით ასეთი კრება! — შორიდან დიძახა ივანემ, თუმცა მისი სიტყვები აღარავის გაუგონია.

ყველაზე მეტად მაინც სოფლის ბავშვება აჯაგრებდნენ ივანეს: როცა ოციოდე ნაბიჯით დაშორდებოდნენ, სიმღერით გასძახებდნენ ივანეს:

„ივანიკა ჩარდიშვილი, ძალღიშამაძალიშვილი“

და ასე დაუსრულებლად.

გაცხარებული ივანე ჯოხით გამოუდგებოდა ხოლმე გათავებულბულ ბავშვებს. ვერ გაეგო, რა დაუშავა ამ ბავშვებს ივანემ.

— დამიხვდით, თუ ვაყაყაბები ხართ! — გასძახოდა, ივანე, მაგრამ ბავშვები რადვან ვაყაყაბები არ იყვნენ, გარბოდნენ ქუდებ-მოშელებილები.

— ბოლოს მოქანცული ივანე უკან ბრუნდებოდა და ლანძღვა-გინებით ავისებდა თემშარას.

— დასწყევლოს ღმერთმა ასეთი ბავშვები! ბავშვები კი არა, გველის წიწილებია, ძამიავ, ეს მამაძაღვლები!

IV.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე ჩარდიშვილი უფრო დარწმუნდა ხალხის ძალაში და საზოგადო კრებებს არ აკლდებოდა.

ბევრი რამ არ მოსწონდა ივანეს, მაგრამ როცა საყანე მიწებში ბაქს აღარ ახლევინებდნენ, ეს ამბავი ძალიან მოეწონა.

— ამისთანა მთავრობა კი მთავრობაა, ძამიავ, მარა ჩემი ქკუის მაინც არ არის, — იტყოდა ხოლმე ივანე ზოგჯერ.

სოფლად ცხოვრება გამოცოცხლდა.

ზოგჯერ ღამით თემშარაზე მიმავალ ივანეს მოსახვევში მოულოდნელად წაეფეთებოდა ხოლმე ავტომანქანის ბლერიალა თქალები და შაშისაგან თხრილზე გადაახტუნებდა, მაგრამ როცა მანქანა გაშორდებოდა, ბრაზიანად გააფურთხებდა:

— დასწყევლოს, ძამიავ, ღმერთმა ეს რალაც ავტოები და ტრაქტორებია! კაცს ფეხი გზაზე ვერ გადაგიდგამს! — იტყოდა ხოლმე ივანე.

ხალხი თანდათან მიეჩვია დამშვიდებულ შრომას და ცხოვრებას.

გაძლიერდა კულტურა, გაიზარდა ხალხის სულიერი მოთხოვნილება.

იმავე სოფლის კოოპერატივთან მოაწყეს ორ-ოთახიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და როცა ივანე ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველო აიგებდა, ასულ თბებს დაინახავდა, წამსვე მიირბენდა და გულზე მუხუცხვებდა.

ბიბლიოთეკა

— გადმოდით, ძამიავ, ძირს, თქვენი დრო წავიდა! გეყოფათ, რაც იჯირითით! — ხალხის გასაგონად და გულის მოსაგებად შესძახებდა ივანე უღლიან თბებს.

თუმცა ივანემ კითხვა არ იცოდა (არც სცდილობდა, რომ შეესწავლა), მაინც შედიოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში და კედელზე გაკრულ პლაკატებს ათვალიერებდა.

ყველაფერს ურიგდებოდა და ეჩვევოდა ივანე, მაგრამ სიძუნწესა და კერძო საკუთრების რწმენას არ ეშვებოდა. კერძო საკუთრების საყვარულს ისე ღრმად გაედგა ფესვი ივანეს არსებაში, რომ იგი თითქმის ყველაფერს შესწირავდა მას — ცოლშვილსაც, მთელ საზოგადოებას, და საკუთარ სიცოცხლესაც კი. თავდავიწყებით მისდევდა ივანე ამ კერძს და სხვა ძალის არსებობა ამ ქვეყანაზე ვერ წამოედგინა.

ამ ნიადაგზე ივანეს ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი ოჯახთან და ხალხთან. როცა ხალხთან ვერაფერს აწყობდა, იგი ყოველთვის „არ მინდა, ძამიას“ ძახილით ბრუნდებოდა შინ.

სოფლის ძველი სკოლა სანახევროდ ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. საზოგადო კრებაზე დაისვა საკითხი — დაენგრიათ კანცელარიის ძველი შენობა და ხეტყის მასალა გამოეყენებინათ სკოლის აგებაზე.

ეს წინადადება საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო. ამ წინადადების წინააღმდეგ ივანეს კრინტი არ დაუძრავს და თითის მაგურ თავისი გრძელა ჯობი კელეპტარივით აღაპყრო ჰაერში. მაგრამ წინადადების ძილების შემდეგ ივანე წამოდგა და დაემჯღღმარეს სიტყვა სთხოვა:

— ეს მშვენიერი და ლამაზია, ძამიავ. მაგრამ ივანე ჩარდიშვილმა რა დააშავა, ეს კი უნდა ამიხსნათ, ძამიავ როცა ეს საჯანდაბო კანცელარია შენდებოდა, მაშინ ათი ცალი ფიცარი ჩემი საკუთარი ხელით გამოვიძვრე ბუღელის ლაფაროს, მიუტანე, ძამიავ, და ახლა სხვა უფასოდ უნდა მიეცე? არ მინდა, ძამიავ! შე ჩემი ათი ფიცარი ჩამაბარეთ და შემდეგ კი ვაიყავით, ძამიავ, ქონება. სკოლა თუ საქიროა, ჩემ არჩევთ — შაურსაც გადავიხდი, თორემ მე რა დამიშავებია, ძამიავ! არ მინდა, ძამიავ!

ივანეს წინადადება მოეწონა მხოლოდ ერთ მდიდარ გლეხს — გოგი ხორვაძეს, რომელიც მანამდე ხალხში ჩუმად იღვა და ხმას არ იღებდა. ახლა კი იგი ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა დაიძახა:

— მე და ჩემმა ღმერთმა, საესებით მართალია ივანე, მეც რაღა დამიშავებია: ოცი ფიცარი წამართვეს მაშინ. ცხადია, უკანონოდ მომქცნენ, მაგრამ ახლა ხომ კანონი გვაქვს და...

ეს ნებადაურთველად აღებული სიტყვა დაჰფარა ხალხში ატეხილმა სიცილ-ხარხარმა, რამაც გოგი ნაცემი ძალღიებით მოხარა წელში და ენა დაუდღმა.

ერკინულნი
გინგლირთხენ

კრება დაიშალა.

ხალხმა თავისი გაიტანა და ოთხ თვეში მშვენიერი სკოლა ააგო.

ორჯოდე წლის შემდეგ, როცა ივანემ გაიგო, რომ ზოგიერთ სოფლებში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდაო, და, რაც მთავარია, როცა მას აუხსნეს, რას ნიშნავს ეს კოლექტიურა მეურნეობა, ის არაჩვეულებრივად წამოწითლდა სახეზე და წვერზე ხელი ჩამოისვა.

— როგორ, ძამიავ! — გაიკვირვა ივანემ. — ჩემი ქონება და შენი ქონება ერთია? ჩემი ჭამა-სმა და შენი ჭამა-სმა ერთია? არ მინდა, ძამიავ!

V

1929 წელს, როდესაც სოფელში მთლიანი კოლექტივიზაცია გამოაცხადეს, ივანე ძალზე განერვიულდა, თუმცა ამას სხვებთან არ იმჩნევდა. მან მთელი ბრაზი ოჯახის წევრებზე გადაიტანა.

ღელის პირას ბატების მწყემსვით ფეხებ-დასიებული ქალიშვილი ჯერ კიდევ 1919 წელს მიათხოვა ივანემ ერთ უშნო ჩალანდარს, რომელსაც წელიწადში ერთხელაც ვერ ნახულობდა. მსოფლიო ომიდან დაბრუნებული კოჭლი გრიგოლი მესამე დღეს გაეშურა დაბა უნაგერაში და თავის ძველ ხელობას — ხარაზობას შეუდგა. სახლში ივანეს სერაფიონა — შერა, მაგრამ უხასიათო მამის გადაშკიდევ ისიც სულ გარე-გარე ახედებოდა, საკლში გული არ უჩერდებოდა, მხოლოდ დედის ცრემლი აჩერებდა სახლში სერაფიონს და ეს ცრემლი თითქოს მთაო, მასზე ფეხის გადაბიჯებას ვერ ახერხებდა.

სწორედ ამ დროს მოეწყო სოფელში მთლიანი კოლექტივი.

მოულოდნელად ივანეს ხველა აუტყდა, თავი სველი ტილოთი აიხვია და ჯოხით ხელში, წელში ძალზე წაბრილი, ძლივს დადიოდა ეზოში.

— მოვხუციდი; ძამიავ, და ეს არის! — ამბობდა ივანე გარეშეებთან — დაეკლექდი, ძამიავ! ჩემი ხნის ქვაც არ იქნება დედამიწაზე! კოლექტივში? რა უნდა გავაკეთო, ძამიავ, ახლა მე კოლექტივში? სხვების სარჩენად ჩემი მტერი გახდეს, ძამიავ! სხვებს რატომ უნდა დავაწვე კისერზე? არ მინდა, ძამიავ!

სახლშიაც არაფერი არ მოსწონდა ივანეს და ყველაფერზე იღრინებოდა.

სერაფიონის სიხარულს დასასრული არა ჰქონდა, როცა კოლექტივში წვერად მიიღეს, მასთვის ახლა ყველაფერს ხალხის მიეცა. მართალია, შინ ძალიან აწუხებდა აღრენილი მამის საყვედური, მაგრამ სამაგიეროდ, დილაობით ჭიშკარში რომ გავიდოდა, მაშინვე სიმღერას შემოსძახებდა, — კოლექტივში მისვლამდე აღარ შესწყვეტდა. შემდეგ კი, მთელ

დღეს სასიხარულო შრომას ეწეოდა. დედაც ბედნიერად გონობდა თავს ერთი შეილი მაინც რომ შერჩა ოჯახს და სერაფიმონის ცხოვრებას ხალისი მიეცა. მართალია, ახლა კესარიას უფრო მეტეს ვადგენენ უბედობადა, უფრო მეტად აღრენილი ქმრისაგან, მაგრამ ეს უბედობა მათე დიდი ხანია აღარ ფიქრობდა.

ბოლოს ივანეს ატანა იმდენად გაუძნელდა კესარიას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მანაც მეზობელ ქალებს მიჰბაძა და კოლექტივში გაეჭტა ივანეს.

— სად მიხვალ, დედაკაცო?! შეჩერდი დედაკაცო! — მიადება გამწარებულმა ივანემ ქიშკარში გასულ კესარიას, რომელიც კალათით ხელში ჩაას მკრეფავ ქალების გუნდს შეუერთდა, მაგრამ ამაოდ: კესარიას უკან მოხედვაც კი აღარ სურდა.

მეზობელი ქალები ულოცავდნენ კესარიას უხასიათო ქმრის ტყვეობიდან გაქცევას, და თავჩაქინდრულ კესარიას სიცილ-ხარხარით მიაქროლებდნენ წინ.

ამის შემდეგ ივანე ცოლშვილს ხმას აღარ სცემდა, თუმცა ლანძღვინებას არ აკლებდა.

— გაბრაყედი ხომ, გამოდი შარაზე! — ყვიროდა ივანე. — თუ ასეა, მე ვიცი აწი! — იქაღნებოდა, თუმცა მან სრულგებთაც არ იცოდა, რით უნდა გადაეხადნა კესარიასთვის სამაგიერო.

მხოლოდ იმით ამოიყარა კესარიას ჯავრი, რომ ცალკე ოთახში ვალაბარგდა, იქ ჩაიკეტა და შიგ არავას უშვებდა.

— არ მინდა, ძამიავ, ასეთი ოჯახი! დაიქცეს, ძამიავ! — ხანგამოშვებით თავისთვის ფოცხვერავით დაიჩხავლებდა ივანე და მთელ ღამეს თეთრად გაათენებდა.

ეზოში ცოლშვილისაგან დამოუკიდებელი მეურნეობა გაიჩინა ივანემ და თავწაქრული მთელ დღეს იქ ატარებდა.

— როგორ ხარ, ივანე? — ზოგჯერ თემშარიდან გადასძახებდნენ მეზობლები ივანეს.

— ცუდათ, ძამიავ, ჩემი საქმე უკვე წასულაია! — მიუგებდა ივანე. — რატომ აქ კი ვიჩიქნები ეზოში თავშესაქცევად, მარა არაფერია გამოდის, ძამიავ, ხარები თქვენ წაიყვანეთ და ოჯახი.

კესარია დილა-საღამომობით გამზადებულ შექამანდს ფრთხილად შეუდგამდა ივანეს ოთახში და იმავე წამს გაშორდებოდა.

სამაგიეროდ შიგნიდან ივანე გინებას არ აკლებდა კესარიას, თანაც საქმელს ახლოს მიიჩივებდა.

— დაგექცეს თავპირი, ტკბილად მე ვკვამდე! მოგესპოს სიცოცხლე! უხემ ქმრისაგან დაბეჩავებულმა და მსოფლიო ომში ორა შეილის დაკარგვით გამწარებულმა კესარიამ კოლექტივში სულიერი სიმშვიდე

მოიბოგა. ზოგჯერ თავისდა შეუმჩნეველად გამხდარ სახეზე (რამილიც კი გადაურბენდა ხოლმე.

ივანეს უფრო და უფრო ბეზრდებოდა ასეთი უშინაობა, უსიყვარულო ცხოვრება, თუმცა თავისას მაინც არ იშლიდა — განაგრძობდა განდგომილ ცხოვრებას და ცოლშვილისადმი შტრობას უფრო აღრმავებდა.

ორმა წელმა ყრულ ჩაიჭროლა ივანეს ყურებთან, რომლისაგან მას არაფერი არ შეესმენია: ხალხში არ ვადიოდა, კოლექტივის რაიმე გამარჯვებაზე, რომ არაფერი სმენოდა, ორივე ყურებში თითებს იცობდა. — ასე უფრო და უფრო ღრმად იფლობოდა საკუთარი ბრაზისა და ზოროტეზას ლაფში.

ერთ საღამოს, ავადმყოფობის შემდეგ, ახლად ფეხზე დამდგარ სერაფიონს ამხანაგი ეწვია სტუმრად.

სტუმრის მოსვლამ რაღაც ახალი, უჩვეულო სხივი შეიტანა ამ ყველასაგან მიტოვებულ ოჯახში.

კესარიამ არაჩვეულებრივი ხალისით მოამზადა ვახშამი. მან, რაც ქშაოთან არის, პირველად იგრძნო ასეთი სიხარული და თავისუფლება. აღმათ, ეს იმიტაც აიხსნებოდა, რომ ახლა შეილთან ერთად საკუთარ შრომით ირჩენდა თავს და ქმარი ვერაფერს დაამადლიდა.

ამას კარგად გრძნობდა თითონ ივანეც და ბრაზისაგან გული უფრო უსივდებოდა, მიუხედავად იმისა რომ ბელღას გასაღები დიდი ხანია ივანეს ჰქონდა ჩაჯიბებული, კესარიას ამ ბელღის გარეშეც აღმოაჩნდა საჭირო სანოვაგე და ლეინოც კი, რათა მშვენიერი ვახშამი გაეწყო.

ვახშამს სიმღერა და სიცილ-თამაში მოჰყვა.

თავის ოთახში მაგრად ჩაკეტილი ივანე ვერ ისვენებდა. ძილი ხომ აღარ შეეძლო, რადგან უწინ შორიდან გაგონილი „ოხოხოია-ჩახოხოია“ ახლა მის ოჯახში გადმოსულიყო.

წინ და უკან დადიოდა ოთახში. შერჩენილ კბილებს განუწყვეტილ აკრაქუნებდა.

რა მოხდა? როგორ შეტრიალდა ყველაფერი! ივანეს ხელში აქამდე კუინტი ყველივით გაწურული ცოლშვილი დღეს როგორ ზედავს ასეთ თავხედობას? როგორ მივიდა აქამდე ივანე? როგორ გაირიყა ხალხიდან და ოჯახიდან? რაღა საჭიროა ასეთი სიციცხლე?!

და რომ შეეძლოს ივანეს კორხლებიანი ჯოხით, რომელიც ხელში უჭირავს, მოსპობს ყველაფერს, გაანადგურებს.

ამ დროს კვლავ აიმაღლეს ხმა ბიჭებმა. ივანეს გულს ისარივით მოხვდა ეს ხმა, ეს დაწყევლილი „ოხოხოია-ჩახოხოია“, და ბრაზისაგან თავზრუნული ივანე კინალამ დაეცა.

უცბად ჯოხი ისე მაგრად დასცხო კარს, რომ იგი გამაყრუებელი ხმაურით გაიღო. ცოფიანივით პირდაღებული ივანე მოჭედიფთა ოთახში შეიჭრა და აღრიალდა:

— დაგზოცავთ ყველას! მე კაცი არა ვარ?! მე ვანაბრები ვარ?! შენ კი მუდამ გველის წიწილი იყავი! მოგსპობ, მოგსპობ! — შეძახა შვილს და გრძელი ჯოხი მთელის ძალით თავში უთაქა.

სერაფიონი მოჭრილ ხესავით დაეცა. საზარელი სკანდალი მოხდა.

სტუმრები მიცვიდნენ სერაფიონს, აიყვანეს და ლოგინზე დააწვანეს, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა.

შეშინებული ივანე მაშინვე უკან გაბრუნდა. გონებადაკარგული თავის ოთახში ლოგინზე პირქვე დაეცა.

მოესმა კარებთან მღვთმ კესარიას ტირილი და მრისხანე ხმა:

— ნადირო, მხეცო! რას იზამ ახლა, სად ჩაძვრები!

ეს ხმაც სწრაფად მისწყდა, კარებს განშორდა. მაგრამ ივანე, დარწმუნებული, რომ შვილი მოვკალიო, სახეშეცვლილი ზეზე წამოდგა. თითქოს რაღაც ახალი აზრი დაებადაო, გარედ გაეარდა, ბელლისაკენ ვაიქცა, ხელში გასაღები ეჭირა. კარი შეაღო და შიგ შევიდა. ხელის ფათურით ძლივს იპოვა საპნის მოსადღუღებელი სოდა, პირი დააღო და ერთი მუქა სოდა გადაყლაბა.

ბარბაკით გამოვიდა ივანე ბელლიდან. მუცელი რომ აეწო, მას მიამშურა, წყლის ამოღება უნდოდა. ვედრო ჩაუშვა, მაგრამ ამოღება ვეღარ მოახერხა.

იქვე დაეცა. ღრიალი მორთო:

— არ მინდა, ძამიავე, სიკვდილი! მიშველეთ, ძამიავე!

ივანეს ღრიალზე სახლიდან სტუმრები გამოცვიდნენ. მათ კესარიაც მისდევდა. ყველანი ივანესთან მიიჭრნენ.

— ნუ გეშინია, ივანე! სერაფიონი უკეთ არის! მიამახეს, წამოაყენეს, მაგრამ ივანეს ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა, ჭშინავდა, იმანჭებოდა. მუცელზე ხელებს იჭერდა.

— რა ჰქენი, შე განწირულო? დამღუპე ხომ?! — მიამახა კესარიამ.

— ის თუ ცოცხალია, შე ვკვდები, ძამიავე! — აღმოხდა ივანეს და გადაიქცა. — იყოს ცოცხალი... ვიწვები, წყალი, ძამიავე! სიკვდილი მაინც არ მინდა, ძამიავე!

ივანემ გრძნობა დაპარგა და სახლში რომ შეიყვანეს, მხოლოდ ხრიალებდა.

გრძნობაზე მოსული სერაფიონი, რომელსაც თავზე გასისხლიანებული დოღბანდი ჰქონდა შემოხვეული, ელდანაცემი მიიჭრა მამასთან და ხელი მოჰხვია.

— რას შერები მამა, შენ უბედურო! შემხედე, მამა, გაახილე თვალები!

ივანე მაინც თვალს არ ახელდა, ხრიალებდა, ყმუოდა და სახე ემანჭებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ექიმი გაჩნდა.

ორ დღე-ღამეს კიდევ ხრიალებდა ივანე, მაგრამ შესამჩნევად დღეს, დღით, მოულოდნელად თვალები გაახილა და გაოცებულმა ოთახში შეგროვილ ხალხს გადახედა.

— ეინა ხართ, ძამიავ? — გაკვირვებით იკითხა ჩემს.

კვირა დღე იყო და მნახველი ბლომად მოსულიყვენ. იქვე იყვნენ ექიმი, კესარია და ივანეს შვილები.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ივანეს მიაჩერდნენ.

— შენა ხარ, დედაკაცო? — შერბილებული ხმით შეეკითხა ივანე კესარიას.

— შე ვარ, შე განწირულო, რა ქენი კაცო?! — მიიძახა სახეგანაითებულმა კესარიამ და ივანეს ლოგინზე ჩამოჯდა.

ხალხი ახმაურდა:

— გაახილა თვალი?

— ხმა ამოიღო?

— გაცოცხლდა ვე უბედური?

ახლა ექიმი მივიდა ივანესთან, მაჯა გაუსინჯა, მზრუნველობით შუბლზე ხელი დაადო.

— წავიდა სიკვდილი ჩემო ივანე! — უთხრა მან და გაუღიმა.

— თუ გათავდა, გათავდეს, ძამიავ! — კმაყოფილებით მიუვო ივანემ და სიხარულისაგან ახმაურებულ ხალხს გადახედა. — ეს როგორ, ძამიავ, ახლა კოლექტია ჩემს ოთახში გადმოიტანეთ?.. თუ გადმოიტანეთ, იყოს, ძამიავ! — ცოტადენი დუმილის შემდეგ დაუმატა ივანემ.

ხალხი მისჩერებოდა გამოცოცხლებულ ივანეს.

კოტახნას შემდეგ გამოჩნდა კოლექტივის თავმჯდომარე, ხანშესული თეიმურაზი. იგი ივანესთან მივიდა და ჩამოჯდა.

— როგორ ხარ, ივანე? აწი ხომ აღარ იტყვი „არმინდას“?

— არა, ძამიავ, აწი სულ მინდა უნდა ვიძახო, ძამიავ! კოლექტია სხვა ხალხი ყოფილა, ძამიავ! გაუმარჯოს, ძამიავ!

ივანეს ამგვარმა, ყველასათვის მოულოდნელმა დასკვნამ ახალი სიხარული წარმოშვა ხალხში და თითქმის ერთხმად ივანეს სიტყვებითვე უპასუხეს:

— გაუმარჯოს, ძამიავ!

ასე დასრულდა ივანეს სიკერბე.

პირველი ქუჩისპირა

ჩემი სამოთხე

გაზაფხულია,
მშვიდი,
სამაგი,
ირველივე იქმევა
ნელსურნელება!
შაშვი ქალაში
უკრავს სალამურს,
ველი მოჭარგეს
ნაზ ენძელებმა
და ფოთლებს,
ციურ ცვარით დანამულს,
აღალებთ
სიოს ამეტყველება!
აღსავსე
სრული შემოქმედებით
მღერის ბუნება
ჰიმნს ულამაზესს;
მეც ნეტარ განცდით
ისე ვლელდები,
რომ სიხარულის
ცრემლი მდის თვალზე!
რა წარმტაცი ხარ,
რა მშვენიერი



ქართული
ბიბლიოთეკა

ჩემო სამშობლო,
 ჩემო ქვეყანა!
 იყოს დღეგრძელი,
 იყოს ძლიერი,
 ამ სიმაღლემდე ვინც ავიყვანა!
 რა დიდებულად,
 რა ბრწყინვალეებით
 აყვავებულა
 კუთხე ყოველი;
 მფსრად არტყია
 მთის მწვერვალები,
 იალაღების
 ძუძუმწოველი!
 განახლებულა,
 ამაღლებულა
 მოსახლეობის
 კეთილდღეობა;
 შური და შულლი
 მივიწყებულა,
 განმტკიცებულა
 ხალხთა მზნეობა!
 უწინ გლენობას
 გახსნილ გულიდან
 ხვითქად სდიოდა
 შრომის ოფლი და
 მაინც ნაყოფი
 *ჭირნახულიდან
 მის ოჯახს ლუკმად
 აღარ ჰყოფნიდა.
 ახლა კი,
 როცა სამშოა ყველა:
 საქონელი თუ
 შამულ-დედული,
 როს მანქანების
 რაზმი მიღელავს
 და ზღვა-მოსაეალს
 იძლევა ხნული, —
 მთელი სოფელი
 ადიღებს ბელადს,

რადგან ცხოვრება
 აქვთ შეძლებული!
 რა მიხარიათ
 ხალხის შეილები
 სწავლას რა ხარბად
 დასწაფებიან:
 ურმის კოფოდან
 ცად-აქრილები
 ფოლად-არწივებს
 დამგზავსებთან!
 რა წარმტაცი ხარ,
 რა მშვენიერი,
 ჩემო სამშობლო,
 ჩემო ქვეყანა!
 იყოს, დღეგრძელი,
 იყოს ძლიერი,
 ამ სიმაღლემდე
 ვინც აგიყვანა!



გასამ ლახუბი

გასამ ლახუბი — ჯამბუღს

შენ, ღაღო ბულბულო, იფრინე ლხენით,
სად ბედნიერების ვარდია შენი.

მიწას დააფრქვეე ხმა ვერცხლისებრად,
პლვარე კრიმანქული მზის შესახვედრად.

ქვეყანამ გაიგოს, რომ ბალი შენი,
უფრო მდიდარია და დანამშვენი.

შესტრფოდე წითელფერს, ნაზს, მოციმციმეს,
ნაყოფით დახუნძულ შტოთა სიმძიმეს.

ვერხეს — ცამდე ადი-თქო, უმღერე ასე,
ტულიპს — აწითლდი-თქო და ილამაზე.

დაჰქუხე, რომ ირგელივ დამუნჯდეს ხელათ,
სხვა ბალთა, მინდორთა ბულბული ყველა.

მოჰვერი ალტაცებას სმენით განაბულთ,
ყაზახთა ბულბულო, აშულო ჯამბულ.

ადიდე ეს ბალი, ვინც გზარდა ლხენით,
ვინც არის ყველაზე გულადი, ბრძენი.

ადიდე სტალინი, ხალხთ ვაზაფხული,
და ჩვენს სამშობლო, მზით მოქარგული.

თარგმნა ღავეით ზაჩუჩილაძემ.

ქამბული

ქამბული — გასემ დახუჯის

სიმღერა ძმობისა, ბრწყინვალე გზაზე,
შენ, ძველი სპარსულით მიმღერე გასემ.

გულგახსნით გისმინე ხმა უნაჯესი,
მეც პასუხს გიმღერი ყაზახურ ლექსით.

ტაჯიკელ ხალხის ხმა, თრთოლვით შენს ბაგეს,
ამოჰქუხს, გვიმღერი ბულბულურ ჰანგებს.

და ჩემი სიტყვებით ყაზახი ხალხი
თვის ალთქმულ სიმღერას გაადრენს ლალი.

ტკბილ მზის ქვეშ, ბედნიერ ხანაში, ღსენით,
ერთმანეთს გამღერის ხალხები ჩვენი.

ვით ვედნი, მიჰქრდიან შორს სიმღერები,
უკან მშობლიური მისდევენ ხმები.

ნახე — სად ნისლშია დაღესტნის მთანი,
წყაროსებრ ჩუხჩუხებს სულეიმანი.

იანკამ — აშულმა ბელორუსთ მიწის,
წეროზედ უტკბესი სიმღერა იცის.

კავშირში მღერიან დღეს ერთი სულთქმით,
რუსნი, ტაჯიკელნი, ყაზახნი, თურქნი.

სიმღერათ ზეიმში ხმა ახასხასე,
მოდგმავ ფირდოუსის, აშულო გასემ.

ვით წყალნი, არხებში რომ აჩანჩქერდა,
ვმელროთ, მილიონები მღეროიან ჩვენთან:



რომ მტრების გავფანტეთ ცხენოსანთ ჯაშუშნიკნი
რომ დიად სამშობლოს დაუდგა დარი,

რომ მზიურ ძმობით ვართ ჩვენ შენადული,
რომ ჩვენ გვაქვს სიმდიდრე, დოვლათი უხვი.

რომ ძალმომრეობის აღიფხვრა ხინჯი,
აყვავდა სამშობლო რიქრაქის სხივში.

გახედე, ლახუტი, იზრდება ლალი,
ტულიბით, ვარდებით შრიალებს ბალი;

სურნელთა ქროლევანი გვაბრუნებს ტკბილად,
მარგალიტთ ამბარჩით გულს იმკობს დილა.

ჩვენ თავზე ლაქვარდი ფიროზად ელავს,
თვალს ფერადოვნობით გვეჭრის ცისარტყელა.

ბულბულის კრიმანჭულს ტყვედა ჰყავს ქარი,
შრიალებს ირანულ ნოხს შესადარი.

ესცან მოხუცობაში სიტურფე ნაზი,
სამყაროს მშვენების ფარული აზრი,

ველთ უსაზღვროება, სიმაღლე მთათა,
წიალნი მიწის და სიღრმენი ზღვათა.

ჩვენ ბრმანი ვიყავით და მზიურ ძალით
სტალინმა ამ ქვეყნად აგვიხსნა თვალი.

მას მიჰყავს მზისაკენ დროშების აშლით
ხალხი, წამომდგარი ოქტომბრის აღში.

ვინაც ჩვენს პლანეტზე არს უმაღლესი,
ვინც კონსტიტუცია მოგვცა უბრაძნესო.

ვის ზედი ზალხისა ხელში აქვს მყარად
და ვისი დიდებაც იბრწყინებს მარად, —

ო, მისი სინათლე ჩვენს გულებს ავსებს,
ჩვენ ერთი დროსა გვაქვს, აშულო ვასემ.

ჩვენ ერთად ძმებივით, ერთს გულს ძველით,
სხვადასხვა ენაზე ერთს ვაფიქვით.

ყაზახურ ლექსს ვწერთ თუ სპარსულ გაზელას,
იქ ერთი ფიქრი და გრძნობები ელავს,

ერთ ვაეკაცს უმღერთ, ერთ სიბრძნის წყაროს,
რიტრაფი, ვარსკვლავი ვერ შეედაროს.

ვისი მზე-სახელიც ჰქვია ჩვენს ხანას,
ჩვენ იმას უმღერებთ, ეიცოცხლებთ სანამ.

ის დიად სიმღერით გულს გვიხალისებს,
მაშ სიმებს ჩამოვკრათ, აშულო ვასემ.

ვთქვით გრვინვით უძლეველ სტალინის ქება,
ღვიძლს, ღიადს სიმალლით ვინ შეედრება!

რომ კაცობრიობის ყველა ენაზე,
გერგვინამღეს მარადეამ სიმღერა ასე!

თარგმანი ღაფით გაჩეჩილაძემ.

მ. ამისულაშვილი

ქადაგი ზუკუხვის ზარეზები

ინათებს დილა... ქადარს ქადარი
ეტყვის შაირებს, ეტყვის დიდებას;
წამოვა ლეშხი ვერცხლის მაგვარი, —
და ქვაფენილებს გაეკიდება.

ინათებს დილა...
თბილისის ეშხი
ჩაჯდება ფრთხილად ფოთლების ყდაში;
გადაეჭრი ასფალტს, —
და როგორც ტყეში,
ფრინველთა გუნდი გალობას გაშლის!

მერე მტკვრის გასწვრივ
მაღალ შენობებს
გაუთამაშებს ირიბი ქროლვით, —
და ვიდრე ბინდი წაიშლებოდეს,
ქალაქს ვაღუვლის ფოლადის ორბიც!..

დაიმოკლებენ
ვარსკვლავნი ქანგებს,
საყვირის ხმაზე გამოვა ხალხი;
ტროლეიბუსი ჩაურბენს ქადრებს, —
და ელექტრონი ნაპერწყლებს გაპყრის...

ცა დაიხრება
ფერად კალთებით,
ქარვის ნამქერი გაპყვება ქუჩებს, —
და ლარდარტყმული ათინათები
გაიელვებენ ფანჯრებში უცებ!..

ცა დაიბრება...

შეედგები ცაცხვთან,
სალამს მაძლევენ ნორჩი ხეები;
წამოდგებიან ტალღების მსგავსად
ჩემი ბალღობის ტბილი დღეები:



დასრულდებოდა

დიდი ზამთარი

იფოთლებოდნენ ბალღენაზები,
მე კი — უტკბილეს გრძნობით დამთვრალე
ბავშურ ოცნების დროშას ვარხვედი!..

ზოგჯერ ტოლბიჭებს —

ვიმეგობრებდი,

დავხტოდით შინდვრად, ვკოცნიდით ძეწნებს...
და ყველას გეწამდა სიტყვა მშობლების,
რომ გაზაფხული მოჰყავდათ მერცხლებს...

და დღეს, როდესაც

ვიგონებ ამას, —

გულში ფარული ღიმილი ფეთქავს;
ეგრძნობ: ჩემთან ჩემი ტოლები დგანან, —
და სიჭაბუკეს ეუმღერით ერთხმად ..

ზურმუხტის ფარჩას.

არ უჩანს ბოლო,

მტკვარი ქვის აკვანს ეამბოვრება;
ვხედავ: გაზაფხულს იმკვიდრებს მხოლოდ
ხალხის მარჯვენა, ხალხის გონება ..

პროფ. ნ. დანელია

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და მისი შესწავლის ისტორია.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ითვლება მსოფლიო პოეზიის უდიდეს ძეგლად. რუსული ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ დღეს არ არის ზუსტად გადაწყვეტილი, თუ რომელ წელს არის ის დაწერილი, მაგრამ საერთოდ დადგენილია, რომ ძეგლი შექმნილია მე-12 საუკუნეში, რუსეთის იმ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც „კიევის რუსეთის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეს პოეტური ძეგლი, ისევე, როგორც ფეოდალური ეპოქის არაერთი მშვენიერი ნაწარმოები, დავიწყებას იყო მიცემული, სანამ მას არ აღმოაჩენდნენ მე-18 საუკუნის მიწურულში.

ამ შესანიშნავი პოეტური ქმნილების აღმოჩენია თავის დროზე კარგად ცნობილი ანტიკვარი და ბიბლიოფილი გრაფი ა. ი. მუსინ-პუშკინი. 1795 წელს მუსინ-პუშკინს შეუძენია ქალაქ იაროსლავში ძველი ხელნაწერი, რომელიც ისეთი ექსპერტის აზრით, როგორც ევგენი ბოლხოვიტინოვა, მე-15 ან მე-16 საუკუნეში უნდა ყოფილიყო შედგენილი. ხელნაწერი წარმოადგენდა საერო ხასიათის თხზულებათა კრებულს. ერთი ამ თხზულებათაგანი იყო სწორედ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, რომელმაც მიიპყრა გამოჩენილ რუს მწერალთა ყურადღება. ცნობა მუსინ-პუშკინის აღმოჩენის შესახებ მალე მოედო მთელს ევროპას. 1797 წელს პამბურგის საერთაშორისო ჟურნალში — „Spectateur du Nord“ ნ. მ. კარამზინმა მოათავსა შემდეგი შინაარსის მოკლე ინფორმაცია: „ორი წლის წინათ ჩვენს არქივებში აღმოაჩინეს ნაწყვეტი პოემისა, რომელსაც ეწოდება „სიმღერა იგორის მხედართათვის“ და რომელიც შეიძლება ოსიანეს საუკეთესო სიმღერებს შეედაროს“. უკვე ეს შედარება ოსიანეს პოემებთან საკმაოდ კარგად ამტკიცებდა იმ დიდ აღფრთოვანებას, რომელიც „იგორის ლაშქრობის ამბავს“ გამოუწვევია მაშინდელ რუსეთის ლიტერატურულ წრეებში. შეუძლებელი იყო ასეთი შესანიშნავი ძეგლის გამოქვეყნების დაყოვნება, და მუსინ-პუშკინიც ჩქარობს მოამზადოს მისი გამოცემა.

სამწუხაროდ, ძველი ლიტერატურული ძეგლის გამოცემისათვის საჭირო მეცნიერული ცოდნა იმ დროს არ იყო ჯერ კიდევ ჯეროვანად განვითარებული არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც, სადაც ახალი ერების ფილოლოგიურმა მეცნიერებამ მხოლოდ მე-19 საუკუნეში იბოვა მტკიცე ნიადაგი რომანტიკული მიმდინარეობის ვაგ-

7. მნათობი № 5.

ლენით. რაც შეეხება კერძოდ სლავურ ფილოლოგიას, ის ამ დროს მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდში იმყოფებოდა. არც რუსული პალეოგრაფია, არც რუსული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული სოციალური და პოლიტიკური ისტორია არ იყო ჯერ უკმაყოფილო ჩამოყალიბებული. საზოგადოებაც არ ვრძნობდა მაინც და მაინც მწვავედ ამ გარემოებას, ვინაიდან ვიწრო აბსტრაქტული ფსევდო-კლასიციზმის გონებრივს ატმოსფეროში ინტერესი თავისი ხალხის წარსული-სადმი ცალმხრივი ფრანგული განათლებით მოჯადოებულ არისტოკრატიულ წრეს მე-18 საუკუნეში სუსტად ჰქონდა ჯერ კიდევ განვითარებული. აი ამ გარემოებამ იჩინა სწორედ თავი მუსინ-პუშკინის მიერ ნაპოვნ ლიტერატურული ძეგლის პირველ გამოცემაში, მით უმეტეს, რომ გამოსაცემი ხელნაწერის ტექსტი, ჯერ ერთი, თვითონ შერყენილი იყო გადამწერლების მიერ და, გარდა ამისა, იგი ძალიან გაურკვეველად იყო დაწერილი: სიტყვები ერთმანეთზე იყო გადაბმული და მაშასადამე, სასვენი ნიშნებიც არ მოიპოვებოდა. მრავალი სიტყვა შემოკლებულად იყო დაწერილი და ამ შემოკლებათა აღსანიშნავი ქარაგმები არ შეეფერებოდნენ ძეგლის გამომცემლებისათვის ცნობილ წესებს, და ბოლოს, ხელნაწერის ორთოგრაფიაც თავისებური იყო და ძალიან განსხვავდებოდა მე-18 საუკუნეში მიღებულ მართლ-წერისაგან. ყველაფერი ეს აძნელებდა ძეგლის სწორ წაკითხვას და, მაშასადამე, აძნელებდა მის მართებულ გამოცემასაც.

ამიტომ ვასაგებია, რომ ამ ძეგლის პირველ გამოცემას, რომელიც 1800 წელს იქნა განხორციელებული და რომლის ფაქტიურ რედაქტორად მუსინ-პუშკინმა მიიწვია თავის დროზე კარგად ცნობილი მეცნიერი, საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივის დირექტორი ა. ფ. მალინოვსკი, მრავალი ნაკლი ჰქონდა. მეგალითად, ძეგლში იყო სიტყვა „КЪМЕТИ“ რომელიც მოდის ლათინური სიტყვიდან „comites“ და, როგორც ეს კარგად არის გარკვეული დღეს ფისტელ-დე-კულანგის კაპიტალურ გამოკვლევაში „Les origines du système feodal“, ნიშნავდა საშუალო საუკუნეებში მთავრის მოახლეებს, მეგობრებს, ე. ი. მხედრებს, ჩვენი ძეგლის გამომცემლებს ვერ გაუგიათ ეს სიტყვა, და ძეგლის ის წინადადება, სადაც ეს სიტყვა „КЪМЕТИ“ გვხვდება—„а мои ти куряне свѣдоми къмети“, რაც ნიშნავს „ჩემი კურსკელი ჯარისკაცები გამოცდილ მხედრები არიან“—წაუკითხავთ ასე: „а мои ти куряне свѣдоми къмети“, და ამის გამო მთელი ეს წინადადება ყალბად გადაუთარგმნიათ: „мои ведь куряне способны в цель стрелять“ („ჩემმა კურსკელმა ჯარისკაცებმა იციან მიზანში გარტყმა“).

მეორე მაგალითი: ძეგლში მოცემული იყო ადგილი, რომელიც ამჟამად ზოგიერთების მიერ ასე იკითხება: „свистъ звѣринъ въста близъ“ და თანამედროვე რუსული ენით ითარგმნება წინადადებით „свистъ звѣриный поднялся вблизи“. ეს ადგილი გამომცემლებს ასე წაუკითხავთ

და დაუბეჭდავთ: „СВИСТЬ ЗВѢРИНЪ ВЪ СТАЗНІИ“, ჩაც უაზრობაა, ვინაი-
დან „სტაზნი“ არაფერს არ ნიშნავს და ასეთი რუსული სიტყვა არც
ბრსებულა ოდესმე.

მე ამე მაგალითი: სიტყვა „Мужаймся“, (=გავმზავდეთ) მსწავლით-
ხვით ასე — „му жа имъся“, რაც უაზრობაა, ე. ი. ძველის წამკითხველებს
ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან ასოები „ზ“ და „ხ“ და ამის გამო ერთი
და მთლიანი სიტყვა „мужаймся“ უაზროდ გაუნაწევრებიათ.

ტექსტის ყალბი გაგების ამგვარი მაგალითი ძალიან ბევრი იყო
მის პირველ გამოცემაში და, ცხადია, ეს გარემოება აბუნდოვანებდა ამ
მშვენიერი მხატვრული ქმნილების აზრს.

ყველაფერი ეს საბაბს აძლევდა სხვადასხვა პირს სკეპტიკური პოზი-
ცია დაეჭირა ამ გენიალური ნაწარმოების მიმართ (რუმინანცევი, შლეცე-
რი). განსაკუთრებით გამწვავდა ლიტერატურული ბრძოლა „იგორის
ლაშქრობის“ გარშემო 30-იან წლებში, როდესაც მუსინ-პუშკინის მიერ
აღმოჩენილი ხელნაწერი დალუბული იყო (ის დაიწვა 1812 წელს). ერთმა
ბალაკლაველმა ბერძენმა, მ. ტ. კაჩენოვსკიმ (ან უკეთ კაჩონიმ), რომე-
ლიც მოსკოვის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობას ასრულებ-
და და ოპოზიციაში ედგა კარამზინის რუსულ პატრიოტულ იდეოლოგი-
ას, სასტიკი იერიში მიიტანა ამ ძველის წინააღმდეგ. ლიტერატურაში
კაჩენოვსკი იყო დრო-მოჭმული ფსევდო-კლასიციზმის მონა და, მაშასა-
დამე, ჩვენი ძველის რომანტიკული სულისკვეთება მისთვის მიუწევდომე-
ლი იყო; ისტორიის მეცნიერებაში კი კაჩენოვსკი მოკლებული იყო დამოუ-
კიდებელი მსჯელობის უნარს და უკრიტიკოდ მისდევდა დასავლეთ ევ-
როპის ისტორიოგრაფიას, რომელმაც სახელგანთქმული ნიბურის სახით
ეპეის ქვეშ დააყენა რომაელ ისტორიკოსის ტიტ ლივიუსის წიგნზე აშენე-
ბული და მე-18 საუკუნის ევროპულ საზოგადოებაში გავრცელებული შე-
ხედულებები ძველი რომის ისტორიის შესახებ. რასაც ნიბური რომის
ახალი ისტორიკოსების შესახებ ლაპარაკობდა, ის კაჩენოვსკიმ ვაიმეორა
კარამზინის მიერ დაწერილ რუსული ისტორიის შესახებ და გამოიყენა
ამისათვის შლეცერის მიერ გამოთქმული ზოგიერთი აზრი. თუ კარამზინი
თავის სახელგანთქმულ „ისტორია“-ში აღიდებდა რუსეთის წარსულს და
ამით აღვიძებდა საზოგადოებაში მისთვის ძალიან საჭირო და ქვეყნისა-
თვის ძალიან სასარგებლო თვითშეგნებას, კაჩენოვსკიმ ხელალებით უარ-
პყო რუსეთის ისტორიული წარსული. კაჩენოვსკი ამტკიცებდა, რომ რუ-
სის ხალხს მე-13 საუკუნემდე არავითარი ისტორიაც არ ჰქონდა, ვინაი-
დან ისტორია შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ მაღალი კულტურის ერს,
ძველი რუსეთი კი მოკლებული იყო ამგვარ კულტურას: მე-13 საუკუ-
ნემდე რუსეთს, კაჩენოვსკის თქმით, არა ჰქონდა თურმე არც ნამდვილი
ქალაქები, არც აღებ-შიცემობა, არც ფულის ნიშნები, არც სახელმწიფო
კანონები, არც დამწერლობა.

ასეთი ნიპილისტური შეხედულების პატრონი, ცხადია, „იგორის
ლაშქრობის ამბავსაც“ ნიპილისტურად მოეკიდებოდა, და ეს მით უმე-

ტეს, რომ მალე „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ რომანტიკული მიმართულების მწერალთა სათავეანებელ ქმნილებად იქცა, ხოლო კაჩენოვსკი, როგორც ძველი ცრუკლასიკური სკოლის მიმდევარი, აქვეყნებდა მწერლობას ოპოზიციის ედგა: როგორც ცნობილია, „მწერისა“ თავის კრიტიკულ წერილში სასტიკად გაილაშქრა პუშკინის პოემის „რუსლან და ლიუდმილას“ წინააღმდეგ და ყოველად მიუღებელ ნაწარმოებად გამოაცხადა იგი მხოლოდ იმის გამო, რომ ეს მშვენიერი პოემა კაჩენოვსკის ცრუ-კლასიკური ლიტერატურული კონცეპციის ვიწრო ფარგლებში არ ეტეოდა. თავის ლექციებში კაჩენოვსკი ამტკიცებდა, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ არ შეიძლება ძველი ძველი იყოს, რომ ის დაწერილია მე-18 საუკუნის მწერლის მიერ, რადგან ძველი არ შეეფერება ძველი დროის ლიტერატურას არც ენით, არც სხვა ძირითადი თავისი თვისებებით: ძველი რუსული ლიტერატურა იყო საეკლესიო ხასიათის, ძველი კი საერო ხასიათისაა, ძველში გვხვდება ვალიციზმები, რომლებიც ძველი დროის მწერალს არ შეიძლება ეხმარაო. თავისი შეხედულებები „იგორის ლაშქრობის“ ამბავის შესახებ კაჩენოვსკის არ გამოუქვეყნებია დაბეჭდილი ნაშრომის სახით: ამ შეხედულებებს ის ავრცელებდა თავის სიტყვიერ ლექციებში, რომლებსაც კითხულობდა მოსკოვის უნივერსიტეტში; საუნივერსიტეტო აუდიტორიიდან კი ეს მცდარი შეხედულებები გაჰქონდათ საზოგადოებაში კაჩენოვსკის ენამახვილი დიალექტიკით გატაცებულს და კრიტიკის უნარმოკლებულს სტუდენტებს. კაჩენოვსკის ერთ-ერთ ლექციას დაესწრო პუშკინიც, რომლის ღრმა პოეტური ალღოსათვის „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ იყო მაღალი ღირსების მხატვრული ნაწარმოები. პუშკინმა ვერ აიტანა კაჩენოვსკის მსჯელობა და კიდევაც შეეკამათა მას ლექციაზე, მაგრამ კაჩენოვსკის მოჩვენებითი ლოგიკით გატაცებულ აუდიტორიაში ვერაფერს გახდა.

მეორე ბურჯი „იგორის ლაშქრობის“ მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების საქმეში იყო ცნობილი ჟურნალისტი ი. ი. სენკოვსკი, პოლონელი აზნაური, რომელიც სათავეში ედგა ძალიან გავრცელებულს რუსულ ჟურნალს „Библиотека для чтения“ და ხან ბარონ ბრამბეტუსის, ხან თუთუნჯი-ოღლის სახელმარო ფსევდონიმით უამრავ წერილს აცხობდა ყოველგვარ თემაზე — არაბული ფილოლოგიიდან დაწყებული და თანამედროვე ცხოვრების აქტუალური საკითხებით გათავებულნი. ნიკოლოზ ჩერნიშევსკიმ თავის სახელგანთქმულ ნაშრომში „Очерки гоголевского периода“ მშვენიერად დაახასიათა ამ სენკოვსკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა და აღნიშნა მისი ღირსება-ნაკლოვანება: სენკოვსკის მთავარი ღირსება იყო ის, რომ მას მსუბუქი კალამი ჰქონდა, მაგრამ სენკოვსკის მსუბუქს და ენამახვილს სტატიებს აკლდათ სიღრმე, საფუძვლიანობა და, რაც მთავარია, რუსული ლიტერატურისადმი რწმენა: პოლონელი სენკოვსკი ზევიდან დასცქეროდა, მთელს მაშინდელ რუსულს ლიტერატურას. ასეთი კაცისათვის, ცხადია, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ იყო მხოლოდ მასალა, რომლის ხარჯზე შეიძლებოდა ენამახვილობის გა-

მოჩენა და უპრეტენზიო მკითხველების გაცინება. სენკოვსკი ამტკიცებდა, რომ იმას, ვისაც შეუდგენია „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, კარგად უნდა სცოდნოდა ვირგილიუსი და პორაციუსი, ციცერონი და ქვეინტილიანე, ე. ი. ის რომაელი მწერლები, რომლებსაც, ცხადია, ამტკიცებდნენ არამც თუ ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ მართმადიდებლურს ძველ რუსეთში, სადაც ლათინური კულტურა არ სარგებლობდა დიდი პრესტიჟით, არამედ დასავლეთ ევროპაშიც, სადაც ანტიკური ქვეყნის წარმართული მწერლები დავიწყებას იყვენენ მიცემული, ვინაიდან მათ წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკური ეკლესია და სასულიერო წოდება. ისეთი გამოთქმები როგორც „серебряные седины“ ან „серебряные струи“, რომლებიც გვხვდება „იგორის ლაშქრობაში“, სენკოვსკის შეხედულებით, დასავლეთ ევროპის უახლეს ლიტერატურულ სტილს ახასიათებდნენ, და, მაშასადამე, ამ ძეგლის შემდგენელს უნდა კარგად სცოდნოდა ეს უახლესი ევროპული ლიტერატურა. მოკლედ რომ ითქვას, სენკოვსკის აზრით, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ იყო მოწაფური კონტრეფაქცია, პეტრე 1-ლის ეპოქაში შედგენილი, და არა ძველი რუსეთის პოეტური ძეგლი. ამას ამტკიცებდა კაცი, რომელსაც, როგორც ეს დღეს გამორკვეულია, ძველი რუსული ლიტერატურის საკითხში ბევრი არა გაეგებოდა რა და თვით პეტრე 1-ლის ეპოქის ლიტერატურული სტილის შესახებ სწორი წარმოდგენა არა ჰქონდა.

ამ სკეპტიკურსა და ნიპილისტურ დამოკიდებულებას ჩვენი ძეგლის მიმართ ხელს უწყობდა ნაწილობრივ ინგლისელი მწერლის, ჯემს მაკფერსონის ცნობილი ისტორიაც. მაკფერსონმა 1760 და 1765 წელს გამოსცა ლექსების კრებული შემდეგი სათაურით: „ძველი პოეზიის ნაწყვეტები, შვედროვილი შოტლანდიაში და გადმოთარგმნილი კელტური ან ირული ენიდან ჯემს მაკფერსონის მიერ“. კრებულის წინასიტყვაობაში მაკფერსონი სწერდა, რომ მან მხოლოდ სთარგმნა ინგლისურად ერთი ძველი ხელნაწერი, სადაც დაცული იყო ლექსები დიდი სახალხო პოეტის, ოსიანესი, რომელიც შოტლანდიაში ცხოვრობდა III საუკუნეში. მაკფერსონის კრებულმა იშვიათი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს ევროპაში, და იგი რომანტიზმის დროშად იქცა, თუმცა მალე გამოირკვა, რომ მაკფერსონის კრებული იყო ერთგვარი მისტიფიკაცია. არაერთარი ძველი ხელნაწერი მაკფერსონს არ ჰქონებია, ხოლო ის ლექსებიც, რომლებიც მაკფერსონმა ოსიანეს ლექსებად გამოაცხადა, კავითონ მაკფერსონის მიერ იყო შეთხზული იმ ზეპირი ხალხური თქმულებებიდან, რომლებიც მას შოტლანდიაში მოგზაურობის დროს გაუგონია.

რა თქმა უნდა, მაკფერსონის ამ ისტორიას არ შეეძლო ჩრდილი არ მიეყენებია „იგორის ლაშქრობის ამბავისათვისაც“, მით უმეტეს, რომ მე-18 საუკუნის მიწურულში ძველ რუსეთისადმი ინტერესის გაღვიძების ნიადაგზე წარმოიშვა არა ერთი კონტრეფაქცია ძველი ძეგლებისა, დავასახელოთ აქ ვილაც სელაკაძევი (ალბათ, გარუსებული სილაგაძე), რომელსაც შეუდგენია „მეორე საუკუნის ქურუმთა ჰიმნები“

და შეცდომაში შეუყვანია ბევრი რუსი მწიგნობარი, სხვათა შორის პოეტ-ი დერჟავინი. ისეთი მწერალიც კი, როგორც იყო ქუჩინალიტი ნადეჟდინი, ეჭვობდა „იგორის ლაშქრობის ამბავის“ ორიგინალურობაზე. მწიგნობარულ „ოტჩინესტვენნიე ზაპისკი“-ს ერთი თანამშრომელ 1840 წელს დასწერდა: „რაც ვინდათ ის ილაპარაკეთ! ყოვლად შეუძლებელია „იგორის ლაშქრობის ამბავი“ ვალიაროთ ნამდვილ და ჰემარიტ ძეგლად! ერთია მხოლოდ გაუგებარი, ვინ გაბედა ამ სიყალბის ჩადენა და ასეთი უაზრობის შეთითხნა!“

რა თქმა უნდა, ამგვარი უარყოფითი შეხედულება „იგორის ლაშქრობის ამბავზე“ არ იყო საყოველთაო, ვინაიდან იმ დროშიც ამ ძეგლს ჰყავდა თავისი დამცველები, განსაკუთრებით რომანტიკული მიმართულების მწერალთა შორის. ასეთი დამცველი იყო, მაგალითად, ვ. ა. ჟუკოვსკი, რომელმაც 1813 წელს გადათარგმნა ეს ძეგლი თანამედროვე რუსულ ენაზე. ასეთი დამცველი იყო ნიკიეირი მკვლევარი ძველი ძეგლებისა კალაიდოვიჩი. ასეთი დამცველი იყო, ბოლოს, პუშკინი, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ არის უეჭველად ძველი პოეტური ძეგლი, რადგან მას ისეთი ძველებური სული ახასიათებს, რომ იგი არ შეიძლება უბრალო იმიტაცია იყოს. ან სად იყო მე-18 საუკუნის მიწურულში, როდესაც რუს მწერალთა შორის წარსულისადმი ჯერ კიდევ ფსევდო-კლასიკური ინდიფერენტიზმი ბატონობდა, ისეთი პოეტი, რომელსაც რუსეთის ეს ძველი წარსული სკოდნოდა იმდენად კარგად, რომ განეზრახა ამგვარი იმიტაციის გაკეთება? ერთადერთი მწერალი, რომელსაც პუშკინი სთვლიდა ძველი რუსეთის კარგ მკოდნედ, იყო ამ დროს კარამზინი, მაგრამ, პუშკინის აზრით, კარამზინი არ ყოფილა პოეტი, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ კი, იმავე პუშკინის შეხედულებით, იყო უდიდესი ღირსების პოეტური ქმნილება, და, მაშასადამე, მას კარამზინიც ვერ დასწერდაო.

მიუხედავად იმისა, რომ პუშკინის ეს მოსაზრება იყო სავსებით სწორი, მას არ შეეძლო მაინც გაეფანტა სეპტიკოსების მიერ გამოწვეული ეჭვი, რომელიც თავის საზრდოს უმთავრესად იმ გარემოებაში პოულობდა, რომ არც ძველი რუსეთი, არც მისი ლიტერატურა და ენა არ იყვნენ ჯერ კარგად შესწავლილი. სანამ ასეთი შესწავლა არ განხორციელდებოდა, მანამდის კამათი ძეგლის გარშემო დარჩებოდა ზერელე, აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათისა. მოკამათების განკარგულებაში არ მოიპოვებოდა ზუსტი ფაქტები ამ ძეგლის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ. ასეთი ფაქტიც აღმოჩნდა 1838 წელს. ამ წელს ი. მ. სნეგირევმა გამოაქვეყნა მოსკოველ პროფესორის რ. ტიმკოვსკის მიერ 1814 წელს აღმოჩენილი ლიტერატურული ძეგლი „Песнь о победе Дмитрия над Мамаем“. როგორც ეტყობოდა, ეს უკანასკნელი ძეგლი დაწერილი იყო მე-14 საუკუნის მიწურულში. ძეგლის თემას შეადგენს 1380 წელს დონის ნაპირზე მომხდარი კულიკოვის ბრძოლა, სადაც 1240 წლიდან მონღოლთა მიერ დაპყრობილი რუსეთი მოსკოვის დიდი მთავრის ღმირი

ივანეს-ძეს მეთაურობით შეებრძოლა მონღოლთა ხანს შამაის და სასტიკად დაამარცხა იგი, თუმცა მაინც ვერ შესძლო ამით მონღოლთა უღელისაგან რუსეთის სრული განთავისუფლება (ეს განთავისუფლება მოხდა მხოლოდ 1480 წელს). „ზადონშიჩა“-ს (ასეთია ამ მტკიცეს შემოკლებული სახელი) აშეარად ეტყობა, რომ მისი ავტორი უშეკველად ბაძავდა „იგორის ლაშქრობის ამბავს“ და იმეორებდა არა მხოლოდ ზოგიერთ მხატვრულ სურათს, არამედ ისეთ წინადადებებსაც კი, რომლებიც აზრი კარგად ვერც კი გაუგია. „ზადონშიჩა“-ს გამოკვეყნებამ საფუძველი წაართვა იმ სკეპტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ მე-18 საუკუნეშია დაწერილი და ძველი რუსეთის ძეგლი არ არისო. მართლაც, თუ „ზადონშიჩა“, როგორც ამას ხელნაწერის პალეოგრაფიული და ლინგვისტური გამოკვლევა ამტკიცებდა, მე-14 საუკუნეში იყო დაწერილი და თუ მისი ავტორი იცნობდა „იგორის ლაშქრობის ამბავს“, მაშინ ცხადია, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ამ „ზადონშიჩაზე“-დ უფრო ადრე იქნებოდა დაწერილი და, მაშასადამე, ის ძველი რუსეთის ნაწარმოები იქნებოდა და არა მე-18 საუკუნისა.

ამ დიდმა აღმოჩენამ, თუ საბოლოოდ ვერ ჩააჩუმა სკეპტიკოსები, ახალ ეტაპში შეიყვანა მაინც ჩვენი ძეგლის კვლევა-ძიება. თუ აქამდე მთავარი ენერჯია იქითკენ იყო მიმართული, რომ მოვეერიებოთ სკეპტიკოსების თავდასხმა, და მთელს კამათს ზერღლე, ზოგადი და განყენებული ხასიათი ჰქონდა, ამიერიდან, რაკი ძეგლის ისტორიულობა დამტკიცებულ საქმედ იქცა, მთავარ ამოცანად გახდა ძეგლის მეცნიერული გამოკვლევა, და სიტყვა რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებს დაეთმო. შეიძლება ითქვას, რომ „იგორის ლაშქრობის ამბავმა“ უდიდესი იმპულსი მისცა რუსული ფილოლოგიის განვითარებას. ეს ბრწყინვალე პოეტური ძეგლი იქცა რუსული ფილოლოგიური მეცნიერების მთავარ ლერძად მე-19 და მე-20 საუკუნეებში. მან დააყენა რუსული ფილოლოგიის წინაშე ამოცანა — ზუსტად და ევროპული მეცნიერების მიერ დადგინებული მეთოდების გამოყენებით შესწავლა არა მხოლოდ ეს ძეგლი, არამედ მთელი მისი კულტურულ-ისტორიული გარემო (ე. ი. როგორც ძველი რუსული ენა და ლიტერატურა, ისე რუსეთის ძველი ისტორიაც), ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ჩვენი ძეგლი იქნებოდა მეცნიერულად შესწავლილი.

ამრიგად, „იგორის ლაშქრობის ამბავის“ სწორი ვაგება იქცა იმ მიზნად, რომელსაც ან უშუალოდ, ან მეშვეობით ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება რუსული ფილოლოგიის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი. ვადაქარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ არის მთელი რუსული ფილოლოგიის სული, მისი იდეა, რომელიც აერთიანებს უამრავ მკვლევარს და რომლის მიხედვით შეიძლება დათარიღებული იქნას ძირითადი ეტაპები რუსულ ფილოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებისა. აქ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ განვითარების მხოლოდ მთავარი ფაქტების აღნიშვნით.

1844 წელს დ. დუბენსკიმ გამოისცა „Слово о полку Игореве, свя-
тославля песнотворца старого времени, объясненное по старым
письменным памятникам“. ამ გამოცემაში დუბენსკიმ სცადა აეხსნა ჩე-
ნი ძეგლის მრავალი გაუგებარი გამოთქმა სხვადასხვა ძველი ნა-
წარმოების (განსაკუთრებით-კი ექვსი წლის წინათ გამოსცემული „ზა-
დონშინა“-ს) საშუალებით. დუბენსკის გამოცემა სრულიად გამოაცალა
სკეპტიკოსებს ნიადაგი და ამ მხრივ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ-
რამ დუბენსკის გამოცემას ვადაქარბა ტიხონრაფოვის გამოცემებმა, რომ-
ლებიც ახალ მასალაზე იყვნენ დამყარებულნი. ეს ახალი მასალა იყო
1864 წელს პ. პ. პეკარსკის მიერ სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი ას-
ლი „იგორის ლაშქრობის ამბავისა“, რომელიც ეკატერინე დედოფალი-
სათვის იყო მუსინ-პუშკინის განკარგულებით გადაღებული. პეკარსკიმ
დაბეჭდა ეს ასლი იმავე წელს. მთლად უნაკლო არც ეს ასლი იყო, ვი-
ნაიდან მის გადამწერსაც ვერ წაუკითხავს კარგად „ამბავის“ მანუსკრიპ-
ტი. მაგრამ ზოგ რასმეში იგი ასწორებდა მუსინ-პუშკინის მიერ დაბეჭ-
დილ გამოცემას (ე. ი. უფრო უახლოვდებოდა მუსინ-პუშკინის დაკარგულ
მანუსკრიპტს), ზოგში კი იძლეოდა ისეთ მითითებებს, რომლების მიხედ-
ვითაც შესაძლებელი იყო ორიგინალის აღდგენა. ეს ფრიად მნიშვნელო-
ვანი აღმოჩენა იყო, ვინაიდან, მიუხედავად ძალიან ენერგიული ძიებისა,
„იგორის ლაშქრობის ამბავის“ ახალი მანუსკრიპტი ვერსად ვერ იპოვნეს
(ასეთ ახალ მანუსკრიპტად სთვლიდნენ ერთ დროს ვინმე ბარდინის მი-
ერ 20-იან წლებში გაკეთებულ ხელნაწერს, რომელიც ფალსიფიკაცია
აღმოჩნდა). ასეთ პირობებში ჩვენი ძეგლის ეკატერინესული ასლიც
ძვირფას განძად იქცა დედნის აღდგენისა და მისი სწორი გაგების მიზნი-
სათვის.

ამას გაუწია სწორედ ანგარიში ნ. ს. ტიხონრაფოვმა, რომელმაც გა-
მოიყენა ეს ასლი ძეგლის ახალი გამოცემისათვის (1866) და ამით ძალიან
წასწია წინ „იგორის ლაშქრობის ამბავის“ მეცნიერული შესწავლის
საქმე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ძეგლის სპეციალური კვლევა-ძიება
დღესაც იმ ფარგლებში მიმდინარეობს, რომლებიც ტიხონრაფოვმა მოხა-
ზა პირველად. მან დაადგინა საბოლოოდ, რომ მუსინ-პუშკინის მანუსკ-
რიპტი არ შეიძლებოდა მე-16 საუკუნეზე ადრე ყოფილიყო დაწერილი
და ამ მოსაზრებაზე დამყარებით შესძლო ძეგლის მრავალი გაუგებარი
აღვილის ახსნა და გასწორება მე-16 საუკუნის სხვა ძეგლების პალეოგ-
რაფიული ანალიზის საშუალებით. ტიხონრაფოვმა სწორად გაპყო ტექს-
ტი სიტყვებად, დაადგინა სასვენი ნიშნები, აღადგინა მრავალი სიტყვის
ორთოგრაფია, და გაარკვია ძეგლის კავშირი როგორც რუსულ ხალხურ
პოეზიასთან, ისე ძველ რუსულ მწიგნობრულ ძეგლებთან (რუსეთის მა-
ტიანეებთან, ნათარგმნ სამხედრო ნოველებთან, რომელთა შორის განსა-
კუთრებით აღსანიშნავია ბერძნულიდან სლავურ ენაზე გადმოღებული
იოსებ ფლავიუსის „იერუსალიმის დაქცევა“ და აგრეთვე „დიდენისის მოლ-
ვაწეობა“). ტიხონრაფოვმა ნათელპყო, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობი-

სა“ სრულიად არ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას, რადგან „განმარტოებულ ძეგლს რუსული სიტყვიერების უდაბნოში“, როგორც ეს ეგონათ უწინ ამ ძეგლის დამცველ ერთუნიასტებსაც კი (შეგვეფთხად, პუშკინს). ტიხონრაევიცის შეხედულებით, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ არის სამხედრო ნოველა, რომლისათვის მომზადებული იყო ნიადაგი ძველი რუსეთის ისტორიის სინამდვილეში და რომლის მსგავსი (თუმცა ნაკლები მხატვრული ღირსების) თხზულებები მოიპოება როგორც რუს მწიგნობრებისათვის ცნობილ ბიზანტიურს, ისე მე-11—12 საუკუნის და მის შემდგომს რუსულს ორიგინალურ ლიტერატურაში (მატიანეები, „ხაღონ შჩინა“, „მამაის ბრძოლის ამბავი“ და სხვ.).

„იგორის ლაშქრობის“ სხვა გამოჩენილ მკვლევართა შორის მოსახსენებელნი არიან აქ თ. ი. ბუსლაევი, ვს. თ. მილერი და ა. ა. პოტენია. თ. ი. ბუსლაევი ღრმად შეეხო „ამბავის“ დამოკიდებულებას ხალხურ პოეზიასთან (პირველად ეს საკითხი დააყენა 1837 წელს მ. მაქსიმოვიჩმა, რომელმაც სცადა დაეახლოვებია „ამბავი“ უკრაინული ხალხური პოეზიის ძეგლებთან), რათა ცხადეყო „ამბავის“ კავშირი არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ საზოგადოდ სლავურ ხალხურ პოეზიასთან, რომელშიაც ის, როგორც ძმ. გრიმების მიერ დაარსებული რომანტიკული სკოლის მიმდევარი ლიტერატურათმცოდნეობაში, ეძებდა სლავური მითოლოგიის ნაშთებს. ბუსლაევის აზრით, მითოლოგიური რწმუნებანი შეადგენენ „იგორის ლაშქრობის ამბავის“ „სულს“, ხოლო მისი ავტორი იყო „მთელი ხალხის ეპიკური შემოქმედების წარმომადგენელი“, რომელსაც ალბათ, წერა-კითხვაც არ ეცოდინებოდაო. როდესაც მითოლოგიური სკოლა დაამარცხა გერმანიაში ბენფეის „ისტორიულმა“ სკოლამ, ამით ისარგებლეს რუსმა ლიტერატურათმცოდნეებმაც „იგორის ლაშქრობის ამბავის“ გამოსაკვლევეად: სწორედ ბენფეის სკოლის თვალსაზრისი მიუყენა ვს. მილერმა ამ ძეგლს თავის გამოკვლევაში, „Взгляд на слово о полку Игореве“ (1877), სადაც ის ამტკიცებს, რომ ძეგლის ავტორი იყო მწიგნობარი, რომელიც ემყარებოდა ბიზანტიურ-ბულგარულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს („დიგენისის ამბავს“), რომ არავითარი მითოლოგია ამ ძეგლში არ მოიპოება და, თუ იქ ნახსენებია სლავური ღმერთების სახელები (დაედბოგი, სტრიბოგი, ველესი და სხვ.), ყველაფერი ეს გაგებულ უნდა იქნას, როგორც ავტორის პოეტური ოსტატობისა და არა წარმართული რწმენის დამამტკიცებელი მოვლენა.

ძეგლის მნიშვნელოვანი მომენტები ვააშუქა ა. პოტენიამ, რომლის სალიტერატურო კონცეპცია ძმ. გრიმების თანამოაზრე ვ. პუმპოლტის გავლენის ქვეშ ჩამოყალიბდა. პოტენია ხედავს ყოველს მხატვრულ ნაწარმოებში უკვე მის ენაში მოცემულ ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ შესაძლებლობათა გამოვლინებას და ამის შესაფერისად ეძებს „იგორის ლაშქრობის ამბავში“ რუსული ხალხური პოეზიის ელემენტებს.

თუ რა დიდი მუშაობა იქმნა ჩატარებული რუსული ლიტერატურის მცოდნეობის წარმომადგენელთა მიერ „იგორის ლაშქრობის“ გარშემო

როგორც მისი ისტორიული გარემოცვის გასაშუქებლად, ისე მისი ტექსტის აღსადგენად, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია როგორღე მაგალითის მოყვანა. მუსინ-პუშკინის გამოცემაში ნათქვამია, რომ ბუღინე-როდესაც იწყებდა მღერას, „растѣкашется мысли по древу, по земле, шизымъ орломъ под облакы“ („იწყებდა დენას აზრივით ხეზე, რუხი მგელივით დედამიწაზე, იისფერ არწივივით ღრუბლებ ქვეშ“) — აქ რაღაც გაუგებრობაა: დედამიწაზე — მგელი, ღრუბლებ ქვეშ — არწივი, ხეზე — აზრი. დარღვეულია კორელაცია, რადგან აზრი ვერ ჰქმნის მგლისა და არწივის შესატყვის პარალელის შთაბეჭდილებას. ამიტომ ერთმა მკვლევარმა (კარელინმა) საჭიროდ აღიარა სიტყვა „мыслию“ შეცვლილიყო სიტყვით „мыслию“, რაც ძველი რუსული ენის ზოგიერთ დიალექტზე ნიშნავდა ციყვს (мышь-мышь-белка). ასეთი შესწორების შემდეგ ვლუბულობთ ბოიანის ფანტაზიის სისწრაფისა და სივრცის სრულიად გასაგებ მხატვრულ დახასიათებას.

ამავე ძეგლის მეორე ადგილზე ნათქვამია მთავარ სვიატოპოლკის შესახებ: Святоплькъ повелѣя отца своего между Угорьскими иноходьцы“. უმკველად ტექსტი აქ შერყენილია, რადგან გაუგებარია ამ კონტექსტში სიტყვა „повелѣя“. წამოყენებულ იქმნა ამიტომ მრავალი წინადადება ამ სიტყვის შესასწორებლად. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ამგვარი წინადადებების წამოყენებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ასე რომ ძეგლის ტექსტის აღდგენა მხოლოდ მეცნიერი სპეციალისტების კი არა, არამედ რუსეთის მთელი საზოგადოების მხურვალე მონაწილეობის შედეგია: ძველი იქცა რუსული საზოგადოებრივი აზრის გამაერთიანებელ ცენტრად ეროვნულ საქმედ. ზოგიერთი (ეს. მილერი) ფიქრობდა, რომ „повелѣя“-ს ნაცულად დედანში იყო „повелѣ яти“ („ბრძანა წაიყვანათ“), ზოგი კი (კარამზინი) სცვლიდა მას სიტყვებით „по ехъ я“ („ბრძოლის შემდეგ წაიყვანა“). მაგრამ საუკეთესო გამოდგა პოტენიას კონიექტურა, რომელმაც სიტყვა „повелѣя“ შესცვალა სიტყვით „полепъя“. „лепѣять“ ნიშნავს ამჟამად ნაზად მოპყრობას, მოალერსებას. „мать лелеет свое дитя“ — დედა ალერსიანად, ნაზად ეპყრობა თავის ბავშვს. აქედან არის, ალბათ, სიტყვა „люлька“, აკვანი, სადაც ბავშვს არწევენ, ე. ი. სარწვევი. პოტენიას შესწორების შემდეგ ძეგლის ზემოთ მოყვანილი წინადადების აზრი ნათელი ხდება: თურმე ძველად რუსეთში, თუ დაჭრილი კაცი მოშორებულ ადგილზე იყო გადასაყვანი, ორ ცხენს შუა გააბამდნენ ნოხს, რომელზედაც დააწვენდნენ დაჭრილს და ასე ნაზად გადაჰყავდათ იგი, როგორც სარწვევი. მთელი წინადადების აზრი, მაშასადამე, ასეთია: „სვიატოპოლკმა ნაზი რწვევით წაასვენა თავისი მამა ჰუნგრეთელ თოხარიც ცხენებს შუა“.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი მუსინ-პუშკინის მიერ გამოცემულ ტექსტის გასწორებისა. ამ ტექსტში ხშირად გვხვდება ორი სიტყვა Боянъ და Троянъ. Боянъ იმ ძველი პოეტის სახელია, რომელიც ჩვენი ძეგლის ავტორის იდეალია (ეს. მილერი ამტკიცებს, რომ იგი ტმუტარაკანე-

ლი იყო), ხოლო რას ნიშნავს Троянъ, ამის შესახებ აზრობა სხვადასხვაობაა. ზოგჯერ სიტყვა Троянъ გვხვდება ისეთ კონტექსტში, რომ მთელი ადგილი გაუგებარი ხდება. ასეთ შემთხვევაში უკვე უკვლევარებმა საჭიროდ დაინახეს სიტყვა Троянъ შეეფუძვროს სიტყვით Боянъ. მართლაც, მე-16 საუკუნის ხელნაწერების პალეოგრაფიულმა შესწავლამ ცხადყო, რომ „ТР“ კომპლექსი იწერებოდა ძველად ასე $\begin{matrix} \text{Т} \\ \text{P} \end{matrix}$ ე. ი. Т ასოს ათავსებდნენ Р ასოს ზევით და არა მის წინ. ასე დაწერილი „ТР“ ძალიან ჰგავდა „Б“ ასოს, და მუსინ-პუშკინს ადვილად შეეძლო ვერ გაერჩია ისინი ერთმანეთისაგან, ე. ი. მანუსკრიპტის Троянъ წაეკითხა როგორც Боянъ, ხოლო ის ადგილი, სადაც მანუსკრიპტში ეწერა Боянъ, წაეკითხა როგორც Троянъ. ცხადია, როგორ გააბუნდოვანებდა ასეთი შეცდომა ძველის აზრს და რამდენი მუშაობა იყო საჭირო ამ ძველის ნამდვილი ტექსტის აღსადგენად. უნდა, ითქვას, რომ დღესაც ეს მუშაობა არ არის დამთავრებული, ვინაიდან ძველი რუსული ლიტერატურის ისეთი დიდი თანამედროვე სპეციალისტისათვისაც კი, როგორც არის, მაგალითად, აკადემიკოსი ა. ს. ორლოვი, „იგორის ლაშქრობის ამბავის“ არა ერთი ადგილი გაუგებარია, და, მაშასადამე, ასეთი ადგილების სწორი გადათარგმნაც მეტისმეტად ძნელი საქმეა.

1887 — 1890 წლებში ე. ე. ბარსოვმა გამოსცა სამი ტომისაგან შემდგარი გამოკვლევა „Слово о полку Игореве, как художественный памятник Киевской дружинной Руси“. ამ მონუმენტალურ ნაშრომში ბარსოვმა შეაჯამა იმ დიდი მუშაობის შედეგები, რომელსაც მთელი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ მეცნიერნი და მთელი რუსული საზოგადოება „იგორის ლაშქრობის“ შესასწავლად.

1934 წელს, „იგორის ლაშქრობის ამბავის“ 750 წლის იუბილეს მოახლოვებასთან დაკავშირებით, გამომცემლობა „აკადემიამ“ ს. შამბინაგოს, რ. რეივას და ე. ნევეკის რედაქციით საჭიროდ სცნო ხელახლა გამოცემა ეს შესანიშნავი ძეგლი. „აკადემიის“ ილუსტრირებულ გამოცემაში მოცემულია: 1) თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით დადგინებული ძველი ტექსტი ამ ნაწარმოებისა, 2) მისი ორი თანამედროვე თარგმანი (ს. შერეინსკის და გ. შტორმის), 3) ტექსტის საფუძვლიანი კომენტარები და, ბოლოს, 4) ოთხი ისტორიულ-ლიტერატურული წერილი, სადაც გაშუქებულია ამ ძეგლის სხვადასხვა მხარე.

ზევით აღინიშნა, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ღრმად შეიქრა XIX საუკ. რუსული საზოგადოების ცნობიერებაში. თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში დიდმა კომპოზიტორმა ბოროდინმა, მამით ქართველმა (ბოროდინის მამა იყო ვინმე ლუკა გედევანიშვილი), რომელმაც ამ ძველი პოემის ტექსტიდან გააკეთა ლიბრეტო თავისი გენიალური ოპერისათვის, სადაც, მუსიკის სპეციალისტების აზრით, შეტანილია ქართული პანგებიც. ეს ოპერა არის „თავადი იგორი“, რომელიც რუსული მუსიკალური ხელოვნების მონუმენტალურ მოვლენად ითვლება, როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში.

შევან ასათიანი

შალვა დადიანის მხაგვრული პროზა

1

შალვა დადიანი ეკუთვნის იმ ბედნიერ მწერართა რიცხვს, რომლებიც ჯერ კიდევ თავისი ცხოვრების შუაგზაზე იმკიან უხვ მოსავალს ნაყოფიერი თესლისას, რაც მათ თავისი მაღალი ნიჭით, ნათელი გონებით და უანგარო სიყვარულით დასთესეს ხალხის გულში.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა თავისი ღვაწლმოსილი მწერლისა, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ამაგი. მან თავის საუკეთესო შეილებთან ერთად, შალვა დადიანი აღჭურვა უდიდესი ნდობით და წარგზავნა უმაღლეს საბჭოში, როგორც წარმომადგენელი და გამომხატველი ხალხის ნება-სურვილისა.

ეს უდიდესი სიყვარული მშობელი ქვეყნისა, (ნდობა და ყურადღება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების, შალვა დადიანმა დაიმსახურა იმ ნაყოფიერი შემოქმედებითი და პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით, რომელსაც იგი ეწევა ოთხი ათეული წლის განმავლობაში. არ დარჩენილა სფერო ჩვენი ქვეყნის გონებრივ-კულტურულ მოძრაობაში, ან საზოგადო საქმიანობაში, სადაც ამ ხნის მანძილზე შალვა დადიანს არ მიეღოს აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა. მხატვრული პროზა, დრამატურგია, თეატრი — აი უმთავრესი სფერო, სადაც მან გამოავლინა მთელი თავისი მდიდარი მხატვრულ-შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

ქართული თეატრი ვერ დაივიწყებს შალვა დადიანის ღვაწლს, როგორც მსახიობისა და რეჟისორისას, რომელმაც ჯერ კიდევ მეფის რეაქციის დროს სცენის მოედანი აქცია ხალხისათვის პროგრესიული იდეების საქადაგო ტრიბუნად, საიდანაც ისმოდა მგზნებარე სიტყვები მტარვალთა წინააღმდეგ, სადაც პიესის გმირები მოუწოდებდნენ მშრომელთა ფართო მასებს მხნეობისა და უკეთესი მომავლისათვის მედვარი ბრძოლისაკენ.

ქართული დრამატურგია მუდამ იამაყებს ისეთი პიესებით, როგორც არის ჯერ კიდევ რევოლუციის წინა პერიოდში დაწერილი „როს ნადიმობდენ“, „მღვიმეში“, „გეგეკჰორი“, „გუშინდელნი“ და სხვა, პიესე-

ბით, რომელთა დიდი უმრავლესობა მწვევე სოციალურ პრობლემებზე იყო დაწერილი და ყველგან ავტორი გამოხატავდა მოწინავე პროგრესულ საზოგადოებრივობის იდეებსა და განწყობილებებს.

მაგრამ ვაცილებით მაღალ იდეურობით და მხატვრული ტერმინებით არიან აღბეჭდილნი ის პიესები, რომლებიც შ. დადიანმა შექმნა საბჭოთა პერიოდის მანძილზე. მისი დრამატურგიული შემოქმედების უკანასკნელ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს პიესა „ნაპერწყლიდან“, სადაც უდიდესი ნიჭითა და ექსპრესიით არის ასახული ბელადის ახალგაზრდობის პერიოდი და მისი გენიალური რევოლუციონური მოღვაწეობის დასაწყისი.

2

არა ნაკლებ თვალსაჩინოა შალვა დადიანის შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი ქართული მხატვრული პროზის დარგში. ამ მხრივ მას თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შალვა დადიანმა თავისი სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო სწორედ მხატვრული პროზით. მისი დრამატურგიული შემოქმედება ვაცილებით გვიან იწყება. 1896 წელს ვაზ. „ივერიაში“ შალვა დადიანი „ქუჯის“ ფსევდონიმით ბეჭდავს თავის პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებს „წმინდა ცრემლები“.

ამის შემდეგ ათეული წლების მანძილზე იგი ქმნის მრავალრიცხოვან მცირე ფორმის პროზაულ ნაწარმოებს, ეგრეთწოდებულ მინიატურებს და აგრეთვე წვრილ მოთხრობებსა და ნოველებს.

მინიატურების ქანრი ძალიან გავრცელებული ფორმა იყო ბელეტრისტული შემოქმედებისა 90-იან და 900-იან წლებში. მინიატურა წარმოადგენდა ლირიკული პროზის სახეობას, სადაც მწერალი მაქსიმალური მხატვრული ექსპრესიით, მცირე ლექსიკური მოცულობით გადმოგვცემდა უდიდეს იდეური ტევადობის შინაარსს, გარკვეულ მორალს, მსოფლმხედველობას, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ კონცეპციას.

მინიატურისთვის, როგორც პროზის ქანრისათვის, დამახასიათებელი იყო თავისებური პოეტური ზეაწეულობა, ლაპიდარული სტილი, ილევორიული და სიმბოლიური გამოხატვა ფარული დედა-აზრისა. მინიატურას საფუძვლად ედო ხშირად ფაბულაც, პატარა არაკი, მაგრამ ეს სავალდებულო არ იყო: ხშირად არაკის ნაცვლად მინიატურის შინაარსს შეტანდა ესკიზური აღწერა გარემო ბუნების და სოციალური კატეგორიის ფაქტებისა, გააზრებული გარკვეულ იდეურ-მსოფლმხედველობითს ასპექტში.

მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში, როგორც ვიცით, ამ ქანრის კლასიკური ნიმუშები მოგვცა ტურგენემა თავის ნაწარმოებთა ერთ ციკლში. — „ლექსები პროზათ“.

ამ ქანრის ისტორია ქართულ ლიტერატურაში უფრო ძველია და მისი სათავეები უნდა ეძებოთ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში („სიბრძნე სიცრუისა“).

მინიატურის, როგორც პროზის ჟანრის, განსაკუთრებულ განვითარებას ცხრაასათიანი წლების მანძილზე და უფრო მეტად ზრი რევოლუციის შუა პერიოდში, თავისი მიზეზები ჰქონდა. მეფის სასტიკი რეპრესიისა და აუტანელი ცენზურის პირობებში საჭირო იყო ერთგვარად მსაჯულური ფორმის გამოჩენა პროგრესული იდეების გამოსახატავად, მოწინავე, რევოლუციონური აზრების გადმოსაცემად გარეგნულად უწყინარ ფორმაში. ეზოპის ენა, ლაკონიური, მოკვეთილი სტილი, სახეების მხატვრული სიძლიერე და ალეგორიის შეკვეთრი, დამაჯერებელი სისტემა, — აი, ის პირობები, რომლებიც აძლევდა მინიატურას, როგორც ბელეტრისტულ ჟანრს, აქტუალური შემოქმედების დიდ ღირსებას და მნიშვნელობას.

პირველი რევოლუციისა და განსაკუთრებით რეაქციის ხანაში საესებით ცხადი იყო ამ ჟანრის უდიდესი იდეური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ხალხის ფართო მასებისათვის.

ამ თვალსაზრისით, გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ გარემოს გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს შალვა დადიანის შემოქმედებით მუშაობაში პერიოდი, როდესაც იგი ჰქმნიდა ასეთი ჟანრის ნაწარმოებებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შ. დადიანის მინიატურები წარმოადგენენ საუკეთესო ნიმუშებს ამ დარგის პროზაში.

ჯერ კიდევ ამ მინიატურებში გვიჩვენა მწერალმა თავისი სიტყვის ძალა, უდიდესი ეკონომია გამოთქმისა, დახვეწილობა სალიტერატურო ენისა.

მისი მინიატურებისათვის ამასთან ერთად, რაც მთავარია, დამახასიათებელი იყო პოლიტიკური აქტუალობა, პროგრესული იდეურობა, აზრის სიღრმე და მდიდარი შინაარსი. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მინიატურა შ. დადიანისა, დაწერილი 1905 წლის რევოლუციის დროს და მისი მომდევნო რეაქციის პერიოდში, თუნდაც 1906 წელს, რომ დაერწმუნდეთ, რა მახვილ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა ეს ფორმა ლიტერატურისა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარებაში, იმ გამძაფრებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. ეს ნიმუშები საუკეთესო ილუსტრაციას მოგვცემენ იმის გასაგებად, თუ რა იდეურ პოზიციებზე იდგა მათი ავტორი მუშათა კლასის ამ დიდი კლასობრივი ბრძოლების აღმავლობის პერიოდში.

გავეცნოთ ერთ მათგანს, დაწერილს 1905 წელს, სათაურით „მეორე მდინარე“.

ჩვენს სოფელს გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა.

და ეს გარემოება ვიცოდით ყველამ, რადგან გვესმოდა მისი ხმაურობა, მისი შხელილი.

თუმცა დანახვით კი თავის დღეში არ დაგვინახავს.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

უცტრად კი...
განიფანტა ეს ჯანყი და ბურუსი.
ოჰ, ცაე და მიწავ, რა დაეინახეთ?!
დიდებული მიდამო ჩვენს თვალწინ გადაიშალა. მდინარის
მდინარის იქით მხარეს გადაჭიმულიყო თვალუწვდენელი, უსაზღვრო
ველი.

აღსავე იყო იგი მწევანეთ მობიბინე სხვადასხვა მასაზრდოებელ მცე-
ნარეულობით.

ჩვენ კი ჩვენ სოფელში, ხრიოკიან ადგილებში ვიხურხლებოდით.
არ გვეგონა, თუ სხვაგან სადმე იყო ისეთი ადგილი, სადაც ყველა-
ნი კიდევ მივეტევიდით და კიდევ ვისაზრდობდით.

ეხლა კი თვალწინ გვედგა წარმტაცი და მომზიდველი სურათი.
მოეინდომეთ კიდევ ფონს გასვლა, მაგრამ...

წყალი დიდდებოდა, წყალი იმღერებოდა, წყალი კიდევებს ასკდებოდა.
ძნელი იყო გაცურვა.

ამას გამბედაობაც უნდოდა და ღონეც.

ჩვენ კი ნაპირზე ვევიროდით მხოლოდ.

წყალი კი თანდათან დიდდებოდა.

აი ამოიწია კიდევ ზევით, აი მოადგა ნაპირს.

გადალექას გვექადის!..

უკვე ჩაებტით წყალში, უკვე მივცურავთ.

აბა მარჯვეთ, ბიჭებო! მხარული, მხარული!

მკერდით გავაპოთ უწყალო ტალღები.

უეჭველია, რომ გავცურავთ, ტალღა ვერ ჩაგვითრევს.

წინ და წინ!

მხოლოდ...

ერთი მხოლოდ რომ კიდევ არსებობს, ამას ყველა ვგრძნობთ".

იმ დროის შკითხველისათვის საეხებით ნათელი იყო ამ მინიატურა-
ში გამოხატული დედა-აზრი. მწერალი ხატავს მდინარის გაღმა გადა-
ჭიმულ, თვალუწვდენელ ველს, აღსავეს სხვადასხვა მწევანეთ მობიბინე
მასაზრდოებელ მცენარეულობით. იგი მოუწოდებს გამბედავთ მარჯვედ
მოუსვან მხარული, გააპონ ტალღები და გავიდინენ გაღმა. იგი ამხევენებს
მათ — "უეჭველია, რომ გავცურავთ, ტალღა ვერ ჩაგვითრევს". ცხა-
ლია, ამ მინიატურის შინაარსს წარმოადგენდა ალევგორიულად გამოხა-
ტული თანადროული სოციალური ვითარება.

ანალოგიურ იდეურ შინაარსზეა აგებული ამ დროს დაწერილი სხვა
მინიატურებიც: "ფალავანი", "მზის კიატი", "ჩრდილი-სინათლე" და
პრაველი სხვა. საინტერესოა, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ,
როდესაც გამძვინვარებული რეაქციის შიშით ჩვენი ინტელიგენციის ნა-
წილი აშკარა რენეგატობის გზას დაადგა და საბოლოოდ დაჰკარგა რწმე-
ნა მუშათა კლასის მომავალ გამარჯვებაში, რამაც თვისი გამოხატულე-

ბა ჰპოვა კიდევ იმ დროის ლიტერატურაში, — შ. დადიანის მთელი რიგ ნაწარმოებებში ამჟღავნებს თავის სიმპატიებს მუსათა კლასის სტკმისადმი, მისი დიადი მიზნებისადმი.

„რომ წამოვიჩიტეთ, — სწერდა იგი ერთ თავის ლიტერატურაში ამ დროს, — ცხოვრების ტალღამ ერთი კარგა რომ მოგვეხო ზურგში, მაშინ ვიგრძენით ჩვენს გარშემო:

ოფლი, სისხლი, სისხლი, ოფლი ადამიანთა.

ორივე ჩვენი იყო.

და მაშინ წამოვიძახეთ, შევეყვირეთ ხმითა მქუხარით:

— აღარ გვინდა ზღაპრები, ნუ გვიხატავენ ფერიებს, ნუ მღერის აეთანდილი, ნუ აკენსებს ქნარს ორთეოსი. გავიგეთ ყოველივე, მივხვდით მიზეზთა მიზეზს:

წამოვიზარდენით.

ეს ძველი ჯუბა აღარ გვარგია, მოკლეა და ვიწრო.

და ვიწყეთ ძებნა ახალი გზების, ახალი სივრცისა.

იკოდეთ ყველამ, რომ ჩვენი ტორტმანი, ჩვენი შიხეთქ-მოხეთქება, ეს ძებნაა ნამდვილის, მტკიცე მომავლისა და თუ ყოველივეს შეცვლას ვუპირებთ, თუ ვეღარ გვაკმაყოფილებს ძველი ბგერა და კილოვნება, ეს იმას ნიშნავს...

გესმით ყვირილი:

წამოვიზარდენით!

„იქითა“ მხარეს მგონი ცახცახებენ“. („წამოვიზარდენით“, 1906 წ.).

ამავე პერიოდს ეკუთვნის შალვა დადიანის სხვა მინიატურებიც, — მათი რიცხვი ასამდე აღწევს, — და რამდენიმე დიდი მოთხრობა. დავასახელებთ მათ შორის ზოგიერთებს, მაგალითად „სასმონის თმები“, „ტყვე“, „შვილი“, „იახში ხანუშ“, „ლელა“, „დედოფალი“, „ხორცი“ და სხვ.

ყველა ამათ, ისე როგორც მინიატურებს, ახასიათებთ უმეტეს შემთხვევაში აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემატკა, იდეური პროგრესიულობა.

მხატვრული პროზის დარგს გვინდა მივაკუთვნოთ მთელი ციკლი შალვა დადიანის ნაწარმოებებისა, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სახელწოდებით „ჩემი მარაო“. ეს ნაწარმოებები წარმოადგენენ უდიდესი გამოვნიებით და ოსტატობით შესრულებულ ლიტერატურულ პორტრეტებს ქართველი მწერლების, მსახიობების და საზოგადო მოღვაწეებისა.

მაგრამ ნამდვილ შედეგს მათ შორის წარმოადგენს ერთი, რომელსაც ეწოდება „სილუეტი ნიკო დადიანისა“ (იხ. ჟურ. „ქართული მწერლობა“ № 6 — 7, 1926 წ.).

მთელი ძალა შალვა დადიანის მხატვრული ნიჭისა, სპეციფიური სურნელება მისი პოეტური ენისა, ნაცადი ოსტატობა ადამიანის ყოფის, ხასიათის და გარეგნობის დეტალების მიღმა დიდი ფსიქოლოგიური და სოციალური განზოგადების ჩვენებისა, — ყოველივე ეს მოცემულია ამ ნა-

წარმოებში. ამ მხრივ „სილუეტი“, ისე როგორც ბევრი სხვა ამ ეპოქის ნაწარმოები შალვა დადიანისა, მოგვეგონებს პროსპერ მერიმეს, ემილ ზოლას, ანატოლ ფრანსის, აკაკი წერეთლის ანალოგიური ნაწარმოებებს. ეს პორტრეტები უსათუოდ მიეკუთვნებიან ანტიკონსტანტინოპოლის ფერწერის საუკეთესო ნიმუშებს.

ჩვენ არ უნდა დაგვაიწუდეს ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც იწერებოდა ზემოხსენებული მინიატურები, მოთხრობები, მხატვრული პორტრეტები და სხვა წერილი პროზაული ნაწარმოებნი, შალვა დადიანი ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე დრამატურგიის დარგშიდაც. ამ ხანებს ეკუთვნის მისი პიესები: „როს ნადიმობდნენ“, „ეპარამი“, „გუშინდელნი“, „გეგეკკორი“ და სხვ. ამავე პერიოდში იგი აქტიურ შემოქმედებით მუშაობდა თეატრის ასპარეზზე, როგორც ნიჭიერი მსახიობი და უაღრესად კულტურული რეჟისორი.

მისი შემოქმედებითი ენერგია დანაწევრებული იყო, მას არ შეეძლო მთელი თავისი ძალა გამოეყენებინა ბელეტრისტიკის სფეროში. მიუხედავად ამისა, მან მაინც შესძლო, როგორც ვნახეთ, თავისი სიტყვის, თავისი სათქმელის გამოხატვა ამ პერიოდშიდაც. ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ პირველ პერიოდს შ. დადიანის ბელეტრისტულ შემოქმედებაში.

3.

1916 წელს შალვა დადიანი იწყებს თავისი დიდი ისტორიული რომანის — „უბედური რუსი“-ს წერას. ეს იყო პირველი მონუმენტალური ნაწარმოები შალვა დადიანის შემოქმედებაში. ამავე დროს ეს რომანი თავისი თემატიკის, სპეციფიური შინაარსისა და მასალის თვალსაზრისით წარმოადგენდა პირველ კაპიტალურ შრომას მთელ ქართულ მწერლობაშიც.

ვინც იცნობს ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობას, მისთვის ნათელი იქნება ის გარემოება, თუ როგორი იქნებოდა იგი რევოლუციის წინა პერიოდში. მწერალს, რომელსაც სურდა დაემუშაებინა ისტორიული თემატიკა, სჭირდებოდა თავისი შემოქმედებითი ენერგიის უდიდესი ნაწილი დაეხარჯა ჯერ თვით მასალის შესწავლაზე და შემდეგ ხელს მოეკიდა მისი მხატვრული გადაამუშავებისათვის. მას ჯერ მეცნიერული და ხშირად შავი, არქეოლოგიურ-არქეოგრაფიული მუშაობა უნდა ჩაეტარებინა და შემდეგ ნება მიეცა თავისი მხატვრული ინტუიციისათვის და ფანტაზიისათვის ლაღად ფრთების გაშლისა.

ასეთი გარემოება ხშირად დაუძლეველ დაბრკოლებად გადალობებია ბევრს ჩვენს მწერალს, რომელსაც სურვილი ჰქონია ისტორიული თემების დამუშავებისა. ეს სიმწელე მით უფრო ხელსახები იყო, როდესაც მხატვრული ნაწარმოების თემად ისტორიულად გარკვეული გარემო და ეპოქა ხდებოდა, ხოლო ნაწარმოების მომქმედ პერსონაჟებად — ისტორიული პიროვნებები.

ყველა ეს გარემოება უსათუოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული „უბედური რუსის“ შეფასების დროს.

თუ თანამედროვე თემატიკაზე დაწერილი რეალისტური ნაწარმის ავტორისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოგვცენ, როგორც ენგელსი ამბობდა, „დეტალების სისწორის გარდა ტიპური ხასიათები ტიპურ გარემოში“, ეს ამოცანა მით უფრო რთულდება ისტორიული რომანის ავტორისათვის, რომელმაც უნდა დაიცვას გარდასულ სოციალურ ფორმაციის დამახასიათებელი ყოფითი დეტალები, მისი ინვენტარი, სპეციფიურობა ადამიანთა ფსიქიკისა და სოციალური ურთიერთობისა და ამავე დროს დამაჯერებელ ფორმებში დაგვიხატოს, თუ რა საზოგადოებრივი და პირადი მოტივები აიძულებდნენ ადამიანებს ეფიქრათ, ეგრძნოთ და ემოქმედნათ სწორედ ისე, როგორც ეს მოხდა ისტორიის გარკვეულ პერიოდში. ამავე დროს რომანისტის ამოცანაში შედის ცოცხალი კავშირი გააბას თანამედროვე ადამიანთა განცდებსა და იმ სულიერ სამყაროს შორის, რომელიც ამოძრავებდა წარსულ ისტორიულ გარემოში მოქმედ ადამიანებს. ამ ცოცხალი კავშირის შესახებ, ამ თანამედროვე მკითხველისა და რომანში აღწერილ გარდასულ ადამიანთა შორის გრძნობათა თანაზიარობაზე მიუთითებდა ჰეგელი, როდესაც ამბობდა: „ისტორიული მხოლოდ მაშინ გახდება ჩვენი... თუ ჩვენ საზოგადოთ შევძლებთ შევხედოთ აწმყოს, როგორც შედეგს იმ მოვლენებისა, რომელთა ჯაჭვში არსებით რგოლს წარმოადგენენ გამოხატული ხასიათები და საქმენი...“

ხელოვნება ზომ არ არსებობს ადამიანთა იმ ვიწრო წრისათვის, რომელთაც განსაკუთრებული განათლება მიუღიათ, — იგი არსებობს ერისათვის ზოგადათ და მთლიანად.

მაგრამ ის, რაც ითქვა საზოგადოთ ხელოვნების შესახებ, შეიძლება გავიმეოროთ აგრეთვე ასახულ ისტორიულ სინამდვილის გარეგანი მხარის შესახებაც.

ესეც ნათელი და თვალსაჩინო უნდა იყოს ჩვენთვის, რომლებიც ვეკუთვნიით ჩვენს დროსა და ჩვენს ხალხს, ისე, რომ ამისათვის ფართო მეცნიერული მომზადება არ გვჭირდებოდეს, ისე, რომ თავს ვგრძნობდეთ შინაურულად და არ ვიყოთ იძულებულნი ვიდგეთ მის წინ, როგორც ჩვენთვის უცხო და გაუგებარი სამყაროს წინაშე“ („ესთეტიკა“ ტ. 1).

ყველა ეს მხატვრული და იდეური ამოცანები, რომლებიც ისტორიული რომანის ავტორის წინაშე არის დასმული, სპეციფიურ, ქართულ ისტორიულ მასალაზე უნდა გადაეჭრა შალვა დადიანს მისი რომანის „უბედური რუსის“ წერის პროცესში.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად მან სავსებით დასძლია დასახულ თემას და ქართულ ლიტერატურას შესძინა იდეური და მხატვრული თვალსაზრისით მეტად თვალსაჩინო ნაწარმოები.

ეს რომანი იწერებოდა ათი წლის განმავლობაში და გარკვეულად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1926 წელს. ამგვარად, იგი წარმოადგენდა პირველ ისტორიულ რომანს ქართულ ლიტერატურაში.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

4.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ის განსაკუთრებული სირთულე, რომელიც იჭრება ისტორიული რომანის ავტორის წინაშე, როდესაც საქმე ეხება ნამდვილად არსებულ, ისტორიულ პიროვნებების გამოყვანას რომანის მომქმედ პერსონაჟად და აგრეთვე ისტორიულად გარკვეულ ფაქტებისა და დროის გადანაჭერის ასახვას ნაწარმოების შინაარსად.

ავტორი იძულებულია უმთავრესში, რასაკვირველია, დაიცვას ისტორიულ პირთა მოქმედებების ფაქტიური მხარე და ამავე დროს იგი შეუფარდოს ნაწარმოების შინაგანი კანონზომიერების ლოგიკას. აქორი კატეგორიის მოვლენები ხვდებიან ერთმანეთს — ისტორიული და ესთეტიური და მათი უნისონში მოყვანა, შეფარდება და დამაჯერებელ მხატვრულ სახეებში მოცემა მოიძიოს გამოცდილი ოსტატის ხელს.

„უბედური რუსის“ ფაბულას, როგორც ვიცით, წარმოადგენს ერთი დრამატიულ მომენტთაგანი თამარ მეფის პირად ცხოვრებასა და მასთან ერთად მისი დროის საქართველოს შინაგან პოლიტიკურ ცხოვრებაში — ეს არის თამარის პირველი გათხოვების ამბავი, მასთან დაკავშირებულ მოვლენებით. ამგვარად, ავტორის ძირითად ამოცანას შეადგენს არა მთელი ეპოქის გადმოცემა, არამედ ამ ეპოქის ფონზე ერთი გარკვეული კვანძით გაერთიანებულ მოვლენათა ციკლის მხატვრული ასახვა. როგორც ცნობილია, ჩვენ მატთანეში, „ქართლის ცხოვრებაში“, ეს ამბები მეტად მოკლედ და ძუნწად არის მოცემული. მასთან ისტორიული პირებიდან დასახელებულია მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც თავისი მდგომარეობით თუ თანამდებობით განსაკუთრებით თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ამ ამბების განვითარებაში.

ავტორი იცავს, საერთო ხაზებში ქართული მატთანის მიერ მოთხრობილ ამბავთა თანმიმდევრობას, მის მიერ მოცემულ ძირითად სქემას და აგრეთვე ისტორიულ პიროვნებათა გალერეიას. მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის რომანის არქიტექტონიკის შესაქმნელად. და აქ ავტორი — შწერალი გამოდის თვისი მხატვრული ნიჭისა და ცოდნის მთელი მარაგით. იგი მატთანეში მოცემული ფაბულის საფუძველზე აგებს მონუმენტალურ სიუჟეტურ შენობას, ჰქმნის ურთიერთთან მიზეზობრივი კავშირით გაერთიანებულ ეპიზოდების სისტემას, ხატავს კოლორიტულ პერსონაჟებს, ისტორიულად დამაჯერებელ მხატვრულ სახეებს, და ყოველივე ამას აერთიანებს ერთი მთლიანი კონცეპციით, ერთი გარკვეული დედა-აზრით.

სიუჟეტი იხსნება უცხოეთს მიმავალ საქართველოს დესპანის ამბით, რომელსაც სამეფო კარისაგან დავალებული აქვს თამარის საქმროს, რე-

სეთის მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის შვილის, ჩამოყვანა. ეს დესპანია ტფილისელი დიდი ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, — მის შესახებ მტრანგ ამბობს, სხვათაშორის: „არცა იგი კაც ღირსი საქმისა წარაგვიჩინეს“.

ეს შესავალი ნაწილი სიუჟეტისა ავტორს ოსტატურად ემყარება გამოყენებული იმისათვის, რომ მკითხველს გააცნოს დეტალურად ვინაობა და ზნეობრივი შინაარსი თამარის მომავალ საქმროსი და გახსნას ნამდვილი მიზეზები მისი მოულოდნელი არჩევანისა; ავტორის სამართლიანი აზრით, ეს მიზეზები მდგომარეობდა თამარის სამეფო კართან დაახლოვებულ დიდებულთა ინტერესების საიდუმლო ქიდილში.

მეორე ნაწილში ავტორი იძლევა ფაბულის შემდგომ განვითარებას: რუსი უფლისწულის ჩამოსვლას საქართველოში, მის გაცნობას, თამარის დაწინდებას.

ავტორი ამ ნაწილში იძლევა თამარის სამეფო კარის ცხოვრების ფართო სურათს, შესანიშნავი ოსტატობით გვიხატავს მე-12 საუკუნის საქართველოს სამხედრო-სახელმწიფოებრივ ძლიერებას, იმ მატერიალურ დოვლათს, რომელიც დაგროვილი იქმნა ერთი საუკუნის მანძილზე, დავით აღმაშენებლის შემდგომ წარმოებულ დაპყრობით-ავრესიული ომების შედეგად.

ამავე დროს ავტორი მეტად დამაჯერებელ ფორმებში გვისურათებს მე-12 საუკუნის საქართველოს კულტურულ გარემოს, იმ ფონს, რომელზედაც ამობრწყინდა რუსთაველის უკვდავი გენია.

ავტორს ამ შემთხვევაში არ ღალატობს სწორი მხატვრული აღლო, — თუმცა ცდუნება მეტად დიდია და თითქოს შესაფერი გარემოც ხელს უწყობს მას შემოიყვანოს მომქმედ პერსონაჟებში რუსთაველიც. მაგრამ არა! ავტორი გრძნობს, რომ რუსთაველის პიროვნება, ეს უკვე ცალკეული, დიდი და თავისთავადი თემაა, რომელიც მოითხოვს თავის გაშლას და სათანადო ასპექტში გამოვლინებას, ეს კი დაარღვევს ავტორის ძირითადი ფაბულის ხაზს, წინასწარ დასახული ერთი თემის კანონზომიერ განვითარებას. ავტორი სავსებით სწორად კმაყოფილდება რუსთაველის სახელის მოხსენებით, და გვაცნობებს, რომ პოეტი ამ დროს ათინაში იმყოფება სასწავლებლად. იგი გრძნობს მკითხველის ინტერესს ამ მხრივ და, როგორც შეეფერება გამოცდილ ოსტატს, აძლიერებს კიდევ ამ ინტერესს იმით, რომ ერთერთი გმირის პირით ჰპირდება აჩვენოს მას გენიოსი პოეტი, დაბრუნებული უცხოეთიდან და გზით გავლისას დროებით დაბინავებული ოძრხეს, თავის მეგობარ პოეტ ვოდერძი ჩორჩანელთან. როდესაც განდგომილი მთავრის შვილი ცვატა ოძრხეს სასახლეს აიღებს, და მოინდომებს რუსთაველის დაპატიმრებას, აღმოჩნდება, რომ ცვატაც და მასთან ერთად მკითხველიც, უნებურ შეცდომაში ყოფილან შეყვანილნი, პირველი თავის მეგობარ ვარდან დადიანის, ხოლო მეორე კი ავტორის მიერ: — რუსთაველის ჩამოსვლის ამბავი ჭორი ყოფილა და, რასაკვირველია, ოძრხეს მისი ნახვა არ შეიძლებოდა.

სიუჟეტის წამყვან პერსონაჟებს რომანის ამ ნაწილში წარმოადგენენ: თამარ მეფე, უფლისწული იური, — გიორგი რუსად წოდებული, უტანდარი, — ტფილისის ამირა აბულ-ასანის მეუღლე, ვატანაშვილი, — სახლთუხუცესი, გოდერძი ჩორჩანელი, — პოლიციოსის მსახურისა და იყვება კარისკაცებისა, დიდებულების, სეფე-ქალების, შინაყმების, ვაჭარ-ხელოსანთა და გლეხთა წრიდან გამოსული ადამიანებისა.

აქ იყვება და უმაღლეს წერტილამდე აღწევს ორი რომანიული ხაზი სიუჟეტისა — პირველი: თამარის და გიორგი რუსის, ხოლო მეორე, პარალელურად ამისა — უტანდარის და იმავე გიორგი რუსისა. არის შესამე ხარისხოვანი რკალებიც, რომლებიც არ თამაშობენ რომანში მნიშვნელოვან როლს, თუმცა ქმნიან კი მეტად დრამატიულ სიტუაციებსაც: ეს არის გიორგი ოსთ-ბატონიშვილის და თამარის, დოდო არიშიანის და დავით სოსლანის, კუზმა რუსის და ნანულის ერთიერთობანი და სხვა.

მეორე ნაწილი რომანისა შეიცავს თითქმის ორ შესამედს მთელი ნაწარმოებისას. ის წარმოადგენს ცენტრალურ სარბიელს, სადაც იხსენება და ვითარდება რომანის სიუჟეტური ხაზები, ირკვევა შინაგანი სამყარო მთავარ მოქმედ პირებისა, მათი იდეური მსოფლმხედველობა.

ეს ნაწილი დატვირთულია მრავალი შემავალი ეპიზოდით, რომლებიც ანელებენ მოქმედების გაშლას; სიუჟეტის განვითარებას აქ არ ეძლევა წინ მოძრაობის საშუალება, ამიტომ იგი უფრო ადგილზე მოტრიალე ღრმა მორევის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე გამდინარე ნაკადისას.

გაცილებით დინამიურია შესამე და უკანასკნელი ნაწილი რომანისა. აქ იშლება მკითხველის თვალწინ რუსი უფლისწულის ზნეობრივი სამყარო მთელი თავისი შინაარსით, რაც ავტორის მიერ „ჩამოკრულით“, კანტიკუნტად მოცემული იყო ჯერ კიდევ პირველსა და უფრო მეტად მეორე ნაწილში.

აქვე მოცემულია მისი განდევნა, ხელახლა დაბრუნება ბიზანტიის ჯარებით, დიდებულთა მიმხრობა და ტფილისზე გამოლაშქრება.

სიუჟეტის განვითარება განსაკუთრებულ სიმძაფრეს იღებს იმ თავებში. სადაც აღწერილია სამეფო ლაშქრისა და განდგომილთა ჯარების სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება, უფლისწულის დამარცხება და მეორე განდევნა. აქ, ამ ნაწილში, თვით გარეშე მოვლენათა მსვლელობა განაპირობებს სიუჟეტის დინამიურ გაშლას, რასაც ამძაფრებენ ჩართული დრამატიული ეპიზოდებიც (კუზმას ახალგაზრდა ცოლის, ნანულის მოკვლა, ოძრხეს აღება განდგომილთა ჯარების მიერ, გოდერძი ჩორჩანელის სასახლეში დატრიალებული ღრამა და სხვა). თავდება ეს, ნაწილი და მთელი რომანიც მაღალ ტრაგიულ რეგისტრებამდე ასული ფინალით — უფლისწული გიორგის თვითმკვლელობით პრასიანის კაობებში.

ასეთია სიუჟეტური აღნაგობა რომანისა. როგორც ვხედავთ, თვით ფაბულის განვითარება მოითხოვდა ამ რომანში მრავალი ეპიზოდის

მხატვრულ კომპოზიციურ მთლიანობაში მოყვანას, უფრო მრავალრიცხოვან პერსონაჟის ამოქმედებას, ყოფითი დეტალების და აქსესუარების გამოვლინებას.

საქართველოს
განმახიერებელი

5.

საინტერესოა გაკვირვებით შევეხებით ავტორის ოსტატობასაც მომქმედ პირთა დახატვაში. როგორც ვთქვით, მრავალი პერსონაჟიდან ავტორს წინა პლანზე დაყენებული ჰყავს რამდენიმე მომქმედი პირი: გიორგი რუსი, თამარ მეფე, უტანდარი, ვარდან დადიანი, გოდერძი, კუზმა (გიორგი რუსის აღმზრდელი) და სხვ.

ვნახოთ, როგორია გიორგი რუსის შინაგანი სამყარო და გარეგნობა რომანის მიხედვით. მთავარში, გიორგი რუსის დახატვის დროს, ავტორი არ სცილდება მის დახასიათებას, მოცემულს ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“. „შემდგომთა მცირედისა ეამისა, — სწერს შემატყანე, — მოიწია კაცი იგი წარვლინებული და მოიყვანა კაცი იგი დიდ გვარიანი და უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა, და სწვითაცა არა უმარჯვეი, არამედ პირითა მშვენიერი, სრული ანაგებითა და მკვრეტთაგან დიდად საჩენი, რომელიცა იხილეს რა, ყოველთა სთნდა ხილვა მისი“ (ქართლ. ცხ. — ბროსეს გამ. ნაწ. 1, გვ. 285).

ეხლა ნახეთ უფლისწულის გარეგანი პორტრეტი, დახატული რომანისტი მიერ. აქ კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალეობით გამოსჩანს ქაბუჯი უფლისწულის გარეგანი შემკულობა, სილამაზე, ახოვანება, გმირობა, ვაჟაკობა და გონიერი უნარი სამხედრო მოქმედებასა და ჯარების წარმართვის საქმეში, — მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობისა, ამ მხრივ მან განაცვიფრა მრავალ ბრძოლებში გამოცდილი და გამოკაჟული ქართველი მხედარმთავრებიც. ავტორი არ ფარავს რუსი უფლისწულის იმ ნაკლსაც, რომელიც მიზეზი შეიქმნა მისი საქართველოდან გაძევებისა. პირიქით, ხშირად რომანისტი მოქარბებულ ნატურალიზმამდეც კი მიდის მისი ზნეობრივი დაქვეითების ჩვენებაში. მაგრამ არსად მთელი რომანის სიგჳძეზე იგი არ კარგავს ერთგვარს მხატვრულ ზომიერებას თავის გმირისადმი დამოკიდებულებაში და ავტორის მიუდგომლობით იძიებს იმ ძირითად მიზეზებს, რომლებმაც ამ გარეგნულად მშვენიერ ქაბუჯში სრულიად წარბოცა მაღალი ზნეობისა და სულიერი წონასწორობის ნასახი. ამ მიზეზებს ავტორი გვიჩვენებს მის ცუდ აღზრდაში და აქი ტრაგიულად განაცდევინებს კიდევ თავისი აღზრდილის დაცემას მის ლალას — კუზმას.

ცხადია, გიორგი რუსის სახის ასეთ ასპექტში ჩვენება გამოწვეულია ავტორის სურვილით — დაიცვას ისტორიული სიმართლე იგი, რასაკვირველია, ამგვარადვე მოიქცეოდა იმ შემთხვევაშიაც, თუ კი გიორგი რუსის ადგილზე იქნებოდა მისი სულიერი და გარეგნული ეკვივალენტის მქონე სხვა ეროვნების მეფისწულიც — ალექსი კომნენი იქნებოდა იგი, შარვანშია თუ აბუბეჭრი, სულერთია.

საინტერესოა, რომ ავტორმა გიორგი რუსის გვერდით უტყუარესი სიყვარულით და სიმპატიით დახატა მეორე რუსის სახეც. ეს არის მოხუცი მეომარი და სახელმწიფო მოღვაწე, ამ შემთხვევაში გიორგი რუსის აღმზრდელი, მოხუცი კუზმა.

მისი სახით ავტორმა დაგვიხატა კეთილშობილი ადამიანი, გულწრფელი და თავდადებული პატრიოტი, რომელიც ოცნებობს თავისი მშობელი რუსეთის ერის დიდ მომავალზე, წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებულ სამშობლოს გაერთიანებაზე, აყვავებაზე, ძლევამოსილებაზე. ამ მხრივ კუზმა სავსებით გამოხატავს თავისი დროის რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა მოწინავე, პროგრესიულ მსოფლმხედველობას, ასახულს ჯერ კიდევ „ამბავი იგორის ლაშქრობის“ უცნობი ავტორის მიერ, რომლის პოემის დედა-აზრსაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა „რუსი მთავრებისადმი მოწოდება გაერთიანებისაკენ სწორედ მონგოლთა შემოსევის წინ“...

მეორე მთავარ ფიგურას რომანში წარმოადგენს თამარ მეფე. ქართული მწერლისათვის მეტად რთულსა და სახიფათო ამოცანას შეადგენს ამ ქალისა და დიდი სახელმწიფო მოღვაწის გარეგნობისა და სულიერი სამყაროს დახატვა.

ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გადმოცემულმა თქმულებებმა და ლეგენდებმა თამარ მეფეს დაადგეს უკვდავების შარავანი, შეამკეს მისი სახე არაამქვეყნიური სიტურვით, ხოლო მისი ზნეობრივი და გონებრივი სამყარო — თითქმის ღვთაებრივი თვისებით. ასეთ პირობებში არსებობს ორი გზა რომანიტიკისათვის: ერთი — გაჰყვეს მატრიანებისა და ხალხის მიერ შექმნილ გზას თამარის დახასიათებაში, დახატოს მისი სახე განყენებულად ყოველგვარი ადამიანური თვისებებისაგან, ჩვეულებრივი ვნებებისა და გრძნობების მიმოკვეთებისაგან, ყოველგვარი ჩრდილებისა და ნიუანსების გარეშე და ამით შექმნას საშიშროება მისი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების მოქმედი გმირის, გასქემატიურებისა, უსისბლორცო სიმბოლოდ ქცევისა, პასიურ, მეორეხარისხოვან პერსონაჟებში გადარიცხვისა.

არსებობს მეორე გზაც: ჩვენება თამარისა, როგორც ნამდვილი ადამიანისა, ვნებებით, ქალური თვისებებით, პატივმოყვარეობით, ამავე დროს სილამაზით, გულკეთილობით, სიკეთით, ჭკუით და საერთოდ ყველა ადამიანური დადებითი და უარყოფითი თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნებისა. ამით დამაჯერებელი, სრულყოფილი და კოლორიტული გახდება ლიტერატურული პერსონაჟი, სამაგიეროდ ავტორი წინ აღუდგება ისტორიულ წყაროებს, ხალხის მიერ შექმნილ თქმულებებს, ზღაპრებს, ლექსებსა და პოემებს, დაბოლოს, ლიტერატურულ ტრადიციასაც, რომელიც მოდის ჯერ კიდევ მე-12 საუკუნიდან, რუსთაველის პოემიდან, ჩახრუხადის ოდებიდან.

როგორ გზას დაადგა ჩვენი რომანის ავტორი თამარის სახეს დაბატვის დროს?

მან აირჩია პირველი გზა. შინაგანმა აღლომ მას უკარნახა არ გადაეხეია ტრადიციული გზისათვის და თამარის სახე მარტო უნდა ექცეოთ, როგორც დარჩენილა იგი ხალხის წარმოდგენაში. ვერ ვიტყვით, რომ ამ გარემოებამ თავისი კვალი არ დააჩნია თამარის, როგორც რომანის გმირის, მხატვრულ სრულყოფილობას; და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ რომანში თამარე არ გვევლინება სისხლითა და ხორციით სავეს ადამიანად, იგი წარმოადგენს უფრო სიმბოლოს, ოცნებას, მართალია მალაღლი თვისებებით და სათნოებით დაჯილდოვებულ არსებას, მაგრამ მაინც შორეულს, მიუწვდომელს. იგი წააგავს მარმარილოს მომხიბლავ ქანდაკებას, რომლის სილამაზის წინაშე შეიძლება ქედი მოიხარო, მაგრამ, რომელიც არ აღძრავს გულში მგზნებარე სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდებს.

არავინ იფიქროს, თითქოს თამარის გული მაინც სავესებით მოკლებული იყოს რომანში ჩვეულებრივი ადამიანის განცდებს. პირიქით, რომანიდან ვიცით, რომ მისი გული სამუდამოდ დადაღულია საყვარელი სატრფოს დემნა ბატონიშვილის უდროო დაღუპვით. მაგრამ ეს ფაქტი მკითხველმა იცის მხოლოდ გადმოცემით, იგი მომხდარა გაცილებით ადრე, ვიდრე რომანში მომხდარი ამბები დაიწყებოდა. მკითხველი კი ვერ უთანაგრძნობს იმას, რასაც უშუალოდ რომანში ვერ განიცდის და თავისი გონების თვალთ ვერ დაინახავს. რაც უნდა საზარელი იყოს ეს ფაქტები, თუ კი მას რომანის სიუჟეტის მსვლელობაში არ ექნება ადგილი, ვერ აღძრავენ მკითხველის თანაგრძნობას და სულიერ მღელვარებას.

ყველა ეს გარემოება, ცხადია, შესანიშნავად აქვს გათვალისწინებული ავტორს. და იგი იძლევა ერთგვარ კომპენსაციას, როდესაც მხატვრული ოსტატობით აკვიწერს თამარის გარეგნობას, მისი ზნეობის გამოვლინებას, მისი გონების გამჭრიახობას. ავიღოთ თუნდაც თამარის პირველი გამოსვლის აღწერა სამეფო დარბაზობის დროს.

„სამეფო ტახტის ახლო, მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ოქროს ლარნაკებს მოლურჯო, ძლივდასანახი ბოლი ავარდა და მთელ დარბაზს მოეფინა მუშკისა და ამბრის სურნელება.

დარბაზში თამარ პირი-მზე შემოდისოდა...

...კუხმა თითქო ამ ქვეყნად არ იყო.

მას სიზმრადაც არ მოსჩვენებია ამგვარი რამ, არც თუ სადმე ზღაპრად ჰქოდა გავიწილი...

— მადლობა უფალს, ყველას ვხედავ კვალად მშვიდობით!

ეს იყო თამარის ხმა.

მაგრამ, რა ხმა იყო იგი!

კუხმა ეხლა ყურებსაც აღარ უჯერებდა: მტკიცე და ნაზი, ძალდაუტანებელი და ყველასათვის გასაგონი, თან ზვერა ხმისა ნამდვილი მკერდიდან აღმომხდარი — მკვრივი და კრიალა, უხიწვო და შინაარსიანი.

ტახტზე იდგა მეფე-ქალი.

თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეთით, რომლებიც თეთრის მარგალიტებით იყო მოქვილი. თეთრევე ვეფხვენი ედგა, ლაქვარდოვან თვლებით მორთული, წერილ ფერწიქებით აბრწყინებული.

შალვალი ტანის იყო, ახოვანი, პაეროვანი, თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ შალალ ფიქრსა და ზრუნვას სიდარბაისლის იერი უცხოდ შეეჭოვა მის ნატიფ სახეპირისათვის.

თვალები ჰქონდა უსაზღვრო ლომბიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი, მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ, წვრილმან სურვილებში.

აქ იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა.

ის ყოველთვის შალვობზე იდგა...

ეს ყოველივე კარგად შეამჩნია კუზმამ და თანდათან მეტმა კრძალვამ მოიპყრო!..“ („უბედური რუსი“ გვ. 75 — 77).

მთელ რიგ სხვა ეპიზოდებში ავტორი გვიხატავს თამარის ზნეობრივ სახეს და შალვგონიერ სახელმწიფოებრივ თვისებებს. მკითხველი გრძნობს სიდიადეს ამ არაჩვეულებრივი ადამიანისას, რომლის სახელიც დაკავშირებულია ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მატერიალური და სულიერი კულტურის კლასიკურ ეპოქასთან.

ვრცლად აღარ შევჩერდებით სხვა პერსონაჟებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორს შესანიშნავად აქვს გამოხატული ტიპი სეფე-ქალის უტანდარისა, ამ ბიწიერი გრძნობებით აღსავსე, პატივმოყვარე, დიდი ნებისყოფის და მიზანდასახულობის ადამიანისა. წარმოიდგინეთ, იგი უფრო რეალურად სჩანს რომანის მანძილზე და მკითხველი აქტიურად არის დაინტერესებული მისი ბედით.

ასეთივე კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს აგრეთვე დიდის ნებისყოფით, პატივმოყვარეობითა და პირადი ვაჟკაცური თვისებებით დაჯილდოვებული ვარდან დადიანი, სახლთუხუცესი თამარის სამეფო კარისა. ვარდან დადიანი გამომხატველია მე-12 საუკუნის საქართველოს უკიდურესად მილიტარისტული, აგრესიული, დაპყრობითი პოლიტიკის მომხრე მმართველ წრეებისა, რომლებიც ოცნებობენ ფართო მასშტაბის ექსპანსიებზე აღმოსავლეთში. „ეხლა ჩვენი რიგია, ქართველებს!.. ეუბნება იგი პოეტს გოდერძი ჩორჩანელს, — ჩვენ უნდა ვიპყრათ პირველობა აღმოსავლეთში, ჩვენ უნდა გავხდეთ მბრძანებელი და მმართველი ამ ურდოების. ჩვენ უნდა შევიტანოთ იქ სინათლე ქრისტეს სჯულისა და მოქნილობა ჩვენის ნიჭიერებისა... თუ ლაშქარში პირველი მედროშე დაეცემა, მას სხვა ახოვანი უნდა შეენაცვლოს... ბიზანტიის ნაცვალი ჩვენ უნდა ვიქმნეთ!“.. (იქვე, გვ. 117).

ვარდან დადიანი ქედმაღალი კარისკაცისა და შორგამჭვრეტი დიპლომატის კლასიკურ ტიპს წარმოადგენს. მისი მხნე და ვაჟკაცური ბუ-

ნება, შემართებლობა და უტენი ხასიათი ძალაუნებურ განვიფრებას იწვევს მკითხველში. აქ გამოსქვივის ცოტა არ იყოს, ავტორის ტენდენციაც, გვიჩვენოს იგი ხასიათის მომგებიან მხარეებით.

საუცხოვო ტიპს წარმოადგენს პიტიკოსი ჩორჩანევი (ჩქნაქს) მალაღობი პატრიოტული გრძნობებით დაჯილდოვებული (ქსნაქსი) სრულყოფილ გვზიბლავს თავისი უანგარო და გულწრფელი სიყვარულით სამშობლო ქვეყნისადმი.

„საყვარელო საქართველო! — მიმართავს იგი თავის ოცნებაში მშობელ მხარეს, — რამდენჯერ გაგზავებია... შენი ბედი. რამდენი შავი დილა გაგთენებია... „რა შავ დილა!“ ხალხი რომ მღერის, სულ ამ უბედო დღეების შექმნილია, უხსოვარ დროთაგან მოდის ეს სიმღერა.

— მერე რამდენი? რამდენი დილა და საღამო, დღეები, თვეები, წლები. ზოგჯერ... საფიქრელადაც საშინელია, საუკუნოები... მადლობა წენას, ეხლა ყოველივე გამოვლილია. უკვე კვლავ ფეხზე წამოვდექით, კვლავ შორს განხდა ჩვენი ხმა დიდებისა!“..

ასე ოცნებობს თავის სამშობლოს ბედზე ეს ადამიანი. ასე ახარებს მას თავისი ქვეყნის ამალღობა, თავისუფლება, აყვავება.

რა ახლობელია მისი განცდები თვითთული საბჭოთა ადამიანისათვის, ყველა ჩვენთვის, ვინც გულწრფელად შეგხარით ჩვენი სამშობლოს აყვავებას, თავისუფლებას, კეთილდღეობას.

მართალია, ვარდან დადიანის მსგავსად, ხშირად იგიც ოცნებობს შეამდინარემდე, ტიგროსისა და ეფრატის შესართავამდე გადაქიმულ საქართველოზე, მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, რომ იგი იყო მე-12 საუკუნის საქართველოს წარმომადგენელი, ამავე დროს დიდი მებატონე და სამეფო კარის კაცი. სხვანაირად აზროვნება და ოცნება მას არ შეეძლო და ამ მხრივ ავტორი სავსებით სწორად და დამაჯერებლად გვიხატავს მის სახეს.

ამავე დროს გოდერძი ჩორჩანელი წარმომადგენელია იმ ფართო მსოფლმხედველობით პორიზონტისა, იმ დიდი ჰუმანისტური მოძრაობის, რომელიც შესაფერ ნიადაგს ქმნიდა რუსთაველის უკვდავი გენიის წარმოშობისათვის მე-12 საუკუნის საქართველოში.

ავტორს მდამიო ფენების წარმომადგენლებიც ჰყავს გამოყვანილი რომანში. ასეთია, მაგალითად, ბაზალეთელი მოხუცი გლეხი ბერუა, შესანიშნავი ვაჟკაცი სვანი დადაშ ციოყი, მისი და ნანული (შემდეგ კუზმას ცოლი), თავლო, და შაქარა ბოლოტუაშვილები და სხვ. სამწუხაროდ მათ ეპიზოდური როლები აქვთ მიკუთვნებული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხალხი, ფართო მასსა არა სჩანს რომანში. მართალია, მთელ რიგ ეპიზოდებში გამოყვანილია ხალხის კრებული, როგორც, მაგალითად, სვეტიცხოვლობას, თამარის დაწინდვის ცერემონიალის დროს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს უსახო, ინდივიდუალობას მოკლებულ მასებთან, რომლის ნოციალურ სახეს, მის განწყობილებებს და გრძნობებს ჩვენ ვერ ვიგებთ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ აქა-იქ, ცალკეული გმირის პირით, ავტორი მაინც ახერხებს გამოავლინოს იმ დროინდელი მშრომელი მასების, გლეხობის სულისკვეთება.

აბა დაეუფდოთ ყური ახალგაზრდა გლეხის ქალს, ^{ქალის} ~~სამშრომელს~~, რომლის წინაპრებსაც თავი დაუხსნიათ მემატონეთა უღლისაგან, გააზატებულან და უგემნიათ თავისუფლების სიამე.

— „ეს თავისუფლება თვით ჩვენ მოვიპოვეთ, — ამბობს თავლო, — აზატები ვართ ეხლა... თორემ წინედ მთიული ერისთავები, კახელი ქორიკოზები და შაბური შვილები გემძლავრობდნენ... აფჯანყდით, ვძლიეთ და ეხლა... უმატონოდა ვართ, არავის ყმებათ არ ვითვლებით, მარტო აზულ-ასანს ვეჭვემდებარებით, ისიც ომიანობის დროს...“

— ესე იგი, — შეენაცვლა დოდო, — ბატონი ვერას მოგვთხოვს და სასულიერო წოდება ვერას დაგვკაცლებსო?..

— ეგრე ვახლავთ, — მონასტრებსა და ხატებს ჩვენ თვითონ ჩვენის ნებით ვემსახურებით. ბატონი კი? — დაიწყევლოს მათი სახსენებელი!..

დოდო კიდევ უფრო გაჰკვირდა: ამ ახალგაზრდა ქალის პირით რამდენი ზიზღი გამოითქვა ბატონისადმი? საიდგან აქვს დაგუბებული? ნუთუ ასეთი სასტიკი მემატონეები ჰყავდათ?.. (გვ. 276).

ასეთ გამოხატულებას პოულობს ცალკეულ ეპიზოდებში თანადროული სოციალური პრობლემატიკა. მაგრამ ამას აქვს ეპიზოდური, ისიც დეკლარატიული ხასიათი. საერთოდ კი სოციალური ფონი მკრთალად სჩანს ნაწარმოებში.

6.

რომანის ავტორის უდიდეს ღირსებას შეადგენს შესანიშნავი ცოდნა ეპოქის მატერიალური კულტურის, ინვენტარის, ყოფითი აქსესუარებისა და აგრეთვე უნარი მათი მაღალ მხატვრული აღწერისა.

მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ თამარ მეფის შეკავშული ცხენის აღწერილობა რომანის შესავალში თამარის დარბაზის მორთულობა ცერემონიალი თამარ მეფის გამოსვლისა დარბაზში ჯარების დალაგება და სარდლის მიმართვა სიტყვით სამხედრო საჭურველის აღწერა იქვე, პარადი ჯარებისა და აგრეთვე ცერემონიალი მისი მოძრაობისა მცხეთისაკენ დაწინდვის წესების შესრულება მცხეთის ტაძარში, გეგუთის სამეფო სასახლის აღწერილობა და მრავალი სხვა ადგილი.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ეპიზოდს, რომელიც თავის დრამატიზმით და აღწერის პლასტიური ფორმით ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს „უბედურ რუსში“ და თვალსაჩინო მიღწევას საერთოდ ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ჩვენ ვგულისხმობთ თამარ მეფისა და განდგომილ ფეოდალთა ჯარების ბრძოლას ნიალის ველზე, თმოგვსა და ერუშეთს შორის.

ცნობილია, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს საერთოდ ბატალური სცენების დამაჯერებელ მხატვრულ-ლიტერატურულ ფორმებში გადმოცემა. კლასიკური ბატალური სცენების რიცხვი მსოფლიო ლიტერატურაში ძალიან მცირეა. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ბატალურმა სცენების სტენდალის „პარმის მონასტრიდან“, ლ. ტოლსტოის მიერ აღწერილი აუსტერლიცის ბრძოლა „ომსა და მშვიდობაში“ და კიდევ რამდენიმე სხვა.

საინტერესოა ბალზაკის მოსაზრებები ამ თემაზე, თავის ერთ კრიტიკულ წერილში ეყენსიუს შესახებ, ბალზაკი სწერდა:

„ლიტერატურას არ ძალუძს დახატოს სამხედრო მოქმედებანი განსაზღვრულ მოცულობაზე მეტად. რომ ცოცხლად ასწერო სევენის მთები, მათ შორის გადაჭიმული ქალები, ლანგედოკის დაბლობი, ყველგან დააყენო ჯარები, აამოქმედო ისინი და თან ახსნა ბრძოლის მსვლელობა, — ეს ისეთი ძნელი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც ვერ ბედავდენ ვალტერ სკოტტი და კუპერი. ესენი არაოდეს არ აღწერდნენ თავის ნაწერებში მთელს ბრძოლას, არამედ კმაყოფილდებოდნენ მცირე შეტაკებების აღწერით, სადაც გამოხატავდნენ მებრძოლ მასების სულიერ განწყობილებას. და ეს მცირე შეტაკებებიც, რომლის გამოხატეასაც ისინი ბედავდნენ, მათგან მოითხოვდა ხანგრძლივს მომზადებას“.

ბალზაკის ამ ავტორიტეტული განცხადების შემდეგ ჩვენთვის სასიხარულით ნათელია ის სიძნელე, რომელიც დგას მწერლის წინაშე, როდესაც მას განზრახული აქვს ბრძოლის მხატვრული გადმოცემა. და მით უფრო საგულისხმო მოვლენას შეადგენს ჩვენთვის, როდესაც ვხედავთ, რომ ასეთი რთული ეპიზოდი ჩინებულად აქვს გადაწყვეტილი შალვა დადიანს თავის „უბედურ რუსში“.

ნიალის ბრძოლა ისტორიულად დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს. „ქართლის ცხოვრების“ მემბტიანე, როგორც სჩანს, დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ ისტორიულ ბრძოლას, რადგან იგი ამ შემთხვევაში ლალატობს თავის ჩვეულებრივ სიტყვაძვირობას და პათეტიურ სტრიქონებს უძღვნის ბრძოლის აღწერას.

„მიიწივნეს ველსა ნიალისსა, — სწერს მემბტიანე განდგომილთა ჯარების შესახებ, — მუნ შეიქმნა ომი, ვითა ხვდებოდა რჩეულებასა იმერთა და ამერთა მოყმეთასა, რომელი კმა იყო ძველთაგანცა ვოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მოვიდოდის სიმწვავენი დამკვეთებლნი ისართანი, მფეთებლნი ხრმალთანი და მხეთქებლნი ოროლთანი.

და განგრძობასა შინა ომთასა, მიეცა ძლევა მოყმეთა თამარისათა, და გაქცეულნი რომელნიმე დარჩეს სიქველითა მათითა, და რომელნიმე დაიპყრნეს და დახოცეს და დაატყვევეს“ („ქართლ. ცხოვ.“ ბროსე, გვ. 295).

ეს მცირე ამონაწერი მატთანედან ჩვენ მოვიყვანეთ იმისათვის, რომ მის ფონზე უფრო მკვეთრად გვეჩვენებინა სიძლიერე მხატვრული ფე-

რადებმისა, რომლითაც ჩვენი რომანისტი ასწერს ნიალის ბრძოლას, უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ეს ბრძოლა მას გადააქვს დღის სინათლიდან ღამის სიბნელეში და გვიხატავს ეფემერიკურ, სურათს მებრძოლთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისას ჩირაღდნების შექმნა, ეს თითქოს უფრო ამძაფრებს დრამატიზმს ამ ეპიზოდისას და წარუშლელ კვალს სტოვეებს მკითხველის მეხსიერებაში.

მაგრამ უმჯობესია ეხლა სიტყვა დავუთმოთ თვით ავტორს.

„...ბევრ ბრძოლაში გამოცდილი ბოცო ჯაყელი (ერთი განდგომილ მთავართაგანი. ლ. ა.) ხერხიანად არიდებდა თავს მეტად სახიფათო ბრძოლას.

მაგრამ ავტორი იგი თავისი ლაშქრით ხინგრის წყალთან მოხვდა, თმოგვსა და ერუშეთს შუა, ფართოდ გადაჭიმულ ნიალის ველზე.

ნელი-ნელ მიდიოდა განდგომილთა ჯარი საფარისაკენ.

უეცრად ლორედან გადმოსული ივანე მხარგრძელის ჯარი წინ შემოეფეთა და იძულებულნი შეიქმნენ, რომ ბრძოლა მიეღოთ.

მაგრამ ივანეს ჯარი არც ისე დიდი იყო, რომ ბოცოს მისთვის რიგანი წინააღმდეგობა ვერ გაეწია.

ბოცოს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ამ ტრიალ მინდორზე ბანდლებოდა და ძალაუვნებურად უკანით მოწოლილ თამარის ჯარსაც უნდა გამკლავებოდა.

ისეც მოხდა.

სწორედ შებინდებისას დაეწია მათ თამარის ჯარიც გამრეკელის, რატი სურამელის და დანარჩენ მხარგრძელთა წინამძღოლობით.

მაგრამ, დაღამდა თუ არა, კვლავ წესისამებრ, გასაყარსა ნალარსაჰკრეს და ის-იყო განსვენებისათვის უნდა თავი მიეცათ, რომ განდგომილთა ბანაკში გაისმა რალაც ყიჟინა, დაფდაფების ხმა, ლოროტოტოთა ღრიალი და უეცრად...

ცეცხლის ტყე გამოემართა თამარის ჯარისაკენ.

ამირ-სპასალარი გამრეკელი შეშფოთდა, მაგრამ არ დაიბნა და ჯარს უბრძანა კვლავ ამხედრებულიყვნენ.

სულ-გაკმენდილი ლაშქარი, ანაზდად დასტა-დასტა დაწყობილი, ამ ღამის წყვილიაღში, ციხე-ბურჯივით შემკვრივებული, გამზადდა იერიშის მისაღებად.

ცეცხლი თანდათან ანლოვდებოდა.

მისგან გამონაკრთომი შუქი უკვე წითლად ღებავდა თამარის ჯარის წინა რიგებს.

მზვერავმა ამბავი მოიტანა, რომ დადიანი დიდი ლაშქრით ჩამოსულა, გადაუწყვეტია ღამითვე შეტაკება და ამისთვის მთელი რაზმი ჩირაღდოსანთა გაუმზადებიაო.

მოარული ცეცხლი ცოტაზე კიდევ მოახლოვდა, უეცრად შედგა და შემდეგ-კი ციმციმით გაიბნა, მოედნის მშვილდურად შემომრკალველი.

ეხლა სინათლეს უკვე იმდენი ძალა ჰქონდა, რომ რამოდენიმე ალაჯზე ყოველივე მშვენიერად იხედებოდა.

— ჰკა მაგას!

გაისმა დადიანის რაზმიდან საომარი შეძახება და მძაღვარივით მოსკდა ერთი დიდი ტალღა განდგომილთა ჯარის.

და გაჩნდა ჯოჯოხეთი ნიალის ველზე.

გმინვა, ზენეშა, შეყვირება, ხმლების ჩხრიალი, გურზთა ხათქი-ხუთქი, ცხენების მკერდთა შეჯახება, გადათელვა, დაკოდვა, სიკვდილი, ყოველივე ერთი მეორეში აირია და გამოსცემდა ხმას უცნაურს, ვეებისაგან შედედებულსა.

ორი ახოვანი ერთი მეორეს შეეფეთა. ცხენები ყალხზე შედგნენ და ერთი მეორის ტორ-დასარტყმელად განემზადნენ.

მაგრამ ერთმა მხედარმა ცხენს ალარ აცალა და განზე გაახვევინა, მხოლოდ იმავ წამსვე შემოტრიალდა და ოროლით თავისი მოპირდაპირის გასაგმირად გამოეჭანა.

მოპირდაპირემ თითქო იგრძნო, რომ ზურგიდან მუხთლურად ეპარებოდნენ, თვითაც ცხენი შეატრიალა და ოროლს განზე გაუსხლტა, თან მიაძახა:

— გიცან, ივანე მხარგრძელო! აწ სადლა წახვალ ჩემ ხელთაგან!

— მუხანათ დადიანს მე არ გავეჭკევი! — შეჰყვირა ივანეშაც, გაქანებული ცხენი შეაკავა, ოროლი გადააგდო და გურზ-მოქნეული მიუხტა. დადიანმა ფარი იფარა და... გაუძლო.

მხოლოდ სპილენძის ფარმა საზაროდ გაიფრიალა.

ივანემ ეხლა გურზიც გადააგდო და ლახტს მიმართა.

დადიანმა ელვის უსწრაფეს ხმალი ამოიღო და ლახტი შუაზე გადაუჭრა, თან შესძახა:

— მუხთალი ხარ, მაგრამ მაინც დაგინდობ, მხოლოდ ნიშანს-კი დავაჩნევ!

და, სანამ ივანე სამაგიერო ხმლის ამოღებას მოასწრებდა, დადიანმა ხმალი გვერდელად ზურგზე გადაარტყა და ერთი გოჯის სიღრმეზე ბეჭებში ჩაიყვანა.

ივანე ცხენს გადაეკიდა.

დადიანმა მასთან მხლე რაზმელებს ივანეზე უბრძანა:

— შეკყარ, შეიკყარ!

რაზმელებმაც ივანე შეჰბოჰეს და ბრძოლის ასპარეზიდან გაიყვანეს.

ჩირალდოსანნი მოხერხებით არიდებდნენ თავს შუაგულ ბრძოლაში მოხვედრას და თითქო ფერხული აქეთ გაბმული და ცეკვავენო, ისე განგანზე დავლურს უვლიდნენ.

მაგრამ მაინც ხან ერთი, ბრძოლის ველით წარმონადენი ტალღა წააჯიროვალებდა ცხენიან-კაციან სინათლის მურქვეველ სანათურებს და ხან შეორე.

გადავიდოდა დასტა საზღვარს ასპარეზისას, მაგრამ მყისვე, ეხლა ამ რკალ ვარედ, ჩნდებოდა სხვა ჩირაღდნოსნები და სინათლე ერთბაშად არ ილეოდა.

ბრძოლა-კი თანდათან მწვედებოდა.

ნამგზავრობით და უძილობით გაშხამებულნი, სასოწარკვეთილებით ეტეოდნენ ერთი მეორეს, თითქოს ამით ამზობდნენ, მოვიდეს ბარემ რაც მოსასელელიაო — და თავს აღარ იზოგავდნენ.

ორივე მხრივე მებრძოლთ რაზმებს თანდათან ემატებოდა მარქაფად დაყენებული ჯარები და ეხლა ესენი უკიდებდნენ ცეცხლს რომელიმე ფრთას, საცა უკვე შენელებული იყო ბრძოლის მაჯისცემა.

ასე გასტანა განთიადამდე.

მხოლოდ განთიადისას გამოჩნდა მთლიანი სურათი ბრძოლის ველისა.

ნიალის უშველებელი მინდორი აღარ მინდვრობდა, თითქო ჯადოსანს მთები დაედგა ამ ტრიალ ველზე. ხოლო ეს მთები აქა-იქ ჯერ კიდევ ფეთქავდა, თითქო ღველფ-მაფრქვეველი ჩამქრალი ოღრო არისო.

მთების გარშემო, სათითაოდ, ბევრი იყო მიმოფანტული ბალახებ და ჯაგნარებ შორის, მხოლოდ აგრედვე ამ მთებ შუა ბევრი იყო ცალ-ცალკე გუნდად ხელჩართვით ცოცხალი მებრძოლი.

გამრეკელმა ბრძანა, საერთო შეტევაზე გადასულიყვნენ და გაბნეული გუნდები, ზურგის ჯარის შესევით გაეერთიანებინათ.

დადიანმა რომ მტრის ზურგის ჯარის დაძვრა დაინახა, კაცი აფრინა ჩირაღდნოსნებთან და ისინიც მოსწყდნენ დაუყოვნებლივ თავიანთ ალაგს და მომხრე ჯარის შუაგულისკენ ერთ ბურთათ შეინასკვნენ.

ეს ცეცხლის ბურთი, განთიადით ფერ-მიღებული, შურდულივით წაშოგორდა გამრეკელის ალაშისაკენ და ყიყინით გამოქანებული ზურგის ჯარს მიექრა.

ჩირაღდნოსნებმა იარაღის ნაცვლად ეს ცეცხლი დაუშინეს ჯარს და დიდი ზიანიც მიაყენეს. ცეცხლისაგან მტრის ცხენები დაფრთხნენ, აირდაირივნენ და ჩირაღდნოსანთ ზურგი უჩვენეს.

მხედრებმა ვერაფერით ვერ შეაჩერეს დაფეთებული ბეჭურები და ისე გამოვიდა, თითქო განდრკა ზურგის ჯარი და პირი იქცაო.

სწორედ იმავე დროს დადიანი, აბულასანის თანხლებით და თავისი დასტით, ვაქცეულ რაზმს დაედგენა. თან გაქანებულმა უკუქცეულთ ისრები სეტყვასავით დაუშინეს.

ბოცომ და ბედიანმა, ეს რო დაინახეს, მათაც უკანასკნელი ღონე მოიკრიფეს და ყველა სამარქაფო ჯარი შუაზე გაწყვეტილ გამოეკელის ლაშქარს მიუტიეს, მაგრამ თავ-განწირულ მებრძოლთ მაინც ვერა დააკლეს-რა.

მხოლოდ დადიანი და აბულასანი მისდევდნენ უნებლიედ პირშებრუნებულებს.

ფერდობებზე-კი ძლივს შესდგა ცეცხლით დაფეთებული ცხენები და მხედრობა ერთის კაცივით მწყობრად შემოტრიალდა.

ეხლა-კი კვლავ გაჩაღდა სამკედრო-სასიცოცხლო ხელ-ჩართული ომი. ორივე მხარე ისევ მარჯვედ იყო და ვერავენ ვერ, მარჯვედ ვერ, რომელ მხარეზე იყო გამარჯვება. აგერ ზვიადი სავარსამიმე! მან თვალი მოჰკრა აბულასანს. დაუმიზნა და მარჯვედ მოსხლეტილი ისარი პირ-დაპირ გულს განუწონა. მკედარი აბულ-ასანი ცხენს გადაეკიდა. მის დანახეზე დადიანი გაშმაგდა და ზვიადისაკენ გაიწია.

მაგრამ, აი, განზე მდგომმა რატი სურამელმა თავისი მარჯათა რაზმით დადიანის ჯარს ზურგიდან დაუარა და ალყა შემოარტყა

დადიანი მიხვდა, რომ ხაფანგში მოემწყვდა. მის მომხრეთა დანარჩენ ლაშქარს კარგა მანძილზე ჩამოშორებოდა, გამოდევნებას გაეტაცნა და ეხლა მტრის შუა-გულ იყო მომწყვდეული.

ისიც შეატყო, რომ მომხრეთ ჯარი მას ვერ მიეშველებოდა, რადგან გამრეკელი და მხარგრძელები დიდად აწეებოდნენ და მისკენ არ უშვებდნენ.

ამ მოსაზრებამ რომ ელვასავით გაურბინა, ზურგიდან მოესმა:

— დამრჩი, დადიანო! — რატის ხმა იყო.

დადიანი შემოტრიალდა. ცხენი შეაყენა, ამოწვდილი ხმალი ხელიდან გაავლო და მკლავები გაშალა.

რატიმ უბრძანა, ბრძოლა შეეწყვიტათ.

მისი მომხრე ყველა შეჩერდა. დადიანის რაზმელებმაც დაინახეს, თუ არა რომ აღარ ეომებოდნენ, ბრძოლა შეაჩერეს.

ბრძოლა მართლა შესწყდა და ყველა დადიანს შემოეხვია, მისიანიც და მოწინააღმდეგეც...

...თითქო დადიანის დატყვევებამ გადასწყვიტა ნიალის ბრძოლის ბედი.

კიდევ ერთი სასტიკი შეტევა და ნიალზე მყოფ განდგომილთა თითქმის ყველა მეთაურები თამარის ჯარს ხელთ ჩაუვარდა“ („უბედ. რუსი“ გვ. 441 — 448).

ასეთი არის ეს ეპიზოდი. იგი საუკეთესოდ გადმოგვცემს ძველებურ ომის სურათს, ჯარების საომარ განლაგებას, ცალკეულ ფალავანთა შეტაკებას, ტყვეთ წაყვანის წესებს.

მაგრამ გარდა ისტორიული ინტერესისა, ამ ბატალურ ეპიზოდს აქვს თავისთავადი მხატვრული ღირებულება.

დასასრულ ჩვენ აღარ გვინდა შევჩერდეთ შალვა დადიანის სტილის ოსტატობაზე. დღეს უდავოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ შალვა დადიანის ენა წარმოადგენს შესანიშნავს ნიმუშს ქართული მეტყველებისას. მისი მელიოდურობა, ლაპიდარულობა, ფერადოვნება, რომან „უბედურ რუსი“ მოცემულია მთელი თავისი სიძლიერით.

ჯანსაღი პატრიოტული გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია რომანი, ზნეობრივი და ჰუმანიური იდეალები, რომელსაც ატარებენ მისი დადუ-

ბითი გმირები, მაღალი მხატვრული ოსტატობა, მზიური, ნათელი ოპტიმისტური საწყისი, რომელიც საფუძვლად უდევს მთვრალ მანქანას— აი ყველა ის შესანიშნავი ღირსებები, რომლებიც ახასიათებენ შალვას დადიანის ამ ნაწარმოებს. იგი თავის დროზე წარმოადგენდა მიღწევას ქართულ ლიტერატურაში, იგი დარჩება ჩვენი ხალხის საყვარელ საკითხავ წიგნად.

შალვა დადიანის უკანასკნელ დიდ ნაწარმოებს წარმოადგენს რომანი „ურდუმი“, რომელიც ჯერ კიდევ არა აქვს დამთავრებული ავტორს. თუ რომან „უბედურ რუსში“ შალვა დადიანის ამოცანას შეადგენდა მოეცა მე-12 საუკუნის საქართველოს სამეფო კარის ყოფა-ცხოვრება და ამისათვის სოციალური გარემო, ხალხის ფართო მასები მხოლოდ შორეულ ფონს წარმოადგენდა მისთვის, „ურდუმში“ ავტორის პირდაპირ ამოცანას შეადგენს დაგვიხატოს სწორედ ხალხის ყოფა-ცხოვრება და მისი გმირული ბრძოლა ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. როგორც ვიცით, თემად თავისი სოციალური რომანისათვის ავტორს აღებული აქვს სამეგრელოს გლეხთა აჯანყება გასული საუკუნის 50-იან წლებში, მებატონეთა და მეფის რუსეთის ადმინისტრაციის ძალადობის წინააღმდეგ.

ცენტრალური გმირი რომანისა, უტუ მიქავა, წარმოადგენს ხელმძღვანელს და ორგანიზატორს სტიქიური გლეხური მოძრაობისას სამეგრელოში. მისი სახე ატარებს იმ უნივერსალურ თვისებებს, რომლებითაც ხასიათდებოდნენ გლეხური მოძრაობის ყველა გამომჩენილი ბელადები. მისი პიროვნება ამავე დროს წარმოადგენს ერთგვარ განზოგადოებულ სახეს ქართველი მშრომელი ხალხისას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა თავისი სოციალური და ნაციონალური უფლებებისათვის.

შალვა დადიანის მხატვრული ნიჭი და მწერლური ოსტატობა ჩვენ ყველა საბუთს გვაძლევს დარწმუნებულ ვიყოთ იმაში, რომ იგი დასძლევს დასახულ თემასაც და მისცემს საბჭოთა ქართულ ლიტერატურას ახალ თვალსაჩინო ნაწარმოებს.

მ. ჩხეიძე

ინფორმაციური საბუთები ევროპიის შესახებ

(დასასრული) *

ევროპიული 1906 — 1907 წლებში.

ყველა საბუთში, სადაც ევროპიის წარსულზეა ლაპარაკი, ევროპიის რევოლუციური მოღვაწეობა 1905 წელს გადმოცემულია სავსებით ერთნაირად. მაგრამ ამ საბუთებს შორის არის ერთი, რომლის ცნობებიც ავსებენ სხვა საბუთების ცნობებს ევროპიის მოღვაწეობის შესახებ იმავე პერიოდში.

მხედველობაში გვაქვს „ტფილისში არსებული საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციებისა და მათ გამგეობაში შემავალ პირთა სია“. ¹⁾ ეს სია შედგენილია ტფილისის „ობრანკის“ მიერ და უნდა ეკუთვნოდეს 1907 წლის დასასრულს ან 1908 წლის დასაწყისს, თუმცა თანდართული მიმართვა დათარიღებულია 1905 წლის 13 ივლისით.

ამ საბუთში მოყვანილი ცნობები უფრო იმ მხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რომ ეს ცნობები არა მარტო ადასტურებენ და იმეორებენ წინა საბუთებში მოყვანილ ფაქტებს 1905 წლის ევროპიის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ავსებენ ამ ფაქტებს ზოგიერთი ახალი ცნობებით, ამასთან რაც მთავარია, შეეხებიან მომდევნო (1906—1907) წლებსაც: ამ მხრივ ჩვენს მასალებს შორის ეს საბუთი ერთად-ერთია, რომელიც შეიცავს ცნობებს ევროპიის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ 1906—1907 წლებში. მაგრამ თვით 1905 წლის შესახებ აქ მოცემული ახალი ცნობები არც ერთ სხვა საბუთში არ არის გამოჩენილი.

1905 წლის ახალი ცნობები შეეხება უმთავრესად იანვრისა და ოქტომბრის თვეებს. იანვარში, საბუთის მიხედვით, ევროპიელი მოხსენებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრად და 1905 წლის იანვარში მომხდარ რკინის გზის მუშათა გაფიცვის მონაწილე. ხოლო ოქტომბერში (21—22 რიცხვებში), საბუთის მოწმობით, ევროპიელი „დემონსტრანტების მიტინგებზე“ სიტყვებს წარმოთქვამდა და მუშებს მთავრობის დამხობისაკენ მოუწოდებდა. ²⁾

* იხ. მნათობი № 4.

¹⁾ ფონ. 7, საქ. 1924 ფურ. 18.

²⁾ იქვე.

საბუთში აღნიშნული არ არის, სად გაიმართა ეს მიტინგები და სად გამოდიოდა ევდოშვილი სიტყვებით მთაწარის წინააღმდეგ. მაგრამ მოყვანილი ამბების მიმდინარეობის მიხედვით გამოდის, რომ ეს შეხვედრები ტფილისში, და მაშინ ეს უკანასკნელი ცნობა ეწინააღმდეგება სხვა, უკვე ზემოთ მოყვანილ საბუთებში ნაჩვენებ ცნობას, სახელდობრ იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც ევდოშვილი 21—22 ოქტომბერს თითქოს ტფილისში არ უნდა ყოფილიყო¹⁾.

რაც შეეხება მომდევნო დროის, ე. ი. 1906 და 1907 წლების ცნობებს ევდოშვილის მოღვაწეობის შესახებ, ეს ცნობები, განსაკუთრებით კი 1906 წლის ცნობები, ჩვენს საბუთში მეტად მოკლეა და გადმოცემული. ნათქვამია მხოლოდ, რომ ევდოშვილი ამ დროს ცხოვრობდა არალეგალურად ტფილისში და წვრთნიდა სოციალ-დემოკრატიის „მებრძოლ რაზმს“. 1907 წლის შესახებ მოყვანილია შემდეგი ფაქტები: 1907 წელს ევდოშვილი ითვლებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1-ლი რაიონის წარმომადგენლად; იმავე წლის 22 ივნისს ის მონაწილეობას იღებდა ამ რაიონის წევრთა კრებაზე, რომელიც შესდგა დვალაძის ბინაზე; იმავე ხანებში ევდოშვილი პარტიის დავალებით იმყოფებოდა ქუთაისში ადგილობრივ ორგანიზაციებთან მოსალაპარაკებლად; 29 ივნისს, კრებაზე იმავე დვალაძის ბინაზე, მან წარმოსთქვა სიტყვა და სხვა²⁾.

ყველა ეს ცნობა ვიმეორებთ, არსად სხვა ამ საქმის საბუთში არ არის მოყვანილი და ამიტომ ამ ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, მით უფრო, რომ 1906—1907 წლებში ევდოშვილის მოღვაწეობის შესახებ საერთოდ ჩვენს მასალებში სრულიად არავითარი ცნობა არ არის შემონახული.

თვით საბუთში ზემოთმოყვანილი ცნობები შემდეგნაირადაა გადმოცემული³⁾.

„აგენტურის ცნობით (ევდოშვილი) 1905 წელს აწარმოებდა დანაშაულებრივ პროპაგანდას ასლანდუხის სამარქაფო ბატალონის ჯარისკაცთა შორის. ამას გარდა, ის ითვლებოდა სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციაში და აწვდიდა მას იარაღის მალაზიებიდან გამოწერილ იარაღს. 4) რკინის გზის მუშების გაფიცვის დროს 1905 წლის იანვარში ისაც აღხანაშვილის⁵⁾ ღვინის სარდაფში ის ეწეოდა მუშებს შორის დანაშაულებრივ პროპაგანდას და არწმუნებდა მათ, რომ ჯარისკაცები მათთვის არ ესერაან. თანაშრომლობდა გაზეთებში: „ცნობის ფურცელსა და ივერიაში“, ნაცნობობა ჰქონდა დადგვილიან. 6) იმავე წლის 21 და 22 ოქტომბერს დემონსტრაციების მიტინგებზე ამბობდა ამღვანებ სიტყვებს, მოუწოდებდა მუშებს მთაწარის ჩამოგდებისაკენ. ითვლებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აქტიურ წევრად. 1906 წელს იმყოფებოდა ტფილისში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის

¹⁾ ევდოშვილი „ნამსახურობის სის“ მიხედვით ამ დროს ელისავეტოპოლში უნდა ყოფილიყო (შეად. ფონ. 31, საქ. 564, ფურ. 17).

²⁾ იქვე, ფურ. 19.

³⁾ მთლიანად მოგვყავს ამ საკითხის ის ნაწილი, რომელიც ევდოშვილს შეეხება.

⁴⁾ აქ ეს საბუთი იმეორებს სხვა (ზევით მოყვანილ) საბუთების ცნობებს.

⁵⁾ ისაც აღხანაშვილის პიროვნება გამოკვეთული არ არის.

⁶⁾ დადგვილიანს პიროვნება ვერ გამოვარკვევთ.

რედაქციაში, რა მიზნითაც გამოცემილი ჰქონდა თავისი გარეგანობა: გამართული იყო და ატარებდა თვითრასობის საფუძვლებს. 1907 წლის ცნობებით, ის იყო რ. ს. დ. შ. კ. ტფილისის კომიტეტის 1-ლი რაიონის წარმომადგენლად მუშაობდა. მისივე იყო აგენტურის მიერ სადარბაზო ბარათი, რომელზედაც გამოხატული იყო მისი პოზიციები ჩამოსული ალექსანდრე გერსინიძის (ე. ი. ბარათი 1906 წლის აგვისტოდან 1907 წლის 1 მარტამდე სალაროს ანგარიშითურთ უნდა გადაეცემოდა ბესარიონ ქრისტეფორის-მე დვალისძეს¹⁾). 1907 წლის 22 ივნისს ხოსიტოვი მონაწილეობას იღებდა 1-ლი რაიონის წევრთა კრებაზე დვალისძის ბინაზე. იმგზავრა ორგანიზაციის საქმეების გამო, სამი სხვა ამხანაგითურთ, ქუთაისის იდგილობრივ სოციალ-დემოკრატებთან ერთად პარტიის შემდეგი მოქმედების საკითხის ერთად განსახილველად. 29 ივნისს ხოსიტოვმა კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ მეტის მოთმენა შეუძლებელია და რომ საჭიროა შეიარაღებული აჯანყება. წინადადება მიეცა დასაწყობით აერჩიით პირები, რომელნიც შექმნიდნენ შეიარაღებული კოლექტივის ბირთვს. ეს კრება სწარმოებდა დვალისძის ბინაზე. ევლოშვილი იდგენდა პროკლამაციების შედგენას და დასაბუთებდა აქედან ქართულ გაზეთ „დილა“-ს რედაქციას. მას გადაეცემული ჰქონდა ფული, მოგროვილი წიგნის „პროფესიონალური კავშირები და სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ საფასურად. 1907 წლის 27 ივნისს დაესწრო კრებას, რომელიც შესდგა რესტორან „შეხვედრაში“.²⁾

შეუძლებელია იმის შემოწმება, თუ რამდენად სრულია და ზუსტია ეს ცნობები, ვფიქრობთ, რომ დასახელებული ცნობები არსებითად სინამდვილეს შეიცავენ, რადგან „ობრანკა“ ამგვარ ცნობებს ვერ შეთხზავდა და ვერ გამოიგონებდა: შეიძლება „ობრანკას“ მხოლოდ ზოგიერთ დეტალში მოსდიოდეს შეცდომა, სწორი ან საკმაო ინფორმაციის უქონლობის გამო. მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ევლოშვილის დაპატიმრება და წინასწარი გამოძიება

1907 წლის 27 ივნისიდან 1909 წლის 20 ოქტომბრამდე ჩვენს მასალაში არავითარი ცნობა აღარ მოიპოვება იმის შესახებ, თუ სად იყო ან რას აკეთებდა ევლოშვილი.

სამაგიეროდ 1909 წლის 21 ოქტომბრიდან თითქმის 1912 წლის დასასრულამდე ევლოშვილის ყოველი ნაბიჯი ეანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იყო მოქცეული და საბუთები ამ მეთვალყურეობის შესახებ თითქმის ამომწურავი სისრულით არის დაცული ჩვენს მასალებში. საკმე ისაა, რომ დასახელებულ დროიდან (ე. ი. 1909 წლის 21 ოქტომბრიდან) გარდაცვალებამდე ევლოშვილი თითქმის მთლიანად (უკანასკნელ ორი წლის გამოკლებით) ან ციხეში იყო, ან გადასახლებაში, ამიტომ ის მთავრობის სათანადო ორგანოების არა მარტო მეთვალყურეობის საგანს წარმოადგენდა, არამედ მთლიანად მის განკარგულებაში იმყოფებოდა. ამის გამო ევლოშვილის მთელი თავგადასავალი — დაპატიმრება, გასამართლე-

¹⁾ ასეა დედანში. აზრი გაუგებარია.

²⁾ დვალისძის პიროვნება გამოურკვეველია.

³⁾ იქვე, ფურ. 19.

ბა, მეტეხის ციხეში სასჯელის მოხდა; გადასახლებიდან დაბრუნება და სხვა — საკმაოდ დეტალურად არის აღნიშნული ჩვენს მასალებში.

ამ მასალების მიხედვით საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1909 წლის 21 ოქტომბერს ღამის 2 საათზე ევდოშვილს ურუსულიად მოულოდნელად ჯერ გაჩხრიკეს, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს ტფილისში, საკუთარ ბინაზე (იზმაილოვის ქ. № 38)¹⁾ გაჩხრეკა და დაპატიმრება მოახდინა ტფილისის 1-ლი უბნის ბოქაულის თანამემწემ გუკასოვმა, თანამად ტფილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის დადგენილებისა (ორდერი № 1972 იმავე წლის 21 ოქტომბრის თარიღით.²⁾ გაჩხრეკის დროს ევდოშვილის ბინაზე იმყოფებოდნენ თვით ევდოშვილი და მისი მეუღლე მარიამი. გაჩხრეკას, საბუთის ჩვენებით, მოწმეებად დაესწრო თითქმის ორი გარეშე პირი — ვინმე „კირილაია ნასილკილია“ და „გიორგი მარყენიძე“³⁾, მაგრამ ეს გვარები იმდენად საეჭვოდ მოისმიან, რომ უბრალო ფორმალობის შესრულების მიზნით მოგონილი უნდა იყოს შემდეგში.

გაჩხრეკის დროს ევდოშვილს აღმოუჩინეს: 1) ხელნაწერი რუსულ და ქართულ ენაზე — 144, 2) „სხვადასხვა შენიშვნა ქართულ ენაზე“ — 11, 3) „სხვადასხვა შენიშვნა რუსულ ენაზე“ — 3, 4) „წერილები ქართულ ენაზე“ — 34, 5) ბროშურები ქართულ ენაზე — 71, 6) ბროშურები რუსულ ენაზე — 25, 7) ფოტოგრაფიული სურათები — 12 და სხვა.⁴⁾

თუ რა შინაარსისა ან ხასიათისა იყო ეს ბროშურები და ხელნაწერები, მასალიდან არა ჩანს, რადგან მასალაში ეს ბროშურები არ არის დაკული და არც მათი შინაარსია გადმოცემული. ამ ხელნაწერებიდან და ბროშურებიდან დასახელებულია მხოლოდ ერთი ბროშურა რუსულ ენაზე — კრაპოტკინის წიგნი „პური და თავისუფლება“⁵⁾ და ერთიც ხელნაწერი — ამ წიგნის 55-82 გვერდების ქართული თარგმანი, შესრულებული ევდოშვილის მიერ.⁶⁾

ევდოშვილი იმავე ღამეს დააპატიმრეს, 23 ოქტომბერს ევდოშვილი როგორც ეანდარმთა სამმართველოს პატიმარი, „მიუღია“ მეტეხის ცი-

¹⁾ იმ ხანებში ევდოშვილი მსახურობდა ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში 60 მანეთიან ჯამაგირზე (იხ. იქვე, ფურ. 4 და 26).

²⁾ ფონ. 31, საქ. 564, დამატ. ფურ. 2.

³⁾ იქვე, ფურ. 2.

⁴⁾ იქვე, ფურ. 3.

⁵⁾ იქვე, ფურ. 19 — 21.

⁶⁾ ფურ. 23—25. კრაპოტკინის დასახელებული ბროშურა და მისი ქართული თარგმანი, რომელიც ეანდარმერიის კვლევა-ძიების მასალას ჰქონდა დართული, როგორც „ნიეთიერი დამამტაცებელი“ საბუთი, ევდოშვილის გასამართლების შემდეგ მოსპობილ იქნას სასამართლო პალატის დადგენილებით (იხ. ფონ. 31, საქ. 564, ფურ. 17). თუ რა ზედი ეწვია დანარჩენ ნიეთებს, რომლებიც ევდოშვილს გაჩხრეკის დროს ჩამოერთვა, საქმიდან არა ჩანს.

ხის ზედამხედველს,¹⁾ თანახმად ეანდარმთა სამმართველოს უფროსის მიწერილობისა (№ 21653, 23 ოქტომბრის თარიღი).²⁾ ალბათ, 21 და 22 ოქტომბერს ეედოშვილი საბოქაულოს ან, უფრო სწორად, ეანდარმთა სამმართველოს საპატიმროში იყო.

ეედოშვილის გაჩხრეკა და დაპატიმრება შემდეგ გარემოებას გამოუწვევია:

1909 წლის 20 ოქტომბერს, საღამოს 6½ საათზე, ტფილისში, კირკის ქუჩაზე, ყოფილ ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მახლობლად, ტფილისის „ოხრანკის“ აგენტებმა მოკლეს ორი კაცი — მიხა კობრეძე და ლადო მესხიძე, რომელნიც, პოლიციის ცნობებით, ეკუთნოდნენ ანარქისტ-კომუნისტების ორგანიზაციას. ამ პირთა მოკვლის ამბავი ჩვენს მასალაში მოკლედ და მშრალად არის გადმოცემული. იმ საბუთში, რომელიც შედგენილია ეანდარმის მიერ ეედოშვილის დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის გამო, ნათქვამია მხოლოდ რომ, 20 ოქტომბერს, საღამოს 6 ½ საათზე, მოკლულ იქნა „ორი თვალსაჩინო შანტაჟისტ-მძარცველი“ — მიხა კობრეძე და ლადო მესხიძე. „შანტაჟისტ-მძარცველებად“ ეს მოკლული პირები ეანდარმერიის (ზოგიერთ) საბუთებში მოხსენებული არიან ალბათ, იმისთვის, რომ ისინი, ბრალდების ვადლიერების მიზნით, კრიმინალურ დამნაშავეებად ყოფილიყვნენ მიჩნეული. ნამდვილად კი, ეანდარმერიისავე გამორკვევით, მოკლულები პოლიტიკური „დამნაშავეები“ იყვნენ.

მოკლულ მიხა კობრეძის ჯიბეში გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს უბრალო ცნობები სხვადასხვა პირის შესახებ, მათ შორის ეედოშვილის მისამართიც. ამის საფუძველზე პოლიციამ ექვე აიღო ეედოშვილზე, თითქოს ის ანარქისტ-კომუნისტი ყოფილიყოს და მას მოკლულ კობრეძე-მესხიძესთან კავშირი ჰქონოდეს. ეედოშვილის საქმე ცალკე იქნა გამოყოფილი და ის, როგორც „საშიში ელემენტი“, პასუხისგებაში მისცეს.³⁾

ამ დღიდან (21 ოქტომბრიდან) 1910 წლის 27 იენისამდე, ე. ი. ვადასახლებამდე, ეედოშვილი მეტეხის ციხეში იჯდა განუწყვეტლივ — ჯერ როგორც ეანდარმთა სამმართველოს გამოსაძიებელი პატიმარი, შემდეგში როგორც ტფილისის გუბერნატორის მიერ აღმინისტრაციული წესით დაპატიმრებული და, ბოლოს, როგორც სასამართლო პალატის მიერ მსჯავრდადებული ტუსალი.

პირველად ეედოშვილს აბრალებდნენ მხოლოდ ანარქისტ-კომუნისტობას და მოკლულ კობრეძე-მესხიძესთან კავშირს. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდხანს და მეტად დაწერილებით კვლევა-ძიება გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს დავალებით აწარმოა იმავე სამმართველოს

1) ფონ. 7, საქ. 1622, ფურ. 5.

2) იქვე, ფურ. 4.

3) ფონ. 7, საქ. 1660, ფ. 3.

უფროსის თანაშემწემ როტმისტრმა როზალიონ-სოშოლსკიმ, მაგრამ დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ მიაღწია. ევდოშვილის ანარქისტობას ჟანდარმერია ამტკიცებდა არა მარტო იმ საფუძველზე, რომ ევდოშვილის მისამართი აღმოაჩნდა მოკლულ კობრეიძეს, არამედ კმაყოფილებულად, რომ გაჩხრეკის დროს მას უპოვეს ცნობილი ანარქისტის პეტრე კრაპოტკინის ცენზურის მიერ აღკვეთილი ბროშურის „პურისა და თავისუფლების“ თარგმანი.

ევდოშვილი პირველად დაჰკითხეს 23 ოქტომბერს¹⁾ და, როგორც ამ დაკითხვის ოქმიდან ჩანს, მთავარი, რის გარშემოც მას ეკითხებოდნენ იმ დროს, იყო სწორედ ზემოთ დასახელებული საკითხი — ანარქისტებთან და მოკლულ კობრეიძე-მესხიძესთან კავშირი. ევდოშვილმა გადაჭრით უარპყო როგორც ერთი, ისე მეორე²⁾: თავის ჩვენებაში მან განაცხადა, რომ მოკლულ კობრეიძესა და მესხიძეს არ იცნობს და საერთოდ ანარქისტებთან არავეითარი დამოკიდებულება არა აქვს³⁾.

„ანარქისტ-კომუნისტების პარტიას და საერთოდ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას მე არ ვეკუთვნი, — ამბობს ევდოშვილი ამ ჩვენებაში, — მიხე კობრეიძეს არ ვიცნობ, ე. ი. ეს გვარი ჩემთვის უცნობია, მაგრამ თუ წარმომიდგენთ მის ფოტოგრაფიულ სურათს, შესაძლებელია მისი სახე გამოვიცნო...“⁴⁾

ვალერიან⁵⁾ ივანეს-ძე მესხიძეც ჩემთვის აგრეთვე სრულიად უცნობია. ჩემი მისამართი მე არავისთვის არ მიმიცია, არც ჩემი საკუთარი ხელით დაწერილი და არც მიკარნახებია ვინმესთვის ასეთი რამ. მაგრამ ჩემი მისამართის გაგება ადვილია, რადგან ქართველი საზოგადოებისათვის მე ცნობილი ლიტერატორი ვარ.“⁶⁾

ჟანდარმერიისათვის მიცემული ევდოშვილის ჩვენება, რა თქმა უნდა, გულწრფელი ახსარება არ იყო: თავის ჩვენებაში ევდოშვილი ცდილობდა, ერთის მხრივ, არავინ თავისი თანამოაზრე და ამხანაგი არ დაესახელებინა და ამით ჟანდარმერიის კლანჭებში არ ჩაეგდო, ხოლო მეორეს მხრივ — წამოყენებული ბრალდება უარეყო და გადაერჩინა თავი მოსალოდნელი სასჯელისაგან.

ჟანდარმერიამ, მიუხედავად მრავალი ცდისა და დიდი სურვილისა, ევდოშვილის ანარქისტ-კომუნისტობის დამტკიცება მაინც ვერ მოახერხა. ვერ დაამტკიცა ის, რომ ევდოშვილი იცნობდა მოკლულ ანარქისტებს (კობრეიძესა და მესხიძეს) და ვერც ის, რომ ევდოშვილს კავშირი ჰქონდა ანარქისტ-კომუნისტების პარტიასთან.

¹⁾ ფონ. 31. საქ. 564, დამატ. ფურ. 4.

²⁾ იქვე, ფურ. 4.

³⁾ თავისი ჩვენება ევდოშვილს არ შეუცვლია: წინასწარ გამოძიების დროს და სასამართლოშიც ევდოშვილი ერთნაირ ჩვენებას აძლევს და ამ ჩვენებას უყოყმანოდ იცავს.

⁴⁾ იქვე, ფურ. 4.

⁵⁾ ე. ი. ლადო. ჟანდარმერიას ჯერ კიდევ არა ჰქონდა მაშინ (დაკითხვის დროს) გამორკვეული, რომ ვალერიანი ლადო მესხიძის ყალბი სახელი იყო.

⁶⁾ იქვე, ფურც. 5.

სამაგიეროდ უფრო სერიოზული გამოდგა კრაპოტკინის ბროშურის თარგმანისა და ამ თარგმანთან დაკავშირებული ბრალდების საკითხი: რაკი ხსენებული ბროშურისა და მისი ქართული თარგმანის აღმოჩენა დადასტურებული ფაქტი იყო, ევდოშვილმა ვერ შესძლო ამ ფაქტის უარყოფა და, მაშასადამე, ბრალდების თავიდან აცილებაც, თავის მხრივ ეანდარმერია, რაკი მოკლული კობრეიძის ჯიბეში ევდოშვილის მისამართის აღმოჩენა საკმაო საბუთად არ გამოდგა ბრალდების დასამტკიცებლად, ცდილობდა კრაპოტკინის ბროშურისა და თარგმანის აღმოჩენაზე დაემყარებია თავისი ბრალდება ევდოშვილის წინააღმდეგ და ამის მიხედვით მიეცა ის პასუხისგებაში.

საყურადღებოა ევდოშვილის ჩვენება ამ ბრალდების შესახებ.

იმავე ოქმში ის ამბობს:

„გაჩხრეკის დროს ჩემგან წაიღეს დაუმთავრებელი თარგმანი ქართულ ენაზე კრაპოტკინის თხზულებისა სათაურით: „პური და თავისუფლება“. მთარგმნე მე (ეს ბროშურა) ვინმე ლადოს დავალებით. მისი გვარი არ ვიცი, მაგრამ ეს გვარი ცნობილია მიხეილ კიკნაძის სტამბაში. მიხეილ კიკნაძემ მომიყვანა უცნობი ლადო და მე განსაზღვრულ გასამრჯელოსათვის ავიღე გადასათარგმნელად. ნაწილი ამ ბროშურისა უკვე გადათარგმნილია, დაბეჭდილია კიდევ და იმყოფება კიკნაძის სტამბაში. ბროშურის თარგმანში მე მიღებული მაქვს ლადოსაგან კუთვნილი ფულის ნაწილი 50 მანეთის რაოდენობით“¹⁾.

ამ ჩვენებაში ევდოშვილს თავისი თავი გამოჰყავს გულუბრყვილო მთარგმნელად, ისეთ მთარგმნელად, რომელმაც არ იცოდა, ვინ იყო კრაპოტკინი, რას წარმოადგენდა კრაპოტკინის ცნობილი წიგნი „პური და თავისუფლება“, ვინ შეუყვებოდა თარგმანი, რა მიზნით და სხვა. ყველაფერი ეს ევდოშვილმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა და კრაპოტკინის წიგნს, რომელიც იმდროისათვის უალრესად რევოლუციურ წიგნად ითვლებოდა, სთარგმნიდა შეგნებულად რევოლუციური მიზნისათვის და არა ჰონორარისათვის, როგორც მან დაკითხვის დროს უჩვენა. მაგრამ ეანდარმერიის თვალების ასახვევად და მისგან თავის დასაღწევად საჭირო იყო ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც გამოძიებას გზაკვალს დაუბნევედა. რომ სწორედ ასეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ევდოშვილი თავისი ჩვენების დროს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მან მოწმედ ზემოაღნიშნულის დასამტკიცებლად მიხეილ კიკნაძე დაასახელა. საქმე ისაა, რომ მიხეილ კიკნაძე იმ დროს, ე. ი. ევდოშვილის დაკითხვის დროს, ცოცხალი აღარ იყო.²⁾ ეს, რა თქმა უნდა, იცოდა ევდოშვილმა, და მას იმედი ჰქონდა, რომ გამოძიება ამ ჩვენებასთან დაკავშირებით ეანდარმერიისათვის სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებდა.

მაგრამ იმისათვის, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო ეანდარმერიის თვალში მისი განცხადება ანარქისტების პარტიასთან დამოკი-

¹⁾ იქვე, ფურ. 5.

²⁾ ფონ. 31, საქ. 564, დამატება 42.

დებულებისა და კრაპოტკინის წიგნის გადათარგმნის მოტივის შესახებ, ევდოშვილი იმავე ჩვენებაში სხვა ფაქტსაც იშველიებს და სხვა მოწმესაც ასახელებს.



„...რომ მე სრულიად არ ვეკუთვნი ანარქისტების პარტიკულარულ ევდოშვილი, — შეუძლია დაადასტუროს ქართული გაზეთის „ნიშადურში“ რუსული უსახსრობის გამო შეჩერებულა, რედაქტორს ვალერიან ლევანის-ძე გუნიას (გუნია ცხოვრობს ვერაზე, ქართული თეატრის მსახიობია), რადგან ამ გაზეთის ნომერში მე არა ერთხელ დამიწერია წერილები ანარქისტების წინააღმდეგ...“) ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 16 წლის განმავლობაში მე არასოდეს არ დამიწერია თხზულება ანარქისტების სასარგებლოდ, ვწერდი, პირიქით, მათ წინააღმდეგ. ამის შესახებ ვთხოვეთ ცნობები მოიძიოთ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ხახანოვის კრიტიკაში რუსულ ენაზე, რომელიც იუიღება ქართული წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და სხვა წიგნის მაღაზიებში“¹⁾.

ევდოშვილის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით ენდარმერიამ დააკითხა ვალერიან გუნია, რომელიც იმ დროს, როგორც თვითონ უჩვენებს, დროებით ქუთაისში ცხოვრობდა,²⁾ და გაჩხრიკა მიხეილ კიკნაძის სტამბა „შრომა“, რომელიც მოთავსებული იყო ელისაბედის ქ. № 17³⁾. მიხეილ კიკნაძე, როგორც ავლნიშნეთ, იმ დროს ცოცხალი აღარ იყო, ამიტომ მისი დაკითხვაც შეუძლებელი გახდა, ხოლო სტამბაში გაჩხრეკის დროს, როგორც საბუთშია ნათქვამი, „არაფერი დანაშაულებრივი არ აღმოჩნდა“⁴⁾.

მიხეილ კიკნაძის სტამბის გაჩხრეკა მოხდა 24 ოქტომბერს, ე. ი. ევდოშვილის დაკითხვის მეორე დღეს, ხოლო ვალერიან გუნია დაკითხულ იქნა უფრო მოგვიანებით, რამდენიმე დღის შემდეგ.

ვალერიან გუნიათ თავის ჩვენებაში მთლიანად დაადასტურა ევდოშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ ჟურ. „ნიშადურში“ (1907 წ., № 6) ევდოშვილმა („რიგოლეტოს“ ფსევდონომით) მართლაც დაბეჭდა ლექსი-პამფლეტი ანარქისტების წინააღმდეგ, რის გამოც მას უსიამოვნო ინციდენტი ჰქონდა გოგელიასთან.⁵⁾

¹⁾ აქ ევდოშვილს მოჰყავს ანარქისტ გოგელიასთან შეტაკების შემთხვევა (შოთ ქუტუაშვილის, ივანძის, ვალერიან გუნიას, ალექსანდრე იმედაშვილის თანადასწრებით) ანარქისტების წინააღმდეგ „ნიშადურში“ მოთავსებული ლექსის გამო.

²⁾ იქვე, ფურ. 5.

³⁾ იქვე, ფურ. 9.

⁴⁾ იქვე, დამატება, ფურ. 67.

⁵⁾ იქვე, ფურ. 67.

⁶⁾ იქვე, ფურ. 11. გუნიას ჩვენებას დართული აქვს ევდოშვილის ხსენებული ლექსი-პამფლეტის რუსული თარგმანი (იხ. იქვე, ფურ. 12). თარგმანი, როგორც მინაწერიდან ჩანს, ეკუთნის ქუთაისის გუბერნიის ენდარმთა სამმართველოს თარჯიმანს, ვინმე კირილოვს. გუნიას კი, როგორც მისი ჩვენებიდან ჩანს, ჯანდარმთა სამმართველოსთვის წარუდგენია „ნიშადურის“ სათანადო ნომრები. ეს ნომრები ამჟამად ჩვენს საბუთებში დაცული არ არის.

ამით დამთავრდა ჟანდარმერიის გამოძიების პირველი ცდა და დემტკიცებია ირ. ევდოშვილის კავშირი მოკლულ კობრეიძე-შეხნიძესთან და ანარქისტ-კომუნისტების პარტიასთან. გამოძიების ეს შედეგი, არ აღეგდა საკმაო საფუძველს ჟანდარმერიას დამტკიცებლად. ნათელია ევდოშვილისთვის წაყენებული ბრალდება.

ამიტომ გამოძიების მთელი სიმძიმე ახლა ჟანდარმერიის მიერ გადატანილი იქნა მესხიძე-კობრეიძესთან ევდოშვილის დაკავშირების ამბიდან მხოლოდ და უმთავრესად კრაპოტკინის ბროშურისა და მისი თარგმანის აღმოჩენის ფაქტზე, იმ ვარაუდით, რომ თუ ამით ევდოშვილის ანარქისტობის დამტკიცება ვერ მოხერხდა, ყოველ შემთხვევაში აკრძალული ლიტერატურის თარგმნისა და გავრცელების ფაქტი მაინც დადასტურდებოდა და ამის საფუძველზე ევდოშვილის პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელი გახდებოდა.

ამ მიზნით ჟანდარმერიამ ევდოშვილის დაკითხვისა და კიკნაძის სტამბის განხრეკის შემდეგ დაკითხვა მთელ რიგ სხვა პირებს: ევდოშვილის თანამოსამსახურეს სათავად-აზნაურო ბანკში¹⁾ სიმონ ლეთისავრი-შვილს,²⁾ ბოჭაულის თანაშემწეს გუკასოვს,³⁾ ევდოშვილის მეუღლეს მარიამს,⁴⁾ დას ბარბარეს,⁵⁾ სტამბის მუშებს ალექსანდრე გიგოშვილს,⁶⁾ გიორგი ედიშერაშვილს,⁷⁾ იოსებ ედიშერაშვილს⁸⁾ და სხვებს. თვით ევდოშვილი დაკითხული იქნა მეორედ, პირველი დაკითხვიდან დაახლოვებით თვე ნახევრის შემდეგ, იმავე წლის 12 დეკემბერს.

დაკითხვის დროს ყველას და ევდოშვილს უმთავრესად იმის შესახებ ეკითხებოდნენ, თუ რა კავშირი ჰქონდა ევდოშვილს ანარქისტ-კომუნისტების პარტიასთან და რა მიზნით სთარგმნიდა ის კრაპოტკინის ბროშურას. მაგრამ არც ამ ცდას მოჰყვა მაინც და მაინც სასურველი შედეგი ჟანდარმერიისათვის იმ მხრივ, რომ არც დაკითხულ პირთა ჩვენებით და არც სხვა გზით მოპოებული ფაქტებით არ დადასტურდა ევდოშვილის მიერ აკრძალული ლიტერატურის გავრცელების ამბავი: ფაქტად რჩებოდა მხოლოდ ის, რომ კრაპოტკინის აკრძალული ბროშურა და ამ ბროშურის ქართული თარგმანი, ევდოშვილის მიერ შესრულებული, ევდოშვილისა აღმოჩნდა, მაგრამ გავრცელების მიზნით სთარგმნიდა დასახელებულ ბროშურას ევდოშვილი თუ ჰონორარის მიღები-

¹⁾ როგორც ზევით აღნიშნეთ, ევდოშვილი დაპატიმრების ხანებში მსახურობდა ტფ. სით.აზნ. საად. მამულს ბანკში.

²⁾ ტონ. 31, ნაკ. 564, დამატ. ფურ. 31.

³⁾ იქვე, ფურ. 32.

⁴⁾ იქვე, ფურ. 33.

⁵⁾ იქვე, ფურ. 33.

⁶⁾ იქვე, ფურ. 35.

⁷⁾ იქვე, ფურ. 36.

⁸⁾ იქვე, ფურ. 37.

სათვის, ამის გამოსარკვევად ფორმალური საბუთების მოპოვება და თავმოყრა ჟანდარმერიამ ვერ მოახერხა.

მიუხედავად ამისა, თვით ეს ფაქტი ხელზე დაიხვეწა ჟანდარმერიამ და კვლევა-ძიების საფუძველზე შედგენილი ბრალდება: ევდოშვილის წინააღმდეგ ასე იყო ფორმულირებული: ევდოშვილს ბრალი ედება იმაში, რომ მან „გავრცელების მიზნით, თუმცა ამ გავრცელებას ადგილი არა ჰქონდა, სთარგმნა რუსულიდან ქართულად კრაპოტკინის ბროშურა, რომელიც შეიცავდა რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამზობის შესახებ აღმგზნებ მსჯელობებს“¹⁾.

ამ ფორმულირებაში, როგორც ხედავთ, იმის აღიარებასთან ერთად, რომ ევდოშვილის მხრივ აკრძალული ლიტერატურის გავრცელებას ადგილი არა ჰქონია, მას მაინც აკრძალული ლიტერატურის გავრცელება ჰბრალდებოდა. ჭეშმარიტად იეზუიტური ფორმულირებაა!

მეორეს მხრივ — ჟანდარმერიის კვლევა-ძიებამ მრავალი ისეთი ფაქტი გამოარკვია, რომლებიც ევდოშვილის პოლიტიკური მიმართულების დასადგენად ჟანდარმერიას გარკვეულ საფუძველს აძლევდა. ბევრით გამოძიების შედეგად ამ ხნის განმავლობაში ჟანდარმერიის ხელში მოგროვდა ყველა ის ცნობა ევდოშვილის შესახებ, რომელიც მთავრობის სამძებრო და საპოლიციო ორგანოებს მოეპოებოდათ. ამ ცნობების მიხედვით ირკვეოდა, რომ ევდოშვილი, თავისი პოლიტიკური წარსულისა და მიმართულების მიხედვით, არსებული წესწყობილებისათვის მეტად საშიში, არაკეთილსაიმედო და, მაშასადამე, სრულიად მიუღებელი პიროვნება იყო. სახელდობრ, ირკვეოდა ის ფაქტები ევდოშვილის შესახებ (სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობა, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება, მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, რევოლუციური პროპაგანდა, მუშების შეიარაღება და სხვა), რომელთაც ჩვენ უკვე ვიცნობთ და რომელნიც ევდოშვილს მთავრობის თვალში ძალზე უარყოფითად აზნაობებდნენ.

ამ ფაქტების საფუძველზე ჟანდარმერიამ თავისი მეორე ბრალდებაც ჩამოაყალიბა ევდოშვილის წინააღმდეგ, იმ მიზნით, რომ ევდოშვილი, როგორც საშიში ელემენტი, ადმინისტრაციული წესით დასჯილიყო. ჟანდარმერიის გამოძიების დასკვნით ნაწილში ეს მეორე ბრალდება ფორმულირებულია შემდეგნაირად: ევდოშვილი არის პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო და რუსეთში არსებული წყობილებისათვის საშიში ელემენტი. ამიტომ ის უნდა გადასახლებულ იქნას ადმინისტრაციული წესით რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში²⁾.

ამრიგად, დაწვრილებითი კვლევა-ძიების შედეგად, ჟანდარმერიამ მოახერხა ორი გარემოების დადასტურება, სახელდობრ, იმისა: 1) რომ ევდოშვილი ეწეოდა „გავრცელების მიზნით“ აკრძალული ლიტერატურის

¹⁾ ფონ. 31, საქ. 564, დამ., ფურ. 3.

²⁾ ფონ. 7, საქ. 1622, ფურ. 68.

თარგმნას და 2) რომ ევდოშვილი საერთოდ პოლიტიკურად „არაკეთილსაიმედო და საშიში ელემენტი“ იყო. პირველი გარემოება საფუძვლად იძლეოდა ევდოშვილი პასუხისგებაში მიეცათ და, მაშასადამე სსამართლო წესით მსჯავრი გამოეტანათ, ხოლო მეორე გარემოების დაფუძვლაზე ევდოშვილის დასჯა შეეძლოთ ადმინისტრაციული წესით. ევდოშვილს შემდეგი თავდადასავალი სწორედ ამ ორი ბრალდების შედეგს დაუკავშირდა.

გასამართლება და მითვის ციხე

გამოძიება ევდოშვილის შესახებ დამთავრდა 1909 წლის 29 დეკემბერს¹⁾. იმავე დღეს ფორმალური წესების დასაცავად გამოძიების დამთავრების ამბავი გამოცხადდა მეტეხის ციხეში მყოფ ევდოშვილს იმ მიზნით, რომ, თუ იგი მოისურვებდა, შეეძლო დამატებითი ჩვენება მიეცა გამოძიებისათვის. მაგრამ, როგორც ჟანდარმერიის ოქმიდან ჩანს, ევდოშვილს ამ დროს არავითარი ახალი ჩვენება ჟანდარმერიისთვის არ მიუცია და წინანდელი ჩვენებისათვის არაფერი აღარ დაუმატებია.

გამოძიების დამთავრების შემდეგ მთელი მასალა ევდოშვილის შესახებ დამტკიცებული საბუთებითურთ ჟანდარმერიამ გადასცა, ერთის მხრივ, ტფილისის ოლქის სასამართლოს, ხოლო მეორეს მხრივ — ტფილისის გუბერნატორსა და პოლიციის დეპარტამენტს. გამოძიების შედეგები პირველს წარედგინა იმავე 1909 წლის 29 დეკემბერს,²⁾ ხოლო ტფილისის გუბერნატორსა და პოლიციის დეპარტამენტს — 1910 წლის 16 იანვარს.³⁾ მასალის წარდგენა ერთსა და იმავე დროს სასამართლო და საპოლიციო ორგანოებისათვის გამოწვეული იყო იმით, რომ ევდოშვილის საქმის წარმოება, როგორც ვიცით, იმთავითვე ორი ხაზით მიმდინარეობდა: ერთის მხრივ ამ საქმეს იძიებდნენ და იკვლევდნენ, ჟანდარმერიის მეოხებით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წესით, ტფილისის გუბერნატორი, მეფის ნაცვლის საგანგებო განყოფილება, პოლიციის დეპარტამენტი და შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო მეორეს მხრივ — საპროკურორო ზედამხედველობისა და სასამართლო გამოძიების წესით, ტფილისის ოლქის სასამართლო და ტფილისის სასამართლო პალატა. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ თუ ევდოშვილის პასუხისგებაში მიცემა სასამართლო წესით ვერ მოხერხდებოდა, მისი დასჯა ადმინისტრაციული წესით მაინც ყოფილიყო შესაძლებელი, ხოლო თუ სასამართლო ორგანოები ევდოშვილის წინააღმდეგ ბრალდებას დაასაბუთებდნენ და მას სასჯელს მიუსჯიდნენ, ადმინისტრაციული წესით საქმის წარმოებას ის მიზანი ჰქონდა, რომ პოლიციას თავის მხრივ საშუალება მისცემოდა ევდოშვილისათვის სასჯელი გაედიდებინა და ამით

¹⁾ ფონ. 31, საქ. 54 დამატ. ფურ. 43.

²⁾ იქვე, ფურ. 44.

³⁾ ფონ. 7, საქ. 1622, ფურ. 64.

ეს „მოუსვენარი ელემენტი“ უფრო დიდის ხნით მოემორცინათ თავი-დან. ორივე ხაზით საქმის წარმოებისათვის სათანადო მასალას და საფუძველს ამზადებდა ჟანდარმერია, რომლის გამოძიებებზედ უნდა ყოფილიყო დამყარებული ეედოშვილის პასუხისგებაში მიცემა და დასჯა როგორც სასამართლო ორგანოების ხაზით, ისე აღმინისტრაციული წესით.

როგორც აღვნიშნეთ, ეედოშვილის საქმე ჟანდარმერიიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს გასარჩევად გადაეცა 1909 წლის 29 დეკემბერს. მაგრამ ოლქის სამართველოს ეს საქმე არ გაურჩევია, რადგან 1910 წლის 30 იანვრიდან იგი უკვე სასამართლო პალატის ხელში გადასულა და მასვე დაუმთავრებია სასამართლო წარმოების წესით¹⁾. საბრალდებლო ოქმის დასკვნით ნაწილში ეედოშვილის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ასეა დასაბუთებული:

„სამარჯავო ჯარის პრაპორშოკის იროდიონ ისაკის-მე ხოსიტაშვილის, 36 წლისას, ბრალი ედება იმაში, რომ ის 1909 წლის აგვისტოს ქ. ტფილისში, გავრცელების მიზნით, თუმცა ამ გავრცელებას ადგილი არა ჰქონია, სთარგმნიდა რუსულიდან ქართულ ენაზე პ. კრაპოტკინის თხზულებას, ბროშურას სათაურით „პური და თავისუფლება“, რომელი ბროშურაც შეიცავდა მოწოდებას, მიმართულს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამშობისაკენ, და აღმძვრელ მსჯელობებს შემდეგი გამოთქმების სახით: „ის, რასაც ჩვენ მოვიხოვნეთ, არის უფლება კმაყოფაზე, ყველას კმაყოფაზე. მაგრამ იმისათვის, რომ ეს კმაყოფა გადავიდეს სინამდვილეში, საჭიროა, რათა ეს უამრავი კაპიტალი, ქალაქები, საზღები, მოხსული მიწები, მინდვრები, ქარხნები... არ ითვლებოდნენ კერძო საკუთრებად... საჭიროა, რომ მთელი ეს სიმდიდრე წარმოების იარაღებისა გახდეს საზოგადოებრივი საკუთრებად... ამისათვის საჭიროა ექსპროპრიაცია“²⁾... უკვე დიდი ხანია დროა, მუშამ გამოაცხადოს თავისი უფლება საერთო მემკვიდრეობაზე და დაუფლოს ამ მემკვიდრეობას. ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ მთელი ევროპა ამხედრებულიყო ერთდროულად, რომ ყველგან რევოლუციონერებს ეხელმძღვანელათ კომუნისმის პრინციპით. მთელი ჩვენი ბურჟუაზიული ცივილიზაცია დამყარებულია დაბალი რასებისა და ჩამორჩენილ მრეწველობის მქონე ქვეყნების ექსპლოატაციაზე, და რევოლუციის პირველი სიკეთე იქნება ის, რომ რევოლუცია საშუალებას მისცემს ამ ევრეთწოდებულ დაბალ რასებს თავი გაინთავისუფლონ შათი ეთიომბა და ცივილიზებული კეთილის მქნელებისაგან“³⁾.

სასამართლო პალატის სხდომა ეედოშვილის საქმის გასარჩევად მოხდა მხოლოდ 1910 წლის 22 თებერვალს⁴⁾. საყურადღებოა, რომ სხდო-

¹⁾ ჟანდარმერიის გამოძიებას ზედამხედველობას უწევდა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე უთნელოვი.

²⁾ კრაპოტკინის წიგნიდან ამოღებული ადგილები თვით დედანშია ნაწვევებდად მოყვანილი.

³⁾ ფონ. 31, საჭ. 564, ფურ. 3.

⁴⁾ საქმის გარჩევას ხელსუფლება და სასამართლო ორგანოები შეგნებულად აპრონტრებდნენ. როგორც ჰქვემოთ დავინახავთ, ხელსუფლება განგებ აგრძელებდა წინასწარი პატიმრობის ვადას, რათა ამით ეედოშვილის სასჯელი გაეძლიერებინა, რადგან წინასწარი პატიმრობის ვადა სასჯელში არ ეთვლებოდა.

მაზე პალატის მიერ მოწმედ გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი პირი — ბოქაულის თანაშემწე, ზემოთ მოხსენებული გუკასოვი. დამარჩენი პირები კი, რომლებიც თავის დროზე მოწმეებად დაასაჩუქრეს, ევდოშვილმა, არ გამოიწვიეს, ცხადია, იმ მოსაზრებით, რომ მათ ევდოშვილის სასარგებლოდ ჩვენება არ მიეცათ სასამართლოში. ფაქტიურად კი არც ხსენებული გუკასოვი დასწრებია სასამართლოს სხდომას, რადგან ის იმ დროს ცოცხალი აღარ იყო¹⁾. ასე რომ ევდოშვილის საქმის გარჩევა სასამართლოში მოხდა მოწმეების დაუსწრებლად და დაუკითხველად.

მასალაში დატულია თითქმის ყველა საბუთი იმის შესახებ, თუ როგორ გაიჩნა ევდოშვილის საქმე და რა განაჩენი გამოიტანა პალატამ ამ საქმის გამო. ამ საბუთებს შორის არის აგრეთვე პალატის სხდომის ოქმი, სადაც საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული საქმის გარჩევის პროცესი და აგრეთვე ის, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ამ გარჩევაში, ამ ოქმში სასამართლო პალატის სხდომა და საქმის გარჩევის პროცესი შემდეგნაირად არის გადმოცემული:

სხდომას თავმჯდომარეობდა სენატორი ა. კოჩუბეი. დაესწრნენ, როგორც მოსამართლენი, პალატის წევრები: ვ. ორლოვსკა და მ. ნიკოლსკი. მდივნობდა პ. ივანოვი, ხოლო ბრალდებულის როლს ასრულებდა პალატის პროკურორის თანაშემწე მ. კუდრიავცევი.

„ნიეთიერი დამამტკიცებელი საბუთები, — მოგვითხრობს ოქმი, — ელაგა მაგიდაზე მოსამართლეთა წინ. ბრალდებულის მიერ, რომელიც დაპატიმრებული იყო, მიჩენილი ადგილის დაკავების შემდეგ, თავმჯდომარემ მისცა, მას შეკითხვები, ხოლო ბრალდებულმა განმარტა იგივე, რაც წინასწარ გამოძიებაზე უჩვენა, და დაუმატა, რომ საბრალდებულო აქტის პირი, საპროკურორო ზედამხედველობის სია და ბ-ნ მოსამართლეების სია მიღებული აქვს... თავმჯდომარემ შეამოწმა ამ საქმის გამო გამოწვეულ პირთა სია და აღმოჩნდა, რომ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა მოწმე საღათელ გუკასოვი... პროკურორის თანაშემწემ სისხლის სამართლის 620-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა, რომ საქმის მოსმენა, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ღირსებისა და საზოგადოებრივი წესიერების დაცვის და სასამართლო მოქმედების სწორი მსვლელობის უზრუნველსაყოფად, მომზდარიყო დახურულ კარებში. ბრალდებულის დამცველმა ითხოვა საქმის მოსმენა სასამართლოს დარბაზის ღია კარებზე, რადგან კარების დახურვისათვის საფუძველი არ არისო. სასამართლო პალატამ, ქ. ტფილისისა და მისი მაზრის დროებითი გენერალ-გუბერნატორის 1910 წლის 6 თებერვლის № 287 მიმართვის გამო²⁾, დაადგინა: საქმე საბრალდებულო ოქმის წაკითხვიდან ჩუზოლტკის გამოცხადებამდე მოსმენილი იქნას დახურულ კარებში, გარეშე ხალხი გაყვანილ იქნას სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, დაშვებულ იქნას მხოლოდ ბრალდებულის დედა და ცოლი. წაკითხულ იქნა საბრალდებულო ოქმი. თავმჯდომარემ მოკლედ განმარტა ბრალდების დედა-აზრი და პკითხა ბრალდებულს, სცნობს თუ არა იგი

¹⁾ საქმეში დართული ცნობის მიხედვით, გუკასოვი მომკვდარა 1910 წლის 5 იანვარს ვერის დაღმართზე ტრამვაის გადაბრუნების დროს (ფონ. 31, საქ. 564, ფურ. 30).

²⁾ ეს მიმართვა საქმეში დატული არ არის.

თავს დამნაშავედ იმ ბრალდებაში, რომელიც მის ედება, რაზედაც ბრალდებულმა უარყოფითად უპასუხა და განმარტა, რომ ის სთარგმნიდა არა მთელ ბროშურას არამედ მის ნაწილს, რომლის თარგმნაც შეეცდნენ ქართველები, და რომ ის სიერთოდ სთარგმნიდა არა ვაერცელების მიზნით, არამედ მხოლოდ თავისი შრომის გასამრაველოს მისაღებად, რადგან ეს შეადგენს მისი არსებობის წყაროებს³⁾.

საბუთების გაცნობისა და შემოწმების შემდეგ, — განაგრძობს ოქმის ტექსტი, — „სასამართლო პალატა გადავიდა შხარების საბოლოო კამათის მოსმენაზე. პროკურორის თანაშემწე შხარს უკერდა ბრალდებას საბრალდებულო ოქმის დასკვნების მიხედვით. დამცველი სთხოვდა პალატას ბრალდებულის გამართლებას.⁴⁾ ბრალდებულ ზოსიტოვს მიეცა უკანასკნელი სიტყვა.⁵⁾ საბოლოო კამათი გამოცხადდა დამთავრებულად. თავმჯდომარემ საქმესთან დაკავშირებული კითხვების პროექტი წაიკითხა. პროექტის რედაქციას შხარებში დაეთანხმნენ. დასმული კითხვები დამტკიცებულ იქნა და სასამართლო გავიდა სათათბირო ოთახში. მოსამართლეთა დაბრუნების შემდეგ... თავმჯდომარემ გამოაცხადა დადგენილი რეზოლუცია და დაუმატა, რომ განაჩენი საბოლოო ფორმით გამოცხადებული იქნება ტფილისში 1910 წლის 1-ლ მარტს, დილის 10 საათზე.“⁶⁾

ამ ოქმს დართული აქვს ე. წ. „კითხვათა ფურცელი“, რომელიც შეიცავს სასამართლოს სხდომაზე განხილულ კითხვებს და ამ კითხვებზე სასამართლოს წევრების მიერ გაცემულ პასუხს.⁷⁾ სულ დასმულია სამი კითხვა:

პირველი კითხვა: „დამნაშავეა თუ არა სათადარიგო პრაპორშნიკი იროდიონ ისაკიძე ზოსიტოვი იმაში, რომ ის სთარგმნიდა ქართულ ენაზე პ. კრაპოტკინის ბროშურას „პური და თავისუფლება“, რომელიც შეიცავდა მოწოდებას, მიმართულს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამშობისაკენ?“

პასუხი: „ერთხმად — დიალ, დამნაშავეა.“⁸⁾

მეორე კითხვა: „თუ ბრალდებული ზოსიტოვი დამნაშავეა, რა სასჯელი ეცოთენის მას?“

პასუხი: „ციხეში დაპატიმრება სამი თვით“.

მესამე კითხვა: „რა ეყოს იმ ნივთიერ დამამტკიცებელ საგნებს, რომლებიც დართული აქვს საქმეს?“

პასუხი: „მოსპობილ იქნას“.

ოქმს დართული აქვს აგრეთვე სასამართლო პალატის მიერ გამოტანილი რეზოლუცია და განაჩენი, სადაც თითქმის სიტყვა სიტყვით არას ვამეორებული ზემოხსენებულ ოქმში მოყვანილი ბრალდება და „კითხვათა ფურცელში“ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვედოშვილს მისჯილი აქვს სამი თვის ციხე აკრძალული ლი-

³⁾ ფონ. 31, საქ. 564, ფურ. 31.

⁴⁾ არც პროკურორისა, არც დამცველის სიტყვა ოქმში მოყვანილი არ არის.

⁵⁾ არ არის მოყვანილი ოქმში ვედოშვილის უკანასკნელი სიტყვა.

⁶⁾ იქვე, ფურ. 32.

⁷⁾ იქვე, ფურ. 33.

⁸⁾ იქვე, ფურ. 35.

ტერატორის (კრაპოტკინის ბროშურის) გავრცელების მიზნით განათარგმნისათვის. განაჩენის ფურცელს, სხვათა შორის, წარწერილი იქვეა, რომ ეს განაჩენი „გასაჩივრების ვადისა და წესის განმარტებით“ გამოცხადდა საჯაროდ 1910 წლის 1-ლ მარტს სასამართლოს შენობაში, სასამართლო პალატის წევრის გეგიძის, პროკურორის ამხანაგის ვასილიევისა და მდივნის თანაშემწის შულცის თანდასწრებით. იქვე ნათქვამია, რომ ბრალდებული განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებია¹⁾. თუ რატომ არ დაესწრო ევლოშვილი განაჩენის გამოცხადებას, საქმეში აღნიშნული არ არის, მაგრამ სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ — არდასწრება მოხდა ევლოშვილის სურვილის წინააღმდეგ. ამას ამტკიცებს ევლოშვილის თხოვნა, პალატის სახელზე მიცემული ამ განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ (4 აპრილს), რომელშიაც ევლოშვილი სთხოვს პალატას, გამოეცხადოს მას განაჩენი²⁾.

საქმე ისაა, რომ ევლოშვილი იმ დროს მეტეხის ციხეში იჯდა და, ცხადია, სასამართლოში გამოცხადება არც შეეძლო, თუ კი მას არ გამოიძახებდნენ და ასეთი შემთხვევისათვის მიღებული წესით (კონვიორების თანხლებით) საპატიმროდან სასამართლოში არ წაიყვანდნენ. მაგრამ, ეს როგორც ეტყობა, პალატას არ უნებებია, ალბათ, იმიტომ, რომ ევლოშვილს განაჩენი კასაციის წესით არ განესაჩივრებინა და თუმცა ცარიზმის უკუღმართი კანონებით, მაგრამ მაინც სამართლის ძიება მაღალ ინსტანციებში არ გაეგრძელებინა. განაჩენის ქაღალდში კი ფორმალუბის შესრულების მიზნით პალატა ცინიკურად აღნიშნავდა, რომ „განაჩენი საჯაროდ გამოცხადდა გასაჩივრების ვადისა და წესის ახსნით, მაგრამ ბრალდებული არ გამოცხადდა“-ო.

როგორც დავინახეთ, ევლოშვილი გასამართლეს 22 თებერვალს. რეზოლიუცია და გადაწყვეტილებაც სასამართლომ იმავე დღეს გამოიტანა. მაგრამ განაჩენი მაშინვე არ გამოუცხადეს ევლოშვილს, შეპირდნენ მხოლოდ, რომ 1-ლ მარტს, ე. ი. დაახლოვებით ერთი კვირის შემდეგ გამოუცხადებდნენ. ნამდვილად კი არც შეპირებულ დროს და აიცი მას შემდეგ დაახლოვებით თვე ნახევრის განმავლობაში განაჩენი ევლოშვილისთვის არ გამოუცხადებიათ. ყველაფერი ეს სასამართლო ორგანოების დაუდევრობის შედეგი როდი იყო, ამას გარკვეულ მიზანი ჰქონდა, ის მიზანი, სახელდობრ, რომ ამით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ევლოშვილისთვის წინასწარი პატიმრობის ვადა სასჯელში არ ჩეთვალათ.

4 აპრილს, ე. ი. გასამართლებიდან თითქმის თვენახევრის შემდეგ, მეტეხის ციხეში მყოფი ევლოშვილი სპეციალურ თხოვნას სწერს სასამართლო პალატის სახელზე იმის შესახებ, რომ მას და მეტეხის ციხის კანცელარიას აცნობონ სასამართლოს განაჩენი.

¹⁾ იქვე, ფურ. 34.

²⁾ იქვე, ფურ. 38.

„ამა წლის 22 თებერვალს ტფილისის სასამართლო პალატის წევრ პეტრე კრაპოტკინის თხოვნის „პური და თავისუფლება“ რუსული კართულენაზე გადათარგმნისათვის მომესაჯა სამი თვის ციხე, — სწერს ეედოშვილი, — მაგრამ საბოლოო განაჩენის გამოსაცხადებლად გამოწვეული კრ. ეედოშვილი განაჩენი დღემდის არ უცნობებით არც მეტების ციხის კანცელარიისათვის, სადაც მე დაპატიმრებული ვიყოფები 1909 წლის ოქტომბრიდან. ამის გამო ვთხოვ სასამართლო პალატას, აცნობოს მეტების ციხის კანცელარიას განაჩენი დასაბეღებულ საქმეზე ჩემთვის გამოსაცხადებლად“ 1).

ეედოშვილის ამ თხოვნის შედეგად სასამართლო პალატამ, როგორც ასეთ „მაღალ“ დაწესებულებების ღირსებას შეეფერებოდა, დინჯად და აუჩქარებლად გამართა მიწერ-მოწერა, ერთის მხრივ, თავის პროკურორთან, ხოლო მეორეს მხრივ — მეტების ციხესთან იმის შესახებ, თუ რატომ არ გამოუცხადეს ბრალდებულს განაჩენი, თითქოს პალატას მანამდე არ სცოდნოდა ეს. ამ მიწერ-მოწერამ თითქმის ორ კვირას გასტანა და მხოლოდ 16 აპრილს გამოეცხადა ეედოშვილს ოფიციალურად განაჩენი ხელწერილის ჩამორთმევით. მაგრამ მეტების ციხის კანცელარიას განაჩენი არც მაშინ აცნობეს. ეს განაჩენი ციხეს ოფიციალურად აცნობეს მხოლოდ 26 აპრილს 2). ეედოშვილსაც სასჯელის ვადა მხოლოდ ამ დროიდან ჩაეთვალა.

ტფ. სას. პალატის პროკურორი 1910 წლის 5 აპრილს ამის შესახებ სწერს პატაკს:

„პატივი მაქვს ეაცნობო სასამართლო პალატას, რომ იროდინ ხოსიტოვი პალატის ა. წ. 22 თებერვლის განაჩენის აღსასრულებლად ამჟამად სასჯელს იხდის ტფილისის მეტების ციხეში და ვადა ამ სასჯელისა მას ნაინგარიშვი ექვს 1910 წლის 26 აპრილიდან, ე. ი. მის შესახებ ხსენებული განაჩენის მეტების ციხეში მიღების დღიდან.“ 3)

ამრიგად, მთელი 6 თვე და რამდენიმე დღე, რაც ეედოშვილმა წინასწარ პატიმრობაში დაჰყო, მას არ ჩაეთვალა სასჯელში და სასჯელის ვადა გამოანგარიშებულ იქნა მხოლოდ 26 აპრილიდან იმ მიზეზით, რომ განაჩენი ეედოშვილის შესახებ მეტების ციხის კანცელარიას გამოეცხადა მხოლოდ ამ დროს, 4) თითქოს ეს ეედოშვილის ბრალი

1) იქვე, ფურ. 38.

2) თუმცა ეედოშვილს პირადად განაჩენი 16 აპრილს გამოეცხადა სწორედ მეტების ციხის კანცელარიის მეშვეობით, მაგრამ ეს ცარიზმის ბიუროკრატიული წესების მიხედვით არ ნიშნავდა იმას, რომ განაჩენი მეტების ციხის კანცელარიასაც ეცნობა.

3) იქვე, ფურ. 41.

4) პირველ ხანებში იმის მიზეზად, რომ ეედოშვილს სასჯელის ვადა გამოენგარიშა არა დაპატიმრების დროიდან, არამედ 26 აპრილიდან, სასამართლოს ორგანოები ასახელებდნენ იმას, თითქოს იგი თავდებობის ქვეშ ყოფილიყოს განთავისუფლებული და გასამართლებამდე ციხეში არ მჯდარიყოს. ნამდვილად კი ეედოშვილი განუწყვეტლივ იჯდა ციხეში დაპატიმრების დღიდან გასამართლებამდე.

ყოფილიყოს. ეედოშვილი შაინც ცდილობდა აექულებინა სასამართლო ორგანოებში, გამოესწორებინათ ეს აშკარად აღმაშფოთებელი სასამართლოება. 1910 წლის ივლისს ეედოშვილმა შემდეგი თხოვნით მიმართა სასამართლო პალატას:

ქართული
გენერალის

„1909 წლის 23 ოქტომბრიდან მე ეიმყოფები პატიმრობაში. სასამართლო პალატის სხდომაზე მე ეიყავი როგორც პატიმარი. ამავე დროს მთელი ეს დრო მე არ ჩამეთვალა. ეთხოვე სასამართლო პალატას, ჩამითვალოს პატიმრად ყოფნის დრო განაჩენის გამოტანიდან, ე. ი. ა. წ. 22 თებერელიდან შაინც.“¹⁾

ამ თხოვნას შემდეგი ცნობა აქვეს წარწერილი: „ხოსიტოვი განთავისუფლებული იყო პატიმრობიდეგან თაედების ქვეშ,²⁾ მაგრამ სხდომაზე 22 თებერვალს მოყვანილ იქნა მეტეხას ციხიდან დაპატიმრებულად. თუ რომელი საქმის გამო იყო დაპატიმრებული ხოსიტოვი, საქმიდან არა სჩანს“.

ეედოშვილის თხოვნა სასამართლო პალატამ განიხილა სპეციალურ სხდომაზე 1910 წლის 16 ივლისს. სხდომაშე შეუძლებლად სცნო ეედოშვილის თხოვნის დაკმაყოფილება და თაეისი უარი დაასაბუთა იმიოთ, რომ ეედოშვილი „განაჩენის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 26 აპრილამდე, არ ყოფილა დაპატიმრებულნი, ხოლო თუ ციხეში იმყოფებოდა, იმყოფებოდა სამხედრო დებულების 23-ე მუხლის ძალით“-ო.

ეს დადგენილება იმდენად კუროთხული და დამახასიათებელია, რომ ღირს მისი მთლიანად მოყვანა:

„სასამართლო პალატა იღებს მხედველობაში იმას, რომ ბრალდებული ხოსიტოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 132 მუხლის საფუძველზე, სასამართლო პალატაში გარჩეული საქმის გამო არ ყოფილა დაპატიმრებული, ხოლო თუ ციხეში იმყოფებოდა, იმყოფებოდა სამხედრო დებულების 23-ე მუხლის ძალით, როგორც ამას იტყობინება პალატის პროკურორი 1910 წლის 5 ივლისს № 710 მომართიოთ და, მამასადამე, განაჩენის ფაქტიურ ძალაში შესვლამდე, 1910 წლის 26 აპრილამდე, განთავისუფლებული იყო; რადგან სისხლ. სამ. 968 მუხლის თანახმად იმ პიროთ, რომელნიც არ ყოფილან წინასწარ დაპატიმრებულნი, პატიმრობის ვადა ეთვლებათ განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან. — სასამართლო პალატა სთვლის, რომ ხოსიტოვი,

1) იქვე, ფურ. 45.

2) ეედოშვილის თაედებობის ქვეშ განთავისუფლება, როგორც ეტყობა, მართლაც უცდიაო მის ნათესაეებს, თუ ამხანაგ-მეგობრებს, მაგრამ ეერ განუთავისუფლებიათ. საქმეში ამის შესახებ დაცულია შემდეგი საბუთები: 1) ეანდარმერიის დადგენილება თაედებობის ქვეშ ეედოშვილის განთავისუფლების შესაძლებლობის შესახებ, 2) მოწმობა ეედოშვილის თაედების იოსებ ამირეჯიბისა მის შესახებ, რომ მისი მამული ს. აბისში ღირს 500 მანეთზე მეტად და 3) ეანდარმერიის დადგენილება ეედოშვილის განთავისუფლების შესახებ ამირეჯიბის თაედებობის ქვეშ (საქ. 564. ფურ. 3, 9-10, დამატ. ფურ. 30).

გადასახლებაში ევდოშვილმა დაჰყო თითქმის ორ წელიწადს: 1910 წლის 27 ივლისიდან 1912 წლის 14 ივლისამდე. პირველად გადასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში, შემდეგში იქიდან გადაიყვანეს ასტრახანის გუბერნიაში, ქ. ჩორნი იარში.

ე. ჩხეტიანი

ტფილისიდან ევდოშვილი ეტაპით გაიყვანეს 1910 წლის 27 ივლისს ჩელოს. როდის ჩავიდა და დაბინავდა იგი პოლიციის მიერ ამორჩეულ ადგილას ვოლოგდის გუბერნიაში, საბუთებიდან არა სჩანს. არც ისა სჩანს, თუ რომელ ქალაქში ან მახრამში იყო დაბინავებული ევდოშვილი ვოლოგდის გუბერნიაში¹⁾. ჩვენს მასალებში მოაპოვება მხოლოდ ერთად-ერთი ქალაქი, გადმოგზავნილი ვოლოგდის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს მიერ 1910 წლის 11 სექტემბრის თარიღით²⁾, საიდანაც ჩანს, რომ ევდოშვილი 11 სექტემბერს უკვე ვოლოგდის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს განკარგულებაში იყო. თავის თავად ცხადია, რომ ევდოშვილი დიდი ხნით ამაზე ადრე იქნებოდა ჩასული ვოლოგდის გუბერნიაში. ამ მიმართებაში ვოლოგდის ეანდარმთა სამმართველო ტფილისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს სთხოვდა ევდოშვილის ფოტოგრაფიული სურათისა და შემდეგი ცნობების გადაგზავნას: „1) რისთვის არის (ევდოშვილი) გადასახლებული, 2) ვისი განკარგულებით და დადგენილებით, 3) რამდენი ხნით და 4) რომელ პარტიას ან ორგანიზაციას ეკუთვნის იგი“³⁾.

ტფილისის ეანდარმთა სამმართველოს საპასუხო მიმართებაში (1910 წლის 29 სექტემბრის თარიღით, № 1096) ნათქვამია, რომ ევდოშვილი გადასახლებულია როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, სამხედრო დებულების 23-ე მუხლის საფუძველზე⁴⁾. იქვე ჩამოთვლილია მოკლედ ყველა ბრალდება ევდოშვილის წინააღმდეგ. ამ ორი საბუთის გარდა, ევდოშვილის ვოლოგდის გუბერნიაში ყოფნის შესახებ ჩვენს მასალებში არაერთი სხვა საბუთი არ მოაპოვება⁵⁾. ამიტომ ამ საბუთების მიხედვით შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენ ხანს დაჰყო ევდოშვილმა ზუსტად აღნიშნულ გუბერნიაში ან რას აკეთებდა იქ,⁶⁾ როგორც ადმინისტრაციული წესით გადასახლებული, არც იმის გამორკვევა შესაძლებელი ამ მასალებით, თუ სახელდობრ როდის

¹⁾ სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ეს ადგილი იყო ქ. სელენიგორსკი.

²⁾ ფონ. 7., საქ. 1660, ფურ. 21.

³⁾ იქვე, ფურ. 21.

⁴⁾ იქვე, ფურ. 22.

⁵⁾ გადასახლების დროის მასალა ევდოშვილის შესახებ, ალბათ, დაცულია ვოლოგდისა და ასტრახანის ეანდარმთა სამმართველოების არქივებში.

⁶⁾ სხვა წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ევდოშვილი, ჯერ კიდევ მებრძოლის ციხეში დაავადებული კლექით, გადასახლებაში სისტემატიურად ავადმყოფობდა. ამავე დროს ის საშიველ ხელმოკლეობას განიცდიდა. წერა-კითხვის საზოგადოების არქივში, მაგალითად, დაცულია ევდოშვილის არა ერთი თხოვნა დახმარების აღმოჩენის შესახებ.

იქნა ის გადაყვანილი ვოლოგდის გუბერნიიდან ასტრახანის გუბერნიაში. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ეედოშვილის გადაყვანა ვოლოგდის გუბერნიიდან ასტრახანის გუბერნიაში შედეგად მოჰყვა პოეტის დაავადებას და ჩრდილოეთის სუსხიანი პირობების აუტანლობას. ამასთან დაკავშირებით, სათანადო შუამდგომლობის აღძვრას რომელიმე სამხრეთ მხარეში გადაყვანის შესახებ.

ასტრახანის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს მიმართვიდან ტფ. გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოსადმი (1911 წლის 29 ივლისის თარიღით № 4266) ¹⁾ ჩანს, რომ 1911 წლის 29 ივლისს ეედოშვილი უკვე ასტრახანის გუბერნიაში იმყოფებოდა. ²⁾ იქ მისთვის საცხოვრებლად მიუჩენიათ ქ. ჩორნი იარი. ქ. ჩორნი იარი მდებარეობს ქ. ასტრახანიდან 250 კილომეტრზე, მდინარე ვოლგის მარჯვენა ნაპირზე. მაშინ ეს პუნქტი წარმოადგენდა პატარა პროვინციალურ (სამაზრო) ქალაქს, დაახლოვებით 5 — 6 ათასამდე მცხოვრებით და ჩვეულებრივად ითვლებოდა გადასახლებულთა დასაბინავებელ ადგილად.

ჩორნი იარში ეედოშვილი დარჩა 1912 წლის 8 ივლისამდე. 9 ივლისს იგი გამომგზავრებულია ტფილისში ³⁾, სადაც მას შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით ნება მიეცა დაემთავრებინა გადასახლების ვადის დარჩენილი ერთი წელიწადი. ⁴⁾

ეედოშვილის დაბრუნება

ეედოშვილის ტფილისში დაბრუნებისა და დარჩენილი სასჯელის აქ მოხდის შესახებ, როგორც ეტყობა, აღძრული ყოფილა სპეციალური შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, მაგრამ ვინ აღძრა ეს შუამდგომლობა — თვით ეედოშვილმა თუ მისმა ნათესავეებმა და მეგობრებმა, ჩვენი მასალიდან არა ჩანს. ტფ. გუბერნატორის მიმართვაში ტფ. გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოსადმი (1912 წლის 6 ივლისის თარიღით № 2444) ნათქვამია მხოლოდ:

„ქ. ჩორნი იარში გადასახლებულის, სათანადო პრაპორშჩიკის იროდიონ ხოსიტოვის საქმის ვითარების განხილვის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა 1912 წლის 19 ივნისს დაადგინა: ნება მიეცეს ხოსიტოვს დარჩენილი ვადა მიიხადოს ქ. ტფილისში პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ.“ ⁵⁾

ამ მომართვიდან ჩანს, რომ დადგენილება ეედოშვილის განთავისუფლების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს გამოუტანია 19 ივნისს, მაგ-

¹⁾ საქ. 1622, ფურ. 24.

²⁾ იქვე, ფურ. 79.

³⁾ საქ. 1622, ფურ. 79.

⁴⁾ იქვე, ფურ. 75.

⁵⁾ იქვე, ფურ. 76

რამ სისრულეში მოუყვანიათ იგი მხოლოდ 9 ივლისს¹⁾, ე. ი. დაახლო-
ვებით 20 დღის შემდეგ.

ტფილისში ევდოშვილი ჩამოვიდა 14 ივლისს და დააწესა პოლიციის მეთვალყურეობა²⁾. ჯერ კიდევ ევდოშვილი ტფილისში ჩამოსული არ იყო, რომ ტფ. გუბერნატორმა საიდუმლოდ აცნობა ტფ. გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს — ევდოშვილს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო სასჯელის დარჩენილი ვადა (ერთი წელიწადი) ტფილისში მოიხადოს³⁾ და ფხიზლად იყავითო. საქმეში დატულია ასტრახანის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს მომართვაც ამავე შინაარსისა.

ტფილისის ეანდარმთა სამმართველომ ამბავი ევდოშვილის გამომგზავრების შესახებ თავის მხრივ აცნობა ტფილისის „ოხრანკას“ და დაავალა — ფხიზელი მეთვალყურეობა დააწესეთ.⁴⁾

„ქ. ჩორნი იარში პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სათადარიგო პრაპორშჩიკს იროდიონ ისაკის-ძე ხოსიტოვს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ნება დართული აქვს მოიხადოს დარჩენილი ვადა პოლიციის ზედამხედველობისა ქ. ტფილისში. გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ დააწესოთ მეთვალყურეობა ევდოშვილის ჩამოსვლაზე ქ. ტფილისში“.

„ოხრანკას“, გაფრთხილების მიუხედავად, როგორც ეტყობა, გამოპბარვია ევდოშვილის ტფილისში ჩამოსვლა: თავის საპასუხო ქაღალდში 21 ივლისს, ე. ი. როდესაც ევდოშვილი უკვე ერთი კვირის ჩამოსული იყო ტფილისში, ის სწერდა ეანდარმთა სამმართველოს:

„ვაუწყებ თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ სათადარიგო პრაპორშჩიკი იროდიონ ისაკის-ძე ხოსიტოვი სამისამართო მავიდის მიხედვით ტფილისში მცხოვრებად არ ირიცხება. მის ჩამოსვლაზე დაწესებულია მეთვალყურეობა“.⁵⁾

მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ვაიგო „ოხრანკამ“, რომ ევდოშვილი უკვე კარგა ხნის ჩამოსული იყო და რომ ის ამ ხნის განმავლობაში საბინაო დეფთარში ჩაუწერლად სცხოვრობდა გუნიბის ქუჩაზე, № 45-ში. თავის დამატებითს მიმართვაში ეანდარმთა სამმართველოს 27 ივლისს ის სწერდა:

„22 ამა ივლისის მიმართვის დამატებად ვაცნობებ თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი იროდიონ ისაკის-ძე ხოსიტოვი, როგორც აღმოჩნდა, ჩამოსულა ტფილისში 14 ამა ივლისს და სცხოვრობდა საბინაო დეფთარში ჩაუწერლად 23 ივლისამდე თავის ცოლთან, შარიაშ ივანეს ასულ ხოსიტოვასთან, გუნიბის ქუჩაზე № 45 სახლში, სადაც ის ამჟამად იმყოფება 1-ლი უბნის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ“.⁶⁾

¹⁾ იქვე, ფურ. 79. ევდოშვილი ასტრახანიდან გამოემგზავრა 9 ივლისს.

²⁾ იქვე, ფურ. 82.

³⁾ იქვე, ფურ. 76.

⁴⁾ იქვე, ფურ. 78.

⁵⁾ იქვე, ფურ. 81.

⁶⁾ იქვე, ფურ. 82.

ჩვენი მასალებიდან არა ჩანს, რა მდგომარეობაში იყო ევდოშვილი ჯანმრთელობის მხრივ ტფილისში ჩამოსვლისას.¹⁾ მაგრამ არის ერთი მითითება, საიდანაც ჩანს, რომ ევდოშვილი ძალზე დასუსტებული და მძიმედ დაავადებული ჩამოსულა ტფილისში. ეს მიზნითნა შეეხებოდა იმას, რომ ევდოშვილი ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ, გუბერნატორის სათანადო ნებართვით, ტფილისიდან მანგლისში გასულა საავაჩაყოდ.

„ტფილისის ოხრანკის“ აღნიშნულ მიმართებაში ეანდარშთა სამმართველოსადმი ნათქვამია:

„დასახელებული ხოსიტოვი ტფილისის გუბერნატორის ნებართვით, 23 ამა ივლისს გავიდა სავაო მოწმობით მანგლისში ერთი თვით, ე. ი. ა. წ. 23 აგვისტომდე, რა დროისთვისაც ის უნდა დაბრუნდეს ტფილისში.“²⁾

მაშასადამე, ევდოშვილი ტფილისში ჩამოსვლისას იმდენად დაუძლურებული ყოფილა, რომ მას სასწრაფო მკურნალობა დასჭირებია.

როდის და როგორ დაბრუნდა მანგლისიდან ევდოშვილი, ან სად მკურნალობდა, მანგლისის გარდა,³⁾ და საერთოდ რას აკეთებდა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჩვენი მასალებიდან არა ჩანს, არა ჩანს აგრეთვე ის, თუ როგორ მეთვალყურეობდნენ და სდარაჯობდნენ ევდოშვილს ცარიზმის სამძებრო და საპოლიციო ორგანოებში სიცოცხლის უკანასკნელი თვეების განმავლობაში, ვიდრე დაავადებულმა და განაწამებმა პოეტმა 1913 წელს სული არ დალია: 1912 წლის 27 ივლისით დათარიღებული საბუთი ქრონოლოგიურად უკანასკნელია ჩვენს მასალაში.

¹⁾ საყურადღებოა, რომ არც ეანდარშერიისა და არც სხვა დაწესებულების მასალაში არავითარი ცნობა არ არის ევდოშვილის ავადმყოფობის შესახებ.

²⁾ იქვე, ფურ. 82.

³⁾ სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ევდოშვილი მანგლისიდან დაბრუნების შემდეგ სამკურნალოდ სოხუმში გამგზავრებულა, მანგლისში მას გამოკეთების ნიშნები მაინცა და მაინც არ დატყობია. ზოლო სოხუმში, როგორც მაშინდელი გაზეთები სწერდნენ, ევდოშვილი საკმაოდ მომჯობინდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, დაიმედებული, რომ სიკვდილს გადაურჩა, ტფილისში დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ პოეტი კვლავ ავად გახდა და გარდაიცვალა.

იაკობ გალახაშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის“ დრამატული პარიანჯი

ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერჯერობით საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. ყაზბეგის ბიოგრაფ-მკვლევარნი და ავტორობის საკითხის დამცველ-მოწინააღმდეგენი მწერლის არქივის მხოლოდ ზერელე გადათვალიერებით კმაყოფილდებოდნენ ხოლმე.

მრავალრიცხოვან შეკვრებად შენახულ არქივში დაცულია არა ერთი და ორი ხელთნაწერი, დოკუმენტი, ჩანაწერი უბის წიგნაკში და სხვა, რომელიც უახლოეს დროში მზის სინათლეზე გამოტანილ უნდა იქმნეს. ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს გავაცნოთ ფართო საზოგადოებას „მამის მკვლელის“ დრამატული ვარიანტები.

1862 წელს თოთხმეტი წლის ყაზბეგი სწერს სცენებს კომედია „აღმზღვლეებიდან“.

„მე შემთხვევით არ გამოვსულეარ სალიტერატურო ასპარეზზედ, — გვიამბობს იგი, — რადგანაც თოთხმეტის წლისა ვიყავ და თითქმის ძლიერა ვბლახნიდი, როდესაც პირველად დაწერე სცენები კომედია „აღმზღვლეებიდან“.)

70-იან წლებში მას უკვე ორ ათეულზე მეტი პიესა ჰქონდა დაწერილი, „გადმოკეთებული და თარგმნილი. მოვუსმინოთ თვითონ ა. ყაზბეგს:

„1874-ში მე ვიყავი ტფილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო ოროლა სპექტაკლებიც დიდი ვაჭირვებით იმართებოდა. რადგანაც ერისთავისა და ინტონოვის თხზულებათა თავი საკმაოდ მოეთლებინა საზოგადოებისათვის.

მე წავედი შინა და მოუდექ პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას. მოკლე ხანში შევადგინე ოცდა ერთი პიესა და ტფილისისაკენ გამოვეწიე“.)

ამ პერიოდშივეა დაწყებული დრამა „მამის მკვლელი“. დღემდე დასახელებული პიესის მხოლოდ ერთი ვარიანტი იყო ცნობილი.

1) საქ. მუზ., პალ. გან. S 3981.

2) საქ. მუზ., პალ. განყ. 3989.

დავით კარიჭაშვილი სწერდა:

„ალ. ყაზბეგის ხელნაწერებში ჩვენ არ შეგვხვებდრია მთელი ბიესა „მამის მკვლელი“, მაგრამ ორჯან კი არის მოხსენებული იქნა! ვერა უთხრა — კრებულის სარჩევში, მეორედ — ცალკე რვეულზედა, სადაც მისი სიტყვების სახელი, მომქმედ პირებისა და პირველი მოქმედების დასაწყისისა ერთ გვერდად.“¹⁾

ამასვე იმეორებს პროფ. მიხეილ ზანდუკელიც:

„არქივში „მამის მკვლელის“ პატარა ნაწყვეტია. ამ ნაწყვეტში გახლავთ მხოლოდ პიესის სათაური, მომქმედნი პირნი არიან აღნიშნულნი და პიესის დასაწყისი დაახლოვებით ერთი გვერდი.“²⁾

ესლა ჩვენს განკარგულებაში არის დრამის მეორე ვარიანტიც.

„მამის მკვლელის“ შედარებით სრული ნაწყვეტი აღმოჩნდა ა. ყაზბეგის „სახსოვარ რვეულ“-ში, № 1, რომელიც გამზდელ ნინოსადმია მიძღვნილი.

ხელთნაწერ S 3982-ს მეორე გვერდზე ა. ყაზბეგის ხელით მიწერილია:

ს ა რ ჩ ე ვ ი

- | | |
|----------------------------|---------------------------------|
| 1. მოტყუებითი ძალდატანება | 5. უბედურება |
| 2. მაქანკლბის სურათები | 6. საეკიმოს (ბალნიცის) სურათები |
| 3. არისტოკრატების სურათები | 7. სულელების სურათები |
| 4. შეყვარებულები | 8. მეშა ხალხი |

ხელთნაწერის მესამე ფურცლიდან იწყება „სარჩევში“ აღნიშნული „მოტყუებითი ძალდატანება“, რასაც მისდევს პიესის „მამის მკვლელის“ ნაწყვეტი.

დრამა „მამის მკვლელი“ იწყება ხელთნაწერის მეხუთე ფურცლიდან და უკავია ავტოგრაფის ექვსი ფურცელი. ორივე გვერდზე ნაწერი.

ვიდრე შევიდარებდნე დრამატულ ვარიანტებს „მამის მკვლელის“ პროზაულ ტექსტს, მინდა პასუხი გავცე კითხვას, თუ რატომ არ დაასრულა ალექსანდრე ყაზბეგმა პიესა?

როცა ყაზბეგი უამრავი პიესით ტფილისს ესტუმრა, დარწმუნებული იყო, რომ „თეატრზედ მზრუნველი საზოგადოება“ სიამოვნებით მიიღებდა მის შრომას, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა.

„წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, — სწერს ალექსანდრე ყაზბეგი, — როდესაც მადლობის მაგიერ წინ ფრუტუნნი დამიწყეს და მასხარად ამიგდეს, როდესაც ერთს კრებაზედ დრამატულს საზოგადოების მართელობას შევატყობინე ჩემის შრომის შესახებ. „რამდენი პიესა? როგორ? რა სიტყვი?“ განუწყვეტლავ მესმოდა აქეთ-იქით მსხდომებისაგან და თან დაჰყვებოდა უზრუნველი ხარხარი...“

¹⁾ ა. ყაზბეგის „თხზულებანი“, 1904 წ.

²⁾ ზანდუკელი — „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი?“, 1925 წ., გვ. 80.

სრულმა წელიწადმა განვლო მოუსვენარს მღელვარებაში, როლი ერთი წლის განმავლობაში მესმოდა: „რომ პიესები არ არის, რა წარმავლენით?“ და იმავე დროს იცოდნენ, რომ მე ჰქონდა პიესები და ჩემი სიტყვების დასარწმუნებლობისათვისაც არა კაცს სიტყვა არ გაუწაწაწებია.

ჩვენმა მდგომარეობამ უკიდურესობამდის მიაღწია. არამც თუ ჩემს შრომას უტრადღება არაეინ მიაქცია, არამედ თავად ჩემზედ დაიწყეს ლაპარაკი ყოველ ოჯახში, საანდაზოთ გახდა ლენერალის შვილისაგან შვიდი წლის განმავლობაში მწყემსად სიარული და ეს ხმები სხვადასხვა კომენტარიებით დღე და ღამ მოსვენებას არ მძღვედა...

დავდიოდი ჩემს დედაქალაქში, ჩემს მოძმეთ, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოდა, ისე განუსაზღვრელად ეახლოებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს ჩემთა შორის დავდიოდი მარტო, განცალკევებული, როგორც გზა დაკარგული უდაბნოსა შინა!“¹⁾

ალექსანდრე ყაზბეგი რომ სუსტი ნებისყოფის კაცი ყოფილიყო, იგოსრულიად წავიდოდა მწერლობიდან და დაიკარგებოდა, მაგრამ, ქართულ ლიტერატურის სასიხარულოდ, ასე არ მოხდა.

„მე არა მაქვს ხასიათად, — ამბობს ერთგან იგი, — რომ საქმე ერთხელ თავს ვერ მოვიდეს და მაშინვე დავსუსტდე, სულიერად დავეცე და მაშინვე ბრძოლის ველიდან გავიქცე.“

ამის სამაგიეროდ სრულიად მოპირდაპირე ხასიათის კაცი ვარ და ვიყავ. უკეთეს რომელიმე განზარხვის აღსრულებაში სხვადასხვა დაბრკოლება შემხვდა, თითქოს ამითი ძალა უფრო შემატება და ყოველთვის უფრო მომეტებულის ენერჯით მივიბრძვი ერთხელ ნიშნად ამორჩეულს საგნისაკენ. ეს არის მიზეზი, რომ ჩემზედ გამოლაშქრებულებს გაოცებით ხელებს გააშლევინებს ხოლმე ჩემი შეურყეველობა.“²⁾

კაცს მზად ჰქონდა ოცდაერთი პიესა დასადგმელად, იმას არაეინ ართმევდა სცენისთვის, და დაწყებულ პიესებს, მათ რიცხვში დრამა „მამის მკვლელს“, როგორღა გააგრძელებდა?

მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგი არ დაბნეულა. პიესად დაწყებული „მამის მკვლელის“ სუჟეტი რამდენიმე წლის შემდეგ მან პროზის ვირტუოზულ ფორმებში გამოხატა და 1882 წლის გაზ. „დროების“ მეექვსე ნომრიდან შეუდგა კიდევ ფელეტონებად მის გამოქვეყნებას.

„მამის მკვლელის“ შემოქმედებითი ისტორიის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიესის როგორც პირველ, ისე მეორე ავტოგრაფულ ნაწყვეტს.

ქვემოთ მოთავსებული ტექსტის უბრალო ჩაკითხვიდანაც აშკარა ხდება, რომ სახელმძღვანელო რომანის ვეებერთელა შენობა დრამატული ვარიანტების საფუძველზეა აგებული. ასევე საგრძნობია ის საკმაოდ დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს დრამატულ და პროზაულ ტექსტებს შორის.

1) საქ. მუზ., პალ. განყ. 3989.

2) იგივე წყარო.

ნიმუშისათვის აღვნიშნავ აქ მხოლოდ რამდენიმე განსხვავებას: დაიწყოთ მომქმედ პირთა სახელებიდან: პიესის პირველ ნაწყვეტში გახას მხოლოდ სახელია ცნობილი, მეორე ნაწყვეტში მისი გვარი ვარძუკაშვილია, ხოლო პროზაულ ტექსტში — გელაშვილი.

გახას ძმის სახელი პირველ ნაწყვეტში აღიაა, მეორე ნაწყვეტში — ვანისე, პროზაულ ტექსტში კი — ონისე. სატრფო მეორე დრამატულ ვარიანტში გივარგია, ხოლო პროზაულ ტექსტში — იავო.

გახას რძალს ორსავ დრამატულ ნაწყვეტებში ჯაჯალა ჰქვია, ხოლო პროზაულ ტექსტში მარია. „მამის მკვლელის“ პროზაულ ტექსტში ცნობილი გირგოლაი მეორე დრამატულ ვარიანტში სვიმონ ხუციაშვილის სახელით არის მოხსენებული, ხოლო მის ლენჩ ძმას ნინიას ბესო ჰქვია მეორე ვარიანტშივე.

ნუნუს გამოსათხოვად გახვს ძმასთან მოსულ შუაკაცებს მეორე დრამატულ ვარიანტში პეტრია და დემეტრა ჰქვიათ, პროზაულ ტექსტში კი ერთია მოხსენებული — მამუკა, ხოლო მეორის სახელი ცნობილი არ არის.

პირველ დრამატულ ნაწყვეტში გახას მიერ ფანდურზე დამღერებულის ლექსი მეორე დრამატულ ვარიანტში და პროზაულ ტექსტში მოთავსებულ სიმღერაზე ორჯერ დიდია და განსხვავებული.

მეორე დრამატული ვარიანტი შეიცავს რამდენიმე საყურადღებო ადგილს, რომელიც პროზაულ ტექსტში ან სრულიად არ არის და ან მოკლდება, მაგალითად, გახას მიერ წარსულისა და აწმყო დროის დაპირდაპირება, ჯაჯალას და ნუნუს ურთიერთდამოკიდებულება, დიალოგი ნუნუს შესახებ ვანისესა და ჯაჯალას შორის.

შეიძლებოდა სხვა განსხვავებების აღნიშვნაც, მაგრამ ეხეც საკმარისია.

„მამის მკვლელის“ პირველი დრამატული ვარიანტი იბეჭდება საქმუხ. პალ. გან. ხელთნაწერ-ავტოგრაფ S 3996-ის მიხედვით, მეორე დრამატული ვარიანტი — იმავე მუზეუმის ხელთნაწერ-ავტოგრაფ S 3982-ის მიხედვით.

(პირველი ვარიანტი)

მამის მკვლელი

დრამა 5 მოქ.

მოქმედება I-ლი.

სცენა წარმოადგენს სამყოფო სახლს კერათი გამართულს, რომლის გარშემოცა სჯდანან: „ჯაჯალა“, „ნუნუ“, და ბავშვები. გრძელს სკამზედა ზის „გახა“, რომელიც ფანდურს უკრავს და აღია გვერდით უზის.

მოქმედება I

გამოსვლა I



ქართული

საქართველოს

სცენა წარმოადგენს სამყოფო სახლს, რომელიც არის გამართული ხევურს გემოვნებაზედ, ფიცრულებით ნახურები, მარტო სკამებით, ოთახის შუა კერა, ჩამოშვებული საკიდელი, რომელზედაც ქვაბი ჰკიდია. ალაგ, ალაგ კერში ჩამოკიდებულია ცხერისა და ღორის ღორები. კერის გარშემო სხედან: გახა, ვანისე, ზაზუა და ჯაჯალა. მორიგი რძალი იჭით კუთხეში ჯამებსა სწმენდს და ალაგებს. ვანისე და გახა სხედან სკამებზედ. დედაკაცები კერის გარშემო.

გახა, ვანისე, ზაზუა, ჯაჯალა და მორიგი რძალი.

გახა (ფანდურს უკრამს და დასძახის)

როსტომ თქვა, მიწა გრილია ჰე..... ჰა...!

სიტყვას მით უნდა რიღება ჰე..... ჰა...!

ვაჯკაცს რომ გაუჭირდება ჰე..... ჰა...!

მაშინის უნდა ცდილობა ჰე..... ჰა...!

როსტომ თქვა, ერთი არა სჯობს

ამ ჩემსა მოგონებასა,

ერთჯერ სჯობია სიკვდილი

სულ მუდამ დაღონებასა.

ვან. (გაჯავრებით დაუგდებს ფანდურს, რომელსაც აკეთებდა) რაია, უფლის მადლს, სულ მაგისი ჩხარი-ჩხური? (უჩვენებს ფანდურზედ).

გახ. (დააყენებს ფანდურს) ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!.. რას გიშლის ჩემი ფანდური? რაი გენაღვლების, მე ამით გული მოვიფხანო?..

ვან. რაი გაქვს საღარდელი და გულის მოსაფხანი, ღვთის მადლმა არ ვიცი?

გახ. აბა რაი ვითხრა, ვანისე... შენც მანწილი ხარ, რას მოსწრებიხარ? შენ მწუხარებაში დაიბადე და მწუხარებაში აჭხარდე, ამიტომაც ეგრე ადვილათ უყურებ ჩვენს მდგომარეობას... რას მოსწრებიხარ? გუშინდელი ბალღაი ხარ... აი ჩვენი საქმე ცხოა, ჩვენ სხვა დროში ვიყავით და ჩვენ გვახსოვს უწინდელი დრო... ჩვენ ვერ მოურიგდებით ეგრე ადვილად ახალ დროსა...

ვან. თქვენ დროში რაიღა უფლის მადლსა? მეტი სიბრძოვე იყო ცხო რა?

გახ. (მწუხარებით ჩაიკინებს) ჰა, ჰა, ჰა, ჰა! უწინ კაცნი იყვნენ კაცნი!.. აჲ ამიტომაცა მღეროდნენ: „ერთხელ სჯობია სიკვდილი“

სულ მუდამ დაღონებასა“. უწინ ვინ დააღონებდა მთხს კაცსა?... ყველგან პირდაპირობა იყვის... ერთი ბატონის მეტს ვინ ნახამდის?... ერთი იყვის, მაგრამ იმ ერთისთვის, ყველანი იყვნიან... ეხლა რაილა! იასაული ბატონი, სუღია ბატონი, მამასხლისი ბატონი, ყაზახი ბატონი, უნედრიკი ზომ სულ ბატონი! ბატონი! ახლა პრისტავი ნაჩაღნიკი! და ვინ დასთვლის კიდევ?... ეხლა ყველასთან ზურგ მოხრილი უნდა იყო, ყველასთვინ გულის სიტყვა უნდა გქონდეს, ყველას უნდა უცინ-უცინო? ახლა სუღიებია სამართალია!.. მასხარაობაა, სამართალი კი არა, ვასუშკაის სუღიები და მამასახლისები არიან.

ვან. (ხვეწით) მაშ უწინ როგორ იყო, გახასი?

გახ. (დაფიქრდება) უწინ, ბჭეობა იყვის... წმინდის სამების საბჭეოში შეიყრებოდინ ხვეის უფროსნი კაცნი და იქ მივიდიდის ერი საჩივრად, ვინც იმათ გაამართლიან გამართლდის და ვინც გაამტყუენიან გამტყუენდის... იმათ სიტყვას წინ ვერვინ აუდგის... ეხლა კი სუღია ამტყუენებს, უნედრიკი ამართლებს და ასე ირევიან ერთურთში, როგორც დომხალი; თითონაც ვერ გაუვიათ, ვინ მოსამართლე და ვინ მოჩივარი, ვინ ძალა და მბრძანებელი და ვინ ამსრულებელი... ყველა თავში გვირაკუნებს ეხლა, ყველა, ვანისე, დიდი და პატარა აღარ ირჩევა...

ვან. ეგ მართალია, უფლის მადლმა, ეხლა ყველა ბატონი გაგვიხდა... სამართალი აღარ გაიგება... თითონ სოფლობაშიაც აგვრიეს... ზოგს ხელს აფარებენ და ზოგს იქამდინ მოადგებიან, სანამ არ ჩააქცევენ.

ჯაჯ. მოგვიყვენ ახლა მამა პაპის ამბავსა! დღეს გახა წავა, მთელს ზამთარს აღარ ვაეციდით თოლითა ვინ იცის, როდისლა მოვა?

გახ. რაია რომ წავალ, ჯაჯალავ? რა ხარჯი მოგდისთ ჩემზედა? ან რაი ხელსაყარი ღა ვარ?

დაჭებრდი დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ქალარა,

შინ ჯალაბთ მოვძულებულვარ, გარეთ უნდივარ აღარა.

რაილა გინდათ ჩემგანა? რაიც სარჩო-საბადებელი მქონდა თქვენთვის დამილოცნია და მე კი ესე გავდივარ ცარიელი სახლიდგან... კეთილი ხალხი ბევრიი ქვეყანაზედ, თხოულობენ, დრო რა ხარჯს გაძლევსთ ჩემი გარეთ ყოფნა.

ზაზ. რაისთვი, რაისთვის, ჩემო ყველავ! შინ იყო და იუფროსო?

ვან. მართალს ანბობს ბაბუაი, ღვთის მადლმა! აქ იყო და რიგი მოგვცე, ის არ ეჯობინება, ეგრე გარე გარე სიარულსა.

გახ. ცუდი რიგის მოცემალა შეუძლიან ჩემისთანა ავარდნილ-გავარდნილ კაცსა... აბა სწორე გითხრათ, როგორც ღმერთს არ შეეტყუება, ისე თქვენა, მე შინ ველარ გამიძლებს გული. სანამ შინ ვიყავ, მეც არა დამიკლია რა შინაისთვი, არა გამიყიდნია-

რა, არა დამიგირავებია რა, ეხლა უფალმა თქვენ მოგასმაროსთ. „მე ჩემი კალო დაველწე, გადავაყენე ხარები“. ახლა რიგი თქვენია... (დაფიქრდება) ჩემ საწილსახვერწეთ ვეცნოთაი ქალაი მალირსა უფალმა, ემაგას გეხვერწებოთ ვეცნოთაი უფრეთ, გაათხოვეთ და მე ცხო რაი მინდა.

ვან. აბა, ღმერთს არ მოეტყუება, რომ ნუნუ ჩემს შვილებს მიჩრევენია.

ვახ. გიშველათ უფალმა, ვიშველად.

ჯაჯუ ბეჩაო ჩემო თავო, მაგის რალა თქმა გვინდა, ვინლა გვყავს ნუნუნუხედ უკეთესი?

ვახ. გაშველათ უფალმა, რომ მაგ სიტყვებით გულს მიამებთ.

ზაზ. დარჩებოდი ვახაისი, შენ თავად გაათხოვებდი ნუნუსა, შენი გუნების სიძეს უშოვიდო და მერე წახვიდოდი საცა ვინდოდა.

ზაზ. რაილა ბედენაა ზახუავ, რაილა... თქვენა ჰყვანდეთ ცოცხალი, თორემ ჩემხედ უარესათ არ ამოურჩევთ ქმარსა... ეხლანდელი დროებისა მე აღარც კი რაიმე გამეგება... რასაც მე კარგს ვეძახი, ეხლანდელი ხალხი ცუდს ეძახის, რაც მე თეთრი მგონია, თქვენ შავათ გერგენებათ და რაი ვიცი... არა, ნუნუსათვის თქვენ უფრო ამოარჩევთ ქმარსა. ერთი იმას გეხვეწებით, გათხოვებაში დიდ შეძლებას ნუ გამოუდგებით... ყველანი მოხევეები ვართ, მდიდარიც ქერის ქარჯინასა სკამს და ღარიბიცა... ისევ ღარიბხედ გაათხოვეთ და ოღონდაც არის გემრიელი ლუქმა შეაქამოს... ჯალაბობაში სიტკობება ჰქონდეს, თორემ სიღარიბე და მუშაობით ცხოვრება დასაძრახისი არ არის. თუკი ჯალაბობაში გემრიელება ექნება გლეხიკაციშვილს, მუშაობას ვოილათ-კი ჩაავდებს.

ვან. იქნება ვინმე გყავს ამორჩეული, გვითხარი მაინცა.

ვახ. არავინა, ვანისე, არავინა! თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმა, ვისაც აურჩევთ... თქვენის მეტი არ ვინ ჰყავს, ქმარიც თქვენ უნდა აურჩიოთ და მამის სახლობაც თქვენ უნდა გაუწიოთ... თუ თითონ აირჩივა საქრმოდა, ის ზომ სულ კარგი და სულ კეთილი.

ჯაჯუ. განალა პატარა არის, რომ მაგის უკითხავათ საქმე დაეიჭიროთ.

ვახ. აბა, თქვენ იცით, თქვენა (მივა, გუდას აიღებს, წამოიკიდებს, ჯოხს აიღებს) აბა მე-კი წავალ ახლა. ქვეყანაზედ კეთილი ხალხი ბევრია, ჩემს სამარხსაც მოვაგროვებ.

ჯაჯუ. მოიცადე, პატარა შეჭამე მაინც რამე.

ზაზ. ნუნუ მაინცა ნახე, ბეჩაო ჩემო თავო.

ვან. დაიცადე, რაია, ცოტა ხანი კარტოხაიც მოიხარშებოდა.

ვახ. გიშველათ უფალმა, არ შშიან... ნუნუსაც აღარ მოუცდი, თორემ ახლა ის მოჰყვება ტირილსა და... (აღელვებულის ხმით)

მწვიდობით, მწვიდობით... ღმერთმა იცის, ვნახამთ როდისმე კიდევ თუ არა? ჯერ ღმერთსა და მერე თქვენ ვეპოვებით ჩემი ნუნუ... მწვიდობით (მიდის, ყველანი გაჰყვებიან, ვანისე და ჯაჯალა-კი კარებიღვან გამობრუნდებიან).

უკრძნუნული
გონჯიჩქოთქა

გამოსვლა 2

მ

ვანისე და ჯაჯალა

- ვან. (თვალებს იწმენდს) საწყალი ჩემი ძმა!.. მართალი თქო, ვან იცის, ვნახამთ კიდევ თუ არა.
- ჯაჯ. (შეტევით) ახლა ჩამოუშვი ცრემლები დედაკაცსავეითა!.. აბა რაი ვატირებს? მადლიც არის, რომ აქაურობას მოშორდა, მუცელს მაინც გაიძღობს.
- ვან. რას უბნობ, ჯაჯალავ, უფლის მადლს?..
- ჯაჯ. აი ჩვენა ვართ სატირელნი, რომ ჯაფას და მუშაობაში ვატარებთ ჩვენს დღეებს, მაგრამ მაინც ქერის პურზედ ამოგვდის სული.
- ვან. აბა შენ რაი იცი შინაური ლუკმის გემო... ერთხელ უნდა გეკადა სულ ცხოთა კარზედ ყოფნა, სულ ცხოთ შეთხოვნა და შეყურება და მაშინ იტყოდი.
- ჯაჯ. თუ კარგი არ იყოს, სახლს თავს არ დაანებებდა და ცხოთა კარს არ ივლიდა.
- ვან. მაგას ნუ ანბობ, ჯაჯალავ, მტერმა გამოიაროს; რაიც იმან გამოიარა ამ სახლში... ცოლი დამარხა ეგეთი, რომ ხეეს გათქმული დედაკაცი იყო... რვა შვილის პატრონს ერთი ეგ ქალიღა დარჩა და რა საკურველია, რომ ამ სახლში გული აღარ უღვებოდეს.
- ჯაჯ. აკი მაგის ცოლს ისეცა ტიროდნენ „ხელ ოქროს დუქარდიანი, სათავადო ქალი იყო“. ჰა, ჰა, ჰა... (იციინის) კარგია ჩე! მეც მოვესწარ რაიც იყო. ძროხას ვერ ჩამოსწველიდა ხოლმე.
- ვან. ნუ ჯაჯალავ, ნუ!.. იმას ბევრი ამავი აქვს ამ სახლზედ. ცოლია იმაზედ ძვირის თქმა.
- ჯაჯ. ამავი-კი არა აის აქ... იმის ამავი აის თუ იყო, რომ თითო ოროლა ქათამს ვაზდიდა და ბატონიანთ ჩაჰვეკრიდა. აგები ერთი ჩაი დამალევიანაო...
- ვან. კარგი, ჯაჯალავ, კარგი... ღმერთმა აცხონოს, ის მოკვდა და იმაზედ ლაპარაკი მეტიღაა.
- ჯაჯ. არც მეჭირება იმაზედ ლაპარაკი, რაიც იყო, ვიცი. იმაზედ არ არის ნათქვამი:

ძალზედ ხელები გაშალე ვარძეკიანთ ქალივეითა,
ბიჭებს თვალი გადაავლე გელიანთ ქალივეითა,

ეგ კი არც რა, მაგრამ ახლა იმ ქალაშავას საქმე უნდა ვნახოთ.



ვან. ნუნუსი?

ჯაჯ. პო ნუნუსი. აგერაი დღესაც მოვლენ მთხოვრები, რაი უნდა უთხრათ?

ვან. რაი ვქნა, ბიჭი არ მომწონს და ცხოთა. შეილის ცოდვაში როგორ ჩაედგე?.. შენ მეტათ თავი გადაგიდგია, თორემ მე ვიცოდი, როგორც გავისტუმრებდი მაგ შუბაკებს.

ჯაჯ. ახლა რაში იწუნებ ხუციანთ უფლის მადლსა, სახლი არ უვარგათ თუ კარი.

ვან. სახლიც კარგი აქვსთ, კირილა და გორიცა, მაგრამ თითონ ბიჭი არ მომწონს... როგორღაც მოშვებული თონთლე რაიმ არის... მაგასთან ნუნუსაც არ მოსწონს.

ჯაჯ. (შეტევით) ნუნუმ რაილა იცის?.. ნუნუ თითისოდენა ქალია, ვისაც ვეტყვით, ის უნდა შაირთოს... ვაგათხოვათ, მოვიშორათ თავიდგან, თორემ ცხოთა შეილის პატრონობა ადვილი არ არის.

ვან. ჩემი ძმის ნაშრომ-ნადაგვი ხომ სულ ჩვენა გვრჩება და უფლის მადლმა სირცხვილიც იქნება, რომ რიგიანი საქმრო არ შევრთათ.

ჯაჯ. შენ დაბერდი და სულ ჭკუა გამოგეცალა თავიდგან... ბესოზედ უკეთესმა უნდა შაირთას... რა ვიცი, ახნაურის შეილს კი ჰგავს და...

ვან. რაი ვიცი, თითონ ბიჭი როგორღაც გამოსულელებული არის... ნეტავი ჩემის ძმისთვის მაინც ვგეკითხა.

ჯაჯ. გამოსულელებული ბესო კი არ არის, შენა ხარ, რომ ვერ ვაგვიგია რასა ლაპარაკობ, ღმერთმა ბედნიერება კარზედ მოგაყენა. შენ კი უარს ანბობ და ღმერთს აწყენინებ.

ვან. რაი ვქნა, ჯაჯალაუ, მეშინიან ჭვეყნის სალაპარაკოთ არ ვაუხდეთ.

ჯაჯ. ჭვეყნის სალაპარაკოთ კი არ ვახდები, თუ არ ვაათხოვებ, მაშინისა ნახე ჭვეყნის ლაპარაკი... მე-კი ერთის სიტყვით თავგადატეხილით და თავგაუტეხავით იმას გეუბნები, რომ ბესოს მიეც მეთქი და ახლა შენ იცი... თუ არ ვაათხოვებ და მე კი მამის სახლში წაველ და შენ დაუდექ ყარაულათ ნუნუსა... ენახოთ, რა სახელს ვაქმევს.

ვან. რაი, ვქნა, თავად ვახამ ისე არ გვითხრა, ვინც თავად ნუნუსა უნდაო, ის შერთეთო?

ჯაჯ. კარგია ერთი, ჩე!.. ვახა რაილა შენზედ ჭკვიანი ვონია?... აბა რაია, თქვენი ჭირიმეთ, თითისოდენა ბავშს ვილა ჰკითხამს რჩევასა. ვაათხოვე, თორემ მე რომ ნიშნებსა ვხედამ, ისე მოგვთხრის და მოგვხახამს, რომ ჭვეყანაში თავი აღარ გამოგვეყოფა.

ვან. რაი ვქნა?..

ჯაჯ. (გააწყვეტინებს) რაი ვქნა, რაი ვქნა! ის ჰქენ, რომ მუწოს ეხლა გაუთხოველობა ყოვლად შეუძლებელი არის... უნდა მისცე, მისცე (წამოდგება მიდის გარეთ).

უკონცეზუი
გინგლირთეხა

ვან. ჯაჯალა! მაიცადე ბატარაი, რაია?

ჯაჯ. (შესდგება) რაილა ვინდა?

ვან. ვანა ცხო არა რა...

ჯაჯ. მე მინდა ბესოს მივცეთ და უნდა მივცეთ, თუნდ რაიც ვინდა ჰქნათ (გადის).

გამოხვლა 2

ვანზე მარტო

ვან. (ზის დაფიქრებული) ჩემ დიაცი ერთი მხრით-კი მართალს ან-ბობს... ქალი საქონელია, მოვიდა მუშტარი, აიღე მიეც... ბევრ-საც ნურასლა ილაპარაკებ, თორემ ქალი ყველაზედ ნაზი საქონელია, ყველა შეჰყურებს ქურდის თვალებით... მაგის გარეთ ჩემი ძმის მამული ვანა სახუმარია!.. ერთი და ორი არ იბოვება ხევში, რომელსაც ჩვენოდენა მამული ჰქონდეს და ჩემა ძმამ რომ გაყოფა მოინდომოს, ან გაყიდას, ან დაავიროვას, მაშინ ისევე ზეზეურ მიწაში ჩავწვე ის არ მერჩიება... არა მაგისთანა საქმე რომ დამემართოს, ხევში ქუდი მომეხდება. მართალია თუნდა სულ გაუთხოველი დარჩეს ნუნუ, ჩვენი ხეურის ანგარიშით მამული მაინც მე უნდა დამრჩეს, მაგრამ, ეი, საცა ქალი ვაიწევს, რას არ მოახერხებს... ათას რიგად შეიძლება ჩემის ძმის წილობაზედ ხელი ამაღებინოს, თუკი ნუნუ მოინდომა, შეუძლიან შეაგულიანოს ჩემი ძმა, ის გამეყრება, მერე მამულს და სახკარობას გაჰყიდის ვიზედმე და ფულს თავის ქალს ჩაუჭრიალებს... მაგრამ ან ნუნუმ, ან ჩემა ძმამ რაი იციან ეგე-ები? ნუნუ არის და ერთი თითისოდენა ბავშვია, ჩემი ძმა და ერთი ძროხასავით კაცია, რას ვაიგებს მაგეებისას?... რას ვაიგებენო?... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ერთი წინააღმდეგობა ჩამოგვივარდეს, თორემ ოსტატები კი არ დააკლდება... იმთენი არიან, რომლებიც მშვიერ მგლებივით აქვთ იქით თვალეზს აცეცებდნენ, რომ მგონია თავზედ თმა არ მექნება იმთენი... იმასაც დალუპავენ, მეცა და მამულსაც გამოგვაცილიან ხელიდვან... (დაფიქრდება) ეჰ, ეჰ, ეჰ, ეჰ, მართლაც რომ გამოიცივალა ქვეყანა, ძმა ძმას ველარა ნდობია!.. არა ჩემო თავო, მოდი და ჩქარა გაათავე საქმე, დღესვე გადაწყვიტე, თორემ ვინ იცის საქმე საითკენ გადაბრუნდეს... (დაფიქრდება) ჩემ ძმამ რომ მითხრა, ვინც ნუნუს მოეწონოსო, იმას მიეცო?... როგორ უღალატო იმის სიტყვებსა?... ჯერ ერთი ისა, რომ ძმა არის, მეორეც ისა, რომ ობოლი დავრჩენილვარ მაგის ხელში და ისე აუზღივარ როგორც

შეილი... მაგათ ამბავს რომ უღალატო, ღმერთს რა უნდა უთხრა?.. არა ისევ ის ევგობინება, ნუნუ თაღის სურვილზედ გავათხოვო, ცოდო მადლიც იქნება და არცა არაფრისაგან სასაყვედურო მექნება. (დაფიქრდება) მერე?.. მერე... ვილა დაუდგება აქა, მგონია რომ ერთი საათი მოსვენება აღარც მე მომცეს და აღარც ნუნუს... ეჰ! ღმერთო, რა ხათაბალაში ჩავარდი? ცოლს ვაამო, ძმა უნდა ცხელ რკინასავეთ გადავაგდო, ძმის სიტყვები გავეგონო და სახლში ზეციური ჯოჯოხეთი გაუვიჩინო!.. არა სულ ტყუილია, უნდა იმაზედ გავათხოვა, ვიხედაც ჯაჯალაი მეუბნება... მეტი ღონე არ არის... ერთი ეს არის ხათაბალა, რომ ბესოს სახლში დედაკაცი არავინა ჰყავს და ძმაც ისეთი დაუცხრომელი კაცია, თორემ ჩემი ცოლი მართალს ანზობს, ოჯახობით მაგაზედ უკეთესი ხეეს არავინ არის... იმპსაც მართალს ანზობს, რომ ეხლა ნუნუმ არჩევის არა იცის რა... გავათხოვებ, გავათხოვებ, თორემ მე რომ ჯაჯალას ხასიათი ვიცი, იმ ქალაშავას თავს დაახრჩობინებს წყალში. (აიღებს ბანდულებს) წავალ, დარეფანზედ გავბინდამ. ეგეთი ღლეა, რომ კაცს გული გაუნათდება გარეთ (გადის).

გამოხვლა 4

ნუნუ, მერე ჯაჯალა

ნუნუ. (შემოდის, სარცხელა უძევს, ჩამოიღებს და დადგმაში ჩამოუყვარდება) ოჰ!.. ძლივს არ გავათავე ამათი ქეჭვა! (შინჯავს თაროზედ) ჯამები დილასვე მოვასურნელე... გობები დავრეცხე, ეხლა აღარა არის რა და ლოლობ წავალ:

დილილმე, დილმე, წავალ და ლალოს დავკრეფამ,
 ჰე ოდელა, პო!..
 დილილმე, დილმე, იქ საყორელს დავინახამ
 ჰე ოდელა!..

ჯაჯ. რაია, რაი გატლიკინებს, შე პირშავე?

ნუნუ. რაია, არც რა.

ჯაჯ. საქმე აღარა გაქვს, რომ თამაშობას მოჰყოლიხარ და ერთი ტაშფანდურა გაგიმართავს?

ნუნუ. რაილა საქმეა, აბა?

ჯაჯ. სუფრები დარეცხე?

ნუნუ. დავრეცხე.

ჯაჯ. გობები?

ნუნუ. გობებიც.

ჯაჯ. ჯამები?

ნუნუ. სუყველაი დილასვე დავრეცხე, მოვასურნელე.

ჯაჯ. (მივა და ტაგანაში ჩაიხედავს) წყალი რომ აღარ ყოფილა?

ნუნუ. ბატარას დავისვენებ და წავალ.

ჯაჯ. დაისვენე შენმა დარჩენამ, წელი გწყდება მუშაობით.

ნუნუ. ეს მთელი დღე სარეცხზედ ვიყავი, ძლივსლა გაწოვიდნენ სარეცხელა.

ჯაჯ. მამ რა გონია? ცოცხალმა ადამიანმა უნდა იმუშაოს, მამა?.. განა ჩვენ არა ვშრომობთ, ნაწლავებზედ ფეხს ვიღებთ და ისე ვცხოვრობთ... წადი, წადი, კარგია.

ნუნუ. ეხლავე, ეხლავე.

ჯაჯ. ეხლავე რაილა, წაშავდი და კარგი.

ნუნუ. დღეს მამაი არ მინახია, ვნახამ და წავალ.

ჯაჯ. რამდენი ხანია გახა წავიდა, ეილას ნახამ.

ნუნუ. (შეშინებით) სად წავიდა?

ჯაჯ. აბა რა ეცი, ეშმაკი თითონაა და ეშმაკის გზა იმას უჭერია, მე რაი ვაეივა.

ნუნუ. (ეხვევა) დედაისი, მეხუმრები განა?.. არ წასულა მამაი?

ჯაჯ. (ჯავრობით) მომეტალე იქითა! რაი მაქვს შენთან სახუშარი?.. წავიდა, წავიდა მამაშენი, გაიგონე და დაიჯერე.

ნუნუ. (დაფიქრებით) მე კი მეგონა, რომ...

ჯაჯ. რაი გეგონა?.. აბა რაი გეგონა?.. რაიც უნდა გონებოდა, მაინც გათავდა, ველარ აღსრულდა შენი სურვილი. ვერ მოვართვით გიორგი?.. მამაშენმა ასე უთხრა თავის ძმას, მეც შენ გენაცვალეო და ჩემი ქალიცაო, როგორც შენ გესიამოვნება, ისე მოიქეციო, ვისაც გინდა, იმას მიეციო.

ნუნუ. მე არც გიორგი მინდა და არც სხვა!.. მე იმას ვსტირი, რომ მამაი ვერ ვნახე, თორემ...

ჯაჯ. თქვენი ჭირიმეთ, როგორი ეშმაკი ყოფილა!? აი დაგწყველას წმინდა გიორგიმა!.. რაიც გინდა იეშმაკო, მაინც ბესოს უნდა მიგათხოვათ და მაინცა.

ნუნუ. (გაშტერებით) ბესოსა?

ჯაჯ. არ დაუწუნო ან გვარი და ან შეძლება გიორგისთანია.

ნუნუ. მე არც არავიზედ არა ვთხოვდები და ბესოზედ ხომ უფრო სულ არ ვაფთხოვდები. ბესოზედ რაღა გამათხოვებს, თრითონას მიუგავს თავბირი.

ჯაჯ. შენ კი ციდან ჩამოსული ხარ შენს სიკვდილს, რომ ბესოს იწუნებ?

ნუნუ. ჩვენს სოფელში ჩემზე უარესი არავინაა, მაგრამ იმას კი მეც არ შავირთამ.

ჯაჯ. არ შავირთამ, თუ შენა გკითხეთ... მაგრამ კარგათ გაიგე მამაშენმა ჩვენ ნება მოგვცა, რომ იმაზედ ვაფთხოვოთ, ვიზედაც ჩვენ გვინდა.

ნუნუ. მამ მამა იმიტომ ვაგზავნეთ ჩემს უნახავათ, რომ იმას მიმცეთ, ვინც თვალით არ დამენახებმა.

ჯაჯ. ქალაის მზემა, რამთენიცი უნდა იხტუნა გასახედნს კვირსაკეთა
 აღარ იქნება საქმის დარდვევა, ბესოზედ უნდა გათხოვდეს
 ნუნუ. თავს მოვიკლამ და ბესოზედ კი არ ვაფთხოვდები.

ჯაჯ. ასე გათხოვდები, რომ მზე მალლა იყოს. ჯანსპირს ვაფთხოვდები-
 ბინებ, რომ არ გასთხოვდე... კარგია, აიკიდეს ტაგანას და წადი
 წყალზედ.

ნუნუ. (აიკიდებს ტაგანას) წყალზედ კი წავალ დედაისი, მაგრამ ეს
 კი იცოდეს, რომ ჩემის ცოცხალის თავით ბესოზედ ვაფთხოვება
 არ იქნება.

ჯაჯ. მაგას შენ არავეინა გკითხამს... შენ წადი წყალზედ (ნუნუ
 მიდის).

ნუნუ. (კარებში შესდგება) რაი ვქნა...
 გაეა).

ჯაჯ. (გააწყვეტინებს) კარგია, წაიტეხე ფეხი, შე გასაქრობო (ნუნუ
 ვივა).

გამოხვლა 5

ჯაჯალა მარტო

ჯაჯ. თავს მოვიკლამს!.. უყურეთ რათი გამომაჯავრა!.. ნეტავი
 ღმერთს უბრძანებინა და მართლა თავი მოეკლა... თითონ და-
 უღვებოდა თვალი, თორემ ჩემთვის ხომ საქმე მაშინ სულ გაწ-
 მენდილი იქნებოდა... მაგრამ რათა, მაშინ ხომ ურვათს დაუ-
 კარგამდი?.. მეც სადიასახლისო პატივისცემას ვეღარ ავიღებდი?
 (დაფიქრდება) არა ისე უნდა მოვახერხო, ჯერ ჩამოვიდნენ სა-
 სიძოთ, ჩამოგვიტანონ რაც პატივისცემა გვერგება, ურვათი გაგ-
 ვისრულონ და შერე წყალში კი არა, თუნდ ღვარში გადავარ-
 დეს. (შოისმის ხმაურობა) აგერ, მგონია, შუაკაცები მოდიან.
 დავიწყო რისამე კეთება, თორემ სირცხვილია. (მივა, ქვაბს მოხ-
 დის და შინჯამს) კაი დროს მოვიდენ, კარტახაიც მოხარშუ-
 ლა (შემოდის ვანისე, დემეტრა და პეტრია).

გამოხვლა 6

აგვე და ვანისე, დემეტრა და პეტრია.

(ხელნაწერი აქ წყდება).



ქართული
 ენციკლოპედია

საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის მასალებიდან

(დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ თუმანიშვილი).

დიმიტრი ყიფიანი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელნიც ისწრაფვიან თავიანთი მიზნისაკენ ისე, რომ თვალსაჩინო მერყეობას არ განიცდიან, ვინაიდან მტკიცედ იციან, რა მსურთ და რა უნდათ.

სწორედ ამ თვისებით აიხსნება მისი საზოგადოებრივი და საშახურებრივი მოღვაწეობის დიდი წარმატებანი. დიმიტრი ყიფიანი არ შედრკებოდა ზოლმე ცხოვრების გზაზე შეხვედრილ დაბრკოლებათა წინაშე. და მაშინათვე ეჭებდა მოსავლელ ბილიკებს, ვიდრე თავისას არ მიაღწევდა; ასე გვიხატავს მას არა მარტო მის შიერ დატოვებული გეგმარები, არამედ აგრეთვე მისი არქივის მასალებიც. მაგრამ ყველა დიდი მოღვაწის დახასიათება სრული არ შეიძლება იყოს უიმისოდ, თუ შესწავლილი არ არის, როგორ აისახა მისი პიროვნება სხვა მოღვაწეებთან სრულიერთობაში.

ერთერთი მოღვაწე და დიმიტრი ყიფიანი ს მეგობარი და თანამედროვე იყო მიხეილ თუმანიშვილი. თავის შემუშავებში დიმიტრი ყიფიანი მას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს, სახელდობრ ტფილისში პირველი კერძო ბიბლიოთეკის დაარსებასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოგონებები, საერთოდ, მხოლოდ სასახვათაშორისოდ ეხება, ან სრულიადაც არ ეხება საზოგადო მოღვაწეობის იმ სფეროს, სადაც დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ თუმანიშვილი ერთმანეთს უფრო ხშირად ხვდებოდნენ, როგორც არის, მაგალითად, დეატრი, ლიტერატურა, საგლეხო რეფორმა. ნამდვილად კი მათ აკავშირებდა საერთო მუშაობა საშახურშიაც და საზოგადოებრივი ინტერესების სფეროშიაც. მათი ურთიერთობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ „მეგობრულ“ ურთიერთობათა კატეგორიას, როგორც, მაგალითად, არსებობდა ერთის მხრით—მიხეილ თუმანიშვილსა და მეორე მხრით—მის თანაწლოვანთა ნიკოლოზ ბარათაშვილსა, დიმიტრი ჯორჯაძესა და სხვებს შორს. დიმიტრი ყიფიანი უფროსი იყო მიხეილ თუმანიშვილზე (ყიფიანი დაიბადა 1814 წ., თუმანიშვილი კი — 1818 წ.). იგი თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ აქტიური მოღვაწე იყო უკვე მაშინ, როდესაც მიხეილ თუმანიშ-

ვილი ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობდა. მაგრამ შემდგომ პირნი მუდამ მიმართავენ ხოლმე ერთმანეთს საზოგადოებრივი საქმიანობის გამო და დარჩენილი მიწერმოწერის შინაარსი ჰმოწმობს, რომ დიდად აფასებდნენ ერთმანეთს, ზოგ რამეში შეხედულებათა განსხვავებებს მსჯელობდნენ.

ს. ხუნდაძე თავის მონოგრაფიაში დაწერილ ნაშრომში უკეთესს დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათ და დაასკვნის, რომ დიმიტრი ყიფიანი პრინციპულად მოწინააღმდეგე არ იყო ბატონყმობისა, მაგრამ საჭიროდ სთვლდა, ასე ვთქვათ, გლეხთა დამოკიდებულების „ჰუმანიზაციას“ და შერბილებულ ფორმაში ჩამოყალიბებას.

ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი და ქვემოდ მოყვანილი მასალები საესებით ადასტურებს ს. ხუნდაძის დასკვნას. რაც შეეხება მიხეილ თუმანიშვილს, იგი წარმომადგენელი იყო სამოციანი წლების იმ თავადაზნაურული ინტელიგენციისა, რიცხვით მცირესი, რომელიც გულწრფელად თანაუგრძობდა ბატონყმობის მოსპობას და ენტუზიაზმით მიეგება საგლებო რეფორმას, ჰხედავდა რა მასში ნაბიჯის წინ გადადგმას გლეხთა განთავისუფლებისაკენ.

მიხეილ თუმანიშვილი მონაწილეობას იღებდა იმ პირთა წრეში, რომელნიც 1842 წელს დიმიტრი ყიფიანს კერძო ბიბლიოთეკის დაარსებაში ეხმარებოდნენ. იმ დროს, როდესაც ტფილისში საზოგადოებრივი ცხოვრება სუსტად იყო განვითარებული, ბიბლიოთეკის დაარსება უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო. დიმიტრი ყიფიანის მიერ თავის მემუარებში მოყვანილი სია ბიბლიოთეკის დამაარსებლებისა შეიცავს მაშინდელი ახალგაზრდობის საუკეთესო კრებულს.

მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ, რომ აზრი ბიბლიოთეკის შესახებ არ შეიძლება უეცრად აღძრულიყო და ისიც ისეთ ადამიანთა შორის, რომელნიც ერთმანეთს შემთხვევით ხედებოდნენ. ახალი საქმე საჭიროებდა ხანგრძლივ განბჭობას. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია ვიგულისხმოთ, რომ ყიფიანის მიერ ჩამოთვლილი პირნი გაერთიანებული იყვნენ კულტურულ ინტერესთა თანაზიარობით და სასაუბროდ რეგულარულად იკრებებოდნენ. (როგორც სჩანს ლ. ისარლიშვილის წერილიდან მ. თუმანიშვილისადმი, რაც ახლახან იქნა აღმოჩენილი მ. თუმანიშვილის არქივში, — 1841 წელს დ. ყიფიანი და მ. თუმანიშვილი ერთად მუშაობდნენ სალიტერატურო აღმანახის შედგენაზე). ბიბლიოთეკის გარშემო გაერთიანებულ პირთა წრესა და ტფილისის გიმნაზიის ოცდაათიანი წლების ლიტერატურულ წრეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. დიდი უმეტესობა — იგივე ყმაწვილი კაცები არიან, რომელთაც ჯერ „ტფილისის გიმნაზიის ყვავილში“ ვხედავთ და ნაწილობრივ ჰავეკაძითანთ სახლში — წინანდალს, შემდეგ — ურთიერთის მიმართ ხშირ მიწერმოწერაში და მერე მანანა ორბელიანის წრეში. აქაც უცვლელად იგივე დიმიტრი ყიფიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. მიხეილ თუმანიშვილი, დი-

მიტრი ჯორჯაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ლევან მელიქიშვილი და სხვ., ე. ი. ყველა ის ადამიანი, რომლის სახელიც დასაქმირებულია ლიტერატურასთან და ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების თითქმის ყოველგვარ კულტურულ დაწყებასთან — ქართველთა, „ციხკართან“, გამსესხებულ ამხანაგობებთან.

გ. ბ. ჯ. ი. მ. თ. ა.

დიმიტრი ყიფიანის ინტენსიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა ეკუთვნის სამოციანი წლებს დასაწყისს, როდესაც „სავლეთ რეფორმა“ რუსეთის გუბერნიებში უკვე მომხდარი ფაქტი იყო. კავკასიაც მკიდროდ მიუახლოვდა ამგვარსავე „რეფორმას“. სერიოზულმა მომზადებამ გლახთა საკითხში და თვალსაჩინო სამსახურებრივმა მდგომარეობამ მალე წამოსწია დიმიტრი ყიფიანი პირველ რიგში. აქ იგი კვლავ შეხვდა მიხეილ თუმანიშვილს — ამ რიგობაზე გლახთა საქმეში. 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტმა, რომელმაც ქვეყანას „გლახთა რეფორმა“ აუწყა, სრული დაბნეულობა შეიტანა ქართველ მეძამულეთა შორის. „რეფორმა“, როგორც ვიცით, გავრცელებული არ იყო კავკასიაზე და მხოლოდ განქარგულება მიეცა მეფის ნაცვალს ბარიათინსკის დაეწყო მოსამზადებელი მუშაობა შემდეგისათვის. როდესაც ბარიათინსკიმ აუწყა თავადაზნაურობას, საქართველოში ბატონყმობის გადავარდნა აუცილებელიაო, თავადაზნაურობამ დაიწყო სხვადასხვა საბაბის ძებნა, რათა რეფორმა რაც შეიძლება დიდს ხნის გადაედოთ. მიხეილ თუმანიშვილის არქივში ინახება დოკუმენტი, რომელიც ნათლად ასახავს, რა ჩოქოლი გამოიწვია შემამულეთა შორის 19 თებერვლის მანიფესტმა. ამასთან ერთად, დოკუმენტი ნათელსა ჰფენს ქართული თეატრის ფუძემდებლის პოეტის და დრამატურგის გიორგი ერისთავის პოზიციას გლახთა საკითხში და საინტერესო ნაკვეთებს იძლევა დიმიტრი ყიფიანის დასახასიათებლად. აქ იგულისხმება თავადაზნაურობის მოღვაწის აღექვსანდრე თარხან-მოურავის წერილი მიხეილ თუმანიშვილისადმი გორიდან 1861 წ. 7 ივლისის თარიღით.

— გლახთა საქმის კომიტეტი არ შესდგება — იწერება თარხან მოურავი — თავადაზნაურობამ დაადგინა ოქმი — ეს საქმე საერთო ყრილობამ გადასწავლიტოსო. კრების სხდომაზე, ჩემის ანგარიშით, 300 კაცამდე იქნებოდა. მაგრამ ყველა ერთის აზრისა არ იყო: ოქმზე ხელი უწერია ას კაცს, ხოლო დანარჩენნი ისე დაიშალნენ, რომ ხელი არ მოუწერიათ. ჰგულისხმობდა რა საქმის საერთო ყრილობაზე გადაწყვეტას, თავადაზნაურობა ან თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც კომიტეტის დაარსებას სადაეოდ ეცხადებდა, ხელმძღვანელობდა პროგრამით, სადაც სწორედ ის არის ნათქვამი, რომ საგანი კომიტეტში ან საერთო ყრილობაში გადაწყდესო. *) საჭიროა ისიც ითქვას, რომ იმათ, ვინც კომიტეტის წინააღმდეგ მიდიოდა, ძალიან (ეკვივებოდათ) — გაურკვეველია) ის პირმა, რომელმაც შეუძლიანთ ამ საქმის მართებულად შემუშავება, მაგრამ თავადაზნაურობა ამაში ძალიან სცდება და ახლა არ ვიცი, ვინ შესძლებს დამ-

*) ამ სიტყვების გასწვრივ ნაწერის კიდევ ფაქტით მიხეილ თუმანიშვილის მწიგნობარა — ეს ნათქვამია საგუბერნიო ყრილობის შესახებ“.

თავროს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რაკი არ უნდა იყო, რომ იგი შეიმუშავოს იმან, ვინც ოსტატია. თავადი გიორგი დავითაშვილი წინადადებას, რომ გიორგი კომიტეტის მოწინააღმდეგე ბრბოს მეფათრი, არწმუნებდნენ ბერის, რომ 1-ლი ოქტომბრისათვის იგი წარუდგენს თავდაზნაურობის კაცობრივ ცხოვრების გაუმჯობესების დებულების პროექტს, და ამით თვეგანასა და დღეშაღი, მაგრამ შე დარწმუნებული ვარ, თავად გიორგის არ მალე ვახანოაკიელოს ის, რასაც მთავრობა მოითხოვს. რჩება ერთი რამ — ჩემს აზრით, უნდა შეინდოს ესმე, სახელდობ კი დ. ი. ყიფიანს, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს და, დამთავრებისას წაუკითხოს თავდაზნაურობას, რომელიც მხოლოდ მაშინ დარწმუნდება ამ კაცს კეთილგანზრახულებაში. თუმცაღა ჩემი აზრი აქ უაღრესოა. ოქვენ უკეთ შეგიძლიანთ განსაჯოთ.

რადა უნდა ვაკეთო აქ? შე უკვე აქ საქმე აღარა მაქვს, თუმცა მოხოვენ დავრჩე საქმის წარმოებისათვის საჭირო ცნობების შესაგროვებად, მაგრამ, რაკი თავი არ არის, არც ფეხები შეიძლება იყოს. სულ სხვაა, თუ საქმეს დ. ი. ყიფიანს) მიანდობდნენ და შე მასთან ვიქნებოდი მივლინებული ხელშესაწყობად".

დამიტრი ყიფიანი, მართლაც, სასოწარკვეთილებას არ შინცემია და მუშაობდა იმ შედეგთა შესაძლებელ ნეიტრალიზაციაზე, რასაც თავდაზნაურობა მოელოდა, რეფორმისაგან. 1862 წლის აპრილს თავდაზნაურთა ყრილობაზე ტფილისში მას მიანდეს შეემზადებინა შასალა გლეხთა საკითხისათვის საქართველოში და შეემუშაებინა თავდაზნაურობის წერილის პროექტი ამ საკითხზე. მან პირველ დღიდანვე ისეთი ნაბიჯები გადასდგა, უზრუნველყო თავისთან მიხეილ თუმანიშვილის თანამშრომლობა, როგორც გლეხთა საქმის ღრმა მცოდნისა. მიხეილ თუმანიშვილს იმ ეამად კავკასიის და ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა დროებითი განყოფილების რედაქტორის თანამდებობა ეჭირა. იმავე დროს იგი იყო ამიერკავკასიაში შემამულეთა გლეხების ყოფაცხოვრების მომწყობი ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი. ამრიგად, უკვე შის თანამდებობათა ხასიათის მიხედვით, მიხეილ თუმანიშვილი გლეხთა საქმესთან დაკავშირებული საკითხების შიგ ცენტრში იდგა. დამიტრი ყიფიანი არ შემცდარა, ხელსშეწყობისათვის რომ მას მიმართა. შათი მიწერმოწერიდან შეგვიძლიან. დავინახოთ, რომ იგი მიხეილ თუმანიშვილისაგან იღებდა საჭირო ცნობებს, რაც თვალსაჩინოდ ადღვილებდა მის მუშაობას. 1862 წლის 16 მაისს დამიტრი ყიფიანი სწერდა მიხეილ თუმანიშვილს კერძო წერილში:

„უჭირფაქსო კნიაზო მიხაილ ბორთველის-ძეო.

ერთს, ვუცყანაში ამბობენ: აზრი რომ აზრსა მხუცდებო, სიმართლევ იქა მდებო.—ჩუცვის საზოგადოს საქმეში თუ ერთმანეთს ყოველი აზრის დადრიდებლად არ გამოუცხადეთ და ერთმანეთს თუ ხელი არ მიეცეთ, ცალკალკ ვერაინ რას მოეახერხებთ და სიმართლეს ვერაინ გამოეაჩინო. ამის გამო შეთოქმის თვითოველის მუხატონისაგან ეითხოვ აზრსა; მაგრამ თქუცნ განსაკუთრებით მოგშართავთ უფულოთადესის თხოვნით, რომ ამ საზოგადოს საქმეში ხელი გამოიმართოთ თქუცნის განათლებულის აზრითა და რჩევით და მიზაროთ თქუცნი ცოდნა საქმისა და ღონისძიება საზოგადოს სურვილის კეთილად შესასრულებლად. დარწმუნებული ვარ ნებას მიბოძებთ, რომ შემდგომშიაც დაუ-

რადებლად მოგმართოთ ხოლმე; და ახლა ამას ვთხოვთ, აქ რომ 14 კითხუცა მომართმევია იმის პასუხებად თქუენი აზრი გამოვიგზავნოთ სურ. შ. რადვან იქ ახლოს მექნება ამ ზაფხულის ბინა მომავლის იენისის 20-ითგან.

წრფელის ერთგულებით და გულითადის პატივისცემით ეკვრე თქუენი უმორჩილესი მოსამახურე დიმიტრი ყიფიანი

16 მაისი 1862

ტფილისი.

შინაური, ლომბიერი მოლაპარაკება ისე არსად დაგვეკირდება, როგორც ამ საქმეში; და სადაც ლეითური გრძნობა უნდა ჰმოქმედებდეს, იქ ჩუენის ჭეცყუ-ნის ქალებზედ უკეთესი მრჩეველი არაიქნება დაბადებულა მოველაპარაკეთ შშობელს დედასაცა, ერთ სისხლის დასაცა და ერთხორცს მუელღესაცა, რომ საქმე ჩუენი ღვთის სათნოდ წაგვემართოს.

ერთი კვირით ამაზე გვიან იგი უგზავნის ოფიციალურ წერილს.

„მოწყალეო ზელმწიფეც

კნიაზო მიხაილ ბირთველს-ძევე!

საზოგადოებისაგან ჩემთვის მონდობა ბატონუშობის საქმისა ვაი თუ კნიაზმა ნამესტნიკმა იწყინოს და ამითი საქმესაც ევნოს, ჩემის მხრით პატროსნების ვალად ვრაცხ უარის ყოფასა და ვთხოვთ, ამ თთვის 16-ის წიგნით რომ დარიგებასა გკითხავდით, პასუხისათვის აღარ შესწუხდეთ.

თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესი მოსამახურე დიმიტრი ყიფიანი

24 მაისი 1862^ა.

მიწერმოწერა გლებთა საკითხზე გრძელდება მათ შორის მთელ ზაფხულს და შემოდგომას. ყიფიანი ამზადებს მასალას თავადაზნაურობისაჲთვის, ხოლო მიხეილ თუმანიშვილი — მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოსათვის. ისინი რეგულარულად აწვდიან ერთმანეთს ცნობებს მუშაობის მსვლელობაზე. 18 აგვისტოს სწერს მიხეილ თუმანიშვილი, 23 აგვისტოს უპასუხებს დიმიტრი ყიფიანი დაწერილებითი ინფორმაციით და უჩივის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, რომელიც თურმე მასალის შეგროვებას აბრკოლებს. იმავე წლის 30 დეკემბრის წერილში ზუგდიდიდან დიმიტრი ყიფიანი სწერს მიხეილ თუმანიშვილს, უჩივის რა დიდი ვაჯაგერებით თავის კორესპოდენტებს მაზრებში. ისინი არა ჩქარობენ საქირო ცნობების გამოგზავნას და ამით აფერხებენ მის მუშაობას.

„შემძლიან ვითხრათ მხოლოდ ერთი რამ: საქმე ჩემზე არ გაჩერდება იმ წამიდან, რაც ყველა მასალა ხელთ მექნება, ხოლო ამ დრომდე კი უოველგვარი ვადა უადგილოა ვგრძნობ შორიდან, რა ციხეცხელებშია ტფილისი, მაგრამ კრიზისმა მშვიდობიანად გაიარა და თუ კი კარგ მომავალს ახლაც ვერ გავითვალისწინებთ — მაშასადამე, მას ვერასოდეს ვერ გავითვალისწინებთ.

მოიწერეთ რასაც საქიროდ დაინახავთ: თქვენ ხომ ყველა ელექტროდენის, — ჩვენთვის, — სათავესთან ხართ“.

იმავე 1862 წელს დიმიტრი ყიფიანი დათხოვნილ იქნა მეფის ნაცვლის სამმართველოს საბჭოს წევრის თანამდებობიდან, რომელიც მას ეჭი-

რა, და იგი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. ახლა მას ეძლევა შესაძლებლობა ოფიციალურად ეხელმძღვანელოს მემამულეთა მოქმედებას და თავის მუშაობას ეფუძნება ბასიათი მისცეს.

მთლად შეგროვილი მასალა, თავისი დასკვნებითურთ, მან წარუდგინა თავადაზნაურობას ვრცელ მოხსენებაში, მემამულეთა გლეხების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება გადაეცა მიხეილ თუმანიშვილს დასკვნისათვის ან თვით დიმიტრი ყიფიანის მიერ, ან ოფიციალური წესით. ზემოდ აღნიშნული იყო, რომ ამ ორივე მოღვაწის შეხედულებანი გლეხთა საკითხის დედაარსზე განსხვავდებოდნენ. მართლაც, ამ დოკუმენტის კრძეებზე მიხეილ თუმანიშვილს გაუყეტებია მრავალი შენიშვნა, საიდანაც ჩანს, რომ იგი თანახმა არ იყო მოხსენების ზოგადი თვალსაზრისისა. სხვათა შორის, იმ სიტყვების გასწვრივ, რომლებიც „საერთო განსაცდელს ეხებოდა“ („საერთო განსაცდელად“ დიმიტრი ყიფიანი ბატონყმობისაგან გლეხების განთავისუფლებას ჰგულისხმობდა), მიხეილ თუმანიშვილის კითხვითი ნიშანი დაუსვამს, თითქო ამით პროტესტს აცხადებს განთავისუფლების იდეისადმი ასეთი განწყობილების წინააღმდეგ.

შეთანხმებლობა ზოგიერთ ძირითად საკითხებში ხელს არ უშლიდა იმას, რომ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მეთაური დიმიტრი ყიფიანი ყველა სერიოზულ საქმეზე, რაც კი თავადაზნაურობის ინტერესებს ეხებოდა, ეთათბირებოდა მიხეილ თუმანიშვილს, რომელსაც ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურნი მუდამ ირჩევდნენ ყველა პასუხისმგებელ კომისიაში. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის „წერილს“ გლეხთა განთავისუფლების შესახებ რედაქტორობდა მიხეილ თუმანიშვილი. თავისი მზრით, ისიც შეკითხვით მიმართავს დიმიტრი ყიფიანს და სთხოვს აზრი გამოსთქვას იმ საკითხებზე, რაც გლეხთა პრობლემის ისტორიას ეხება. 1864 წელს იგი უგზავნის დიმიტრი ყიფიანს წინასწარი გადათვალთვლებისათვის თავის „წერილს ხიზანთა შოდების შესახებ“ და 18 მაისს დიმიტრი ყიფიანი მას სწერს:

„შევასწორე რა იმისი მიხედვით, რაც მე დანამუდებით ვიცი, წერილი ზიზანთა წოდების შესახებ, მაქვს პატივი გავუგზავნო იგი ღრმად პატივცემულ თავად მიხეილ ბირთველს-ძეს“.

ცნობილია, რომ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების გარშემო ატეხილ აურზაურის დროს დიმიტრი ყიფიანი და მიხეილ თუმანიშვილი სხვადასხვა ბანაკში აღმოჩნდნენ, სახელდობრ — ყიფიანი მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეს, ხოლო თუმანიშვილი — გრიგოლ ორბელიანის ბანაკში იყო. წარსული საუკუნის სამოციანი წლების საქართველოს სოციალური ცხოვრების მკვლევარისათვის ძალთა ასეთი შეფარდების შესწავლა უნდა წარმოადგენდეს უცილობელ ინტერესს.



პრ. ახნაზაროვი.

აქაკის ერთი დეჰსის აგბავი

(ქართული მწერლობის წარსულიდან).

1936 წ. ეურ. „მნათობის“ მე-7 ნომერში მოთავსებულია მოკ. დავით ფალავას დიდად საინტერესო წერილი: „ოთხი წელი აკაკისთან“. წერილის ავტორია აკაკის ვარდა, ეურნალის 177-ე გვერდზე რამდენიმე სტრიქონით ჩემსა და აკაკის ურთიერთ დამოკიდებულებას შეეხება. ვიდრე ვიტყვოდე რასმე ამის შესახებ, შეუშოკლებლად ამოვწერ მარტო ამ სტრიქონებს, რომ უკეთ გავითვალისწინოთ მისი შინაარსი. დ. ფალავასწერს:

„აკაკის ამტყუნებდნენ — ყველაფერზე და კერძოდ მწერლობაზედაც პირადული შეხედულება აქვს და თუ ვინმემ რაიმე დაუშვა ან რაიმე აწყენინა, მის შემდეგ იმის გინებაშიაო.“

მე ეს არასოდეს არ შემინიშნავს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ამბობენ, რომ „ივერიის“ თანამშრომლებში აკაკი ყველაზე უფრო „ჩიორა“-ზე იყო სებაზებული და ლექსი „მურია“ იმაზე დაწერაო. „სიკედილში“ რომ თანამშრომელია, რომელსაც აკაკიზე წერილი დასაბუქდად ხან „ივერიის“, ხან „კვალის“ რედაქციაში მიაქვს და ყველგან აგდებენ, ეს „ჩიორა“ ჰყავს გამოცდილილიო.

მოუხედავად ამისა, როდესაც „ივერიაში“ „ჩიორას“ ფელეტონები (წიკატრები) იბეჭდებოდა, აკაკი ალტაცებაში მოდიოდა. რამდენადაც მასსოვს, პრესაშიაც ერთ-ერთ თავის წერილში ამბობდა, „მე რომ „ჩიორას“ იუმორი მქონდეს, ჰყვებანს ვალავაბრუნებდი“—ო.

ანგარიში ვაუწიოთ აქ ამონაწერს, მით უმეტეს, რომ ეს ანგარიშის გაწევა ერთს საზოგადოდ საინტერესო საკითხსაც გამოარკვევს. წერილის ავტორს ჩემ შესახებ ორი რამ ვაუგონია: ერთი ის, რომ ვითომ ლექსი „მურია“ აკაკისა ჩემზე იყოს დაწერილი და მეორე, ვითომ „სიკედილში“ რომ „ვახუთის თანამშრომელია“ აწერილი, რომელსაც აკაკის შესახებ წერილი დასაბუქდად ხან „ივერიის“, ხან „კვალის“ რედაქციაში მიაქვს და ყველგან აგდებენ, ეს „ჩიორა“ ჰყავს გამოცდილილიო. ეს ორივე ამბავი, წერილის ავტორის მიერ სხვისაგან გაგონილი და მის მიერვე აკაკის სიტყვებით უარყოფილი, რომ სიმართლეს არ წარმოადგენს, ამის დასაბუთება ძალიან ადვილია, და ავტორს ცოტა რომ თავი შეეწუხებო-

ნა და გამოერკვია, თუ როდის და ვის შესახებ არის დაწერილი აკაკის ლექსი „მურია“, სხვისაგან ვაგონილს სიტყვებს არ გაიმეორებდა. მაგრამ რაკი წერილის ავტორმა ამისათვის თავი არ შეიშინა, ამ გამოერკვევას ჩვენ ვკისრულობთ.

სხვათა შორის უნდა აღენიშნო, რომ მე პირადად „ივერიის“ რედაქციაში ვთანამშრომლობდი და რედაქციის წევრად ვითვლებოდი 1886 წლიდან 1903 წლამდე. განუწყვეტლად და ყოველთვიურად ჯამაგირი მქონდა დანიშნული, ამის გჰმო ყოვლად შეუძლებელია, რომ აკაკის შესახებ წერილი დამეწერა და ის წერილი „კვალის“ რედაქციაში მიმეტანა. გულახდილად ვალიარებ, რომ „კვალის“ რედაქციაში არასოდეს არა ვყოფილვარ და აკაკის შესახებაც არაფერი დამიწერია და არა თუ მე. არც ერთი მუდმივი თანამშრომელი „ივერიისა“, რომელიც-კი რედაქციის წევრად ითვლებოდა, არ მიადგებოდა „კვალის რედაქციის კარებს, რადგან ამ ორ რედაქციას შორის მეგობრული განწყობილება არ არსებობდა. მე კი რამდენჯერმე მქონდა პოლემიკა „კვალის“ რედაქციასთან და მით უფრო წარმოუდგენელია, რომ მე წერილის დასაბუქლად ამ რედაქციისათვის მიმემართა. ყოველსავე ამას დამოკიდებულებას, უნდა განვაცხადო, რომ აკაკის დიდებული ნიჭის დიდი თავყანისმცემელი ვიყავი და ვარ და იმასთან ყოველთვის კარგი განწყობილება მქონდა.

დაუებრუნდეთ აკაკის ლექსის ამბავს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეურ. „კვალი“ დაარსდა და დაიწყო გამოსვლა 1893 წ., ხოლო აკაკის წერილი „სიკვდილი“, როგორც ამას აღასტურებენ 1925 წ. აკაკის ოთხ ტომად გამოსული რჩეული ნაწერების რედაქტორები ს. გორგაძე და ა. აბაშელი (იხ. I ტომი რჩეული ნაწერებისა, გვ. 339), პირველად დაბეჭდილა ეურნალ „კვალში“ 1894 წელს (№№ 49 და 52) და ლექსი „მურიაც“, ამ „სიკვდილში“ ჩართული, მანამდე არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული, მაშასადამე პირველად 1894 წელს დაბეჭდილა და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროისათვის არის აკაკის მიერ დაწერილი იმის წერილ „სიკვდილ“-თან ერთად. ასე გულისხმობენ ამას თვით რჩეული ნაწერების რედაქტორებიც ზემოთ აღნიშნულს საბიბლიოგრაფია შენიშვნაში. როგორც სჩანს, ამ რედაქტორებსაც უნებური შეცდომა მოსდით, რადგან არა სცოდნიათ, რომ ლექსი „მურია“ ვაცილებით ადრეა დაწერილი და შემდეგ ჩაურთავს აკაკის იგი თავის წერილ „სიკვდილში“, მანამდე-კი აკაკის წინად დაწერილი ლექსი შენახული მქონია და შემდეგ გამოუქვეყნებია. ეს რომ ასეა, ადვილად მიხვდებოდნენ პატივემული რედაქტორებიც, რომ თვით „სიკვდილის“ შინაარსისათვის, სადაც ეს ლექსი „მურია“ ჩართულია, ყურადღება მიექციათ. სახელდობრ, როდესაც „სიკვდილში“ აკაკი „გაზეთის

თანამშრომელს“ აღაპარაკებს და ლექსს „მურიას“ ათწიგნისა, ის „თანამშრომელი“ ამ ლექსის შესახებ ამბობს: „იქ ეს ლექსი ეწერა არავის შეეხება, მაგრამ ბევრს-კი მისი სარკე პეონიაო“ (იხ. საქართველოს ლექსების I ტომი, გვ. 213). ამგვარად, თუ 1894 წ., როდესაც პირველად აკაკის წერილი „სიკვდილი“, რომელშიაც ჩართულია ლექსი „მურია“, დაიბეჭდა, ეს ლექსი არავის შეეხებოდა, აშკარად, რომ ეს ლექსი ამაზედ წინად ვილაცას შეეხებოდა, მაგრამ ვის შესახებ და როდის არის ეს ლექსი დაწერილი?

თუმცა აკაკის ამ ლექსის ფაქსიმილე დარჩენილია და ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმის ძველი ხელნაწერების საცავ განყოფილებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აკაკის ხელით ნაწერ ამ ლექსს თარიღი არა აქვს მიწერილი და კვლავ გამოურკვეველი რჩება, თუ როდის აქვს აკაკის ეს ლექსი დაწერილი, ხოლო იმ გარემოებას, რომ აკაკის წერილი „სიკვდილი“ ამ ლექსითურთ პირველად დაბეჭდილა 1894 წ. ქურ. „ველში“, იდასტურებს აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაველებით სერგო გორგაძის მიერ შედგენილი აკაკის (1915—1916 წწ.) ბიბლიოგრაფიაც. მაშ ვიკითხოთ, როდის არის დაწერილი აკაკის ლექსი „რას წკმუტუნებს ის პატარა მურა“? როდესაც ამას გამოვარკვევთ, მაშინ ისიც გამოირკვევა, თუ ვის შესახებ არის დაწერილი ეს ლექსი და რომ დ. ფალავას მიერ გავრწინილი და „მნათობში“ გადმოცემული ამბავი ამ ლექსების შესახებ მართალი არ არის.

ამისათვის საჭიროა გავიხსენოთ წარსული საუკუნის მე-80 წლები და ის, თუ რა მდგომარეობაში იყო რუსეთის კოლონიალ დადაქცეული საქართველო.

მეფის ცენზურა ვახ. „ივერია“-ში სიტყვა საქართველოს წითელის მელნით ამოგვიშლიდა ხოლმე და ამის მაგივრად გვიწერდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაო. თითქმის დღე და კვირა არ გავიდოდა, რომ დაბეჩავებულ საქართველოსათვის მისდა დასამცირებლად და აბუჩად ასაგდებად მეფის მოხელეებს წიხლი არ წაეკრათ საქმითა ან წერილობით. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საქართველოს ეკლესიის განსაგებად რუსეთიდან გამოგზავნილმა ექსარხოშიაც კი ქართულ ენას ძალღების ენა უწოდა და როდესაც განსვენებული დ. ყიფიანი ამას გამოეხმაურა, რუსეთში გაგზავნეს და თავი ქვით გაუქუჭყეს. მოიგონეთ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის წერილები კატკოვისა, იანოვსკისა და სხვათა შესახებ.

თუ ისეთი „წარჩინებული“ რუსეთის მოხელენი, როგორნაც იყვნენ ექსარხოში, კატკოვი და იანოვსკი, საქართველოს ასე უდიერად ექცეოდნენ, რას იზამდნენ წერილფება ვიგინდარა მოხელენი, რომელნიც ფეხის თითის წვერებზე დგებოდნენ, რომ საქართველოს ერი შეელახათ რითიმე და ამით მარაქაში გარეულიყვნენ. აი, სწორედ ასეთ ხანაში 1888 წ.

ქართველობამ რამდენიმე დღის განმავლობაში სამის მსახრე განიცადა უდიერი შემოტევა და არასაკადრისი საქციელი.

ვიდრე ამ ამბავს აღენიშნავდე, უნდა განვმარტო, რეჟიმე ვეფხე, ე. ი. 1888 — 1889 წ., ტფილისში გამოდიოდა ყოველთვიური „გეგმატის“ ულ მურიეს რედაქტორობით.)

ვინ იყო ეს მურიე? რამ გადმოავლო იგი საქართველოში და რა ნიადიგი ჰქონდა ფრანგულ ჟურნალს, ეს ეხლაც ძნელად გამოსაცნობია. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მაშინ ტფილისში გეროპის ყველა დიდ სახელმწიფოს და მათ შორის გერმანიასა და საფრანგეთსაც თავისი კონსულები ჰყავდათ, და რამდენადაც გერმანიის კონსულის არსებობა ჯეროვანად და მიზანშეწონილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რადგან ტფილისში გერმანიის ქვეშევრდომნი მრავლად სცხოვრობდნენ და, ამას გარდა, ამიერ-კავკასიაში ბევრი ზოფელი იყო გერმანელებით დასახლებული, იმდენად გაუგებარია რისთვის იყო საფრანგეთის საკონსულო დაწესებული, რადგან ამიერ-კავკასიაში არც ერთი ფრანგებით დასახლებული ადგილი არ მოიპოვებოდა და ტფილისშიაც საფრანგეთის ქვეშევრდომს იშვიათად შეხვდებოდი. ეს მურიე?) რამ გადმოავლო საქართველოში, ვისთვის და რისთვის იბეჭდებოდა მისი ყოველთვიური ჟურნალი? ამის ახსნა და ვაგება ჩვენ ეხლაც-კი გვეძნელება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ერთ დღეს ამ მურიემაც სხვებთან-ერთად სახრე გამოქკრა ქართველობას. ამ გარემოებას ვაზ. „ივერია“ ჩემის წერილით გამოვხმაურა. ეს სახელდაზღელო წერილი შეეხებოდა მაშინდელ ოფიციალურ ვაზ. „კავკაზს“, მურიეს ფრანგულ ჟურნალს და ცირკს. ეს წერილი დაიბეჭდა 1888 წ. ვაზეთ „ივერიის“ № 21-ში, მხოლოდ არა სრულად, რადგან ნახევარი ცენზურის წითელმა მელანმა იმსხვერპლა. ამ გვარად, ვაზ. „კავკაზის“ თანამშრომელს ნება მისცეს შეურაცხება მოეყენებინა. და ჩვენ-კი პასუხის მიცემის უფლებაც წავგავრთვეს. საბედნიეროდ, ამ წერილის ერთი ანაბეჭდი დღემდე შემრჩენია და ამიტომ უმჯობესად მიმაჩნია, რომ ის წერილი ეხლა აქ აღენიშნო, რადგან იგი უკეთ ნათელჰყოფს როგორც ქართველების მაშინდელ მდგომარეობას, ისე მურიეს ამბავსაც. აი ეს წერილი:

სახელდახელო

(ებად-ასაღები — წყალ-წასაღები ამბავი)

როცა რომელსამე ერს კეთილის-ყოფელნი გამოუჩნდებიან, დაედადებიან, ეწვევიან, მაშინ ის ერი, ის ხალხი უდირისი იქნება, თუ ამ კეთილისყოფელთ ჯეროვანად არ დაფასებს, იმათის სახელს გულის ფიცარზედ არ დაიკდევს და რომლითა

1) Revue industrielle et commerciale“ (სამრეწველო და ინდუსტრიალური მიმოხილვა“), გამოდიოდა 1887 — 1889 წლებში, თვეში ერთხელ. 1889 წლიდან გამოდიოდა „La Caucase illustré“ („დასურათებული კავკასია“) 1893 წლამდე. რედაქტორი იყო ე. ი. ულ მურიე, გამომცემელი — მ ა რ ტ ი რ ო ს ი ა ნ ც ი.

2) უნდა შევნიშნოთ, რომ ეიულ მურიე ძალიან დაბალი ტანის კაცი იყო, შეტად გამწვანო და გაქვალტყავებული (აეტ.).

საწყაულოთაც კეთილის-მყოფელნი უწყობდნენ მას. ისიც იმავე ნაწყაულოთ არ მო-
უწყობს. აი, სწორედ ამისთანა გმირები გამოუჩნდა საქართველოს და ვალდებ-
ულნი ვართ, როგორც შემატრანემ, ვაგონოთ ერს მოვალეობა შევადგინოთ
ღირსეულთ უღირსად არ დაუბედეს.

დიდ, უნდა აღვიჩიოთ, რომ საქართველოს ერს ამისთანა კეთილის-მყოფელი
ამისთანა გმირი გამოუჩნდება და ერთი კი არა, სამი ერთად. ეს მშვენიერი სამი
თავ-გადაღებულთა ჩვენთვის, ილწვის, კანიღვანა ძვრება ჩვენდა გასანათლებლად.
ჩვენდა სასიკეთოდ, ჩვენდა სასარგებლოდ. მართალია, ეს სამი უცბონი არიან,
ვალმურნი, ხოლო მით უფრო სახელი და დიდება იმითვის, რომ ვალშიდგან გა-
მოღმა ზელს გვაწვდიან და ჩვენს თვალს ახილებას აპირებენ. იქნება ის გაიფიქ-
როთ, რომ მაგ სამი, თუ მართლა გმირობის ნიშან-წყალი მოხედეთ რამე, რატომ იქ
არ იგმირეს, საცა გმირებად იშენენ, ჩვენს მოედანზედ რად გამოსულან, ჩვენის
ბურთისათვის რად წაუვლიათ ამკლავებული ზღვები და შორს გატანას უპირებნით.
რად უნდა მოიკონ, სადა არა დაუთვისიათ რა და შეკრიბონ, სად არა გაუბნევიათ-
რაო. მაგრამ ტყელიად იფიქრებთ, ვინა არ მოგეხსენებათ, რომ არა არს წინასწარ-
მეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა.

ეს სამივენი ერთს საქმეს ადგიან, ერთს — ჩვენს მოედანზედ არიან გამოსულნი
და ერთს ბურთს ეტანებიან ვასატანად. ამისთან, როგორც იმათს სიგმირეს შეეფერ-
ება, გოლიათური ფანტაზიაცა აქვს თითოეულს მათგანს, საოცარი ფანტაზია, სა-
შინელი ფანტაზია, საზარელი ფანტაზია! მაშინვე ეტყობა, რომ იმათს გვაშში ვიჭ-
ვრთ სულია დაბინადრებული. ისეთი მდიდარი ფანტაზია აქვთ, რომ შეუღბლიანთ
ერთს მშვენიერს დღეს მონზლანის მთა შეა-მასხარში წამოიღონ და შეა-მასხარს-კი
საღრანგეთის პარლამენტში ამოაყოფინონ თავი. დიდებულ და საოცარ არიან თა-
ვიანთს წაყოფიერის ფანტაზიის წყალობით, მეოხებით, შეშწკობით და დიდებულ
და საოცარ არიან საწმენიც მათნი.

ამ ხაშში პირველის გმირის ადგილი უდევლად „კავკასის“ მეცნიერს პუბლი-
ცისტს ეკოთენის და ვერც ვერაინ შეეცილება. ამ გმირმა ბრძანა, რომ ვახუშტისა
და ვახტანგისა ნურა გწამოთ რა, დააწმუნებულნი იყავით, რომ შეთერთმეტე საუ-
კუნტმდე ქართველების სისილა და კვაჭანება-კი არსად იყოფო. ქართველები ჯერ
მაშინაც ბარბაროსები იყვნენ და არც ეხლა არიან განვითარებულნიო. ბრძანა, კო-
ლუმბისებური ღვაწლი დასდო ჩვენს ჭეყანას და ჩვენც თამამად ეხსენიებთ გმირად.
ზოგიერთი კინკვლიანი ადამიანი გამოჩნდება და იტყვის:

— კაცო, როგორ თუ შეთერთმეტე საუკუნემდე, მაშ მანამდის საღა იყვნენ
ქართველები, ვის ზემოდ, ვის ჭეშმოდ, აგრე ელდასავით საიღამ გამოტყერნენ, ცი-
დამ ჩამოვიდნენ თუ ჯოჯოხებითიდან ამოძვრნენო. ან აგრე უბამეოზდოდ, უბილ-
თოდ როგორ მოვიდნენ, იმისი მოწმობა მაინც როგორ არა ჰქონდათ, რომ „ბლა-
გონადიოენები“ არიანო. თუ გინდა აგრეც იყოს, ეს თავი ბოლოს რომ არ ებნის,
ეს როგორღაო. ესთქვათ — ქართველები შეთერთმეტე საუკუნეში გაჩნდნენ,
ესთქვათ — მაშინ ბარბაროსები იყვნენ და ესლაც განუვითარებულნი არიან. ეს ყვე-
ლა, ჯანი გაჰვარდეს, ჯამში მოვათავსოთ. მაგრამ ეს რუსთაველი ცილა, ეს „ვეფ-
ხის-ტყაოსანი“ საიდგან-ლა გაჩნდა? ამ ნაწარმოებს ყველა აქვს, ყველა განცვიფრ-
ბულია რუსთაველის ნიჭით და თავის დროის შესაფერ განათლებით. თვით უცხო-
ელნიც კი აქებენ, რომელთაც-კი წაუკითხავთ რამე და ან გაუგონიანთ „ვეფხვი-
ტყაოსანზე“. რუსთაველი შეთერთმეტე საუკუნეში იყო, ქართველი, ქართულია შეს-
თხზა „ვეფხვის-ტყაოსანი“ და მერე შეთერთმეტე საუკუნეში გამოჩეკლას ერში რო-
გორ გაჩნდა ამისთანა გენიოსი, ეს ხომ ბუნების წინააღმდეგიაო. ესთქვათ — გაჩნდა,
მაგრამ მაგარი ის არის, რომ მაშინ ხომ ბარბაროსი და განუვითარებელი- კი არა,
მეტად განვითარებული, მეტად ბრძენი და მეცნიერი ერი ყოფილა ქართველი ერით.

მოითმინეთ, ბატონებო, გული დაიშვიდეთ, დაწყარდით. ყველას თავის დრო
აქვს, ერთბაშად სოფელი ხომ არავის აუშენებია. დაცალეთ, დალოცვილბო-და.

მეცნიერება ლობიო ხომ არ არის, რომ ქოთანში ჩაყრისა და წიგნის მიტი აღარა უნდოდეს—რა, იმ „კავკაზის“ მეცნიერმა პუბლიცისტმა დღეს ეგ გვითხრა, რომ ქართველები მეთერთმეტე საუკუნეში გამოჩნდნენო, შეიძლება ხედავდნენ, რომ ქართველების მამათ-მთავარი ერთ-ერთი იმ ბატაგანი იყო, რომელიც რომი დელევისიგან გადაარჩინესო, რუსთაველი მოგონილია, სულ არ უნდა იყოს, სულ არ ყოფილაო; „ვეფხისტყაოსანი“-ს სკანდარნოვმა დასწერა და ამ ხუთის თვის წინად ახმატლეოვმა გამოსცა თავის წინასიტყვაობითაო.

თუ ეს ასე მოხდა, თუ ჩემი წინასწარმეტყველება აღსრულდა, ნუ გაგიოცდებით, ნუ გაგიკვირდებით, რადგან ფანტაზიის დიდი ძლიერება აქვს და „კავკაზის“ პუბლიცისტის მეცნიერება ხომ სულ ერთიანად ფანტაზიით იკვებება, ფანტაზიით მასწავლებს.

მეორე გმირი ვახლავთ ბ-ნი მურიც, უნივერსიტი რედაქტორი, უმშვენიერესის Revue industrielle et commerciale-ისა. ბ-ნ მურიც მეცნიერებამ უფრო სხვა თვალთ შეჰხედა ქართველებს, იმისმა ფანტაზიამ წარსულსა და მყოფს თავი დაანება და მერმისნოაც გადიხებდა. ერთის მხრივ „კავკაზის“ პუბლიცისტსაც-კი გადააკარბა.

„კავკაზის“ მეცნიერი პუბლიცისტი მხოლოდ ბარბაროსებს გვეძახდა წარსულში, განუეთიარებლებს — მყოფადში. ბ-ნის მურიც ფანტასტიური მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქართველების განვითარების, სწავლა-ცოდნის გზაზედ დაყენების იმედი არ უნდა მჭანდეს მთავრობას, ქართველები ეგრე მალე ეყრას ისწავლიანო. თუ მერმისში სიკეთე ვინდათ ამ შესაბრალისის ერისათვის — ბრიყე „ბიჩოებისათვის“, სამეურნეო გამოფენა გააშართეთ და როცა ყველა თავის ნაწარმოებს მანახავს, ბრიყეს „ბიჩოს“ მაშინ აეხილება თვალი, მაშინ ჩაჰხედება, მაშინ დაიდგავს თითზედ კბილსა, მაშინ გაიგებს, რა წითელი კოკიცა ბრძანებულაო.

ბ-ნ მურიც მიკროსკოპით აღკურვილა, გაუსინჯავს ქართველების — „ბიჩოების“ ავ-კარგვიანობა და იმ აზრისაა, რომ თუ „ბიჩოს“ თავის მოყვანილი ქერი და პურჩი აკუნენ, გაპბრძენდებო, თუ „ბიჩოს“ თავის დაყენებული ღვინო დაანახვენ, გაპმეცნიერდებო.

ბ-ნს მურიც, აშკარაა, აქ ძალიან გადაუტოპია. აქაც, რასაც ვერცხვია, ის ყოველდღე ძლიერი ფანტაზია ჰმოქმედობს, რომელიც ადამიანს გონებას უბზობს, ტვინს უზნელებს და სასაცილოდა მხდის. ის მაინც რატომ არ მოაგონდა, რომ თუცა ავტო თითობს რამდენი ხანია დაყურებს და თავზე ევლება თავის ნაწერებს, მაგრამ აქამდე ვერ დაუნახავს, რა წითელი კოკი ბრძანდება, გვებრალებს ბ-ნი მურიც ვითარცა წინასწარმეტყველი, შეურაცხი სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა, ხოლო ეწიშობთ, რომ ეგვე წინასწარმეტყველი მურიც შეურაცხ არ იქმნას სოფელსა სხვისსა და სახლსა შინა სხვისსა.

მესამე გმირი ვახლავთ ბ-ნი მაქსი, ის მაქსი, რომელიც ცირკში ბინადრობს, ტაკი-მასხარობს, მალაყებს ვადადის, პირზე მურს იგლესავს და სულელის ჩამს იხურავს თავზე. ამ მასხარას დიდი სახელი აქვს გავარდნილი ტფილისის კინტოებში და დიდებოთაც ატარებს ამ სახელს.

მაქსს გმირს იმიტომ ვუწოდებთ, რომ დაუწერია პანტომიმა, ამ პანტომიმისათვის „თამარ მგფე“ დაურქმევია და აზენებს საზოგადოებას, თამარს პანტომიმაში ეშმაკები იჭერენ, იტაცებენ და ჯოჯოხეთში მიჰყავთ, მხლებლები თამარისანი, რომელთ რიცხეში თვით ბ-ნი მაქსიც ურცვია, ვიერებზედ მხედრებულან და დაეძებენ დედოფალსა.

როგორც ხედავთ, ბ-ნი მაქსი თავის ხელობას ადგია და მშვენიერადაც ასრულებს ამ ხელობას — ტაკი-მასხარისას. მაქსი ჰხუმრობს, იღრთავს, იკიშება, ცერებზე დგება, თვალებში შესცქნავის ტფილისის კინტოებს, რომ როგორმე დიმილი დაინახოს იმათს პირისაზე, იმათი ქება და ზოტა გაიგონოს. ამ საქმიისთვის მაქსს იმდენი ტაკი-მასხარული თავხედობა გამოუჩენია, რომ თამარსაც-კი საჭართველოს

ერის სათაყვანებელს, საქართველოს წმინდა დედოფალს, მისწუდენია და კასაკლო მასალად ვაღებია.

ჩვენ აქ მაქსის გენიოსურ ტაკი-მასხარობად უფრო ის მივეჩქვით, ვიდრე საქართველოს ერს სულელის ჩანსა ჰხერავს, ემასხარავენა, თითონაც კი უფრო მეტად ვაღებია, მაგრამ ამ ერის დასამკირებელ მასხარობის საყურებლად თვით იმათვე ართმევს ფულსა, ჯერ ხომ თავხედობს, აზიარებებს ერსა, ფულსაცა სთხოვს: ჯიბეები გადმოიპირ-ქვავს. გროშები ჩამითვალე, მობრძანდი ჩვენთან და მიყურე, როგორ აგიგდებ მასხარად. თქვენს თავადიშვილებს ვირებზე შევსვამ, თქვენ მიერ მოწიწებით და კრძალვით სახსენებელს თამარს ცირკის სცენაზე ბუქნას ჩამოვატარებო, და აგერ მიდის, მიეშურება ხალხიც ცირკში, უკანასკნელს გროშებს იხდის, რათა ბ-ნ მაქსის მიერ გაზიარებულ და მასხარად აგდებულ იქნას.

საკვირველი, საოჯარი ფანტაზიაა — თამარი და ვირებზედ ამხედრებულნი მხედარნი, განა რომ უჩაღი ტაკი-მასხარა ყოფილა მაქსი. მართალია, თითონაც ვირზე შემჯდარა, მაგრამ მაქსისათვის განა პირველია ეს ამბავი; მაქსი, პირ-იქით, რაც დაბადებულა სულ ვირზედ ჰზის და კუდი ხელში უჭირავს. საჭმე ის არის, სხვებს ჰხამს ვირზე და თან ფულსაცა სტყუებს...

ორ-ანი¹⁾.

ამ წერილის დაბეჭდვის მე-14 დღეს „ივერიის“ რედაქციაში აკაკი შემოვიდა და დასაბეჭდად გადმოგვცა თავის ხელით დაწერილი ლექსი „პატარა მურა“, რომლის წაკითხვამაც ალტაცებაში მოგვიყვანა. აი, შინაარსი იმ ლექსისა:

პატარა მურა.

რას წუწუნებს
ეს პატარა მურია?
ხომ არ შია?
და ან ხომ არ სწუტრია?
ვისი არის?
და ან სადაურია?
ქუსი! ქუსი,
კუდ-ჭიკინა მურია!
რომ არ მოდის,
თითქოს უმადურია!
რა ყოფილა,
დაბეთ, ბრიყვი მურია!
კიდევ რომ ვეფს,
სწორეთ უცნაურია!
გაზი!... გაზი!..
სალახანავ მურია.
მისი ყფა
მარტო მხოლოდ შურია.
ვის აშინებს
საცოდავი მურია?

¹⁾ ამ წერილის ამონაბეჭდი ავტორმა რედაქციას წარმოუდგინა. რედ.

მაგის ხერხი.
ერთი ლექსა პურია!
გადაუგდეთ,
გაჩუმდება მურია:
ვინც-კი ატყვევს,
მისი შინაურია,
იმას შონებს
კუდაბზიკა მურია.
ან კი რა ჭნას?
ბუნებით უძლურია!
ჭუცი! ჭუცი!..
შე საბრალო მურია!..



გამოქვეყნებას აკაკის მიერ ლექსის მოტანამდე სხვა ამბავი დაერთო. „სახელდახელოს“ დაბეჭდვის მე-2 დღეს ჰავცავადეს ეწვია თურმე ეიულ მურიე და და პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ დაწერილ წერილის გამო (შე ამ ამბავს პირადად არ დაესწრებოდა, რადგან მურიე ილიას სახლში სწვევოდა და არა რედაქციაში, და ამ ამბავს ილიას ნაამბობიდან გადმოგვცემთ). ამის პასუხად ილიამ, რომელმაც ფრანგული არ იცოდა და მურიე კიდევ რუსულს ენას მტერგვით ლაპარაკობდა, განუცხადა თურმე: „რა გაეწყობა, რაკი შეურაცყოფილად გიგზრძენიათ თქვენი თავი, პასუხი მომთხოვეთ და იძულებული ვიქნები თქვენი მოთხოვნა დაეკმაყოფილო“. ამ დროს თურმე შემთხვევით ილიას მაგიდაზე იდო ყუთი, რომელშიაც სადუღელო დამბაჩები ეწყო, ილიამ თურმე გადახსნა ეს ყუთი, მურიეს დაანახვა და უთხრა: „мусье, я к Вашим услугам“. მურიე, რომელიც, როგორცა სჩანს, არა მარტო ტანითა და აგებულებით იყო პატარა, არამედ სულიერადაც დაკნინებული, აკანკალდა და შესძახა: „არა, კნიაზო, მე მაგისათვის არ მოვსულვარ, მე ქართველების შეურაცყოფა არ მინდოდა და თქვენი გაზეთის თანამშრომელს უდიერად არ უნდა მოვეხსენებინეო“. ამითი განშორდნენ თურმე ილია და მურიე ერთმანეთს.

სწორედ ამის შემდეგ მოიტანა აკაკიმ თავისი ლექსი მურიეს შესახებ. ამ ლექსის მოტანის ამბავი ილიამაც შეიტყო, მით უმეტეს, რომ მაშინ ლექსებს თითონ ილია უწევდა რედაქციას. ილიამ გვითხრა: „ამ ლექსს ჯერჯერობით ნუ დაბეჭდავთ, რადგან მურიემ შეიძლება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილის ამბავი საფრანგეთის კონსულს აცნობოს, კონსულმა თავის მხრივ მთავარმართებელთან დაგვასმინოს და საქმე გართულდესო. ამიტომ სჯობს, რომ მაგ დაბეჭდვით საკითხი უფრო არ გავამწკვეოთ“.

გაზეთის თანამშრომლებს და მათ შორის მეც, რაღა თქმა უნდა, ძალიან გვინდოდა ამ ლექსის დაბეჭდვა, რადგან ვინც იცნობდა მურიეს და ვისაც ენახა, წაიკითხავდა თუ არა ლექსს, მაშინვე მიხედებოდა, რომ იგი მურიეს შეეხებოდა. ლექსის სიტყვებით „პატარა მურია“, „ვისია ან

სადაურია“ — მურიეზე ზედ გამოქრილი იყო. მაგრამ ილიას სიტყვების შემდეგ იძულებული გავხდით ეს ლექსი არ დაგვებეჭდა.

როგორცა სჩანს, აკაკის ეს ლექსი ხელთ შერჩენიან *ქუთუღსაჲს* 1894 წელს თავის წერილს „სიკვდილს“ სწერდა, გახსენებდა *ჰგმ/ტმ/შმ* მოუთავსებია, და კიდევ ამიტომ ათქმევინებს „შერცხვენილს თანამშრომელს“, რომ „ეს ლექსი ეხლა არავის არ შეეხებო“. ეს ლექსი „ჩიორას“ შესახებ რომ ყოფილიყო დაწერილი, აკაკი თავის „შერცხვენილ თანამშრომელს“ ზემოდ აღნიშნულს სიტყვებს არ ათქმევინებდა, მით უმეტეს, რომ 1894 წელს „ჩიორა“ „ივერიის“ რედაქციაში იმყოფებოდა და ყოველ კვირა მისი „წიკბურტები“ იბეჭდებოდა.

მკითხველი აქედან დარწმუნდება, როდის და ვის შესახებ არის დაწერილი აკაკის მიერ ლექსი „მურია“ და რომ „ჩიორა“ აქ არაფერ შუაშია, მით უმეტეს, რომ 1888 წელს ფსევდონიმი „ჩიორა“ სულ არა არსებობდა და ამ ფსევდონიმით მხოლოდ შემდეგ დავიწყე წერა.

**პლატონ იოსელიანი, — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა
ა. ბაქრაძის წინათგონით, შენიშვნებითა და რედაქციით.
„შაბდაცხია“ 309 გვ.**

ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია ისტორიული მონოგრაფიებით. პლატონ იოსელიანის თხზულება შრავალი მხრით სანტერესოა თანამედროვე მკითხველისათვის. ისტორიულ პროზას, თუნდაც მარტოოდენ ისტორიოგრაფიულ ხასიათისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ პროზისათვის, აგრეთვე ამა თუ იმ ეპოქის მეტყველების შესასწავლად.

სარეცენზიო წიგნი ეხება საქართველოს სამეფოს უკანასკნელ წლებს, გარდამავალ პერიოდს, მე-18 და მე-19 საუკ. მიჯნაზე მდებარეს.

ავტორი მონოგრაფიისა თავათავე აღიარებს: „მოთხრობათა ამით ჩემთა ნაწილ-ნაწილ და ნაჭერ-ნაჭერ შეკრებილთა და დაწერილთა უძღურებისა გამო და თვალთა სისუსტისა, ვერ მივეც სისტემა სინტრონიზმური“. მართლაც და ფაქტიური მახალის დალაგებაში ქრონოლოგიური თანამიმდევრობა არაა დაცული. ავტორი ზმირად 1800 წლის ამბავის თხრობას დააგდებს და მოულოდნელად 1812 წლის ამბავზე გადავა, მერე ისევ უკან დაბრუნდება. ეპოქალურ ამბების განმარტებაში რაიმე სახელმწიფო, სახეებით უმნიშვნელო დეტალს დაუწყებს კრიკიტს, მერმე რაიმე ლექსს ან რომელიმე საშლდელო პირის ეპისტოლეს ჩააყვრებს და ა. შ.

ავტორი განსაკუთრებული ერთდღითა, მაგრამ დიდი ისტორიული მასშტაბები არ მოეპოვება მას. იგი არ აშუტებს იმ დროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრეს ტენდენციებს, ირანის, თურქეთის და რუსეთის ურთიერთშორის ბრძოლის უმთავრესს მომენტებს, იმ დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვის მთავარ მიზეზებს.

მონოგრაფიას უაღრესად ნაძალადევი ტენდენციები ახასიათებს; საერთოდ პლიოსელიანის შრომა კიდევ ერთხელ ამტკიცებს: „ეინც ვერაა კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“. ათასგზის ცდილობს იოსელიანი დაამტკიცოს, რომ გიორგი მეცამეტე ყოფილიყო თითქოს „ღირსებით აღსავსე“ მეფე. „სწორედ ჰქვიანი“, „თვით სარდალი“, „თვით მსაჯული“, „ეთარცა ლომი“.

გიორგი XIII-ს მმართველობის ნაყოფი იყო საქართველოს ისედაც არეულ სამეფოს უარესად აღრევა.

ქვეყანა ნადგურდებოდა, ირღვეოდა მისი პოლიტიკური და სოციალური ნაგებობა. ასეთ დროს მეფე „მეტყელმერთობას“ ეწეოდა, დადიოდა მონასტრიდან მონასტრად და ლოცვებს ალაკუნდა. გიორგიმ და მისმა წინამორბედებმა შესულმანური აღმოსავლეთი გადააკიდეს საქართველოს და, რა სავერველია თუ შედეგად იმისა ქართველ ხალხს მონობის უღელი დაადგა მეფის რუსეთის მთავრობამ.

პლატონ იოსელიანი დიდად განსწავლული მწერალია. ერთდღითა და განათლების მხრივ მეტყვამეტე საუკუნის ჩვენ მოღვაწეთა შორის ბევრი ვერ შეედრება მას.

უკვე დიდი ხანია უარყოფილია ის ზღაპარი, თითქოს პავლე პირველსა და ალექსანდრე პირველის სოლდატესკას ეთომიდაც კულტურა მოეტანოს საქართველოში, ან საერთოდ კავკასიაში. ასე რომ მონოგრაფიის ავტორი თვით ისტორიამ გაამტყუნა.

რა თქმა უნდა გიორგი XIII მარტო არა ყოფილა. მის ბევრ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ და ჩინ-ორდენების მანით შეპყრობილი არისტოკრატია საქართველოსი.

პლატონ იოსელიანის პოლიტიკური კონცეპციაც რეაქციული იყო. იგი ამოდებდა ქართული „პარტიოტიზმისა“ და რუსული მონარქიზმის მხარს. მისი პოლიტიკური კონცეპციის შესაძლებლობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თავით გიორგი XIII-ის ცხოვრება ფრიად საინტერესო თემაა ისტორიული რომანისათვის. ვადაგვარებული, ცრუმორწმუნე, ობსკურანტი ჰიპოზონდრიკი, უძლური და საკუთარი უნიათობით გაბოროტებული, საკმაოდ განსწვავლული, მაგრამ დაბნეული, — მანეკენებით იგი რუსეთის პეტრე III-ის წააგავს, ჰიპოზონდრიით — ფრიდრიხ მეორეს, — პრუსიის მეფეს, ბევრ რამეში — საქსონელ მეფეებსა და იტალიის რენესანსის დროინდელ ტირანებს.

ხანდახან ავტორს სწავლია ხოტბა შეასხას მეფეს, ამავე დროს მას სასაცილოდ და უმწეოდ ზღის მკითხველის თვალში.

ავილოთ თუნდაც კერიოზული ლახერის მოტანა სომხეთიდან, ავტორს უნდოდა მეფის „შორსმჭვრეტელობის“ ნიმუშად მოეტანა ამ ლახერის ისტორია. არსებითად მკითხველს ეცინება. ამ სისხლის წვიმების დროს მეზობლებთან დაზავების ნაცელად, ვითომდაც „სასწაულ მომკმედ ლახვარს“ მოატანინებს მეფე სომხეთიდან და მერე აღარ უბრუნებს უნან.

იოსელიანის შრომაში დიდძალი მასალაა მოგროვილი, გიორგი მეფის თანამედროვე საქართველოს დეტალები, მის თანამედროვეთა ჩვენებანი, ცალკეული სურათებიც მრავალია ფრიად საინტერესოდ, ვულმოდგინედ შესრულებული.

„ცხოვრება“ არაა ისტორიული მონოგრაფია, რადგან მას აკლია ისტორიული პერსპექტივები, საქართველოს გარეპოლიტიკური სიტუაციების მიმოხილვა, XVIII საუკუნის პოლიტიკის ლეიტმოტივების ჩვენება და განმარტება, საუკუნის საერთო ინტერესთა ფოკუსში საქართველოს ეროვნული ინტერესების ადგილის მოძებნა. საერთოდ მასში უმთავრესი ხშირად დეტალების გამოკიდებით მიჩქალებულია.

არც ისტორიულ რომანს წააგავს იგი, რადგან მასში არც სოფეტის თანმიმდევრულად განვითარებაა, არც რაიმე რომანიული ინტრიგის გარშემო ამბის დაქველვა. ავტორს უცქველად მოეპოვება მხატვრულად თხრობის უნარი, მაგრამ ტიპურს ვერ იჭერს მისი თვალი, ამიტომაც სინგულარული და კერიოზული ხშირად ჩრდილავს ტიპურ მოვლენათა ანსამბლს. ეპოქის სული ალაგ-ალაგ ჩინებულათაა დაკერილი, მაგრამ ავტორს სინთეტიური ჩვენების უნარი აკლია.

პლ. იოსელიანის თხრობის მანერა ფრიად საინტერესოა და გულისყურის წარმტაცო. ენის გამო უნდა ითქვას იოანე ბატონიშვილის შემდეგ ასეთი ენა არავინ მოგუხვება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის ქართველ პროზაში. სამწუხაროდ ავტორს აქა იქ ხორკლიანი სტილი აქვს, მდიდარი ლექსიკონით, ალაგ-ალაგ უეცარი ბარბარიზმებით შერყვნილი. საოცარია ასეთ დიდ მკოდნეს ქართული ენისას ერთობლივი მართლწერა არა აქვს, შესაძლოა ესეც მიზრწნილებაში გადაამდგარ ავტორის უძლურებას მიეწერებოდეს.

მიუხედავად ამისა, „გიორგი XIII-ის ცხოვრება“ ფრიად საინტერესო მასალაა. მას უცქველად გამოიყენებს ოდესმე კარგი რომანისტი.

ახლა რედაქტორის მუშაობის გამოც უნდა მოგახსენოთ მცირეოდენი. ა. გ. ვ. წერელია ფრიად მუყაითი და სინდისიერა რედაქტორია.

წინათქმიდან დავიწყეთ. ფრიად საინტერესო მიმოხილვა წაუშობლვარება რედაქტორის „ცხოვრებისათვის“. ვიტყვოდი: ამ წერილებში აღმრული პრობლემები უფროსი განვიცო ავტორს, მკითხველი უთუოდ მოიგებდა.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამხ. ვაწყერელის ზოგიერთ საკითხში.

თუმცა ვერ ორბელიანისა და პლ. იოსელიანის ენობრივი პოზიციები ურთიერთს ემთხვევოდნენ ხშირად, სამაგიეროდ მათი ლიტ. პრაქტიკა სავსებით განსხვავებულია. იოსელიანი ქართული სასულიერო-ლიტერატურის ზეგავლენას განიცდის, ხოლო გრ.

ორბელიანი, ზემი აზრით, უაღრესად კლასიკური ენის კონსტრუქტორი მშვენიერია. მე დავსძენდი, იგი იყო საერო ქართულის უწარჩინებულესი ადამიანი.

სად პლ. იოსელიანის „უფლება“, „ფაშილია“, „უეზდა“, „ქრეშტა“ და სხვა, და სად გრ. ორბელიანის მშვენიერი დარბაისლური ქართული „აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მწერლები, როგორც გრ. ორბელიანს ებრძოდნენ ენის საკითხებში, ბოლოს უაღრესად აფასებდნენ მას ამ მხრივ.

ა. გაწყურელის წინათქმა საერთოდ კარგი ქართულითაა დაწერილი და მით უფრო გამოიყვირდა ასეთი უხერხული თქმები სხენებულ წერილში:

„რასაკვირველია იგარძნობა გაზევიანობა“ (გვ. 21)... *

„ატარებს უკიდურესი კონსერვატიზმის სახეს“ (გვ. 23).

„ორბელიანის სიტყვებს... მხოლოდ ქუმორი გასდევთ (?)“ გვ. 31, „მარტივი, დაბალი და ყოველგვარ სტილიზაციას აცილებული“ — „კერესელიძის გალექსილი (თუ კერესელიძის მიერ?) ...“წინააღმდეგობაში ჩაუდგა პლ. იოსელიანის თარგმანს“ და სხვა.

საერთოდ პლ. იოსელიანის ამ ნაშრომის გამოცემისათვის დიდი მადლობა გკეთვებით, როგორც გამომცემლობა „ფედერაციას“, ისე ამ წიგნის რედაქტორს, რომელიც სარეცენზიო წიგნს დიდის სიყვარულით მოჰკიდებია. რედაქტორი კარგად იცნობს მე-XIX საუკუნეს.

კონსტანტინე გამახუროდა.

ბ. ბრიკის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძე

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე ქართული ხალხის ფართო ფენების ფიქრთა მფლობელი იყო. პოეტი-მოაზროვნე, რომელმაც მშობლიურ ნიადაგზე გადაიტანა დიდი „სამოციანელების“ — ჩერნიშევსკის, ბელინსკის, დობროლიუბოვის საუკეთესო ტრადიციები; პოეტი-მოქალაქე, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში უმღერა ხალხის მწუხარებას თვით ხალხისავე ენით; მხატვარი-რეალისტი, რომელმაც თავისი თავი უკვდავყო გლეხ-მეამბოხეთა საუკუნო სახეების (კაკო, გაბრო) შექმნით და იმავე დროს მოგვცა გახრწნილი თავიდაზნაურობის ტიპები (ლუარსაბ თათქარიძე და სხვები), — აი ეს დიდი პოეტი არაფრად ეპრიანებოდათ ქართველი ხალხის უბოროტეს მტრებს — მენშევიკებსა და ტროცკისტებს. ფაშიზმის ცნობილი ლაქია ნოე ეორდანი 1907 წლის სექტემბერს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ამ გამოწვეული მოღვაწის ვერაგული შეკვლეობის გამო სწერდა: „ხეს სჭრიან, ნაფოტები ცვივათ“. ტროცკისტები დიდხანს, მაგრამ უნაყოფოდ ცდილობდნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ამ დიდი მწერლისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწის სახელის ვატებას.

სამაგიეროდ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღირსეულად შეაფასეს დიდი მწერალი. წარსულ წელს მთელმა საბჭოთა კავშირმა აღნიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავი, საბჭოთა პრესამ და გამოცემლობამ სათანადოდ გააშუქეს მისი შემოქმედების როლი და მნიშვნელობა. საიუბილეო დღეებისთვის გამოცემულ იქნა აგრეთვე პოეტის ნაწარმოებთა კრებულები.

ასეთი გამოცემათა რიცხვს ეუკუენის „ზარია ვოსტოკას“ გამ-მის მიერ 1937 წელს ტფილისში რუსულ ენაზე გამოშვებული კრებული — ილია ჭავჭავაძის „ლექსები და პოემები“. თარგმანი შესრულებული ბ. ბრიკის მიერ. სამწუხაროდ, ეს თარგმანი არა დგას სათანადო სიმაღლეზე და ბევრ შემთხვევაში დამახინჯებულია ორიგინალის ტექსტი კი. კრებულში მოცემული თარგმანის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ სერიალული საფრთხე მოელის იმ სხვა პოეტების ნაწარმოებებს, რომელთა თარგმანიც დავალებული აქვს იმავე ბრიკს. ყოველ შემთხვევაში, ბრიკმა აშკარად ვერ დაძლია ნაკისრი ვალდებულება ისეთი პოეტის მიმართ, როგორც ილია ჭავჭავაძეა. მან დაანინა მუსიკალური ბგეროვანება ჭავჭავაძის ლექსისა, გაუფეროვანა მისი შეკეთი საღებავები და იმავე დროს გამოდიტა მისი ფილოსოფიური შინაარსი. რუსს მკითხველს ქართული პოეტი მრუდე სარკეში წარუდგა. ილია ჭავჭავაძის იდეური სახე დამახინჯებულია, წინააღმდეგ იმისა, რასაც წიგნის წინასიტყვაობა ამტკიცებს.

ნათქვამია ცხადსაყოფად საგნოა შევადაროთ ლექსის „გუთნის დედის“ თარგმანი ორიგინალს, სადაც პოეტი გლეხის მწუხარებას გადმოგვცემს გლეხის მადლიანი, მისთვის დამახასიათებელი ენით.

გუთნის დედა ასე მიმართავს ლაბას, ხარს:

„ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,

წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ",
ბრიკი ასე სთარგმნის ამ ფრაზას:

Тягостна, лаба, работа воловья
Но и мое ведь страдает сословье...



შემდეგ:

„ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი“.

ბრიკის თარგმანი:

„Бычьего что тяжелее ярма
Но ведь и я не живу задарма“.

ყოტა ქვემოთ გუთნის დედა ამბობს:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს“.

ბრიკი ეს ფრაზა მთლად გადაკეთებული აქვს:

„В мыслях о доле крестьянской не прав ты,
Не умерщвляя ты в груди своей правды“...

აქ ადამიანის ტანჯვა... ხარზე გადატანილი!

ასევე დამაბინჯებელია ყოველივე, რაც საუკეთესოა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია მისი პოეტური შემოქმედების გასაგებად. ავიღოთ პოემა „აჩრდილი“. ამ პოემაში ავტორი იძლევა თავისი დროის საქართველოს მთელი სულიერ-საზოგადოებრივი ვითარების ანალიზს, ხოლო პოემის ლეიტმოტივად წამოყენებულია შრომის განთავისუფლების იდეა. იგი ამბობს:

„შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი
ძღვეამოსილის ამ საუკუნის“.

ამ წინასწარმეტყველებას ბრიკი ასე გადმოგვცემს:

Свободы цель перед собою
Поставил славный наш народ...

გავიკო რა უღებზე გარიბალდის აჯანყების ამბავი, სტუდენტმა ჭავჭავაძემ, რომელმაც პირველად განიზრახა იტალიაში მოხალისედ წასვლა, აღფრთოვანებულნი პიზნი მიუძღვნა ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებას, რომელიც ასე იწყება:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბოკილის ხმა მტერებისა!“

ბრიკი მას ასე სთარგმნის:

Слышу я звуки, желанные
Звуки паденья оков!

პარიზის კომუნის დაცემის დღე ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა პრისხანე, აღშფოთებითი აღსაცემ ლექსით, სადაც ასეთი ტაქაია:

„კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,“

„ველავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელი სიყვარულის“.

ბრიკი ასე სთარგმნის ამ ტაგებს:

Пирует, глумясь преступленье,
Скорбит страдотерпица вновь.
И вновь проиграли сраженье
Свобода, весна и любовь.

Весна აქ ავტორს დასვირდა, ალბათ, მარცვლებს რიცხვისათვის.
„შემდგომი ფრაზა იწყება სიტყვებით“:

„ველავ ძირს დასცენ იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული“.

ბრიკმა ეს სიტყვები თავისებურად გადააქცია:

Версальцы набросившись своерой
Штыком торопясь заколоть
Ту истину..

ი. კავკავიძის პოეტურ მანიფესტში „პოეტ-ში, სადაც იგი პუშკინს გამოეხმურა,
ბრიკმა გაუფგებარი აბდა-უბდა შეიტანა:

ავტორს აქვს:

„მისთვის არ ვიმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტყბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაში“.

ბრიკის თარგმანი:

Мой дар вам кажется чудесен,
Но я не чуждый соловей.
Не для одних лишь сладких песен
Я послан родине своей...

დასასრულ ვიტყვი, რომ ბრიკის თარგმანში სრულიად მოულოდნელად მოიკოვლებს რუსული ენაც კი. რა გამოთქმაა, მაგალითად *ум лежащий без движения* („Совет бражника“), ან *„Мотылек прилег“* („გაზაფხული“). როგორ შეიძლება ისეთი სიტყვების ხმარება, როგორც არის: *„Повзрослея“* („ჩიტი“), *„Бездомная участь“* („მუშა“), *„В ночах дремлю“* („ჩიტი“), *„Поскребыши эпохи“* („პასუხის პასუხი“), *„Столетье летевшее вскачь“* („პარიზის კომუნა“).

ზოგჯერ რითმისთვის ბრიკს ლექსში კავკავიძის პოეზიისათვის სრულიად მიუღებელი სიტყვები შეაქვს:

Волосья — сословье, вражьей — кражьей, любовью — гнездовье, ярма — за-
задарма, кровью — сыновью და სხვ.

ბრიკმა ვერ გაიგო კავკავიძის შემოკმედება, ამასთან თარგმანი შეასრულა სასწრაფოდ, დაუვირევბლად და სრულიად დამაბინჯებელი ტექსტში მიაწოდა მკითხველს.





სანდრო ეული, როგორც ცნობილია, საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა გაიარა. თავისი პოეტური შემოქმედების დასაწყისშივე მან მთავარ მიმართულებად წარმოადგინა ბრძოლისა და შრომის პანგეია. ამ მხრივ სანდრო ეულის პოეტურმა მემკვიდრეობამ ათებდა პარტიულობა და საგნებისა და მოვლენების ფიზიკური პოლიტიკური შეგნებით ათვისება. პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებიდანვე აქტიური იყო მუშათა კლასის მებრძოლი, ნათელი ოპტიმიზმით, იგი მღელვარე პანგეებს უძღვნიდა ხალხის ისტორიულ ბრძოლებს და მის გამოჩენილ წარმომადგენლებს. ეპოქის ამ დაკვეთას პოეტი პირნათლად ასრულებდა. ეს უკვევლად ღირსება და დამსახურებაა სანდრო ეულისა.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეული ხანდახან უყურადღებობას აჩენდა ლექსის ისტორიულობისადმი. ის ყოველთვის თანაბარი ენერჯით არ იბრძოდა ლექსის კულტურისათვის. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მცირდებოდა ლექსის ემოციური ზედმოქმედების ძალა მკითხველებზე. ლექსს სჭირია შინაგანი სითბო, ურომლისოდაც ის მკითხველს გატაცებით ვერ აღაფრთოვანებს. სანდრო ეულის პირველი პერიოდის ლექსებს ნაწილობრივად აკლდა ეს შინაგანი სითბო, მათ რამდენიმე რიტორიკისაყენ გადახრა ახასიათებდა.

უკანასკნელი წლის მანძილზე სანდრო ეული სკადა აღნიშნული ნაკლის დაძლევა. პოეტმა კარგად გაიგო, რომ საჭიროა პოეზიის, ლექსის გამდიდრება იმ უდიდესი მიღწევებით, საუკეთესო ტრადიციებით, რომლებიც კლასიკური ლიტერატურაში დაგვიტოვა.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს სანდრო ეულის სრულ ნაწარმოებათა მეორე წიგნს და შეიცავს უმთავრესად 1934 წლის დაწერილ ლექსებს. ლექსების პირველი ციკლი ავტობიოგრაფიული შინაარსისაა. გარდა ამისა, ამ ციკლში პოეტი ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა არის პოეზიის დანიშნულება, რას წარმოადგენდა მისი ლექსი გუშინ, რას წარმოადგენს იგი დღეს და რა იქნება ხვალ. „ახალი ლექსი“, „პატაკი პარტიას“, „პასუხად“, „ოცდა ორი წლის“, „ლექსი“ და „ფიცი“ არსებითად არკვევენ ლექსის დანიშნულებას თანამედროვე ეპოქაში. პოეტი უარყოფს ისეთ ლექსს, რომელსაც არ ექნება მძაფრი პოლიტიკური სიმახვილე, რომელიც მტრის გულს არ მოჰკლავს და მოყვარეს არ გაახარებს. ლექსი, მისი აზრით, უნდა იყოს ფოლადისებურად მტკიცე, ეპოქალური და ცეცხლოვანი გატაცებით სავსე. ლექსი პოეტისათვის ტყვიაა, რომელსაც იგი მტრის გულს არასოდეს არ დააცილებს.

პოეტი თავის თავზე ამბობს: „ვერვინ იტყვის, ეპოქისათვის არ მიწერია, ჩემი ლექსებით დღესაც ბევრის გული იხარებს“. სანდრო ეული თავის ლექსებში ყოველთვის ნაზვანებით მიგვითითებს მტერთან ბრძოლაზე. იგი სწერს:

„ცდება, ვინც ფიქრობს, რომ მე დღეიდან
ველარ აფეხები ეპოქის ლელვას,
მტერს ვერ მივაწვდი ტყვიებს ლექსიდან,
ო, არა, ისევ დაესკექ სიმღერას
მე პოეზიის მალალ მთებიდან“.

ლექსში „პატაკი პარტიას“ პოეტი ახდენს თავისი ზოგიერთი ძველი ლექსის გადაფასებას, აღიარებს, რომ ამ ლექსებს უკვე „ფარავს დროთა მტერი“, და მკითხველს ჰპირდება, რომ:

„ხვალ ძლიერი ხმით ვიმღერებ,
ვიდრე დღეს და გუშინ,
მტერს ხმალივით ჩაესობა
ჩემი ლექსი გულში“.

აღსანიშნავია ლექსების ის ციკლი, რომელსაც ეწოდება „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი“. აქ ასახულია საბჭოთა საქართველო, თავისი დიდი კლასობრივი ბრძოლებით წარსულში, დიდი სოციალისტური მშენებლობით, თავდადებული შრომით და საამური ცხოვრებით აწმყოში. ამ ციკლის ლექსები დაწერილია პუბლიცისტური პათოსით, მაღალი და აღფრთოვანებული განწყობილებით. ლექსებში იგრძნობა სიამავე და სიხარული, რომელსაც პოეტში ორდენოსანი საქართველო იწვევს.

„შეხვედრია“ სიუჟეტურად გამართული ლექსია და გვიხატავს კონკრეტულ ფაქტს, — ფშაველის ბელადთან შეხვედრის ამბავს. ლექსი დაწერილია დინჯი ეპიური თხრობით და გულწრფელობით.

ლექსების ამავე წიგნში მოთავსებულია სამი პოემა: „გმირი“, „ქალადიდი“ და „ფოლადის პოეტი“. „გმირი“ ეპიური ბალადაა, უბრალოდ და ხალხის ენაზე დაწერილი. იგი გვისახავს ჩვენი ცხოვრების ერთ გმირულ მომენტს:

ორ შვილის აღმზრდელს
 ორ ვაჟის დედას,
 ახალ ცხოვრებას
 რომ უშვებს, ხედავს,
 წინ რომ უძღვება
 დღეს სოფლის საბჭოს, —

მოსდის ცნობა უფროსი ვაჟის, ჩვენი სამშობლოს გმირი-მესაზღვრის დაღუპვის შესახებ. უმცროსი ძმა სტოვეებს დედას და ცოლს და ძმის დაცარიელებულ ადგილს იკავებს. ლექსის დასასრულს ამ უმცროსი ძმის წერილია: „ვინც ჩვენი ქვეყნის დროშას მაღლა წევს, ვინც რომ აგვინთო რწმუნის ლამპარი, ბედნიერების გავვიღო ყარი, ვინც ძალას გვაძატებს, ბრძოლას გვაწაფავს, მის სურათს ვგზავნი წარწერით — სტალინი“. ბალადა დაუსრულებელი ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვეებს.

პოემა „ქალადიდი“ განახლებული კოლხიდის თემაზე დაწერილი ნაწარმოებია. ამ პოემაში ავტორი გვიხატავს შავბნელ და კოშმარულ წარსულს, რათა უფრო ცხადად და თვალის მომჭრელად გვიჩვენოს დღევანდელი დღის სიმდიდრე. პოემის სიუჟეტური განვითარება პრიმიტიულია, ის პოემა კი არა, უფრო ვრცელი ლექსია. პოემის ნაწევრებია, თუმცა ამ ნაწარმოების ღირსება ის არის, რომ მასში ნაკლებია რიტორობა და პუბლიცისტური მსჯელობა.

„ფოლადის პოეტი“ ცდაა ბელადის სახის მოცემისა. პოემა ორიგინალურად არის დაწერილი. განსაკუთრებით რელიეფურად და სრულად არის მოცემული სტალინის სიჭაბუკის წლები. პოეზიისათვის ეს მეტისმეტად დიდი და რთული თემა ავტორს არ აჭვს საესებით და ამომწურავად დაძლეული, თუმცა პოემაში ბევრი კარგი ადგილია.

სარეცენზიო წიგნი მაქვენებელია სანდრო ეულის შემდგომი წინსვლისა და შემოქმედებითი ზრდისა. რასაკვირველია, მის პოეზიას ჯერ კიდევ ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი და სისუსტე. მისი ლექსები ჯერ კიდევ არ არის მდიდარი სათანადო პოეტური აქსესარებით. აქა-იქ კვლავ შეხვედებით მხატვრულობას მოკლებულ თქმებს.

პოეტის ნაკლი და სისუსტე ისიც არის, რომ ის ზოგიერთ თავის ლექსში ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას კი არ გვისახავს, კი არ გვიჩვენებს, არამედ გვიმტკიცებს და პუბლიცისტურ მსჯელობაში ვარდება. ეს ნაკლი წინაღ უფრო მეტად იგრძნობოდა ეულის პოეზიაში, ახლა მისგან პოეტი რამდენიმედ განათავისუფლდა. პოეტს მაინც მართებს დიდი შრომა და მეცადინეობა, რომ ეს ნაკლი საესებით აღმოუხვრას.



სულხან-საბა ორბელიანი — „რჩეული იბანე“

სახელგამი, ახალგ. და საბავშვო ლიტერ. სექტორი. ტფილისი, 1937 წ.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები წარმოადგენენ ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშს. გარდა წმინდა მხატვრული ღირებულებისა, ამ არაკების უმეტესობას უდიდესი იდეურ-აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ „სიბრძნე-სიკრთისა“ უდიდეს ინტერესს შეიცავს თანამედროვე საბჭოთა მკითხველისთვისაც, განსაკუთრებით მოზარდი თაობისათვის.

სახელგამის ახალგ. და საბავშვო ლიტ. სექტორის ეს გარემოება სავესებით მართებულად მიუღია მხედველობაში და გამოუცია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები. სარეცენზიო კრებულში მოთავსებულია ორმოცდაათიმეტრი ნაწარმოები. რედაქტორს (ამხ. შ. თაბუკაშვილს) კარგად შეურჩევია არაკები და შესაფერი ლექსიკონიც დაურთავს არქაულ და ძველად გასაგებ სიტყვათა ასახსნელად. მაგრამ, საწუწნაროდ, რედაქტორის მუშაობა ამით ამოწურულა, რაც დასტოვია კიდევ წიგნის გარეგნობას — იგი მეტად ლატაკა და საბრალო შთაბეჭდილებას სტოვებს... სერთოდ, საჭიროა ჩვენს გამოცემლობებში ბოლო შოელოს რედაქტორების მხრივ წიგნის გარეგან გაფორმების საქმეში „ჩაურთელობის“ მეტად მაგნე ტრადიციას. წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორი ვალდებული უნდა იყოს არა მარტო შინაარსს, ტექსტის დადგენას და მის დამუშავებას აქვედეს ყურადღებას, არამედ მასვე უნდა ეკისრებოდეს ერთგვარი კანტროლის გაწევა წიგნის გარეგან ღირსებისათვისაც (ილუსტრაციები, თავბოლო სამკაულები, ტიტული, ყდა, შრიფტი და სხვა). სახელგამის სამხატვრო სექტორმა უკანასკნელ ხანებში გამოსცა რამდენიმე წიგნი, რომლებიც პოლიგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისით, უგემურობისა და და უკულტურობის ნიმუშს წარმოადგენენ (ყაზბევისა და შექსპირის თხზულებები, სადაც არეულია ქალაქი, ისიც ცუდი ღირსებისა, ცუდად არის დაბეჭდილი სურათები და სხვა). იშვიათ გამოჩაქლის წარმოადგენს ამ შემთხვევაში „გორის ლაშქრობის ამბავი“, რომელიც მეტად სუფთად და ლამაზად არის გაფორმებული (ალბათ, საიუბილეო თარიღს მიეწერება ასეთი მონდომება).

სარეცენზიო წიგნი სახელგ. ახალგ. და საბავშვ. სექტორის მიერ მეტად დაუდევრად და გულგრილად არის გამოცემული. ვინა საჭირო არ იყო ამ შესანიშნავი იგავ-არაკებისადმი უფრო მეტი პასუხისმგებლობისა და მზრუნველობის გამოჩენა? ეს წიგნი ღირსი იყო იმისა, რომ გამოცემულიყო საუკეთესო ქალაქდზე, მდიდარი, ფერადი ილუსტრაციებით და სხვ. ეს უფრო მიმზიდველად გახდიდა მას ჩენი მოზარდი მკითხველისათვის. სახელგამს მოეპოება ყველა ტექნიკური საშუალება, რომ ბავშვებს მიაწოდოს ლამაზად და მხატვრულად გაფორმებული გამოცემები, საჭიროა მხოლოდ მეტი კულტურა და პასუხისმგებლობის გრძნობა ახალგაზრდა საბჭოთა მკითხველისადმი.

საჭიროდ მიგვაჩნია, სახელგამის საბავშვო სექტორმა ხელახლად გამოსცეს სულხან-საბა ორბელიანი და გამოიყენოს ამისათვის ყველა მხატვრული და ტექნიკური რესურსი, რაც ამ გამოცემლობის განკარგულებაში არსებობს.

ახალგაზრდა მკითხველი.



1938 წელი. „ფაფრატიის“ გამომცემარქვენი

ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია, რევოლუციური მოძრაობის პარტყინვალე წარსული თანამედროვე საბჭოთა მწერლობის უდიდესი და უარსყად საპასუხისმგებლო თემაა. ამ მხრივ ამხანაგ ლ. ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უდიდესი შემოქმედებითი სტიმული მისცა მთელ საბჭოთა მწერლობას. აღნიშნული მოხსენება მხატვრული შემოქმედების ყველა დარგისათვის მასალისა და შთაგონების დაუპრეტელი წყაროა, წარმატებული თემების უხვი არსენალია. ეს თემები აღფრთოვანების ცეცხლით ანთებს მწერალს, ზრდის მის რევოლუციურ თვითშეგნებას, განუსაზღვრელად აფართოებს საბჭოთა ლიტერატურის პორიზონტს. აირჩიო მხატვრულ-შემოქმედებით თემად იმ ლეგენდარული ადამიანების ცხოვრება, რომელთაც პროლეტარულ დემონსტრაციებზე, იატაკქვეშეთში, ცხარე ბრძოლებში ძველი ქვეყნის წინააღმდეგ დარაზმეს მუშათა კლასი და დაამხსნ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება — ეს ბედნიერებაა, რომელიც სტალინური ეპოქის მწერლის საამაყო ხვედრი გახდა.

ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდის — კიათურის დისკუსიებში ბოლშევიკების მიერ მენშევიკების სრული დამარცხების — მხატვრული ასახვის ცდას წარმოადგენს ახალგაზრდა ნიკიერი საბჭოთა მწერლის გრ. აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“.

ეპოქა, რომელსაც „შავი ქალაქის გაზაფხული“ ეხება, პირველი რევოლუციის ეპოქაა, როცა ამხანაგი სტალინი ფოლადის ხელით რახმავდა, ანმტიკებდა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ ერთ-ერთი საუკეთესო პოემა იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ დაწერილა. ავტორი პირველ ყოვლისა უხვი მხატვრული ფერებით ხატავს მაშინდელ კიათურას. ამ გარემოს გადმოსაცემად მას შეუძრჩევია ორიგინალური, ცოცხალი, ახალი სახეები, რომელნიც ღრმად რჩებიან მკითხველის მეხსიერებაში. პოეტს შეუნარბუნებია იმერეთის კოლორიტი, იმერეთის პეიზაჟი და უნდა ითქვას, ამ მხრივ მას საკმაოდ ძლიერი მხატვრული ეფექტებისათვის მიუღწევია. ამიტომ არის, რომ პოემა შეუნდლებელი ინტერესით იკითხება. ქართულ ლიტერატურაში კიათურა ამ პოემით ნამდვილად ჩნდება თავისი მუშებით. თავისი ადამიანებით, თავისი ბუნებით და წარსულით. ავტორმა იცის ადამიანების ფსიქოლოგია, იმერული კაცის წაუბამველი ზრდილობა და სიღირბაისლე, რომელსაც იმ წარსულის სიღუბჭიროება ვერ სტებნდა ვერც სილატაკე და ვერც ხელმოკლეობა. იი სწორედ აქა სჩანს უდიდესი ზრდა ახალგაზრდა პოეტისა, რომელმაც ღონიერად მოჰკიდა ხელი ასეთ დიდ, ასეთ საპასუხისმგებლო თემას და ერთბაშად ჩადგა ჩვენი ლიტერატურის მოწინავე რიგებში.

მშვენიერად არის პოემის შესავალში დახატული გაზაფხული, ბუნების აყვავება. მოვიყვანო ბუნების ამ გამოღვიძების მარვენებელ რამდენიმე მხატვრულ დეტალს:

„და ტყეშალი ყვავილის ფერს
მთებზე თოვლის ნარჩენს პარავს,
ტოტზე ლეჩაქს გაშლით იფენს,
ზღვის ქაფის ფერს დასცემს კარავს“.

და შემდეგ:

„გაზაფხულის დგება ხეაი.
მწვანე კაბას მოლი კერავს,
ატმის ტოტი გაშლის ყვავილს,
გაბურებულ თორნის ფერად“.

შემდეგ პოემაში გვხვდება მდინარე ყვირილა. მდინარის სანაპიროზე/კიათური-საენ გზას მიჰყვება ახალგაზრდა მგზავრი:

„ეს არწივი მოფრენილა
შეეარდნების ასაფრენად

მზე ვის ეტყვის ფერდობიდან,
მზე ღრუბლებით დადაფნული,
ეს ბელადი შემოვიდა
და პირველი გაზაფხული“.

აღწერს რა ბელადის კიათურაში ჩასვლას, პოეტი ახლა არალიველურ სტამბაზე მოგვითბრობს. იგი ცდილობს დაგვიხატოს სტალინის ცეცხლოვანი და მგზნებარე მოწოდებების და პროკლამაციების ბუმბერაზული ძალა:

„რა პატარა, რა უღონო
ეგდო ცალკე ანი, ბანი,
ჯულაშვილის სტრიქონებში
ჩადგა როგორც ქანიბალი“.

პოემაში განსაკუთრებით კარგად არის გამოსახული კიათურის მშრომელთა სიყვარული სტალინისადმი. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვეებს სურათი, სადაც პოეტი აგვიწერს სტალინის სტუმრობას იმერული გლეხის ოჯახში. ამ სურათში მთელი იმერულ სტუმარმასპინძლობის ეშში და ლაზათია. აქ ავტორს არ ღალატობს ზომიერების ვრძნობა, ნათლად სჩანს, რომ იგი კარგი მკოდნეა ყოფაცხოვრებისა და ადამიანების ხასიათისა.

პოემის სიუჟეტის მთავარი ძარღვი არის დისკუსია ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ნახიზნარში (ადგილია კიათურაში), ეს ცხარე პოლიტიკური ბრძოლა, რომელშიაც ბრწყინვალედ იმარჯვებს ახალგაზრდა სტალინის გენიალური აზრი და საქმე, ავტორს საუცხოოდ აქვს დახატული. აქ პოეტი ცდილობს გამოხატოს ორატორული გამჭრიახობა და სიმამხელე ახალგაზრდა სტალინისა (პოემა ეხება პირველი რევოლუციის წლებს), რომლის ყოველი სიტყვა მენშევიკებთან ბრძოლაში გატფორცნილი ისარია, რომელიც აუცდენლად ხედება მიზანს. ყოველი წინადადება ფაქტებით გასაღკლდევებული ბრალდებაა, გამიშვლებული სიმართლეა, უძლეველი თავისი სიცხადით. განსაკუთრებით კარგად გადმოგვეცემს პოეტი ზლაპარს დევისა და ვაუკაცის ბრძოლის შესახებ. ამავე სურათში მოსჩანან გროტესკულად დახატული ფიგურები მენშევიკებისა — „ხუნხუზა“ (ნ. ხომერიკი) და სხვები, რომელთაც ზიზღით შეაქცია ზურგი მშრომელმა კიათურამ. სამარცხვინოდ დამარცხებული მენშევიკები დისკუსიას სკანდალით ამთავრებენ და იწევენ სტალინზე. მაგრამ ძარღვემავარი კიათურული მუშები მკერდით დგანან თავიანთი საყვარელი ბელადის დასაცავად.

პოემის ეპილოგში ასახულია დღევანდელი განახლებული სოციალისტური კიათურა, აღწერილია გულწრფელი ლირიკული პათოსით და წარმტაც სახეებით.

საერთოდ, პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“ ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მიღწევაა.

წიგნი „ფედერაციას“ კარგად გამოუცია.

გ. ნატროშვილი.

შინაარსი



ქართული
ენციკლოპედია

აფხაზ ლ. კ. გურიას სიტყვა თბილისის მუკომალთა სამს- ათასიან მიტინგზე	23- 3
საპარტოვლოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრა- ლური კომიტეტის მიმართვა	7
ილო მოსაშვილი — ხალხთა ბელადს დიდ სტალინს (ლექსი)	17
დემნა შენგელაია — შუღლი (მოთხრობა)	19
კონსტანტინე ჭიჭინაძე — დიდი ლიტერატურული ძეგლი	41
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ამბავი იგორის ლაშქრობისა (თარგმანი)	47
იაკინთე ლისაშვილი — კერპი (მოთხრობა)	69
გიორგი ქუჩიშვილი — ჩემი სამშობლო	88
ვასემ ლახუტი — ვასემ ლახუტი ჯამბულს	91
ჯამბული — ჯამბული ვასემ ლახუტის	92
შ. ამისულაშვილი — ქალაქი ზურმუხტის ფარჩებში	95

პრიტიკა და კუბლიცისტკა

პროფ. ს. დანელია — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ და მისი შეს- წავლის ისტორია	97
ლევან ახათიანი — შალვა დადიანის მხატვრული პროზა	106

სალიტერატურო არქივი

შ. ჩხეთია — ისტორიული საბუთები ვედოშვილის შესახებ	130
იაკობ ბალახაშვილი — ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის“ დრამატიული ვარიანტი	152
მ. თ. — საზოგადოებრივი განვითარების ისტორიის მასალებიდან	166

წარსულიდან

არტ. ახნაზაროვი — აკაკის ერთი ლექსის ამბავი	172
---	-----

ბიბლიოგრაფია

კონსტანტინე გამსახურდია — პლატონ იოსელიანი, — ცხოვრება გიორგი მეცამეტისა	181
დავ. შერშანი — ბ. ბრიკის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძე	184
გ. მებუჯე — სანდრო ეული — ლექსები და პოემები	187
გ. ნატროშვილი — გრ. აბაშიძე — შავი ქალაქის გაზაფხული	190